



1963/4



სიღვაძე

შინაარსი

ნოდარ ნარსია — მაიაკოვსკის ძეგლ- თან. ლექსი	3
შოთა ნიუნიანიძე — ლექსები	5
თამაზ ვილაძე — ლექსები	9
გიორგი ჭავჭავაძე — ჯარისკაცის ჩა- ნაწერები. გაგრძელება	12
მერაბ ელიოზიშვილი — ჩიტას ჩივი- ლი. ესეიზი	26
ანზორ გვარამია — მეწაღე. მოთხრობა	33
ორღე დგებუაძე — ჩაძირული „თო- ლია“. სათავედასავლო რომანი. გაგრძე- ლება	44
ელენე და გიორგი კაპაშვილები — სადაც ყველაფერი შეიძლება მოხ- დეს. რომანი. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ანდრეაფარ ჭეიშვილმა	55
იური ნაბიზინი — გაღმოდ, მოვე- დით... — მოთხრობა. თარგმნა მ. აგია- შვილმა	70
● საპაგიო დაუაჯე	
ვალერიან ჩაპურიშვილი — დაზგების გუგუნში	83

7556

7

ივლისი

1963

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკვ ც. კ-სა და
მწიგნობართა კავშირის ორგანო



საყურადღებო საყურადღებო საყურადღებო

●
ვლადიმერ მაიაკოვსკი

- დირიჟირი თუხარელი — მაიაკოვსკი და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა 91
- ვასილ ლაფერაშვილი — პოეტი-ტრიბუნი 98
- გიორგი დოლიძე — მაიაკოვსკის კინოსცენარები 101

●
ქრიშტიანე და ვუბლიხისტიანი

- გიორგი ხუხუშვილი — სიმონ ჩიქოვანის პოეზია 108
- გურამ გვერდუთელი — მაღალიდური და მაღალმხატვრული ლიტერატურისათვის. წერილი მეორე 117
- გიორგი მერაპილაძე — ფიქრები თანამედროვე რომანზე. წერილი მეორე 124
- სიმონ სხირტლაძე — დაგვიანებული შენიშვნები 137
- ნოდარ უამანაძე — იალაღებზე ამღვრებული სტრიქონები 141

●
მეხნიარა და გეჟიანი

- იაროსლავ კუტიკი — სინდისი. დასასრული. თარგმნა ვერა ბუჩიძემ 144
- გიორგი ლეჟავა — გიგლა ფირცხალავა 160

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდუთელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ნორა ნახია

მანაკოვსკის ქვბლთან

სხვა თაობებმა რომ არ იჯავრონ,
ის ღვას ზვიადი და დაძაბული...
გაცოცხლებულა თითქოს ბრინჯაო
და სივრცეს ებრძვის ფრთაგაწაფული.

საფეთქლებთან რომ ძარღვი უფეთქავს,
ეს ნიშნავს:

სულში ღველფი კიაფობს...
მინდა რამ ვკითხო
და ვერც ვუბედავ.
იქნებ ცეცხლოვან რითმებს მიაგნო.

ცა —

ოცნების და კაცთა საუფლო,
თითქოს მთლიანად მასში ჩანთქმულა...
და რა მოხდება — გავესაუბრო,
ან ვათქმევინო სიტყვა ქართულად.

მთები ბაღდადის, მერე რა მთები,
და უწმინდესზე წმინდა წყარონი
კვლავ მოელიან.

კვლავ აანთებენ,
სულს აუვსებენ ბროლის წყარუნით.

ახლა მწყურია სივრცეს გავძახო,
სანამდის ყელი არ დამელღება —
აღსდგეს,
იმღეროს და არ დაგეძრახოს,
რომ მისი სუნთქვის ქარი გვეხლება.

დაანთოს მგოსნის დიდი ბუხარი,
გაგვათბობს მისი სულის ნათელი...
ისევ გათენდეს და იმქუხაროს
ძველებურ ეშხით და შემართებით.

აღსდგეს, იმღეროს... ბრწყინავს მამული,
ცაქ კი დავლაშქრეთ ზარით, ზეიმით...
სად გაგონილა სხვა სასწაული
ან ამდაგვარი თვალისეირი.

მოგენატრებია, დედას ვფიცავარ,
არავგად ლექსში გადაგდებული...
დაბადებული მხოლოდ წვისა და
მხოლოდ ლექსისთვის დაბადებული.

დგას პოეზიის დიდი არწივი,
დაგვეურებს მისი ლანდი ვეება...
მოვა...

სიტყვებად დაგვანაწილებს
ანდა წაგვასხამს ლექსის ტყვეებად.

გადმოდინდება, როგორც ვულკანი,
მზე და... მგოსანი ქვეყნის დიდების...
და მერე ივლის შუქჩაუმქრალი,
ჩანგზე დაწყობილ ოქროს თითებით...



შოთა ნიშნიანიძე

მზე და ჩრდილი

I

მესიზმრა,
 თითქოს ჭაბუკი ვიყავ
 და გამეორდა, რაც ადრე მოხდა:
 ზღვაზე ვიყავი,
 მიყვარდა ვილაც
 და მიველოდი მეთევზის ქოხთან.

წამოვწვებოდი ზღვისპირ გულადმა.
 ხოლო შუაში მზეს ჩავიწვენდი.
 ჩვენ ერთმანეთის ჩრდილიც გვთუთქავდა, --
 გვეკიდებოდა ჟრჟოლა ისეთი,

ტანში გვიდულდა ზღვის სული ფიცხი
 და მეამბოხე ქამი მაჭრობის.
 ზღვაში გაბანილ დღეებს და სიცილს
 ბადებოვით მზეზე ვაშრობდით.

მერე მზისა და ტალღების ალყას
 ვარღვევდით ხოლმე ჩრდილებით,
 ცურვით.
 თოლიებოვით აცყავდით მაღლა
 თავდავიწყების და ფრენის სურვილს,

შიშვლებს არ გვახლდა უხერხულობა,
 არ გვაცბუნებდა მზერა უცხოთა,
 სილაზე ჩვენი ნაფეხურები
 ზღვამ პეშვებოვით მზეს გაუწოდა.

ჩვენ ერთმანეთის ფრთები ვიყავით
 და ერთმანეთის ორი ნაპირი --
 ერთმანეთისგან გაურჩიყავი
 გზები მართალი და პირდაპირი.

ვხვდებოდით მუდამ ციებ-ცხელებით
 და ვშორდებოდით ციებ-ცხელებით,
 ასე შორდება და უერთდება
 ერთმანეთს ბაგე...

ჩრდილი...
 ხელები...

სასთუმლად გველო აგვისტოს მთვარე,
 ტანზე გვეხურა ცხელი სიზმრები.
 ბედნიერებით ვიყავით მთვრალი
 და ამ სიმთვრალით უფრო ფხიზლები.

II

... ცას შეეყუდა ვეება სოკო
 და ჰორიზონტი ზღვიდან ახლიჩა
 და გადათხარა ცა ოკრობოკროდ
 და მზე მოგლიჯა, როგორც აფიშა.
 ვერც შევიძელით რამის მოსწრება...
 და სიცოცხლისგან შერისხულები
 ყრუ სამდურავად და გაოცებად
 ცისკენ წავიდნენ ჩვენი სულელები
 და ციდან ვჭვრეტდით ბედ-იღბალს მუხთალს.
 ზღვისპირ კუბრივით დულდა კენჭები,
 დაკრუნჩხულიყო და შავად დულდა
 ქვიშაზე ჩვენი ანაბეჭდები...

და ვიგონებდით ტირილით მიწას,
 რასაც ცოცხლები გულით მივენდეთ, —
 რაც ჩვენს მაგიერ მიწაში იწვა:
 ჩვენს სიჭაბუკეს,
 მზეს
 და
 იმედებს...

გამომეღვიძა...

ჩიტთა ჭივჭივი

იყო სიცოცხლის დიდი ნუგეში,
 ზღვისპირ გარბოდა დილა ბიჭივით
 და მზე მტრედივით ესვა უბეში.
 შიში,

სიკვდილი,

მწარე ფიქრები

სიზმრად დავტოვე მეთევზის ქობთან...
 და მივხვდი, თუკი ფხიზლად ვიქნებით,
 სიზმრად დარჩება, რაც სიზმრად მოხდა...



☆
შოთა ნინიაძის
☆
ლექსები

ზღვაზე ვისვენებ და მეჩვენება —
 მეც ნაწილი ვარ ზღვის და ველობის,
 მე დასჯილი ვარ ამ დასვენებით
 და უფრო მეტად მოუსვენრობით;
 მე დასჯილი ვარ შენი ღიმილით
 და უფრო მეტად უღიმილობით;
 შენი ეჭვებით და სიმძიმით,
 როგორც ნისლებით ზღვა დილდილობათ.
 ყოველი ტალღა შენკენ მომდენის,
 შეგეჩვიე და აღარ მეთმობი,
 მე დასჯილი ვარ ჩემი მოთმენით
 და უფრო მეტად მოუთმენლობით.
 მეღვრება, როგორც დიდი ნათელი,
 შენი რძისფერი ტანის ნაჩრდილი,
 მე დასჯილი ვარ დიდი სათქმელით
 და უთქმელობით უფრო დასჯილა.
 მე დასჯილი ვარ ამ სილამაზით
 შეუბრალებლად —
 ცხადში თუ ძილში.
 მე დასჯილი ვარ ამ სილამაზით
 და უფრო — მისი დაკარგვის შიშით.

ყველა ზრუნვა და ყველა ტკივილი
 განა წარმავალ სიზმრის ნისლია,
 ამტკივებია სიბრძნის კბილივით,
 მაგრამ კბილივით არ მომიცვლია.
 ამ ჭაბუკური დარდის გამხელით
 განა სამართლეს გამბობ იშვიათს,
 ქალის ნაწნავით და ცისარტყელით
 თავი მრავალჯერ ჩამომიხრჩვია!
 ასე: ახლისკენ ლტოლვა დიღია
 და არც იქნება გასაკვირველი:
 თუ სიყვარული ჭეშმარიტია,
 მეასეც იყოს —
 არის პირველი!

ზღვის კენჭებიდან
 ვარსკვლავებამდე
 განშორებიდან — შეხვედრებამდე
 და ტირილიდან მაგ სიცილამდე,
 „არა“-დან „ჰო“-მდე რაც მიწილადე —
 სულ სილამაზე აღმოვაჩინე,
 სულ სიყვარული აღმოვაჩინე.
 მე დასჯილი ვარ ამ სილამაზით
 მე დასჯილი ვარ ცხადშიც და ძილშიც;

მე დასჯილი ვარ ამ სილამაზით,
და უფრო — მისი დაკარგვის შიშით.
მეც განვიცადე, ვით სასწაული,
გაჩენის აზრი ამ ქვეყანაზე,
უსაზღვროების ეს სიხარული,
ეს დიდი სიბრძნე და სილამაზე.
ვეძებ...

ვაოულობ... არ ვარ მომცდარი,
სიტყვა დაგვეთე აზრის მაჭიკათ
და რაც ვიგემე, სულ გამოვცალე,
ვერ ვიწყოფინე მხოლოდ ჭაშნიკი.

მე მაძლარი ვარ, როგორც სიცოცხლე
და დამშეული, როგორც სიკვდილი.
ყველაზე დიდი, რაც კი მიბოძეს,
საკუთარ თავთან არის ჭიდილი.

მადლიერი ვარ,
ასჯერ — ყაბული
ჩემი ამქვეყნად ასე გაჩენის,
ეჰ, უსაშველო ამ სიყვარულმა
გამომიტანა ეს განაჩენი...



თამაზ ჭილაძე

შენი ხმა მისმის

ამას წინათ ესპანელმა ფაშისტებმა ახალი ზოროტმოქ-
მელება ჩაიდინეს: ციხეში მოჰკლეს ახალგაზრდა პოეტი
მანუელ მორენო ბარენკო.

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ
პოეტას სისხლმა შელევა დილა,
და მერამდენე მერიდიანად
შემოეხვია ჩვენს ფიქრებს ფრთხილად.

ფრთხილად... ისეთი რილით და კრძალვით,
როგორც პოეტებს ჩვევიათ ხშირად,
რადგან ისინი მაღალი ძაბვის
დენივით უცებ წყდებათ ხშირად.

საკვირველია, რომ არ იშლება,
მათი სახელი არ ქრება ხოლმე,
კვლავ ბასტილიის იერიშებად
და ასტურიის დროშებად მოვლენ.


შენი სიკვდილი იყო გმირული
და შენ იწეტი ლამაზი მართლა,
ვით მეზღვაური მკერდგანგმირული
ზამთრის სასახლის ჩახერგილ კართან.

და შენ იწეტი, ვით პერლაშეზის
მკაცრ სიჩუმეში წევს კომუნარი,
ვით ბეთხოვენის შლეგ კლავიშებზე
გმირული ჰანგი გაუგონარი.

განა ცოტაა დღეს ბარიკადი,
სადაც იბრძოდე უნდა გმირულად,
რომ არ დაგადგას მკერდზე ნიკაპი
ამაოებას გულქვა ყინულმა.

რომ იყო მუდამ ადამიანი,
 გიყვარდეს ცა და თავისუფლება,
 შენი სამშობლოს დილა მზიანი
 არ დაგიბნელოს შავმა ღრუბლებმა.

და ვერც ჩაგაქრეს... შენი ხმა მესმის,
 ცეცხლში იწრთობა ხმა და გონება,
 მიიღე ჩემი მართალი ლექსი
 შენი სიცოცხლის გამეორებად...



ბეთხოვენი

პატარა ბიჭი უკრავს გამებს...
 ხანსით დაფარულ საფეხურებს
 ჰგვანან გამები...
 და კიბე მიდის შუქურასთან
 და შუქურაში
 ანთია დიდა, წითელი ცეცხლი.

გზაარეული ხომალდების მკრთალი ლანდები
 (გზაარეული, დაწეწილი თეთრი ჩიტები)...

პატარა ბიჭი ალებს სარკმელს
 და იმ სარკმლიდან
 გამორბის ცეცხლი.
 როგორც ზღაპრულ ბოთლიდან დევი.

ზღვის უფსკრულეში,
 სიბნელეში და სიჩუმეში
 ბიჭი და ცეცხლი
 ეძებენ გემებს.

გარეთ წვიმს... წვიმის თეთრ ბურუსში ქრება
 ქალაქი,
 პატარა ოთახს როიალის ფრთის ჩრდილი
 ჰხურავს,
 მაღალ კედელზე, ბეთხოვენის ნილაბის ახლოს,
 ჰკიდია დედის სურათი და დამტკნარი ბზები.

ადამიანურ ყველა ვნებას ჩრდილავს ტკივილი,
 ტკივილი სხვისთვის თავგანწირვის,
 ამ ტკივილიდან
 იწყება ძალა და სინათლე —
 ადამიანი!

ადამიანის ფიქრის ორეულს —
 ზღვას, ზღვას ვიგონებ და მიხარია,
 თითქოს გიხსენებ ასე შორეულს,
 წასულს, დაკარგულს დიდი ხანია.

იწვნენ ნაგები... ნაგებს ეძინათ...
 შენი ამბავი მაინც ვუამბე,
 და ბადესავით ჩამოძენძილი,
 კვიპაროსებზე თრთოდა შუადღე...



ზღვა არის ჩუმი... ნუთუ ის ზღვაა,
 მე რომ მიყვარდა... ნუთუ ის არის!
 ცად აგარდნილი ტალღა მრისხანე
 რამ გააჩუმა, რომ ვერ ვიცანი.

გემი, რომელიც არსად არ მიდის,
 ჰგავს გაბრუებულს მზით და თრიაქით...
 ნელა მავიწყებს ფიქრებს ამინდი,
 მშვიდი და სუფთა, ვით აფთიაქი.

შიშველი ანძა, ბეტონის ზღვარი
 და დამსხვრეული ნავის ფიცარი...
 ზღვა არის ჩუმი... ნუთუ ის ზღვაა,
 მე რომ მიყვარდა... ნუთუ ის არის...



ქრისტიანული ხანაწილები



ერთი და უკანასკნელი დღე გერმანულ ობერლიტენანტთან

მბერლიტენანტთან უნდა წავსულიყავი, მოუთმენლად ველოდი შაბათ დილის გათენებას, რადგან სამუშაოზე წასვლის უფლება მქონდა და თითქოს იმდენად აღარც კი განვიციდიდი ტყვეობას.

ყველაზე ადრე მზარეულებმა გიორგი ლალუაშვილმა და სეროზ აბალიანმა მიამშურეს სამზარეულოს, გოგი გოგინაშვილი მებოსტნედ მუშაობდა გერმანელ ოფიცერთა სკოლის ბოსტანში, არამ ბაგრაძიანი ზეინკლად გერმანელთა სახელოსნოში, მათევოს ნადირიანი დურგალი იყო, ასკერ კალაბურა კი მაქსს ემსახურებოდა. მის სამსახურს რომ მორჩებოდა, შევიდოდა ბანაკში, მოიგვერდებდა ნაგაზივით და ეძინა.

ყველანი წავიდნენ, მხოლოდ მე დავრჩი ბანაკში. ველავდი, ხომ შეიძლება, ობერლიტენანტს დაეიწყებოდა ანდა გადაეფიქრებინა ჩემი წაყვანა? რატომ არ ვთხოვე, დაერთო ნება მე თვითონ მივსულიყავი მასთან, ხომ იყო შემთხვევები, რომ თითო-ოროლა კაცი ამა თუ იმ საქმეზე მარტო მიდიმოდიოდა ბანაკიდან გერმანელ ოფიცერთა სკოლის ტერიტორიაზე?! რომ

მეთქვა, ობერლიტენანტი დამრთავდა ნებას.

ყოველი წუთი საუკუნედ მეჩვენებოდა. ველავდი, ამბობენ: მხოლოდ მწუხარებით გამოწვეული ღელვა როდია მავნებელი, სიხარულის ღელვაც მავნებელია. ვანა სიხარული და მწუხარება ჩვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული? რამდენია ცხოვრებაში ასაღელვებელი, რამდენია სამწუხარო და სასიხარულო. არ ვიცი, ვის რად უნდა აუღელვებელი სიცოცხლე.

ისეთი სიჩუმე იდგა ბანაკში, რომ ჩემი სუნთქვაც კი მაფრთხობდა, დამჯდარმა ვერ გავძელი და სიარული დაიწყე, მაგრამ კინალამ თავზარი დამცა ჩემი ხის ქოშების რახარუხმა. ისევ დავეჯექი.

ბანაკში მარტოდ დარჩენილი არამ ბაგრაძიანი მომაგონდა რა გაბედული ბიჭი ყოფილა, რა თავდავიწყებით მღეროდა. იქნებ ბაგრაძიანიც ჩემს მდგომარეობაში იყო და ბანაკის სიჩუმეს სიმღერით არღვევდა!

დროის მოსაკლავად გადავათვალე რე „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგისა“ და „ფოლკიშე ბეობახტერის“ სამი თვის კომპლექტი, რომელიც ახალკურსდამთავრებულ ახალგაზრდა გერმანელ ოფიცრებს გადაეყარათ. თავს ვძლიე და

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4, 5, 6.

გაზეთის კითხვა დავიწყე. ჰებელსის რეცეპტით დაწერილმა გაზეთის მოწინავე სტატიამ გული ამირია. გაზეთის მიხედვით მთლიანად განადგურებული იყო ბოლშევიკების არმია და ჯერჯერობით მხოლოდ მთავრობა იყო დარჩენილი. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ჰიტლერის არმია თავქუდმოდგლეჯილი უკან გამობრბოდა.

მომწყინდა გაზეთების თვალთვლება ცივად დავაგდე გაზეთი და ბანაკის ეზოში გამოვედი.

ბანაკს ერთი გერმანელი გუშაგობდა, იგი მხოლოდ ჩემთვის ცდებოდა, ინდურით დადიოდა, მიბღვერდა. ვერაფერი ვერ მოუხერხებ. არასგზით არ მომცა იმის ნება, რომ ჩაკეტილ ჰიშკართან გავჩერებულეყავი და მაქსისთვისა და ჩემს წასაყვანად მოსასვლელი მცველისათვის მეთვალთვალეზინა. ხომ შესაძლებელი იყო, რომ მაქსი სამუშაოდ დამჯდარიყო და სრულიად დავვიწყებოდი, მისგან ასეთი რამ მოსალოდნელი იყო.

გუშაგი ბრაზიანი ძალღვივით მიღრენდა მავთულხლართების ვადადმიდან:

— რატომ დაგტოვეს ბანაკში, რა საქირო ხარ აქ?! ტყვეებს მინდოდა გავყოლოდი, ქალაქში მაინც გავივლიდი, წმინდა სისხლის პატიოსანმა არიელმა აქ ვილაც ვბრინდარას უნდა ვუყურო! რა ვიცი, როდის გამოგზავნის ობერლეიტენანტი კაცს შენს წასაყვანად. უთენია კი დარეკა, გადაეცით კომენდანტ მაქსს, არ გაიყვანოს სხვა საქმეზე ტყვე პოეტი, მე უნდა წავეყვანო, დღეს ჩემთან უნდა იმუშაოსო.

„ეს რა გავიგონე? ეს რა მითხრა ამ ოხერმა? — გავივლე გულში, — მაშ არ დავვიწყებვიარ ობერლეიტენანტს, წამიყვანს, ნამდვილად წამიყვანს!“

— დარეკა? როდის? კიდევ რა უთქვამს? — ვკითხე ბრაზიან გუშაგს.

— აბა რა ვიცი, ის დიდი ოფიცერია და როცა უნდა, მაშინ გამოგზავნის. შენა ხარ ის პოეტი? ნეტავ რაში სჭირდები ობერლეიტენანტს! პოეტი! — გაიმეორა და იმდენი იცინა, თოფი კინაღამ გაუვარდა ხელიდან—წერა-კითხვაც

არ გეცოდინება და პოეტი რანაირად იქნები! — ასე მითხრა იმ გამოთაყვანებულმა, რომელმაც თვითონ არ იცოდა წერა-კითხვა ხეირიანად. ბოლოს, სიცილს რომ მორჩა, მითხრა: ცოტა ხანს კიდევ მოვიციდი და თუ არ გაუყვანიხარ აქედან, მე ვიცი, რასაც ვიზამო.

გაშტერებული შეეყუბრებდი და ვერაფერი მომხერხებინა. გერმანელი შემოუვლიდა ბანაკს, მოვიდოდა ისევ ჩემთან და მეჩხუბებოდა, სანატრელი სიზმარივით ვიგონებდი მთვარიანი ღამის გუშავს, ვაშლის ხის ქვეშ რომ იდგა და შტრატუსის ვალს უსტვენდა. გადავწყვიტე, მეყვირა: მაქს, მაქს, ბატონო მაქს-მეთქი, მაგრამ აღარ დამჭირდა.

ასევე კალაბურა მოვარდა, მაქსს გამოგზავნა, შეატყობინე ქავთარაძეს, ობერლეიტენანტთან წასასვლელად მოემზადოს, მცველი მოვიდა, გიცდისო. მაშინვე გამიღო ჰიშკარი გუშაგმა და გარეთ გამოვვარდი. მაქსს არ გამოუხედავს, იცოდა, სადაც მივდიოდი.

გავვარდი, მაგრამ ვერაფერ დავინახე. ასევე კალაბურამ მითხრა: მცველი სამხარეულაოში შევიდა ასანთისთვისო. ამ დროს გამოვიდა კიდევ, შევხედე და გული გადამიქანდა: იმდამინდელი გუშაგი იყო, იმ დაუფიწყარ ღამეს ბულბულივით რომ უსტვენდა და მოციქულად რომ გავუგზავნე ობერლეიტენანტს.

მომესალმა, მხარზე გადაკიდებული თოფი გადმოიღო, მარცხენა ხელში დაიჭირა და მარჯვენა მაგრად ჩამომართვა. გამეხარდა და გამიკვირდა, ვინაიდან სამხედრო ტყვეებს გერმანელები ხელს არ აბრთმევდნენ. მერე ისევ გადაიკიდა თოფი მხარზე, სიგარეტი მომართო და გზას გავუღდექით. ამის შემხედვარე კალაბურა პირდაღებულად დარჩა.

ბანაკიდან ობერლეიტენანტის ბინამდის ნახევარი კილომეტრი თუ იქნებოდა. ჩემმა მცველმა მითხრა, ობერლეიტენანტი ამ დილით მგონი ოფიცერთა სკოლაში წავიდაო. ასე დამიბარა: მომი-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ცადეთ, ჩქარა დავბრუნდებო. კმაყოფილი იყო, რადგან თუ განსაზღვრული დრო გავიდოდა, მეორე დღემდის თავისუფლდებოდა. ფოტოსურათი მიჩვენა, დღეს აი ამ ფროილანის უნდა შევხვდეთ, თვალი ჩამიკრა და შეინახა. ასე რომ საჩქარო არც ერთს არაფერი ვკჷონდა. ნელა მივდიოდით. რამდენ ნაბიჯსაც გადავდგამდით, იმდენჯერ ვდგებოდით და ვლაპარაკობდით. დიდ გზატკეცილზე განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდნენ სამხედრო და ყველანაირი მანქანები, ქვეითად მონიარულ ოფიცრები და ჯარისკაცები, გერმანელი მოქალაქენი. რომ უფრო თავისუფლად გვეგრძნო თავი, ბალისაყენ გადავუხვიეთ და სხვა გზით, ვაშლების ხეივანით წავიდით.

მე ტყვე ვიყავი და არც შეიძლებოდა, რომ ის დღეები ჩემთვის ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ მაინც ტკბილად მავიწყდებდა ის დღე. ვაშლის ხეების ხეივანში გერმანელმა მცველმა ყველაფერი შიამბო თმის მსვლელობის შესახებ, ისიც დაწვრილებით ამიწერა, თუ რანაირად მოხდა ჰიტლერზე თავდასხმა და რანაირად ააფეთქეს ის შენობა, სადაც ჰიტლერი იმყოფებოდა. მაჩვენა ის გაზეთიც, სადაც დაბეჭდილი იყო ფურერზე თავდასხმის მოკლე ცნობა და იმავე გაზეთში მოთავსებული სურათი აფეთქებული დარბაზისა. ყველაფერი დანგრეული იყო, გადარჩენილიყო მხოლოდ ის ადგილი, სადაც ჰიტლერი იდგა. ჩქარა ომი დამთავრდება და რუსები და ამერიკელები მოვლენ, რა გვეშველებათ.

განსაკუთრებით რუსებისა ეშინოდა. ასე ფიქრობდა ყველა გერმანელი და ის კი არ იცოდნენ, რომ უფრო ამერიკელების უნდა შინებოდათ და არა რუსებისა. ამერიკელები სასტიკად უსწორდებოდნენ გერმანელ მოქალაქეებსა და სამხედრო ტყვეებს.

მე ჩემს მცველს ვუთხარი, რომ საბჭოთა არმიის მეთორები უსამართლოდ არავის ახლებდნენ ხელს. ისე თავდახრილი მისმენდა, რომ მე ვგავდი მის მცველსა და იგი ჩემს ტყვეს. ტკბილი

მუსაიფითა და აუჩქარებელი სიარულით მივედით ობერლეიტენანტის ბინამდის, ხარის დარეკვაც კი ვერ მოასწრო, რომ ობერლეიტენანტი მოვიდა. გაათავისუფლა ჩემი მცველი და შინ შემიპატიჟა.

სანამ შინ შევიდოდით (მესამე სართულზე ცხოვრობდა), კიბის ქვეშ დაწყობილ ყუთებთან მიმიყვანა და მითხრა: თუ ვინცობაა შემთხვევით ვინმე შემოვიდეს ჩემთან, ყუთში წიგნებია, ვითომ ამ წიგნებს ეზიდები ზევით, თუმცა ყველა გადასაყრელი წიგნია, აღარც ერთი აღარ მჭირდება.

თითო შეკვრა წიგნს დავავლეთ ხელი და წავიღეთ. ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. მან დაწვრილებით არ იცოდა ჩემი ამბავი და მართლა რომ არავის მოესწრო და ხელი არ შეეშალა, შინ შესვლამდე მოკლედ ვუთხარი. იგი არ გაოცებულა. ან კი რა იყო გასაოცარი? მხოლოდ ჩემთვის ხომ არ გამოუგონებიათ ნაცისტ მწვალებლებს სიკვდილის ბანაკები, რომლებიც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შენდებოდა; არც მე ვიქნებოდი პირველი დახვრეტილი ტყვე-ვაილბურგის დელის პირას, ხრამთან. მომისმინა, ხელი ჩაიჭნია და შინისაკენ გაემართა. უკან გაყავი.

შინ შესვლისთანავე გაიძრო ხელთათმანები, ერთმანეთში გადახლართა და მალა ისროლა, მერე დაიჭირა და ტუალეტზე დადო. ამ მოქმედებით, როგორც მასპინძელმა, მხიარული განწყობილება გამოხატა, სინამდვილეში არ ემხიარულებოდა, ნერვიულობდა. სავარძელზე მიმითითა, დაჯექო, თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა და რალაც დაწერა. ჩუაჯექი შინდისფერ ხავერდგადაკრულ სავარძელში, რომელზედაც ყაბალახით იყო გადაყიდებული თეთრი შალითა. მიუხედავად ჩემი მასპინძლის თავზიანობისა, ჩემი „ელეგანტური“ კოსტუმის გამო რალაცნაირ უზერხულობას ვგრძნობდი.

ობერლეიტენანტმა ზევით აიხედა და მკითხა: როგორ ხარო.

— როგორც მოგეხსენებათ, ბატონო, ტყვე აღამიანის მდგომარეობა.

— სიკვდილის ბანაკით გაშინებენ?

— უფრო უარესიცაა მოსალოდნელი, თუკი მოისურვეს.

— სიკვდილის ბანაკი, სიკვდილის ბანაკი, — გაიმეორა ზედიზედ. წამოდგა, გაიარ-გამოიარა და წამოიძახა: — რა საშინელებაა, რა საშინელებაა!

— ყოფილხართ? ვინახავთ? — ვკითხე აღელვებულმა.

— ვნახე ვაიმარში, შემთხვევით ვნახე, ნეტავ არ მენახა.

— მაშ რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

— ვინა ვარ მე? — დაჯდა და თავი მალა აიქნია. ამ შეძახილმა უხერხულობა გამოიორკეცა, არ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

მინდოდა რაღაც მეთქვა, ვერ შევძელი, ჰაერი არ მყოფნიდა, მინდოდა საკინძეგანსნილი გავკვარდნილიყავი გარეთ, აღარ მაწუხებდა მცირედი უხერხულობაც კი, უნებართვოდ ავიღე მისი პორტიგარიდან სიგარა. მაპატიეთ, რომ არ შემოგთავაზეთო, მითხრა და ასანთი მომაწოდა.

— ხომ იცი, რომ მე ვაილბურგის სამხედრო სკოლის უფროსი ვარ.

— ვიცი.

— მერე და თუ იცი, რატომ ისიც არ იცი, რომ მე ბევრი რამის უფლება მაქვს, მე უფლება მაქვს, ვინც შენ გემუქრება, დასავლეთ გერმანიიდან აღმოსავლეთ გერმანიაში გადავასახლო. კიდევ მეტიც უფლება მაქვს, — წამოიძახა გაჯავრებულმა და გულმოსულობა დაემტყო.

ეს რა მითხრა? ეს რა გავიგონე? მაგრამ რა ვთქვი ასეთი? რატომ გაჯავრდა? ერთსლა ვნატრობდი, რაც შეიძლება ჩქარა გაველო გულმოსულობას და ისევ დამშვიდებული მენახა.

ის, რომ იგი ვაილბურგის სამხედრო სკოლის უფროსი იყო, სიამაყით არ იყო ნათქვამი.

— მაპატიეთ, მე ტყვე ვარ, მე ვიცი და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ ექცევიან სამხედრო ტყვეებს გერმანიაში, მე მინახავს მათი უღმერთოდ წამება.

— სადღაა გერმანია, გერმანია აღარ არსებობს, ამჟამად არამზადები მართავენ გერმანიას, სდუმს გერმანელი ხალხი, ვინც ხმა აღიმალდა, საკონცენტრაციო ბანაკში ზის. სდუმს გერმანელი ხალხი, ვინც სდუმს, ის არც არსებობს. ტყვეების აქ, ვაილბურგში მოყვანა ჩემი ინიციატივით მოხდა. ყველა ამბობდა: არაა საჭირო ჩვენთვის სამხედრო ტყვეების გამოწერაო. ვინ იცის, სად მოხვდებოდით, შესაძლებელია უარეს ადგილზე მოხვედრილიყავით. არც თქვენი ბანაკის კომენდანტი მაქსი უნდა იყოს ურიგო კაცი, არა? ჰოდა იმას ვამბობდი, შემიძლია ყველა უკანვე დაგაბრუნოთ, მე მაქვს ამის უფლება, სურვილი კი არა მაქვს. თქვენი გათავისუფლება კი ფიურერის გარდა არავის შეუძლია.

— ასე გამომიცხადა ცალმაისტერმაც, რომელიც თავს ჟოზეფ ფუშეს ადარებს.

ობერლეიტენანტმა გადაიხარხარა და მითხრა:

— ჟოზეფ ფუშეს ჰქუა ჰქონდა, ცალმაისტერი კი სულელია, წვრილმანი თაღლითია, ტყვეებისთვის განკუთვნილი ლუდით ცხოვრობს, სპეკულანტია, განა ვერ ატყობთ?

მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნე. ცალმაისტერი ვაილბურგის სამხედრო ტყვეთა სამეურნეო საქმეების მონაგარი იყო. ყოველ სამხედრო ტყვეს გერმანიაში ხელფასად 13 მარკა ეძლეოდა, ვითომცდა უხელფასოდ არ გვაძლავებდნენ. ეს ხელფასი არაფერში გვადგებოდა, ვერსად წავიდოდით და ვერაფერი ვიყიდდით. ჩემთვის გამოუსადეგარი ფული 1.000 მარკამდე დამიგროვდა, ასი მარკა ვაძლიე ერთ გერმანელ გლეხს, ერთი კილოგრამი პური და ცოტაოდენი თამბაქო მომიტანე-მეთქი. უარი მითხრა. სასურსათო ბარათებით მიღებულ პურს ვინ გაყიდდა. თვით საკონცენტრაციო ბანაკებშიაც კი იყო გახსნილი სურსათისა და სხვადასხვა

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

წერილმანი ნივთების მალაზიები. ასეთი მალაზიებით დიდად სარგებლობდნენ ესელები, რომელთაც საკონცენტრაციო ბანაკები ებარათ — მთელი მალაზიების შემოსავალი მათ რჩებოდათ. სურათის მხრივ ჩვენნაირ ბანაკებში უფრო უნუგეშო მდგომარეობა იყო, სხვა მხრივ კი ღმერთმა დაგვიფაროს!

ხანდახან ცალმისტერს ლუდს მოიტანდა ჩვენი ხელფასის ანგარიშზე. არა მგონია, რომ მშვიერმა ლუდი კმაყოფილებით დალიოს. ღვინო და არაყი რომ ყოფილიყო ლუდის ნაცვლად, არ ვიტყვოდიტ უარს.

— გადაეცით ცალმისტერს და მის თანამზრახველებს, სულ მალე საკონცენტრაციო ბანაკები თქვენთვის დაიხსნება-თქო, — დამარცვლითა და ჩურჩულით მითხრა ობერლეიტენანტმა ეს უკანასკნელი სიტყვა, ადგა, სარკმელი გამოაღო და უმიზნოდ გადაიხედა, მობრუნდა და ისევ დაჯდა.

ვერაფერი ვუპასუხე და იატაკს დავაკტერდი.

— რა დროს გადმოგვკათ ჩემი დანაბარები გუშაგამ? — ვკითხე ბოლოს, რადგან მინდოდა რამენაირად ისევ ჩემს საქმეს დავბრუნებოდი.

— წუხელ დამირეკა, — მიპასუხა მოკლედ და ისევ თავის გულის სატკავარს დაუბრუნდა:

— ტყვეობა ცუდია, მაგრამ უფრო ძნელია, თუ სამშობლოში დაგატყვევებენ.

იმის ნაცვლად, რომ რაღაც შესაფერისი პასუხი გამეცა, ვუთხარი, მეც ჩემი სამშობლოს მიწა-წყალზე დამატყვევეს-მეთქი. მას რაღაც უნდოდა ეთქვა და გადაიფიქრა, ცუდად გამომივიდა და აღარ ვიცოდი, რანაირად გამოემსწობებინა.

წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. მალე შემოვიდა, ხელი დაებანა და იმშრალებდა. ნასაუზმევი არ ყოფილიყო და შემომთავაზა, ერთად ვისაუზნოთო. ავდექი და პირსაბანისაკენ გავყევი.

თოვლივით ქათქათა, ბოლოებში წითელი სვასტიკებით ამოქარგული უხმა-

რი პირსახოცი დამიკიდა პირსაბანთან და საპონზე მიმითთა. სანამ ხელში ავაქაფებდი საპონს, სერიოზულად მი-თხრა:

— კარგი საპონია, აბა უყნოსე, ადამიანის ქონისაგან არის დამზადებული.

— რასა ბრძანებთ! — შეეძახე და საპონი გადავისროლე, შინდისფრად შევლებილ იატაკს საპნის წინწყლები დაჩინდა. ობერლეიტენანტმა გადაიხარხარა, გაეხარდა, მოფიქრებული ხუმრობა რომ გამოუვიდა. ავიღე საპონი და განვაგრძე ხელის დაბანვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ავაქაფე. ერზაცის საპონი გამოდგა.

ობერლეიტენანტს უცებ გაეწყო სუფრა: ვერავინ დამიწუნებს სუფრის გაწყობას, გარდა ჩემი მეუღლისაო; ჩემს მეუღლეს არ უყვარს, როცა მამაკაცი ქალის საქმეს აკეთებსო.

ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვიჯექი სუფრასთან; სრულიად დამკარგვოდა ჭამის მადა. მაძალებდა, მაგრამ არც თვითონ ეძალებოდა მაინცდამაინც საჭმელს.

კედელზე ჰებელსის სურათი ეკიდა. გამხდარი. ჯუჯა ტანის ჰებელსი სათაგურში გაბმულ მშვიერ წრუწუნას ჰგავდა, თითქოს ჩარჩოში თავის საშველად დაწრიალებსო. სურათებიანი ალბომი მომიტანა დასათვალიერებლად, თვითონ რაღაც საინტერესო ყურნალს ეძებდა, უნდა წაგიკითხოო. აღარ დასცალდა, ტელეფონით დაურეკეს, ოფიცერთა სკოლაში უნდა წასულიყო. აულაგებელ მაგიდას დოლბანდი გადააფარა. დამპირდა, ჩემს დაუკითხავად ხელსაც ვერავინ გახლებსო. არავისთან წამოგვდეს რამეო, — მითხრა გასვლამდე. მეერ მანქანაც მოვიდა და ერთად ჩავსხედით.

ჩვენს ბანაკთან რომ მივედით, კომენდანტი მაქსი და ასკერ კალაბურა ქუჩის პირას იდგნენ. მანქანა პირდაპირ მაქსის წინ დადგა, გადმოსვლა დაეპირე, მაგრამ ობერლეიტენანტმა შემაჩერა, მაქსი იხმო და ჩემს გასაგონად უთხრა: — როცა საპირო იქნება, დაგირეკავ და გამომიგზავნეო. როგორი მწერალია, არ

ვიცო, საქმეში კი ძალიან ბეჯითაო. მე მივიღივარ და ჩქარა დავბრუნდებიო. კომპოზიტორი მაქსი გაოგნებული შესცქეროდა ობერლეიტენანტს, არც ავს პასუხობდა და არც კარგს.

რას ნიშნავდა, ჩქარა დავბრუნდებიო? სად მიდიოდა ობერლეიტენანტი? რა ჩქარა გაირბინა ნახევარმა დღემ...

მანქანიდან რომ გადმოვედი, ობერლეიტენანტმა ხელი გამომიწოდა და მაგრად ჩამომართვა. ეს იყო დიდი იმედი და ადამიანური თანაგრძნობა.

მანქანა, რომელშიაც ობერლეიტენანტი იჯდა, ქალაქისკენ წავიდა, მე კი მეგონა, ობერლეიტენანტი სამხედრო სკოლაში მიდიოდა. მაშინვე გავეშურე ბანაკისაკენ, ცარიელი ბანაკის ჭიშკარი ღია იყო და ერთი გულშაგი იდგა. თუ სამუშაოდ არსად გამოიყვანდნენ, სადარაჯოდ შე ვეყოლებოდი. მაქსსა და კალაბურას გვერდი ჩავუარე. კალაბურას დაბნეულობა შევამჩნიე, მაქსი კი ისევ იმავე ადგილზე იდგა ქანდაკებასავით.

მეორე დღიდანვე ველოდი ობერლეიტენანტთან წასვლას. მეორე დღეც გავიდა, მეორე კვირაც, მაგრამ ობერლეიტენანტი მაინც არ გამოჩენილა. აღარ მიკრძალავდნენ ბანაკიდან გასვლას, ხალხით ვდგებოდი სამუშაოზე გასასვლელთა რიგში, სულ ერთი იყო, სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავი.

კვირა დღე იყო. კომენდანტ მაქსს ტელეფონოგრაფა მიეღო, სუფთად ხელპირდაბანილი 10 კაცი ვაილბურგში უნდა გავეზავნა. შეგვარჩია ათი კაცი, დავიბანეთ ხელპირი და ვინაიდან გამყოლი არ იყო გათვალისწინებული ამ მოულოდნელი საქმისათვის, თვითონ მაქსი გავკვევა.

სანამ ადგილზე მივიდოდით, ორჯერ ვკითხე მაქსს, სად და რა საქმისთვის მივყავდით. პასუხი არ გამცა, ვითომც ვერ გაიგონა.

მივედით მდინარე ლანთან. ეს მდინარე ქალაქს შუაზე ჰყოფს. ისე მდორეა, გეგონებათ, ხელოვნურად დაუბუ-

ბებიათო. წყლის მცენარეები სანაპიროს ჯებირზე აპოტინებულეყვნენ და თავდაყირა ეკიდნენ. რაღაც ლერწამივით მცენარეები შრიალებდნენ მდინარის პირას, მდინარეში შეცურებული თეთრი ბატები ზანტად იქნევდნენ ყვითელ ნიჩბებს. მდინარეს თეთრი ქაფი მოეგდო თავზე და ლერწმებს ნელი სიო არხვედა. ლამაზი ლანდშაფტი იყო. დიდხანს დაგვაყენა მდინარესთან მაქსმა. კიდეც ვკითხე, სად მივიღივართ-მეთქი. იგი მდუმარედ გაცქეროდა მშვენიერ სანახაობას და ყურადღებას არ მაქცევდა.

მაქსი ჩამოჯდა და პაპიროსის მოწევის ნება მოგვცა. მალე ისევ გზა განვაგრძეთ. მაქსი ისე არ მოგვეცებოდა, როგორც სამხედრო კაცს შეჰფერის — ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი.

ქალაქის განაპირას, სურსათ-სანოვანის საწყობში მიგვიყვანა. პური, ძებვეული და ხვებადასხვა სახის სურსათი ერთი საწყობიდან მეორეში გადაგვაზიდინეს. საწყობთან საყასბო იყო და აყროლებული ხორცის სუნმა დაგვტანჯა. მანკენივით უსიცოცხლო საწყობის უფროსს გავუბედე და ვკითხე, თუ რატომ არ ყრიდნენ გაფუჭებულ ხორცს. ასე მიპასუხა: გერმანიაში მიღებული არ არის ახალდაკლული ცხოველის ხორცის ჰამაო.

მაქსმა დაგვტოვა, თვითონ ბანაკში დაბრუნდა და დაგვიბარა: თქვენს წასაყვანად ორი მცველი მოვაო. სადილად სასურსათო საწყობის თანამშრომლები კარგად გაგვიმასპინძლდნენ. რამდენი გვერდშეჭყლეტილი კონსერვიც ნახეს, იმდენი ჩვენ ვვაჩუქეს.

სამუშაოს ჩქარა მოვრჩით, ბანაკში დაბრუნებამდე ჯერ კიდეც დიდი დრო იყო დარჩენილი. კარგად ნასადილევი გახლდით და გასეირნება მოვისურვე. პატარა ვაილბურგს ხელისგულივით ვიცნობდი, თუმცა არც ვაილბურგში შემეძლო თავისუფლად სიარული. პოლიცია ადვილად ცნობდა ტყვეებს,

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

4556

იჭერდნენ და სჯიდნენ. სარკესავით კრიალა გზის პირას ვიყავით, განუწყვეტლივ მიდი-მოდოდნენ მანქანები ფრანკფურტსა და ვეცლარისაკენ, ლიბურგსა და მარბურგისაკენ.

„შეიძლება ისე მოკვდე, რომ ამ პატარა ვაილბურგის გარდა ვეღარაფერი ნახო; ფრანკფურტი ახლოა, გაბედე, წადი, ის ქალაქი მაინც ნახე, სადაც გოეთე დაიბადა“, — ვუთხარი ჩემს თავს.

ამხანაგებს გავებარე, დიდ გზაზე გავედი, ჩემს წინ რუსი სამხედრო ტყვეების მანქანა დადგა, მითხრეს, ფრანკფურტში მივდივართო, ვთხოვე: წამიყვანეთ, ფრანკფურტში მიმავალ ამხანაგებს შემთხვევით დავშორდი-მეთქი. *Грузин, грузин, давай!* — გადმომძახეს და ხელი შემეშველეს, მანქანაზე ავსტი და ორ საათში თავი ფრანკფურტში ამოგყავი.

მანქანამ პირდაპირ ქალაქის ცენტრში მიგვიყვანა. ქუჩის პირას ლამაზ სკვერში ძეგლი იდგა, მაგრამ ვერ ვიცანი და ისე დავიბენი, რომ ვერც ვიკითხე და დღემდის გამოუცნობლად დარჩა.

მაშინვე უცხოელი ტურისტებით ქალაქის დათვალიერებას შევუდექი. მინდოდა მენახა ფრანკფურტი, მინდოდა მენახა ის სახლი, სადაც დაიბადა გერმანელი ხალხის საამაყო პოეტი გოეთე. მაგრამ არ მეღირსა. პოლიციელმა გზა გადამიღობა, დამაპატიმრა და წამიყვანა.

შემომესივნენ გერმანელები, სამხედროები თუ მოქალაქენი. ვღიარე ჩემი ფრანკფურტში ჩასვლის მიზანი. არ მინდოდა მოემკვდარიყავი გოეთეს ქალაქის უნახავად-მეთქი. ყველა დიდად გაოცდა. გაუკვირდათ, რომ მე, ვილაც „ვიგინდარას“, ვილაც ტყვეს გამეგონა გოეთეს სახელი. ჩამსვეს მანქანაში, გამაყოლეს ვაილბურგში მიმავალი ერთი სამხედრო პირი და გავემართეთ ვაილბურგისაკენ.

ვაილბურგს რომ მივუახლოვდით, ჩემს გამყოლ გერმანელს ფრანკფურტში მიმავალი თავისი ნაწილის ჯარისკაცები შეხვდნენ, ჩემს გამცილებელს რა-

ღაც საქმე გაუჩნდა და ჩემი ბანაკში მიყვანა დაავალა ოფიცერთა სკოლის კურსანტს — იგი თურმე ვაილბურგის სამხედრო სკოლაში სწავლობდა.

ბანაკამდე კიდევ დაახლოებით სამი კილომეტრი იყო დარჩენილი. ჩემი ახალი გამცილებელი ველოსიპედზე იჯდა, ჩემთვის მეორე ველოსიპედი გამონახა და წავიდეთო, — მითხრა, ველოსიპედს მოახტა და გააქროლა.

მან თითქმის ნახევარი კილომეტრი გაიქროლა უკან მოუხედავად, მე კი რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადავდგი. უკან მოიხედა და რომ ვერ დამინახა, დაბრუნდა. გაუკვირდა, რომ მე, ახალკაზრდა კაცმა, არ ვიცოდი ველოსიპედზე ჯდომა. უფიქრნია, ალბათ ველოსიპედით ვაილბურგის ტყვეს შეაფარა თავიო. რა ვიცოდი, თუ მაინც არ ამშორდებოდა ვაილბურგის ტყვეში გაქცევა.

ველოსიპედის მართვას ყოველთვის ბავშვობაში სწავლობენ, ჩემს ბავშვობაში ყველას ვერ მიუწვდებოდა ხელი ველოსიპედზე.

ვეროპის ქალაქებსა და სოფლებში ხშირად დამინახავს: ველოსიპედით მოჰქრის მოხუცებული დედაკაცი, დაყენებს ველოსიპედს, გადმოვა, ნახავ — ისე ღრმად მოხუცებულია, რომ სიარული უჭირს.

ჩემი გამცილებელი იძულებული გახდა ფეხით ეელო და ჩემსავით ეთრია ველოსიპედი. მაგრამ არ გაჯავრებულა. მოხდენილი ბიჭი იყო და გზაზე ყველა ფროილიანს ეარშიყებოდა, ყველას ერთსა და იმავე საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა.

ვაჟი კარგი გარეგნობისა იყო და ქალიშვილებთან ლაპარაკიც ეხერხებოდა. ერთს დიდხანს ესაუბრა და ერთმანეთის მისამართიც ჩაიწერეს.

ეს ის დრო იყო, როცა ომი გერმანიის მიწა-წყალზე მძვინვარებდა და მომავალ ოფიცერს ფეხებზე ეკიდა პიტლერის გაჭირვება. გზა განვარძეთ და ბანაკში მივედით. კეთილ მაქსს არ გაჰკვირვებია ჩემი დაკარგვა და დაბრუნება და არც დაუესჯივარ. ერთი შემხედა, სასიერნოდ იყავიო? — მკითხა.



ცალმაისტერი თითქმის მთელ ხელფასს გვართმევდა. მგონი ორი მარკა ღირდა ნახევარლიტრიანი ერზაცის ლუდი. მოგვიგდებდა თითო-ოროლა ბოთლს და დაიკარგებოდა. ფრიად განათლებულ და კულტურულ ადამიანად მოჭქონდა თავი. რითი ამტყიცებდა? სანით იბანდა ხელს, უმ ხორცს არ სჭამდა და გაუთოებულ პერანგს იცვამდა — სულ ეს იყო მისი კულტურა. ნაცისტების დაწერილი და ნათქვამი ყველაფერი სჯეროდა.

იგი სამხედრო ტყვეების რამდენიმე ბანაკთან იყო დაკავშირებული და დიდი შემოსავალიც ჰქონდა. ასკერ კალაბურა ახლა ცალმაისტერს დაუახლოვდა, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მერე გავიგე: კალაბურას თურმე ათი ათასი მარკა მიეცა ცალმაისტერისათვის. არ ვიცი საიდან იშოვა ამდენი ფულა.

ცალმაისტერ-მოანგარიშე ობერლეიტენანტმა ვაილბურგიდან მალე მოიშორა. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა თუ რატომ გადაიყვანეს სხვა ქალაქში, სხვა სამუშაოზე. ობერლეიტენანტისთანა კაცმა ცალმაისტერისთანა გაიძვერა კაცი ვერ აიტანა.

მე არ ვიცი, რა უბრძანა კომენდანტ მაქსს ობერლეიტენანტმა ჩემს საქმიანობაზე. უფლებააღდგენილი ტყვე პირველად მთელ ჯგუფთან რომ დავდექი, ყველა გაანაწილა სამუშაოზე გასაგზავნად და მხოლოდ მე დავრჩა. ისე მიძგერდა გული, რომ რაღა ვთქვა. ვფიქრობდი: ნუთუ ისევ ბანაკში დამტოვებს-მეთქი? ყოველთვის მტანჯავდა კომენდანტ მაქსის აუჩქარებლობა და იმ დილით ხომ ჯვარზე მაცვა.

ვიდექი მარტო და ველოდი მის ბრძანებას. თოვდა, მაგრამ არ ციოდა, მაზარა არ მეცვა, კიტელისამარა ვიყავი. მაქსიც კიტელისამარა იყო. ერთხელაც არ შემოუხედავს. იღვა, სიგარას ეწეოდა და ხანდახან ჩექმასზე ატყაპუნებდა თავის საღირიყროო ჯოხს. შთაგონებით განათებული თვალები ჰქონდა.

გაიარ-გამოიარა ჩემს წინ მაქსმა, აშკარად ემჩნეოდა, რომ რაღაც აწუხებდა. მე აღარ მეშინოდა მისი ბრძანებისა, მისი თვალებიც მამხნევებდა და ობერლეიტენანტის იმედიც მქონდა. ბანაკის ჭიშკრის ჭრიალი მომესმა, უკან მოვიხედე. ერთადერთი გუშავილა დარჩენალიყო და შემეშინდა, ვაი თუ ისევ ბანაკში შემავლონ და ეს გუშავი მე მიცდეს-მეთქი, გუშავმა ხელით მანიშნა, რჩები თუ არაო, მე მხრები ავიჩეჩე.

— თავისუფალი ვარ; შემიძლია წავიდე? — გამოეჭიმა და ჰკითხა კომენდანტ მაქსს გუშავმა. მაქსმა თავი დაუქნია და შემომხედა. თვალი ავარიდე.

როგორც ერთხელ ვთქვი, მაქსი გვართ მახმობდა ხოლმე, სახელს არ მეძახდა, თუმცა კარგად იცოდა ჩემი სახელი. ახლა კი შემომხედა და მითხრა:

— გოგი! შედი ბანაკში, მაზარა ჩაიცივი და ოფიცერთა სკოლის შტაბში გამოცხადდა. იქ გელოდებიან, დღეს იქ იმუშავენ.

არ მციოდა, მაგრამ ყველაფერზე მეტად „მაზარა ჩაიცივი“, რომ მითხრა, იმან გამახარა. გმადლობთ, არ მცივამეთქი, მივაძახე და გავიქეცი.

იმ დღიდან პირველ ხანებში საერთო ჯგუფთან აღარ მიხდებოდა მუშაობა, არც მჭკრივში ვიდექი მათთან. გერმანელ ოფიცერთა სკოლის ტერიტორიაზე ვმუშაობდი. შტაბის მდივნის ბრძანებით იმ დღიდანვე ყინულით მოლიპულ გზას პატარა ხელის ურჩიკით ნახერხსა და ნაცარს ვყარდი, ბატონი გერმანელი ოფიცრები რომ არ დაცემულიყვნენ და კისერი რომ არ მოეტხათ.

1944 წლის ზამთარი იყო, თოვდა. მე და ჩემი ტყვე ამხანაგი თურქმენი ბეგლიფ კაკაბაი გერმანელ ოფიცერთა სკოლის ეზოში ვმუშაობდით, ხელის

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



ურჩიით გერმანელების სამზარეულოს-თვის, ოფიცრებისა და მათი თანამშრომელი გერმანელი ქალებისთვის ნახშირის ბრიკეტებს ვეზიდებოდი. სამუშაო არ იყო მძიმე. გარკვევით შესმოდა გერმანელების ლაპარაკი. ნაბიჯებს შევანელებდი და ყურს ეუგდებდი მათს ლაპარაკს. — ნაცისტები სასოწარკვეთილნი იყვნენ.

12 საათი შესრულდა, გაიწვიალა შესვენების ზარმა, გერმანელი ოფიცრები სასადილოსკენ გაემართნენ. ეზო დაცარიელდა.

თოვდა. ათოვდა შენობებს, ათოვდა ისედაც ტოტებდახრილ ნაძვებს და კვიპაროსებს, ცადატყორცნილი კვიპაროსები დროდადრო კენწეროებს არხევდნენ. ხანდახან ბელტურების გუნდი გაფრთხილებდა, ჩაუქროლებდა თოვლით დახუნძლულ ხეებს და თოვლი მიწაზე ცვიოდა, ათოვდა ყველაფერს, გაათოვდა ჩვენც.

რა გინდ არაპოეტური ბუნებისაც არ უნდა იყოს ადამიანი, როდესაც მსხვილად ბარდნის, როდესაც ყველაზე ულამაზო, დაღვარჭნილი ხეც კი ლამაზია, არ შეიძლება არ მოიხიბლოს.

მე და თურქმენი ერთი სახლის წინ ვიდექით და ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, ვინაიდან მე მისი ენა არ ვიცოდი და იმან — ჩემი. მან არც რუსული ენა იცოდა, ჯარში არ იყო ნამსახური, პირდაპირ ფრონტზე მოხვედრილიყო.

მეორე სართულზე განაპირა ოთახის სარკმელს მტრედვიით მოაწყდა ერთი გერმანელი ფროილანის, ცოტა ხანს იდგა, შემდეგ სარკმელი გააღო და გადმოიხედა. მისმა გამოჩენამ დასვედიანებულ ტყვეები დიდად გაგვახარა.

ქალიშვილმა მორცხვად დაგვიწყო ცქერა და მაშინვე დააპირა სარკმლის მოხურვა. ჩვენ ჩვენი მდგომარეობის გამო თავი დავხარეთ, მხოლოდ ხანდახან ავიხედავდით ხოლმე ზევით. ამდენი ხანი იყო, რაც გერმანიაში ვიყავი და არც ერთ ქალს ჩემთვის ასე არ შემოუხედავს. გერმანელი ქალები ან ცნობისმოყვარეობით ათვლიერებდნენ

ტყვეებს, ან მშვირი თვალებით უყურებდნენ. ომი იყო და ჯანღონით საესე მამაკაცები ფრონტზე იყვნენ წასულა.

მესიამოვნა ამისთანა მომხიბლავი ქალიშვილის ყურადღება და ჩემმა გულმა ჩიტვით შეიფრთხილა. მან პალტო წამოისხა და ისევე ჩვენს საცქერლად გადმოდგა. ქალიშვილი თამამად კი არ გვიცქერდა, ქურდულად გვათვალიერებდა, ერთმანეთს თვალსაც კი ვარიდებდით და ხანდახან მაინც ვიჭერდით ერთმანეთის ქურდულ მზერას. იგი ხელს უშვერდა თოვლის ფანტელებს, ვითომც მხოლოდ თოვლის ფიქვებისთვის იყო გადმომდგარი სარკმელზე.

მე როგორც საქართველოში, გერმანიაშიაც უქუდოდ დავდიოდი და ახლა უხერხულობიდან თავის დასაღწევად თმიდან თოვლს ვიფერთხავდი, ვითომც და ძალიან მაწუხებდა თმაზე შერჩენილი თოვლი.

ჩემი თურქმენი ამხანაგი არ განძრეულა, მას თბილი ქუდი ეხურა. 22 წლის ბიჭი იყო, მშვენიერი გარეგნობისა, კკვიანი და მეტად წესიერი. ჩაფიქრებული იდგა, ვინ იცის, მაშინ იგი იქნებ თავის ხანუშსა თუ ჯავარგზე ფიქრობდა. ბოლოს ისიც შეიყვანა ცდუნებაში ლამაზი გერმანელი ფროილანის მშვენიერებამ და ღიმილი წამოეპარა.

დასვენების დროც გადიოდა, გვეშინოდა გერმანელი ოფიცრები არ წამოგვდგომოდნენ თავს. თბილისელი დარდიმანდი ბიჭებივით ვაღეჭით და ერთ ქალიშვილს ისე შევცქეროდით, თითქოს მშობლიურ ქალაქში ვიმყოფებოდით. გვაჯობა ქალიშვილმა, გათამამდა, გადმოიწია და დაბალი ხმით გადმომძახა:

— ქული არა გაქვს? დაგეკარგა? ეუპასუხე, ქულის დახურვა არ მიყვარს-მეთქი.

გაუკვირდა, მაგრამ იმითმე კი არ გააკვირვებია, რომ გერმანიაში უქუდოდ სიარული არ შეიძლებოდა ზამთარში. გამოლაპარაკება უნდოდა და სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, ჩემი უქულობა მოამიზეხა.

— ჰოო, — თქვა და სარკმელი მიხურა.

ჩვენ სასადილოდ ბანაკისკენ გავემართეთ. შუა გზამდის არც კი ვიქნებოდით მისული, რომ თავშიშველი და პალტო-წამოსხმული გერმანელი ქალიშვილი წამოგვეწვია, ხელის ურიკაზე, რომელსაც ჩემი ამხანაგი მიაგორებდა, ქალაღში შეხვეული რაღაც ნივთი დააგდო, წინ გაგვისწრო, სამხედრო სკოლის შესასვლელთან მოთავსებულ კომენდატურაში შეირბინა და სანამ ჩვენ საკომენდატუროსთან მივადწევდით, გამოსვლაც მოასწრო, თავდახრილმა გვერდი ჩაგვიბრინა.

ვერ მოვითმინეთ და ბანაკში შესვლამდე გავხსენით ურიკაზე დაგდებული ნივთი. შაშხიანი ბუტერბროტები, სიგარეტები და ერთი კოლოფი ასანთი აღმოჩნდა. გაგვეხარდა, შევკუყუეთ თოვლით დაბურთული ხის ძირში, იქვე ვისადილეთ, სიგარეტები გავიყავით, გავაბოლეთ და ბანაკში აღარ შევსულვართ, უკან გამოვბრუნდით სამუშაოდ, რადგან დროც აღარ იყო და აღარც ჩვენი წყალწყალა სადილი გვიზიდავდა.

ის გერმანელი ქალიშვილი მეორე დღეს კიდევ შეგვხვდა, თვალებით მოგვესალმა და გაიარა. მესამედ რომ შემხვდა, მარტო ვიყავი, მარტო ვეზიდებოდი ნახშირის ბრიკეტებს. ჩამოსართმევად ხელი გამომიწოდა, მე ნახშირით გაზანგული ხელი ვუჩვენე და თავი შევიკავე; ძალით ჩამომართვა ხელი, როგორა ხარო, მკითხა და ჩემი ამხანაგი თურქმენი იკითხა. მეწყინა და ვუპასუხე, ჩემი ამხანაგი აღარ ივლის სამუშაოდ, მარტო უნდა ვიმუშაო-მეთქი. მარტო ცოდვა ხარო, მაგრამ იქნებ სჯობია კიდევ შენთვის მარტო ყოფნაო, — წარმოსთქვა წყნარად, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, «აუფვიედერზეჰენ!» — მომაძახა, ხელი მალა ასწია და გაიქცა. მის თეთრსა და სუფთა ხელს ჩემი ნახშირით გამურთული ხელის ნაკვალევი ემჩნეოდა.

თითქოს დავმშვიდდი, სამუშაოზე გასვლის უფლება რომ მომცეს, ახლა

კი ამ ქალიშვილის გაცნობამ ისევ ამაფორიაქა. სულ იმაზე ვფიქრობდი, რა გრძნობა აიძულებდა ქალიშვილს, რომ დამლაპარაკებოდა — შებრალება, სიმპათია თუ უბრალო ადამიანური თანაგრძნობა?

იმ დღეს სამუშაოდან ბანაკში რომ ვბრუნდებოდი, კიდევ შემხვდა. ჩემს ბედზე სამხედრო სკოლის ტერიტორია დაცლილი იყო, მომავალი ოფიცრები და მათი მეთაურები ველად იყვნენ გასული სამეცადინოდ. გამოველაპარაკე, გაიგო, რომ ქართველი ვიყავი; რუსი რომ არ იქნებოდი, ვიცოდი, რუსს არ ჰგავხარო. თუ გნებავთ რუსულ წიგნებს მოგიტანთ, იქნებ ქართული წიგნიც კი ვიშოვნოთო. გამეხარდა, დიდი ხანი იყო, რაც ქართული წიგნი თვალით არ მენახა, რუსულ წიგნებსა და უურნალ-გაზეთებს უფრო ადვილად ვმოულობდით, ასე მეგონა, მშობლიურ ენაზე ველარც კი მოვახერხებდი წიგნის წაკითხვას; დიდი მადლობა გადავუხადე და რომ შემძლებოდა, ხელებს დავუყოცნიდი ჯერ კიდევ შეუსრულებელი დანიებისათვის.

შეთანხმდით, მეორე დღეს შესვენებისას მომატანდა წიგნებს და თუ ვერ მოახერხებდა მათს ვადმოცემას, ნახშირის საზიდავ ურიკაზე დადებდა.

სამხედრო სკოლის ეზოში ჯერ კიდევ წყრილებდა ზარი, აქა-იქ გამლეულ-გამომლეულნიც სჩანდნენ. ქალიშვილმა გვერდით ჩამიარა და ჩამალაპარაკა: გადახურული შეშის საწყობთან მიდი, ახლავე მოვალო.

ეზო სირბილით გადაჭრა, სამზარეულოში შეირბინა და ასევე ჩქარა გამოვიდა, ქალაღში შეხვეული რაღაც ნივთი ვადმოძეცა და მითხრა: — მამაჩემმა გამოგიგზავნა, არავინ გაიგოსო, და დანჯად გაბრუნდა. ჩამოვართვი და ურიკაზე დავადდე, სული მიმდიოდა მენახა რა იყო. ასაფეთქებელ ნივთიერებასავით მეშინოდა ქალაღში შეხვეული ნივთისა. გადავწყვიტე ნაკვის ყუთში ჩა-

გორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩინაწერები

მეგდო, მაგრამ ვაი თუ დაეცალათ ნაგვის ყუთი. გადავიფიქრე, დროებით ძირს დავაგდე, მერე ისევ ხელში ავიღე. ნახშირის ბრიკეტები უნდა დამეთვალა და ისე უნდა მიმეტანა ადგილზე. გერმანელები ნახშირის ბრიკეტებს მიღებისას ითვლიდნენ და დანაკლისის ანაზღაურებას მთხოვდნენ. დავითვლიდი, დავყრიდი ბრიკეტებს ურიკაზე, დამავიწყდებოდა რამდენი იყო და ისევ ვითვლიდი, მაგრამ ისევ მალე მავიწყდებოდა. სულ გერმანელი ქალიშვილის მოტანილ ნივთზე ვფიქრობდი, თან მესინოდა, არავის გაეგო.

დამთავრდა სამუშაო დღე. სირბილით მივედი ბანაკში, შეხვეული ჯერ სასთუმალქვეშ ამოვდე, მერე თვალი მოვაგლე იქაურობას, ხომ არავინ მითვალთვალებს-მეთქი. არავინ არ მიცქერდა, ყველა თავის საქმით იყო გართული. გაფხენი ლამაზად შეხვეული პაკეტი: ორი წიგნი აღმოჩნდა, ერთი გერმანული და ერთი რუსული. გერმანული წიგნი გვერდზე გადავდე და რუსული წიგნის კითხვა დავიწყე. ტურგენევის „Стихотворения в прозе“ იყო, ლაიბციგში გამოცემული.

თითქმის მთლიანად წაიკითხე ეს პატარა წიგნი და ერთმა ლექსმა ცუდ ხასიათზე დამაყენა. ამ ლექსს ჰქვია „Завтра! Завтра!“

რა გასაკვირია, რომ ცუდ ხასიათზე დავეყენებინე, როცა გულში მის წაკითხვამდეც „Завтра, завтра“-ს გავიძახდი. ვანა აღამიანები ხვალის იმედით არ ცოცხლობენ? მეც ხვალის იმედი მქონდა, ხვალის იმედით ვიტანდი აუტანელს. არ მესიამოვნა დიდი მწერლის ნათქვამი სიმართლე, მე რაღაც საიმედო და გამამხნეველები მინდოდა. დავხურე წიგნი და გერმანელი ფროიდიანის მოგონებთ ვცადე მწარე ფიქრების გაფანტვა.

ამ დროს ჩემთან გოგი გოგინაშვილი მოვიდა და საწოლზე ჩამომიჯდა. ჩვენ ერთმანეთთან კარგად ვიყავით, მაგრამ იმ წუთში არავინ მინდოდა. მან, როგორც იცოდა, დაუკითხავად, უნებართვოდ აიღო გერმანელი ქალიშვილის

მოტანილი წიგნი და გადაფურცლა; გერმანული წერა-კითხვა არ იცოდა და ჩემს მიერ ნაშოვნ ეურნალ-გაზეთებში ყოველთვის სურათების თვალყურებით ერთობოდა.

გადაფურცლა გოგინაშვილმა წიგნი და თავისებურად „ვაჰ!“ აღმოხდა. ეტყობოდა, არ იყო დარწმუნებული და გაუბედავად მიიხრა:

— ა ბიჭო, გოგი, შეხედე? ეს კაცი ილია ჭავჭავაძეს არა ჰგავს? — არ ვიყავი ხასიათზე და ყურადღება არ მიმიქცევია.

ადგა, წიგნის წაღება უნდოდა, არ დავანებე, — თუ გინდა აქვე გადაათვალიერე-მეთქი. მიხვდა, რომ წიგნს ყველას ვერ აჩვენებდა და სირაძეს დაუძახა, მოდი, ბიჭო, ილიასნაირ კაცს გაჩვენებო.

სირაძემ დახედა გადაშლილ წიგნს და წამოიძახა: რა ვიცი, ილია ჭავჭავაძეს ძალიან ჰგავსო!

გოგინაშვილმა ისევ გადაფურცლა წიგნი და წამოიძახა: — ეს აკაკი წერეთელსა ჰგავსო. ველარ მოვითმინე და ვუთხარი: თუ კაცი ხარ, არა ვარ შენ ხასიათზე და მომეშვი-მეთქი. სანამ არ დახედავ, არ მოგეშვებო, — მიპასუხა სიცილით. გოგინაშვილი რომ მომეშორებინა, წიგნს დავხედე.

დავხედე და რა დავინახე? ილია და აკაკი! მაშინვე გამოვგლიჯე წიგნი ხელიდან. იმ წიგნში ქართველი მწერლების გარდა მოთავსებული იყო თავდახურული ქართველი ქალების პორტრეტები, დავხედე წიგნს თავფურცელზე და წაიკითხე: „ქართველი ხალხი“ არტურ ლაისტისა.

ჩემს სიხარულსა და გოცებას საზღვარი არა ჰქონდა, წიგნი უბეში ჩავიდე და გარეთ გამოვვარდი. გული მიცემდა, მინდოდა ყველასთვის გამეზიარებინა ჩემი სიხარული, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, გერმანელები გაიგებდნენ და მკითხავდნენ, სად იშოვნე, ვინ მოგცა ეს წიგნით, და რა უნდა მეპასუხნა? ხომ ვერ გავცემდი კეთილ გერმანელ ქალიშვილს?

ისევე ბანაკში შევებრუნდი. აი, თურმე რა წიგნი მომიტანა იმ ქალიშვილმა! ისიც მემამაყებოდა, რომ ამ წიგნის მომტანსა და მის ოჯახს წარმოდგენა ექნებოდათ საქართველოზე, ქართველ ხალხსა და მის კულტურაზე. თურმე ქალიშვილს მამისთვის ეთქვა, რომ ქართველი ვიყავი და რუსულ წიგნთან ერთად საქართველოზე დაწერილი წიგნიც გამომიგზავნა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სასიხარულო იქნებოდა ჩემთვის და ყველა ქართველისთვის უცხოეთში საქართველოზე დაწერილი წიგნი „დას გეთრგიშე ფოლკ“, რომელიც ჯრეზდენშია გამოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნს ომამდეც ვიცნობდი.

ამ წიგნში დახასიათებულია მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური, ფსიქოლოგიური და კულტურული ცხოვრება. შედარებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი XIX საუკუნის ლიტერატურის განხილვას. უფრო მოკლედ დახასიათებულია აგრეთვე თამარ მეფისა და ერეკლე მეორის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნის ავტორი ასევე მოკლედ ეხება მაშინდელი საქართველოს მეცნიერებას, ჟურნალისტიკას, თეატრს, მუსიკასა და ხალხურ პოეზიას. წიგნში ილიასა და აკაკის პორტრეტებთან ერთად შეტანილია თავდახურული ქართველი ქალების პორტრეტები, ქართველი გლეხებისა და ბავშვების ფოტოსურათები, ამ წიგნის ავტორია დიდი ილიას გულითადი მეგობარი, საქართველოში კარგად ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. იგი საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საქართველოში გარდაიცვალა და ქართულ მიწაში განისვენებს.

იმ გერმანელი ქალიშვილის სახელი და გვარი იყო შარლოტა შტოლი, პროფესიით პიანისტი, ვახლდათ. იგი უფროსი ქალი იყო გერმანიაში კარგად ცნობილი კომპოზიტორის პროფესორ ოტო შტოლისა. მათი ოჯახი ვაალბურგში ცხოვრობდა. შარლოტა შტოლი

ომის დროს გერმანელების სამხედრო სკოლის შტაბში მუშაობდა, ერთ-ერთი ოფიცრის პირადი მდივანი იყო.

ამ ბედნიერი შემთხვევის შემდეგ ვაილბურგის სამხედრო სკოლაში დაბინავდა ვილჰელმ დიდი ოფიცერი, იგი სამხედრო სკოლის უფროსად დაენიშნათ ჩემი ობერლეიტენანტის ნაცვლად. ეს სამწუხარო ამბავი გვიან გავიგე. ისეთი ოხერი ვინმე იყო, რომ იმისი შიშით ყველა კანკალებდა. სიტყვა „ოხერი“ არ გამოხატავს იმ ჰიტლერელი ოფიცრისთვისებებს, იგი აღოლვ ეიჰმანის თანამზრახველი იყო და თავისი ხელით ჰყავდა მოკლული ასობით ადამიანი სამხედრო ტყვეთა ბანაკებში. ამბობდნენ, ჰიტლერის დაჯილდოებული და დაწინაურებულიაო და ეტყობოდა, დიდად მაღლიერი იყო ფიურერისა; ჰიტლერს ლაპარაკსა და სიარულშიც კი ბაძავსო, გვეუბნებოდა ჩურჩულით ზოგიერთი გერმანელი ოფიცერი.

დაიწყო ჩვენი ნამდვილი ტყვეობა. ახალ ობერლეიტენანტს არც ერთი ეროვნების წარმომადგენელი არ მიაჩნდა ადამიანად. მხოლოდ გერმანია და „წმინდა არიული სისხლის“ გერმანელი იყო მისი სათაყვანო.

მოსვლისთანავე გასცა ბრძანება, რათა სამხედრო სკოლის კურსანტებს ეზოდან გასვლისას ემდერათ ხოლმე ნაცისტების საყვარელი სიმღერა „დეიჩლანდ, დეიჩლანდ იუბერ ალე ინ დერ ველტ“¹ და დაბრუნებისასაც ამავე სიმღერით შემოსულიყვნენ ეზოში.

იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს ახალი ობერლეიტენანტის მოსვლის შემდეგ მე და შარლოტა. ჩემი ნახშირის საზიდავ ურიკაზე მაინც ყოველდღე მხვდებოდა ბუტერბრატები, სიგარეტები და ასანთი. ძალიან კარგად ვიცოდო, რომ გერმანელი მოსახლეობა საბარათო სისტემით ღებულობდა სურსათს, დარ-

¹ გერმანია, გერმანია ყველაზე მაღლა მსოფლიოში (გერმ.).

**გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები**

წმუნებულთა ვაჟები, რომ შარლოტა თვითონ იკლებდა საქმელს და ჩემთვის მოჰქონდა, სინდისი მაწუხებდა.

ახალი წესები რომ შემოიღეს, ვეღარ მოგვქონდა გერმანელთა სამხარეულოდან ზედმეტი კერძი, რომელსაც ჩვენთვის განკუთვნილ კასრში გვიგროვებდნენ. ისევ გაჭირვებაში ჩავვარდით. მძიმე სამუშაოთი დაოსებულნი მშვიერი ტყვეები ლასლასით დადიოდნენ, აღარ ისმოდა სიმღერა და ყრიაპული ერთად მცხოვრები ტყვეებისა, მხოლოდ საღამოობით, როდესაც ყველანი ერთად თავს მოვიყრიდით, ტაჯიკი მაჰმუდ მომინოვი მღეროდა, მაგრამ ვაი მის მოსმენას, ეს იყო გულისშემადონებელი სიმღერა და წუთისოფლის სამღურავი.

რამდენჯერმე სავსე დამხვდა ნახშირის საზიდი ხელის ურიკა გერმანელთა სამხარეულოდან გამოტანილი მონარჩენი პურითა და ძხვეთ. ურიკას ბანაკში მივაგორებდი ხოლმე და ამხანაგებს ვუნაწილებდი.

სამუშაო დღე მთავრდებოდა, ტყვეები ბანაკში შემოდდიოდნენ, ორი კაცი ოფიცერთა სკოლის ტერიტორიაზე მუშაობდა. ისინი გვიან დაბრუნდნენ. ტაჯიკი მაჰმუდ მომინოვი, რომელიც არასოდეს დამლაპარაკებია, რადგან მხოლოდ მშობლიური ენა იცოდა — შემოვიდა თუ არა ბანაკში, ჩემთან მოვიდა, რუსული ჟურნალი საჯაროდ გადმოიკა და მოთხრა:

— ნემეც ხათუნ, ნემეც ჯავარგზ. „აიმბალამბლ“ გონდარდილარ, — და იქნეულად აუციციმიდა პატარა შავი თვალები. გამოვართვი ჟურნალი, გამოწყვა და ხელეობით მანიშნა, პურაჲ გამომატანა და შევკამეო. წყენა რომ ვერ შემამჩნია, გამომატანებლის ქებას მოჰყვა, „იხში ხათუნ“, მარჯვენა ხელის ცერა თითი ჩაქუჩივით წამოაყენა და ამით მომასყიდა.

ტაჯიკი მომინოვს ბელაიაცერკოვის ბანაკიდან ვიცნობდი, იგი სრულიადაც არ იყო საბრალე. პარველად მომინოვი ჩხუბში ვნახე. დათვივით ტრიალებდა

და ვინც კი ახლოს მივიდა, იქვე გორა. ბუნებით კეთილი ვაჟაკი იყო და უვნებელი ემშაკობა იცოდა.

„აიმბალამბლ“ ახლაც არ ვიცი, რას ნიშნავს, „გონდარდილარ“ კი „გამოვიგზავნას“ უნდა ნიშნავდეს, „ნემეც ხათუნ, ნემეც ჯავარგზ“ კი მაშინვე მივხვდი, რომ შარლოტა იქნებოდა.

სანამ ამხანაგები დაწვებოდნენ, უცებ გადავთვალე იერე ჟურნალი: ვერაქეს ქალღმერთი იყო გახვეული, ახლდაკრეფილი ყვავილისა და სუნამოს სუნი მეცა, ჩემს ახლოს მყოფ ამხანაგებსაც დავახვიე თავბრუ პარიზის საუკეთესო პარფუმერიის სურნელებით; დანარჩენებამაც გაიგეს, მოდიოდნენ და ყნოსავდნენ, „ხათუნ, ხათუნ!“ იქნეულად ამბობდნენ მაჰმადიანები. მე კითხვის დაწყება შეჩქარებოდა, ვნერვიულობდი. ასევე კალაბურას მაშინ ჩემთვის „კბილი თეთრი ჰქონდა და გული ჰრელი“. ისიც მოვიდა, დაყნოსა. ცბიერად გაიღიმა, ნეტავ რა ძალა მადგა, ყველას რომ გავაგებინე!

იმ დამით გუშაგმა სინათლე ჩავვიქრო, ეტყობოდა, მოჰქირნე გერმანელი იყო. სხვა დროს კი ერთი ნათურა თითქმის ყოველთვის ენთო ბანაკში. კარტოფილის სანთელი მქონდა, ავანთე, დავმალე ჟურნალი და დაყუდებული ბერივით სანთლის მბეუტავ შუქზე შევეუდექი კითხვას.

ყველამ დაიძინა, მე კი ისევ ვკითხულობდი. ვისზედაც ეჭვი მქონდა, ჯერ გაუხდელი იყო და რაღაც საექვოდ დაწრიალეზდა. გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არ აყევი გულის ხმას, — თურმე უნდა ავყოლოდი. ისე დამადგა თავზე ორი გუშაგი, განძრევაც ვეღარ მოვახერხე, ჩემი უბის წიგნაკიც იქვე მედო, რაღაც მინდოდა ჩამეწერა. მთელი ჩემი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და უბის წიგნაკი აკრიფეს და გაიტანეს, ყველაფერი კომენდანტ მაქსს გადასცეს. ძველი სატკივარი მოუშუშებელი მქონდა და ახალი გამიჩნდა. კიდევ კარგი, შარლოტას მოტანილი წიგნები ბალიშქვეშ მქონდა დამალული. რამდენიმე ფრანგული გაზეთი ჩემს საწოლზე იდო. ის

გაზეთები ფაშისტების ბატონობის დროს იყო გამოცემული საფრანგეთში, მათი ქება-დიდებათ სავსე გაზეთებზე ვის რა უნდა ეთქვა.

ვაილბურგში ფრანგი სამხედრო ტყვეები ცხოვრობდნენ. როცა ჩვენი ბანაკის ტყვეებს არ ეცალათ, გერმანელ ოფიცერთა სამხედრო სკოლას ჩვენს მაგივრად ფრანგები ემსახურებოდნენ. ისინი უმთავრესად სურსათს ეზიდებოდნენ. ფრანგმა ტყვეებმა გერმანული ენა და წერა-კითხვა არ იცოდნენ და ვერ წაეკითხათ სურსათის ყუთებზე მიკრული ეთიკეტები, მათ მეთვალყურე გერმანელს ყურადღება არ მიექცია და საუბეხოთ შევიცარული ყველი, რაინის ღვინო, ბავარიის განთქმული ლუდი და მშვენიერი თურქული თამბაქო სამხედრო ტყვეთა ბანაკის სამზარეულოში მიეზიდათ.

ერთ დილით კომენდანტმა მაქსმა ტყვე ფრანგ მუშებთან გამაგზავნა, ყუთებზე მიკრული ეთიკეტების ამოკითხვაში უნდა მიეხმარებოდა. თითქმის მთელი ერთი დღე სულ ფრანგებთან ეცავი და მათ დავუახლოვდი.

ფრანგი ტყვეების ჯგუფში იყო ერთი ოცდაორი წლის ახალგაზრდა ფორე მოლერუა, რომელსაც ესესელმა ოფიცერმა სამხედრო სკოლის ეზოში ტყვია შიგ გულში დაახალა, ვინაიდან ფრანგი არ მიესალმა ესესელს და თურმე დასცინა კადეც. მძიმედ დაჭრილი ფრანგი ალბათ საავადმყოფოში წაიყვანეს და ძალიან ვწუხბდი, რომ ვერ გავიგე, თუ რა ბედი ეწია. ფრანგმა ახალგაზრდამ მომცა თავისი კალიგრაფიული ხელით

გადაწერილი ლუი არაგონის ორი ლექსი — „რადიო-მოსკოვი“ და „იასამანი და ვარდები“. ლექსი „იასამანი და ვარდები“ გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ფიგაროს“ 1940 წლის ნომერში. მეორე ლექსი „რადიო-მოსკოვი“ კი გავრცელებული იყო საფრანგეთში და თითქმის ყველა პატრიოტმა ფრანგმა შეპირად აცოდა.

ლუი არაგონის ლექსების შინაარსი ისეთი იყო, რომ თუკი აღმომიჩინდნენ ფაშისტები, კარგი დღე არ დამადგებოდა. ამიტომ ჩემს დაკერებულ შარვალში ისეთნაირად დავმალე, ეშმაკიც ვერ მიაგნებდა.

ისე ძალიან უყვარდათ არაგონის ლექსი „რადიო-მოსკოვი“ მის თანამემამულეებს, რომ ყოველი შეხვედრისას მიკითხავდნენ ზოლმე.


არაგონის „რადიო-მოსკოვი“ მაშინვე ვთარგმნე ქართული ამხანაგებისთვის და სათურად „ლაპარაკობს მოსკოვი“ შეეურჩიე. მოვიტან მხოლოდ ორ სტროფს — პირველსა და უკანასკნელს:

„ჩემო სამშობლო, უსმინე მოსკოვს —
იქ გახატული შრიალეხს, მღერის,
შენს მწუხარებას მოსკოვი მოსპობს,
გამოგეცლება სახე და ფერი.

ჩემო სამშობლო, უსმინე მოსკოვს,
არ დაენახო მტერს თავდახრილი,
უსმინე მოსკოვს,
უსმინე მოსკოვს
და მოიმარჯვე მტრისთვის მახელი“.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები 1

გაგრძელება იქნება





ჩიტან ჩივილი

ასპიზი

— „მათ სამთა გმირთა, ერთგულთა, სჭირთ ერთმანეთის მონება“...

— სამნი კი ვართ, გმირობისა რა მოგახსენოთ, — ამბობს პავლე დევიძე.

— შეხელდა უშბა- მოწერი? — შოთამ პავლეს გადახედა.

— გორი-აგარა-ქარელი-სკრა, — ღიღინებს პასუხად პავლე.

— სკრა-აგარა-ქარელი-გორი, სკრა-აგარა-ქარელი-გორი! — შოთას მოტოციკლის რახრახს უერთდება ჩვენი სიმღერა...

— გორიიი! — ვამბობთ ბოლოს სამივენი ერთად და მარტო მოტოციკლის ხმაღა ისმის პატარა ლიახვის ხეობაში...

— ალპიურ კლუბში ვიყავი ამას წინათ, — ამბობს პავლე.

— მერე?

— მაგსიმძიმე ტანი მწვერვალზე როგორ დაგაქვსო?

— ვინ გითხრა?

— არიან კლუბში ყმაწვილები, მყინვარწვერზე რომ გული ამოსჯდომიათ.

— ბევრნი არიან?

— რამდენიც გინდა.

— რა უნდათ მერე კლუბში?

— ჰკითხე.

— შენ რა უპასუხე?

— წამომყევით კედელზე და გაჩვენებთ-მეთქი.

— რა გითხრეს?

— გაჩუმდნენ...

— ენაკვიმატი ხალხია ქალაქელი ჯეელოზა, აპატიე, პავლე.

— აპატიე, პავლე!

— კარგი, მიპატიებია... ეს რამდენი ხალხი მოდის ცხინვალში?

— პატარა ლიახვის ხეობაში ჯაჭვივით გაბმულ მგზავრებს ვათვალიერებთ.

— კვირა დღეა, ბაზრობაზე მოდიან.

— ზღუდრობაა და იმიტომ მოდიან.

ქალაქს მოახლოებული სოფლელი ქალები ჩერდებიან, სამგზავრო ფეხსაცმელებსა და ბამბის წინდებს იხდიან, ჩანთაში ტენიან, ჩანთიდან სადღესასწაულოებს იღებენ, იცვამენ და გზას განაგრძობენ.

— დიცი, ფრისი და არგვიცი, არც გამიგონია და არც ვიცი!

— რელიგიური დღესასწაული არ უნდა იყოს ზღუდრობა, — ამბობს პავლე.

— მაშა?

— ზღუდერი, ზღუდე, გალაგანი... ქალაქს ზღუდე ეკრა, იცავდა მტრებისაგან, ცხინვალელები ადღეგრძელებდნენ ზღუდე-გალაგანს, მორჩა და გათავდა...

— სოფლელები რაღა შუაში არიან?

— ჩამოდიან ქალაქში, ქალაქელ ნათესავ-მოკეთებს ინახულებენ, მოიკითხავენ, მიივლ-მოივლიან, ზღუდეს ადღეგრძელებენ ქალაქელებთან ერთად და

საღამოს ისევ სოფლის გზებს შეუყვებინან.

— იმ დღეს როგორ იყო, პავლე, ნათესავ-მოკეთენი რომ მოგივიდნენ? — ვეკითხები.

— შეიდი-რვა კაცი მესტუმრა თავ-ზღუდრობას. ზოგმა მითხრა, ამისი და ამის ესა და ესა ვარო, ზოგს არც უთქვამს თავისი ვინაობა... სულ არ ვიყავი სტუმარ-მასპინძლობის გუნებაზე, ტელევიზორს ვასწორებდი... ქუდი ჭერში მაკვრევენეს. ცოლს გაუკვირდა, ეგეთი მხიარული თუ იყავი, რაღას მიმალავდიო?!

— ცუდიც არის და კარგიც.

— რა?

— აი ეგრე მისვლა. არც იცნობ, არც არაფერი. მიხვალ, მომილოცნია დღეობა-თქო, ან საერთოდ არაფერს იტყვი გამარჯობის მეტს, ქუდს მოიხედი და ჩამოხედები. დუტ-დუტ, ღიტ-ღიტ, უღიტინებ სახლის პატრონის ბიჭს, თან ცალი თვლით დიასახლისის ფაციფუსსა ხედავ. გაიშლება სუფრა და მიდი-შეიდი! ზოგი კარგი ნათესავიც ვერ გაქეიფებს ისე კარგად...

— წამო, ჩვენც ვესტუმროთ ვინმეს.

— წამო, პატარას გავწითლდებით, მერე შევეჩვევით.

— ერთ კაცთან მისულიყვნენ ეგრე — ჰყვება შოთა.

— მერე?

— რომ დამთვრალიყვნენ, ერთ სტუმარს სიმღერა დაუწუნებია სახლის პატრონისათვის: შენ გაჩუმდი, მე ვიმღერებო!

— მერე?

— გაჩუმდიო, ცოლსაც უთხოვნია ჩურჩულით ქმრისათვის, ჭირვეული ჩანსო.

— მერე?

— სტუმარს უმღერია, ჭერი აუწევია, ყველას მოსწონებია მისი ხმა, დიასახლისისაც.

— მერე?

— კიდევ დაუღევიათ, უფრო შეზარხოშებულან. სტუმარი სადღეგრძელოებშიც შეხირებია მასპინძელს: ჯერ ეს უნდა ვეთქვა, შენ კი ესა თქვი. შენ ასე

გადმოვექეი, მე მანდ დამსვი და მიყურე, რა რის შემდეგ უნდა დაილიოსო. დიასახლისს უნიშნებია: ჭირვეული და ახარებული ჩანს, ვიღაცა არის, მოერიდე, გადაჯექიო.

— მერე?

— მერე კიდევ შეჰყოლიან სმას, ისე დამთვრალან, ერთმანეთს ვეღარა სცნობდნენ. ამ სტუმარს მუშტი ურეხვია მაგიდისათვის: დაიკარგეთ, აღარ მიდიხართ სახლებში, გათავდა, გამომელია პურ-მარილიო! — კუთხეში ატუზული თოფისთვის გაუვლია ხელი და ბათქან, უსროლია ჭერში.

— მერე?

— ცოლს უნიშნებია ქმრისათვის, თვალს მოეფარე, უბედურება არა შეგამთხვიოს რა, ხო ხედავ, კაცი გონზე აღარ არი; ქვევით ჩადი, ვითომც აქ არა ხარო, ამას ჩასთვლემს, ან როგორმე დავაშოშმინებო... სახლის პატრონიც მორიდებია, ქვედა სართულში ჩასულა...

— მერე?

— რა მერე?

— რითი დამთავრებულა ეგ ამბავი, რა მომხდარა?

— დაშოშმინებულან. — იცინის შოთა.

— ეე, თოქში! — უძახის პავლე შოთას.

— რა იყო? — შოთამ სვლას უკლო.

— ქსუისის ხიდთან არ გვეთევეზავანა?

— ჰე-ჰე-ჰე!

— რა „ჰე-ჰე“?

— მთვარიდან ხომ არ ჩამოცვივდით, მანდ თეფს რალა უნდა?

— რას ამბობ, რამდენჯერ დაგვიქერიო!

— ქვებიც კი დახეთქეს დინამიტებით გაღმა-გამოღმა სოფლებმა, ცხინვალელმა და გორელმა ბრაკონიერებმა.

— მზის ამოსვლა მზის ჩასვლა ეგონოთ, მარჯვენაში აპფეთქებოდეთ მო-

მერაბ ელიოზიშვილი
ჩიტას ჩივილი

რევში სასროლი დინამიტი, ქლორით მოწამლული წყალი ენატრებოდეს წყალ-მოწყურებულს! — თქვა პავლემ.

— ამინ! — ვთქვით მე და შოთამ.

მოტოციკლის ბორბლებმა ხრეში აახრიალა. დინამიტი, ქლორინი კირი, ნიკოტინი, ციანმჟავა! ხუთასი წლით უნდა გადაასახლო ამ საშინელი საწამლავებას გამწინავებლებიცა და ამგვარი მომხმარებლებიც!

უკვე კარგა ხანია ვთევზაობთ და რამდენიმე ცალი ძლივს გაიმეტა გაძუნწებულმა მდინარემ. ვილაც ცხენოსანმა ჩამოგვიარა. ერთხანს თვალი გვადევნა, მერე შეგვეხმინა:

— ნემსკავით თევზაობა სადღა გავოწინლა?

— მაშა?

— ტოკი გაუშვი და მორჩა.

— სადაური ხარ?

— სარაბუკელი.

— საიდან მოდიხარ?

— სარაბუკიდანა.

— საქმეზე მიდიხარ?

— ჰო.

— რო მორჩები, სად წახვალ?

— სარაბუკში.

— რას იცინი, სარაბუკელო?

— ისე...

„შენი ასე და ისე!“ — გავიფიქრე გუნებაში.

— „დეიჟოკი“ იშოვნე, გაუშვი და მორჩა! — განაგრძობს დარიგებას.

— „დეიჟოკი“ რა არის?

— აი, კინოს რითიც უშვებენ. სუკუნტრუშით მიდის...

— რა მიდის კუნტრუშით, კინო?

— კინო კა არა, თევზი: კალმახი, ციმორი, მურწა.

სარაბუკელმა მათრახი სწყვიტა ფერდებატყავებულ ფაშატს და რაყეზე გააქენა.

— აფსუს მათრახი! — ამოიხხრა შოთამ.

— ვის უნდა ხვდებოდეს და ვისა ხვდება! — თვალი გააყოლა მხედარს პავლემ.

— თქვინივე გაშვებულ დენზე გეკუნტრუშით, თევზის სულთამხუთავებო!

ოცდაოთხი საათი ედინოს თქვენს ძარღვებში მაღალი ძაბვის დენს! თქვენი შთამომავლობის საწყევარი გამხდარიყვეთ და გახდებით კიდევცა, როცა წითლად დაწინწკლულ ლურჯ კალმახს ზოოლოგიის სახელმძღვანელოს გაცრეცილ ფურცლებზედა იხილავს თქვენი ძე თუ ასული! მეტი რაღა ვთქვა, ჰა? — გადავხედე ანკესით შრომაში გართულ პავლესა და შოთას...

კარგა ხანია ერთი პატარა, მუცელგამოგდებული, მზეზე გარუჯული ბიჭი დაგვდევს ფეხდაფეხ რიყეზე და რაღაცას ვეებუტუტებთა.

— რა გინდა, ბიჭო? — ვეკითხები და თან ჭიაცელასა ვცვლი ნემსკავზე. ბიჭი ბუტბუტს განაგრძობს.

— ჰა? — ვუმეორებ კითხვას და ყური ახლოს მიმაქვს ცინდლით მოთხუნულ ცხვირ-პირთან.

— ხლორი.

— რაო, რას ამბობ? ხმამაღლა თქვი!

— ხლორი ამოიტანეთ და ერთბაშად დაიჭერთ, რაც არი, — როგორც იქნა გავიგონე პატარა ბიჭის ნათქვამი. სახტაჟდავრჩი, ანკესი მორევში გადავუძახე და ცეროდენა ბრაკონიერი ავათვალ-ჩავათვალადეე.

— შენ რა იცი, რა არის ქლორი?

გაპოხილი ცხვირი ემპუქნება, ტუჩები ყურებისაკენ მიცოცავს, თოხა კბილები უელავს მზეზე.

— რა გაცინებს, რა იცი, ქლორი რა არი?

— თეთრია.

— რძეც ხომ თეთრია?

ბიჭი თავს მიქნევს.

— თოვლიც თეთრია, მაწონიც თეთრია, თეთრა პურიც თეთრია. — ჩამოვუთვალე მე.

ბიჭი თავს მიქნევს ყოველ სიტყვაზე. ზოლოს მანც თავისას ამბობს:

— ხლორიც თეთრია, წყალში რო ჩაყრი, წყალიც თეთრდება და თევზები ნაპირზე გამოდიან.

— დაიკარგე აქედან, შე მამაძაღლო, შენა! მაგას გასწავლიან სკოლაში?! —



დაეულრიალე ბიჭსა და ანკესის ჯოხი მოედე საჯდომზე. ბიჭმა ენა გამომიყო და თავპირის მტვრევით მოჰკურცხლა რიყეზე.

— გაიგეთ, რა მითხრა?! — ვუძახი პაფლესა და შოთას.

— ძალიან ცუდად არის დაყენებული სკოლებში ბუნების სწავლა და სიყვარული.

— „ტყის მეგობრის“ წიგნაკზე მეტად არაფერი მეჯაგრებოდა.

— ბეგარასავით გვირიგებდნენ და იმიტომ. ათასნაირ ზოოლოგიასა და ბუნებისმეტყველებას გვასწავლიდნენ სკოლაში და ერთხელ არ მახსოვს, მასწავლებელს ადგალობრივი თევზის ჯიშები ესხენებინოს. ჩონჩხები შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. იხტიოზავრი და ბრეხტიოზავრი...

— რა იქნება, ბიჭო, ერთი ორთვალა ხის სახლი რომ ჩავდვით ამ პატარა ლიხვის ხეობაში! რამდენიმე უბრალო საწოლი, მაგიდა, სამი-ოთხი სკამი. სახლს გავაკრათ აბრა: „ბუნების მოყვარულთა და დამცველთა სახლი“.

— რატომაც არ შეიძლება, მარტო პატარა ლიხვზე კი არა, ათიოდე ასეთი სახლი შეიძლება დაიდგას ბრაკონიერებისაგან შევიწროებულ სხვა ადგილებშიაც. რიდი ექნებათ, ესე აღარ ითარეშებენ.

— რა ეღირება ერთი ასეთი უბრალო ხის სახლი?

— ოთხას-ხუთას მანეთზე მეტი არ უნდა დაჯდეს თავის სამკაულიან-ავეჯიანად.

— ორასი-სამასი ბუნებისმოყვარული სპორტსმენი ეყოფა ამ საქმეს.

— რამდენ მხატვარს დაახატვინებს შესანიშნავ ნახატს ასეთ სახლში გატარებული ორი კვირა.

— რამდენ მწერალს!

— კომპოზიტორს!

— თან საქმე გაკეთდება.

— საშვილიშვილო, სასიკეთო საქმე!

— როგორმე უნდა აღძვრათ საკითხი ამის თაობაზე.

— ყაბულ!

— ყაბულ!

და ის იყო ხელ-ხელს დაგვართ, რომ წუილით გამოსროლილი ქვა ჩვენს მახლობლად გასხლტა და რიყეზე აცეკვდა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მეთე და ატყდა ქვების ზუზუნ-წუილი. მერე რა ქვის სროლა იციან სოფელმა ბიჭებმა!

— ჰაი, ასე გიზამთ!

— ჰუი ისე!

— მანდ მოვიდეთ, მანდა!

ჩვენმა კიკინამ არ გასტრა და ისევ მოცოცხვა ვამჯობინეთ. აფსუს, ეგ ქვის სეტყვა ბრაკონიერების მანქანებზე მიმამგებინა-მეთქი!..

ერთი კარგი რჩევა მინდა მივცე სოფლის ორღობეში მოტოციკლით მიმავალ მგზავრებს: ძალი რომ გამოვადგებათ, გაქტევის ნაცვლად სიჩქარეს უკელით, მაშინვე ჩამოგცილდებიან სოფლის ქოფაგები...

— სკრა-აგარა-ქარელი-გორი, სკრა-აგარა-ქარელი-გორი! — დაგვცხეს ქვები და დავეხეთ სიმღერა.

საცხენეთსაც გავცდით, დაბლობში ჩავედით და ხარები გამოვუშვით.

გაღმა პატარა სოფელია, ციხიანი სოფელი. თუმცა რომელია უცხო სოფელი ჩვენში? ამ სოფელს მაინც ძალიან ეტყობა ციხიანობა. ალბათ იმიტომ, რომ ერთი ბეწოა... პატარა კლდიან ბეგზე დასაკუმებული. უკნიდან ტყიანი ქედი დაჰყურებს.

სოფელს საცხენეთსაც ეძახიან და ხადურთანსაც. ათიოდე კომლი ძლივას იქნება და გინდ ასე დაუძახე, გინდ ისე. ამ ბოლო დროს ხილის პაწაწა ბაღებიც გაუშენებიათ ხადურებს.

სოფლიდან მოშორებით პირქვედამხოზილი მენახირე, ხადური, რამდენიმე ძროხასა მწყემსავს. აივანზე მიდი-მოდიან ქალები. ბულ-ბულ-ბულ, — აბულ-ბულეზენ ინდაურები. წყლისპირა ბაღში თოხს იქნევს რომელიღაცა ხადური. შორიანლოს მწვანეზე ჩამომჯდარა ქალი, ალბათ ამ ხადურის ცოლი...

მერაბ ელიოზიშვილი
ჩიტას ჩივილი

თვალი ქალს უფრო არჩევს ასეთ ად-
გილას: წითელი თავსაფრები, თეთრი
თავსაფრები.

— ნეტა როგორები არიან ხადური
გოგოები?

— ლამაზები.

— გულუბრყვილონი.

— ათასი რამე შეიძლება უამბო, ყვე-
ლაფერს დაგიჯერებენ...

— იმ წუთში თუ „იპს“ გეტყვიან და
უნდობლად შემოგხედავენ, მერე მა-
ინც დაგიჯერებენ, დობილებსაც უამბო-
ბენ, იმათაც დააჯერებენ...

გოგოები იტყვირებოდნენ აივნებიდან.
მერე ერთმა გაზედა და სარეცხი ჩამოი-
ტანა ლიახზე. აჩახჩახა და აჩახჩახა,
აჩახჩახა და აჩახჩახა. ხანდახან თავს
აიქნედა ხილაბანდის წვერის მხარზე
გადასაგდებად და გამოღმა გვესროდა
მზერას.

აჩახჩახებდა და აჩახჩახებდა...

— ესეთი ღამაში გოგო დიდი ხანია
არ მინახავს, — ვთქვი მე.

— არც მე.

— არც მე.

— აჩახჩახებს და აჩახჩახებს!

— დარწმუნებული რომ იყო, ამ სოფ-
ლის მეტი ქვეყანაზე არა არსებობს რა,
რა გემრიელად იცხოვრებდი ამ ჩიტის
ბუდეში!

საცალფეხო ხილზე გამოაცლია ახალ-
გაზრდა კაცმა ორი შავსამოსიანი დედა-
კაცი. ფრთხილად გამოჰყავდა, სამშვი-
დობოს გამოიყვანა და თვითონ უკან გაბ-
რუნდა. ქალებმა საღამი დაგვასწრეს და
გზას გაუყვნენ.

ბავლე ჩიტებს უტკაცუნებდა „გეკოს“.

— გეყოფა. მოდა, პური გჭამოთ! —
დავყვები წყლისპირზე მოზორიალე ბავ-
ლეს, თან ქუდით ცუფრთხოზ ჩიტებს:
ის-ის არის უნდა გამოსწიოს სახსლეტი,
რომ ქუდს დაეიქნევ და ჩიტი მიფრი-
ნავს. საგზალი ამოვალავეთ.

— აჩახჩახებს და აჩახჩახებს, მიდი
გასძახე: ხელში არ შემოგგვლიჯოს თეთ-
რეული-თქო!

— მიდი და გასძახე, ახლა მაგას სოფ-
ლის სახელიც რომ ჰკითხო, მაინც არმი-
ყობა ეგონება.

— მთელ წელიწადს ემახსოვრება, ქა-
ლაქელებმა დამიძახეს გაღმიდანაო.

— გეყოთ ტრაბახი, დავსხდეთ!

— რათა ტრაბახი, რა ურიგო ბიჭები
ვართ?

— რალა დროს ჩვენი ბიჭობაა, სამივე
ერთად ექვსი შვილის მამა ვართ.

დავსხედით გოლიათი კაკლის ჩრდილ-
ში. თეთრი ყველი, თეთრი პური...

— რა გვიფრინეს იმ ლაწირაკებმა!

— აბა, ქაჯებივით არ ისროდნენ
ქვებსა!

შევეყვიეთ...

მარილწყარილი მურწა შხიოდა ნალ-
ვერდალზე. წითელ ღვინოსა ვსვამდით
და გაღმა-კლდეზე ჩამოსკუპებულ პაწაწა
სოფელს ვადღევგრძელებდით დედა-ბუ-
დიანად: ჭრელთავსაფრებიანად, მოზულ-
ბულე ინდაურებიანად, პატარა ბაღე-
ბიანად, საცალფეხო ხიდიანად, ისევე
ჭრელთავსაფრებიანად...

გოგო ისევე აჩახჩახებდა სარეცხს და
ტურთან მიტანილ ჭიქის თავზე ჯდებოდა
ყოველ სადღევგრძელოზე.

ბეწვის ხილზე კაცი გამოვიდა, ჩიტა
ვარ, ხადურიო, — გაგვეცნო.

— დაბრძანდით, პურ-ღვინო მიირ-
თვით! — მივიპატიჟეთ ბერაკაცი.

— ქუდ რო მიქნევდით, მეც გამოვე-
დი. ერთი ხანობა ვიფიქრე, ემანდ არ
ეგონოთ, რომა... მერე კი ვთქვი, ეგება
რა უჭირთ, გავალ, გავხედავ, ეგება...

ჩიტა დაჯდა. ქუდს ჩიტს ვუქნევდი,
მაგრამ ჩიტას ხომ არ ვეტყუოდი: შენ ის
ჩიტი არა ხარ, ჩვენ რომ ქუდს ვუქნე-
ვდით-თქო.

— დალიე, ძია ჩიტა! მიირთვი, ძია
ჩიტა! აი ის გოგო, დილას აქეთი რომ
აჩახჩახებს, შენი შვილი იქნება, მაგას
გაუშარჯოს. წყლის დასალევად ჩამოსხ-
ლეტილ შველს რომ ჰვავს!

და ისევე შევეყვიეთ მოჩახჩახე გოგო ჭი-
ქის ტურზე.

— ჩემი შვილი კი არა და, უმცროსი
ძმის შვილი კია.

— რა განსხევაებაა, ძია ჩიტა. ძმის
შვილიც — შვილია.

მესამე, მეოთხე...

მეხუთე რომ დასცალა ჩიტამ, ლაპარაკის საღერღელი აეშალა. ესეცა თქვა, ისიცა თქვა..

— ამ ციხეს კაცი დაანგრევს, კაცო?! თამარ მეფის ციხეს კაცი ხელს ახლებს, კაცო?! მტერმა ვერაფერი დააკლო, ძმები ანგრევენ, ძმის შვილები, სახლები გვინდაო, ახალი სახლები წამოჭიმეს სხვა სოფლებში და ჩვენც ახალი გვინდაო. ანგრევენ, კუთხის ქვადა ხმარობენ, სახლებს იშენებენ. რაღა უნდა დაგვრჩეს-მეთქი, ჩვენი საქათმე-სალორე ვიღას რაში ეპიტნავენბა, თუ ჩვენი ვინაობის მთქმელი ციხე აღარ გვექნება-მეთქი?! ვერა შევასმინე რა, ანგრევენ და ქვას ქვაზე ეზიდებიან. რიყეზე მაინც არა ცხოვრობდეთ-მეთქი! ვერა შევასმინე რა..

— მაგრა დაუდექ, ძია ჩიტა, მაგრა! მთავრობის დადგენილების ძალით მაგისთანა ძეგლების ხელისხლება არ იქნება! უნდა გაუფრთხილდეთ, მოუაროთ!

— გმრავლდებითო. ღმერთმა გამრავლოთ-მეთქი! დანგრევას ისა სჯობია, კარ-ფანჯარა შეებათ და შიგ ციხეში იცხოვროთ, ზაფხულში სიგრილე და ზამთარში სითბო არ მოგაკლდებათ-მეთქი! მთელი სოფელი ჩავეტყეთ, ან რა სოფელია, ათიოდ კომლი ძლივას ვიქნებით. სუ ხადურები ვართ, ძმები და ძმის შვილები, უცხოები ხო არა ვართ, ჩავსახლდეთ და ვიყოთ-მეთქი!

— სწორი გითქვამს!

— ძია ჩიტას გაუმარჯოს!

— მე კი არა და თქვენ გავიმარჯოთ, შვილებო! ისე არ გეგონოთ, რომ რაკილა ბებერიო, გამოყრუვდა და აღარა გაეგება რაო. გამეხარდა, რო დაგინახეთ და... ბოღმა მქონდა და რო დაგინახეთ, გამოვედი... ისე არ ჩაავლოთ; რომა ავდექი და გამოვედი უბრალოთა, კარგა ხანს მიქნევდით ქუდსა, ეგება რა უნდათ, რა უჭირთ-მეთქი, მეც ჩემ გასაჟირს შეეჩივლებ... რო არ დაგექნიათ, ეგება არც კი...

— ჰო, ძია ჩიტა, დაგექნით.

— აი, ეს გიქნევდა ქუდსა, ჩვენ არა გექონდა ქუდები, თორემ ჩვენც დაგიქნევდით...

— მაშ ძმანშვილია, ჰა, ძია ჩიტა!

— ჰა? ჰო, შვილო, ძმისწულია, ისეთი სურათისა არი რო..

— სულ ვადაათეთრა იქაურობა. აჩახჩახებს და აჩახჩახებს!..

— გამოვიდეს რა, ძია ჩიტა, რატო არ გამოდის? მაგასაც ვუქნიეთ ქუდი, მაგრამ არ გამოდის.

— წყალმოწყურებულ შველივით რომ ჩამოსხლეტილა!

— ქედანივით არა ფრთხილებს კამკამა წყალში!

— მაგ ლურჯი მორევის კალმასხს ეტრფის ალბათ და ჩვენთან რას გამოვას!

— ეგრე არ არის, ძია ჩიტა? ჩვენთან რა უნდა, ღვინისა და ხორცის სუნი აგუდის!

— ეეჰ, კალმასხს აქ რაღა უნდა, ხანდახან თუ ჩამოხეტებოთ სათავე-კლდეები. დან გზაბნეული... მაინც კარგა დაგიჭერიათ, შვილებო! — ჩიტამ კუდით აითრია მურწა და ფხიან-ხერხემლიანად გადაუძახა.

— დაგიჭერია კი არა!

— მამაჩვენები სარწყავ რუში იჭერდნენ ორაგულებსა და ჩვენ ღიახევიაც ძლივს ამოგკრიფეთ ეს ოციოდე ჭიჭყინა.

— ეგეც დიდი რამეა ახლა, შვილო. რაც ეს ვანათის საგუბარი გააკეთეს, თევზის საქმეც წახდა, ათასში ერთი მომსხო კაბუეტილა გამოდის ემაგ ცემენტის ჩანჩქერზე და ისიც რის ვაივაგლახითა და სისხლისდენით... მიწის მორწყვა კარგია, დიდი საქმეა, მაგრამ ეწყლის შვილს რაღას ერჩი, მშრალზე რო აგდებ და უღობავ სასიცოცხლო ძარღვსა!

— ცოტა ნაკლები დაქანება რომ მიეცათ წყლის კალთისათვის, თავისუფლად ამოატანდა თევზი, არა, ძია ჩიტა?

— ჰაი, ჰაი, რო ეგრე იქნებოდა, ამოატანდა, მაშა! ასე დაცეცალოს მტერი, ბიჭებო, დიდი და პატარა ღიახევის ხეობებსა! — ჩიტამ ჭიჭა ბალახზე დააგორა

მერაბ ელიოზიშვილი
ჩიტას ჩივილი

და რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზე. ჩვენც წამოვბარბაცდით... მზე დამჯდარიყო და გრილოდა.

— ლუდიცა მაქ, პურიცა მაქ, ერთ ინდაურსაც ჩავაკვრევენებ თვალსა, გავიდეო, ჩემი სახლიცა ვნახოთ, სამი კედელი ჩემი ამოყვანილია, მეოთხე კედლის კალატოს პაპის პაპის პაპაც ვერ იცნობდა, იმის მარჯვენას ვენაცვალე. ციხის კედელი მაქ მეოთხე კედლადა, მაგის სიმტკიცეს ენაცვალოს ჩიტა ხადურია! გავიდეო, ბიჭებო!

— არა, ძია ჩიტა, გვაგვიანდება!

— გავიდეო, ბიჭებო!

— არა, ძია ჩიტა.

მერე „ჰოს“ მაგვირად თავი დაგვიქნია ჩიტამ. ჩვენ უარის ნიშნად გავაქნიეთ თავები აქეთ-იქით. მერე კიდევ დაგვიქნია, ჩვენ ისევ გავაქნიეთ თავები. ბოლოს გაბრუნდა, საცალფეხო ხიდისაკენ წაბანდალდა. დიდ ქვებს გარს უვლიდა თუ ღვინო ატარებდა აცა-ბაცა, ჩვენთვისაც ძნელი დასადგენი იყო. ხიდან შედა, გახედა, ჩვენსკენ მობრუნდა და მძიმედ დაგვიქნია თავი. ჩვენ ისევ გავაქნიეთ, ისევ გახედა ხიდს და ისევ დაგვიქნია.

— მიდი, იქნებ რა უნდა!

— ეგებ შევლა უნდა!

ჩიტასაკენ წავედი. მერე მითხრეს ბიჭებმა, შენც ჩიტასავით მიდიოდით. ხიდან რომ მივედი, ჩიტა ხიდს მოშორებოდა და აღმა მიჰყვებოდა მდინარეს. დავეწვი და მოვებრუნე.

— ველარ გავალ, შვილო! — გამომიტყდა ჩიტა.

— მე გაგიყვან.

— ვერა, შვილო.

— აი თუ ვერა! — საცალფეხო ხიდზე შევედექი და ცოტაზე გავიარ-გამოვიარე. მდინარე აღმა აასკდა, ხიდი დაღმა დაქანდა, მაინც არ ვეშვებოდი.

— მადლობ, შვილო, ვერა, შვილო. ხევით ერთი განიერი ხიდი მეგულემა,

იმაზე ვცდი. იმაზეც თუ გამიჭირდა, იმას ზემოდან კიდე ერთი ხიდი მეგულემა და მადლობ, შვილო, ლუდა მაქ, პურიცა მაქ, რალა გამოვიდა. ნათქვამი როა, ცოლი მყავდა, გაღმა მყავდაო, ჩემი საქმეც ეგრე გამოდის.

ჩიტა წავიდა განიერი ხიდის საძებნელად.

ბიჭებთან დავებრუნდი. ორივენი გაღმა იტყირებოდნენ. გაღმა ნაპირი ცარიელი იყო, აღარავინ აჩახჩახებდა.

— წავიდა? — ვიკითხე მე.

— ჰო, წავიდა.

— როგორ წავიდა?

— სარეცხი წამოკრიფა და წავიდა.

— საით აიარა?

— აგე, ჯერ იმ ლოღამდე მივიდა.

მერე იმ ბილიკს აპყვა.

— იქ რო ორად იყოფა ბილიკი?

— მარცხენას აპყვა.

— მერე?

— რალა მერე: აგერ, სარეცხსა ჰფენს

— ჰო, ვხედავ.

— დაჯე, აღარ მოდიხარ?!

— მა რას ვიზამ.

დავჯექი... სულ ტლინკვა-კუნტრუშით შეაფრინდა მოტოციკლი აღმართს.

— ცოტა ნელა წადი!

— ნელა რომ წავიდეო, უკან დავგორდებით.

— სადღეებელია და მეტი არაფერი!

— კარგი, ეგრე იყოს!

— იყოს კი არა, არი!

— არი და იყოს!

— კარგი, რა მოგივიდათ?! — გვითხრა პავლემ.

— არაფერი!..



ერთმა ბრეთელმა მითხრა, ვინმე ბრეთელი შუბითიქე ქლორითა და ნიკოტი-ნით წამლაგს ფრონესაო...



მოთხრობა

1

ვერგაუპარსავი მაღალი კაცი რკინის ფანჯრიდან გასცქერის ქუჩას. ჯიხურს „ფეხსაცმლის შეკეთება“ აწერია. პატარა ჯიხური დიდი სახლის კედელზეა მიშენებული და ტოლის ნაგლეჯით არის გადახურული. კედელზე ნაირნაირი სურათებია მიუკრავთ. რკინის ფანჯრიდან კარგად მოჩანს ქუჩაში მოშრიალე მაღალი ხეები.

მაღალი მეწაღე თავდახრილი შედის ხოლმე ჯიხურში. გამურულ სკამზე ზის და მუხლებზე ძველი ტილოს ნახევრი უფენია. ხან აკერებს, ხან გაცვეთილ ძირზე საპირეს აწებებს. წახრილი ზის მუდამ დღე. წინ მაგიდა უდვას. მაგიდაზე ტყავის ნაჭრები, საღებავის ქილები და მახათები ჰყრია.

მეწაღე პაპიროსს გაიჩრის კბილებში, ასანთს გაჰკრავს და მოუკიდებს. ერთს მოწვევს, მერე გამურული მაგიდის კიდეზე დადებს პაპიროსს და ფეხსაცმელს მიუბრუნდება. პაპიროსი ბოლავს, თანდათან იფერფლება. ისევე გაიჩრის მეწაღე პაპიროსს, ლაზათიანად მოწვევს. მერე მაგიდის კიდეზე დევს პაპიროსი, თავისთვის ბოლავს ნელა, შეუმჩნეველად. მერე ქრება.

მეწაღეს ძალიან უყვარს რკინის ფანჯრიდან ხმაურიან ქუჩაში ცქერა.

დიდი ხნის წინათ ომში იყო მეწაღე. ომამდე იგი მეწაღე არ იყო და ასეთ პატარა ჯიხურში არ იჯდა. ახლაც ხშირად ამოტივტივდება ხოლმე მუხსიერებაში ომის ამბები. თითქოს ტვინის ნაოჭებში სამუდამოდ ჩარჩა ყურისწამლები ხმაური, ტალახიანი გზები, მკაცრი და ცივი დღეები. როცა ქუჩაში იყურება, მეწაღე აღარ ფიქრობს წარსულსა და ომზე. ამ დროს იგა ძალზე ბედნიერი და კმაყოფილია — ხედავს სახლებს, ადამიანებს და ქუჩას. მაგრამ ყოველთვის ვერ გაექცევი საკუთარ თავს, ხშირად აწვალებს წარსული დღეების მოგონება: გრძელი გზა. თოვლიანი მინდვრები. თოვლზე, აქა-იქ, შავი, უმოძრაო წერტილები. ცივი, სუსხიანი ამინდი. საოცარი განცდა იმისა, თუ როგორ ღამდება უცხო ქალაქში.

ახლა კი აგერ ზის, ამ პატარა ჯიხურში. რკინის ფანჯრიდან ხედავს ქუჩას, მაღალ სახლებს და ეზოებში თოკზე გაფენილ ბავშვის საცვლებს. აქ არც სანგარია და არც შავი ბოლით სავსე სივრცე. ლურჯ ცას, ხის ტოტებში რომ მოჩანს, ცეცხლის ენები აღარ ანათებს. მეწაღე

ანზორ გვარამია
მეწაღე

ხედავს, საღამომობით როგორ წითლდება ცისკიდური.

ჯიხურში უამრავი გარღვეული ფეხსაცმელი ყრია, თაროებზე აწყვია. მეწადეს ღონიერი, დაკოყრილი ხელები აქვს. ამ ძლიერი ხელებით შეკეთებული ფეხსაცმელები თელავენ დიდ გზებსა და ქუჩის ქვაფენილებს.

მეწადის ჯიხურის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, სვაპტრო ფარდულია. ფარდულში დიდთავა გამყიდველი ტრიალებს.

ფარდულთან ხშირად დგანან ხოლმე მუშტრები. ხან ლუდს სვამენ, ხან რაღაც-რაღაცეებს ყიდულობენ. ზოგჯერ უკმაყოფილო ბუზღუნნი ესმის მეწადეს. „სწორად აწონე“, „თავიდან იანგარიშე“. ასეთი საყვედური გაუთავებლად ისმის სვაპტრო ფარდულის დახლოვან.

მეწადეს ხშირად ესმის, როგორ ჭორაობს გამყიდველი უზნის ბიჭობზე. ბიჭები მოდაზე იცვამენ: კობხად, გემოვნებით და სადად. გამყიდველი ვერ იტანს ჭრელ ხალათებს, ვიწრო შარვლებს და წითელ წინდებს.

ბიჭები ყოველ საღამოს ქუჩაში იკრიბებიან. იქვე, ფარდულის გვერდით სხდებიან და გვიანობამდე საუბრობენ. ლაპარაკობენ ფეხბურთზე, კინომსახიობებსა და უზნის ამბებზე. მათ ხმამაღალი ლაპარაკი უყვართ. ცხარედ კამათობენ. გამყიდველი ცხვირს გამოჰყოფს ხოლმე დახლიდან — მოშორდით აქაურობას, თქვე უსაქმურებოო. ბიჭები ხარხარებენ და ყურადღებას არ აქცევენ.

ხანდახან მეწადეც უერთდება მოკამათე ბიჭებს და ფეხბურთსა და უზნის ამბებზე საუბრობს. იგი მორიდებულია და არასოდეს არავისთან არ ამბობს: მე ძველი ჯარისკაცი ვარ, ყურადღება მომაქციეთ, პატივი მეცითო. ომიდან დაბრუნებისთანავე შეიქლო თავისი შესაფერი სამხახური მოეძებნა, მეწადეს სიჭაბუკიდანვე გამოჰყვა დიდი და მოუცილებელი დარდი, ამიტომაც მარტოობა, ფიქრი და გარღვეული ფეხსაცმელი აირჩია.

გასულ კვირას გაზის გამყვანი ბრიგადა მოვიდა უბანში. ქუჩა გათხარეს, ამო-

ნათხარი მიწა ტროტუართან მიყარეს, ვეება მილებს გუდრონი წაუსვეს, შერე ქაღალდები შემოაწებეს. ახლა ისევ თხრიან. ბარემ მოათავონ საქმე, გაზი ექნებათ ოჯახებში.

მეწადე ხარბად წევს პაპიროსს.

ფარდულის წინ, ასფალტზე, ენაგადმოგებული ძალღი წამომჯდარა უკანათათებზე. ძალღი თვალეში შესცქერის გამყიდველს, ხელებში შეჰყურებს. თითქოს ეხვეწება, რამე მაჭამეო. ძალღმა აღლოთი იცის, გამყიდველი ფარდულის კუთხეში პურის ნატეხებს ინახავს, ძველვედროში აქვს ჩაყრილი. პურის ნატეხები ლუდის მუშტრების ნარჩენია.

საღამომობით მემწვანლიე ქალები აკითხავენ გამყიდველს. მეწადე ხედავს, როგორ გამოაქვს გამყიდველს ვედრო და პურის გამხმარ ნატეხებს ტომსიკაში უყრის მემწვანლიე ქალებს, ფულს ართმევს და ხმას დაადევნებს, ხვალ-ზეგაც გამომიარეთო. კუდამოძუებული, გაწბილებული ძალღი შეუმჩნევლად სადღაც ჰქრება.

მეწადე თავს ჩაქინდრავს, საქმეს მიუბრუნდება. „რა ძუნწია ეს კაცი“, — ფიქრობს ხოლმე თავისთვის.

მერე ქუჩაში მიაბიჯებს მაღალი კაცი. გრილა. მთელი დღე ჯიხურში ყოფნის შემდეგ ქუჩის სივრცლე სასიამოვნოა.

ქუჩა შეუმჩნევლად, თანდათან მაღლდება. ქუჩაში დაჰქრიათ ღურჯი, ნაცრისფერი და წითელი მანქანები. წინ ისევ გრილი ქუჩაა, მაღალი ხეები და დიდი სახლები.

აღმართის ბოლოში ცხოვრობს მეწადე. მარტოკა ცხოვრობს. მეწადის სახლს იქით მჩხერი ბუჩქებით დაფარული გორაკია, უფრო მაღლა კი ვიდაცის სახლი დგას ეულად. სახლის სახურავზე გრძელი ანტენაა ასვეტილი. რამ აიყვანა იმ სიმაღლეზე ის დალოცვილი, ამხელა ქალაქში ვერ დაეტიან?

შორს რუხი, მოტიტვლებული მთაა. აქა-იქ ღურჯ ლაქებად მოჩანს კალთებზე, ამოსული ბუჩქნარი. მთის კალთებს შვე-

ული კლდეები ერთვის, შავად მოლაპლაპე, ნიაღვრებით გადარეცნილი კლდეები. ალიონზე მთა ლურჯად მოჩანს მეწადის ჯიხურიდან. მერე თანდათან მუქდება, თითქოს მზეზე ხუნდება. ბოლოს დილის ნათელი უბრუნებს თავის ფერს — მოწყენილ, რუხ ფერს. ყოველ დილით ხედავს მეწადე, როგორ ამოდის სიბნელიდან მთა და როგორ იბრუნებს თავის პირვანდელ ფერს.

ისევ მოჩანს ლურჯი ლაქები და ჩრდილოვანი ზოლები, თეთრი სახლი და მალა აღმართული ანძის გაფარჩხული პოლო.

მერე დღე იღლება, ითენთება და ქრება. ისევ ბინდში იძირება კლდოვანი მთა.

2

შავი, მზეზე გარუჯული ბიჭი ტროტუარის კიდეზე იჯდა. ხელები მუხლისთავეზე შემოესალტა. სერიოზული სახით ვასცქეროდა ქუჩას.

ბიჭს სწორი ბეჭები ჰქონდა, თხელი და ლამაზი, მკერდი კი ოდნავ წინ წამოწეული, თმა აბურდული და მოუფლელი. ბიჭი სავაჭრო ფარდულის გვერდით იჯდა, დიდთავა გამყიდველი დროდადრო გამოხედავდა მას, წაიგრძელებდა კისერს, დახლიდან თავს გამოჰყოფდა. მერე კისერს ბიჭისკენ მოიღრეცდა და მალულად ათვალეირებდა.

მეწადემ ადრევე შეამჩნია გამურული ბიჭი, გარღვეული ფეხსაცმელი დადო და ბიჭს გახედა. ბიჭი ვერ ხედავდა მეწადეს. ისევ დიდი კაცის სიღინჯით იჯდა, ფიქრიანი სახე და მოწყენილი თვალები ჰქონდა.

მეწადემ ქუსლზე ნალი დააქედა, ფეხსაცმელი თაროზე შემოდო და ქუჩაში გაიხედა; ეს მზეზე გარუჯული ბიჭი სადღაც მინახავსო, გაიფიქრა.

ბიჭი მოკვივივე ჩიტებით დახუნძლულ ხის ტოტებს მიაჩერდა. იგი ხედავდა, როგორ დახტოდნენ ჩიტები ტოტებზე. ხედავდა და თანდათან შუბლი ეხსნებოდა, სახე უნათებოდა.

გამყიდველი დახლს იდაყვებით დაყრდნობოდა და ისე უთვალთვალებდა ბიჭს, აღმაცრად, შეუმჩნევლად. მეწადემ ისევ გაიხედა ქუჩაში და მხოლოდ ახლალა მოაგონდა — ეს შავი ბიჭი გუშინწინ ნახა კინოსთან, მგონი, ვიღაცას დაელრიჯა: ძია, ხუთი კაპიკი ხომ არ გექნებაო.

გამურული ბიჭი ისევ ტროტუარის კიდეზე იჯდა. ქუჩას გაპყურებდა და შორს აფურთხებდა. „გაუზრდელი ბიჭი ყოფილა...“ — გაფიქრა მეწადემ.

ახლა ჩიტები ძალიან მალლა დაფრინავენენ. სუფთა, უძირო ლაყვარდის გამჟვირვალე წიაღში ნავარდობდნენ.

ფარდულის წინ ცხელ ასფალტზე ის მშვიერი ძალი იწვა. ძაღლმა საწყლად შეხედა გამყიდველს და დრუნჩი გაილოკა. აქედან მომწყვდი, შე პატრონძაღლოო, — დაუყვირა გამყიდველმა. ბიჭს ღიმილმა გადაუარა სახეზე.

გამყიდველმა ლუდის კახა მოუღერა მშვიერ ძაღლს. ესეც დაინახა ბიჭმა და შორს გადააწიტა. ძაღლი ისევ საწყალი თვალებით შეპყურებდა გამყიდველს, მის მუქარას არაფრად აგდებდა.

— ტყუილად ზიხარ, რომ იცოდე, სულ ტყუილად, — დამცინავად უთხრა გამყიდველმა ძაღლს. თითქოს შერცხვაო, ძაღლი ადგა და გაიძურწა.

მეწადე ჯიხურიდან უთვალთვალებდა ბიჭს. ბიჭი ვერ ხედავდა მეწადეს, ჯიხურის ქუჩუყან მინაში რას გაარჩევდა! ფანჯარაზე არეკლილი სხივებიც თვალს სჭრიდა ბიჭს. მეჩხერ, თეთრ კბილებზე ენისწვერს აქერდა და აფურთხებდა შორს, თითქმის ქუჩის შუაგულში. უყურებდა ტოტებზე მოკვივივე ჩიტებს და ხანდახან ისე, სხვათაშორის გაიხედავდა სავაჭრო ფარდულისაკენ. გაიხედავდა და თუ გამყიდველის წაწეკ თვალებს და გულისამრევ სახეს წააწყვებოდა, მზერას თეთრ, მალალ სახლებზე გადაიტანდა ხოლმე.

მეწადემ გააბოლა, თითქმის ნახევრამდე დაიყვანა პაპიროსი და გამურული მაგიდის კიდეზე დადო. საერთოდ, მეწა-

ანზორ გვარამია

მეწადე

ღე სამი-ოთხი ნაფაზით ათაგებდა ერთ პაპიროსს. მერე ოფლიანი სახე მოიწმინდა მეწაღემ. უბნის ბიჭები აღმართის ბოლოში ასულიყვნენ, ახლა იქიდან მოისმოდა მათი ყრიამული. გამყიდველმა ისევ გამოპყო თავი. ბიჭმა თავისთვის დაუსტვინა. მერე წამოდგა. გაიზმორა. მოკლე შარვალი მთლად დატრეტილი და ქუჭყიანი ჰქონდა. ფეხები მზეზე ჰქონდა გარუჯული. გამხდარი ჩანდა. გახეული, მზეზე გახუნებული მაისურა ეცვა.

ფარდულის წინ, დახლთან მუსტრები ჩამოდგნენ. გამყიდველი დატრიალდა და კათხა შეუშვირა ლუდის ონკანს.

ბიჭმა ჯიბეში ჩაიწყო ხელები და კიდევ დაუსტვინა. მერე ისევ ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდა. ახლა უსტვენდა და თითუბით ხელისგულს ისრესდა.

მეწაღემ ფეხსაცმლის ლანჩას სადგისის წვეტი შეურჭო, მერე სადგისი გამოიღო, შიგ ძაფგაყრილი მახათი უნდა გაეძვრინა... მაგრამ ამ დროს დანახა, რომ ბიჭი ადგა, ერთი მიიხედა-მოიხედა, მერე ფარდულის გვერდით დაწყობილ ყუთებს მიუახლოვდა. ერთ ყუთზე ჩამოჯდა. სწრაფად ამოიღო ყუთიდან ორი ცარიელი ბოთლი, იდლიაში ამოიჩარა, მერე კიდევ ამოიღო ორი ცალი. ამ დროს გამყიდველი ქეჩოში სწვდა ბიჭს და სახეში გაარტყა. ბიჭს თვალეები დაუხნელდა. გამყიდველმა ბიჭს ყურებში ჩაავლო ხელი. ბიჭი მალე გონს მოვიდა. მშვიდად იდგა, უდანაშაულო კაცივით. ბოთლები იქვე მიყარა და დოინჯუმოყრილი წინ დაუდგა გამყიდველს, თვალი თვალში გაუყარა. ამათ ნირი შეაცვლეინა გამყიდველს. ბიჭის მზერას ვერ გაუძლო, ლანძღვა-გინება და ყვირილი ატეხა:

— შე ქურდო, ავაზაკო...

ბიჭი გაქცევაზე არც ფიქრობდა. გამყიდველი მიუახლოვდა და ერთი მაგარი სილა კიდევ უთავაზა. ბიჭმა ზიზღით შეხედა გამყიდველს. უკან-უკან დაიხია და გაქცევა დააპირა. უცხად ისევ ჩაავლეს ხელი ქეჩოში. შემობრუნდა და მაღალი წვეგრკაუპარსავი კაცი აეხირა თვალწინ. შეშინდა ბიჭი, კაცი ბრავით უტკერდა.

— წამოდი ჩემთან! — ბრძანების კოლოთი უთხრა კაცმა.

ბიჭმა ფეხები გაფარჩხა. მეწაღემ ძალით წაათრია ბიჭი, ჯიხურში შეიყვანა და გვერდით მოისვა.

— რად გინდა ეგეთი რამეები! — უთხრა მეწაღემ.

ბიჭი დუმდა.

— სად ცხოვრობ? — ჰკითხა მეწაღემ.

ბიჭმა არაფერი უპასუხა.

— ბუხარში ხომ არ ჩამძვარალხარ, რამ გაგმურა ეგრე?

ბიჭი ისევ გაჩუმდა.

— ცუდი ბიჭი ყოფილხარ, ძმაო. მშობლების მაინც არ გეხატობა?

ბიჭს თვალეები აუწყლიანდა, თავი ჩაღუნა.

ლოცა გაწითლებული ჰქონდა. მერე სიწითლემ გადაუარა და თანდათან გაუფითრდა სახე. მეწაღემ ადრევე შეამჩნია და ახლა დარწმუნდა: ბიჭს არაფრის არ ეშინოდა. მშვიდად იჯდა და არ ცახცახებდა. გამყიდველმა სახეში რომ გაარტყა, წამწამიც არ შერხვეია. მშინარა ბიჭები ყოველთვის სძულდა მეწაღეს.

ახლა მეწაღე ხარბად ეწეოდა პაპიროსს. უფრო ხშირად იწმინდა ოფლიან სახეს და ნერვიულად ჰკრიდა საქუსლე ტყავს ბრტყელი, სამართებელივით ფხვათხელებული დანით.

— ასე თუ იქურდე... — თქვა მეწაღემ და პაპიროსს კბილები მაგრად დააპირა, — კარგად ვერ წაგივა საქმე.

მერე ისევ მომდურებულოვით ისხდნენ.

— ქურდობას ხომ იცი... — მეწაღემ

მზეზე გარუჯულ ბიჭს ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ოთხი თითი დაანახა.

ბიჭს გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისევ დინჯად და ხმაამოუღებლად იჯდა მაღალი კაცის გვერდით.

მეწაღემ ებოს კარი მიიჯახუნა. ბიჭი ზღურბლზე დადგა და იქიდან გადახედა ებოს, ხელი შუბლზე აიფარა, მზე მოიჩრდილა.

მეწაღემ კიბის პირველ საფეხურზე დაფენილ ძველ ტომარაზე გაიწმინდა ფეხი. იქვე, სახლის კედელთან მიშენებულ პატარა სადგომიდან ორი ყურდაცქვეტილი ბაჭია გამოძვრა. ბაჭიებმა ჯერ მიწა დასუნეს, მერე მეწაღეს ახედეს.

კიბის ქვემოდან პატარა ძაღლი გამოხტა. ძაღლმაც დაყნოსა მიწა და მეწაღეს თავი დაუკანტურა. მერე ერთი გაიზმორა, ბეწვი გაიბერტყა. ძაღლი მეწაღეს მისჩერებოდა. პატარა იყო, ტანმორჩილი და ცანცარა. დრუნჩს ილოკავდა და ერთთავად წმუტუნებდა. ბიჭი ძაღლს დაეჭყანა. ძაღლმა წმუტუნის შეწყვიტა და ბიჭს შეხედა.

მეწაღეს ეღიმებოდა. ძაღლი გაინაბა, მერე ისევ გაიზმორა და უკანა თათებზე შედგა; თეთრი, შავზოღლებიანი მუცელი გამოუჩნდა.

— ჩემი ძაღლია, — უთხრა ბიჭს.

— რა ჰქვია? — იკითხა ბიჭმა.

— ციბრა ჰქვია, ციბრიკა, — უპასუხა მეწაღემ.

— ნაღდი ციბრიკაა, — დინჯად თქვა ბიჭმა. — ერთი ბეწო ძაღლია. მეცოდება, ძაღლიან პატარაა.

— მაღლა ამოდი. ცოტა შეეისვენოთ და მერე ციბრა დაგზანოთ. როგორი ჭუჭყიანია, შეხედე...

მეწაღემ საპონი და რკინის სავარცხელი გამოიტანა. ბიჭი წყალს უსხამდა მეწაღეს, მეწაღე ძაღლს ბანდა.

— არ გაცივდეს, თორემ ცუდი ავადმყოფობა იცის. პატარა ბიჭივით ჭირვეულია, — ღიმილით თქვა მეწაღემ.

„როგორ შეიძლება ძაღლი პატარა ბიჭივით ჭირვეული იყოს“, — ფიქრობდა ბიჭი და თან უტყებდა, როგორ გულდაგულ ბანდა მეწაღე პატარა ძაღლს.

ჩვეულებრივზე ადრე იგახშმეს ბიჭმა და მეწაღემ. მერე ისევ გამოიტანეს სახლიდან საპონი. მეწაღემ ჯერ წყალი გადაასხა ბიჭს, მერე საპონი წაუსვა თავზე. მერე ტანზეც წაუსვა საპონი.

— აბა, ხელები გაანძრიე! — უთხრა ბიჭს და კიბისკენ წავიდა.

— ეე! თვალები მეწვის! — იყვირა ბიჭმა.

მეწაღე ბიჭთან მივიდა. მხრებზე წყა-

ლი დაასხა. ბიჭმა ისევ იყვირა, თვალები მეწვისო. მეწაღე დაბნეული იყო და ხან მხრებზე უსხამდა წყალს, ხან გასაპნულ თავზე. ეგრე არასოდეს არ დაბნეულა.

— აბა, დაიბანე, ყოჩაღად, მარდადი! — თვალები მეწვის და...

— თითები ამოისვი, რამ შეგაშინა ამხელა ბიჭი.

— კი არ მეშინია, მეწვის...

— გაგივლის, არა გიშავს.

მერე ბიჭი შინ შეიყვანა. კარადის უჯრიდან პირსახოცი ამოიღო და ბიჭს ტანზე შემოახვია. მერე თავისი პერანგი ჩააცვა. ბიჭს კანუებამდე მისწვდა მეწაღის პერანგი. ბიჭი სარკესთან დადგა და ქოჩორი დაივარცხნა. გარუჯულ სახეზე თეთრი, მეჩხერი კბილები უელავდა.

— ხვალ მთელი დღე უნდა გივარჯიშო.

— რაში უნდა ივარჯიშო? — სიცლით შეეკითხა მეწაღე.

— უფრო შორს გადავფურთხებ. მერე იმ ბიჭს მოგნახვავ. კინოსთან მოდის ხოლმე სალაშრობით. იმას უნდა ვაჯობო! — მტკიცედ თქვა ბიჭმა.

— შენც ერთი დიდ რამეში აჯობებ!

— ჩემი საქმე მე ვიცი. გავეჯობებ და ვაჯობებ.

მეწაღეს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

4

რაღაც ბრაგუნმა გამოაღვიძა მეწაღე. შავი, გაურკვეველი სიბნელე აეფარა თვალებზე. ჯერ ვერ მიხვდა, რა უნდა გაბრახუნებულიყო ამ შუალამისას. მერე მოაგონდა, რომ დღეს ბიჭი მოიყვანა შინ. ბიჭს იქვე ეძინა, ოთახის მეორე კუთხეში.

მეწაღეს ღრმად ჩასძინებოდა და ახლა, როცა გამოერკვა, თითქოს უცბად საიდანღაც დაბრუნდა. სინათლე აანთო ოთახში. მეწაღემ დაინახა, ბიჭი კუთხეში

ანზორ გვარამია

მეწაღე

იდგა და თვალებს აქეთ-იქით აციცებდა. მეწაღე მიხვდა, რაც უნდოდა ბიჭს...

ბიჭი ფანჯრისკენ გაემართა. მეწაღემ ფანჯარა გამოაღო. ოთახში სიგრილე შემოიჭრა. ბიჭი რაფას დაეყრდნო, მუხლებით სკამზე დაიჩოქა და ისე გაიხედა ქუჩაში. მეწაღე მიხვდა, ბიჭს ქუჩაში ყურება ესიამოვნა. გარეთ სიჩუმე იდგა. მაღალი ხეები არ შრიალებდნენ. თითქოს მაღალ ხეებსაც ეძინათ.

მეწაღე ისევ ლოკინში შეწვა. საწოლის თავთან მიდგომულ მაგიდაზე ხელი ააფათურა, პაპიროსი აიღო და გააბოლა.

მეწაღეს გაახსენდა, ამ დილით მაღალმა ქალმა რომ ჩამოაკითხა. ეს ქალი მეწაღის ძველი მეგობარი იყო და ხშირად აკითხავდა ხოლმე. ქალმა ხელი ჩამოართვა. მეწაღემ თავისი მაგარი ხელი მოუჭირა თეთრ თითებზე. ასეთი ჩვეულება ჰქონდა მეწაღეს. ქალი ეუბნებოდა, დათვი ხარ, ნამდვილი დათვიო. მაღალი ქალი და მეწაღე ხშირად დადიოდნენ კინოში. კინოდან რომ გამოვიდოდნენ, ნამალადვეს ქუჩებში დაეხეტებოდნენ. მეწაღეს უყვარდა ქუჩაში ხეტიალი, ქალს კი არ უყვარდა. უფრო წვიმის დროს უყვარდა მეწაღეს ქუჩაში სიარული. უყვარდა სველი ქუჩები, ხეები, ფოთლები და... ყველაზე მეტად სველი ასფალტი. სველი ასფალტი ახსენებდა მთვარის შუქზე მოელვარე შავ მდინარეს. აკონდებოდა მდინარის ნაპირი, წყალში მოქანავე მთვარე, მოლაპლაპე ზედაპირი და ფეხშიშველა, გამხდარი გოგონა.

როცა მეგობარ ქალთან სეირნობდა ქუჩაში, თვალწინ ედგა ფეხშიშველა გოგონა და ხშირად ფიქრობდა მასზე. ის ქალი უფრო იმიტომ იყო ძვირფასი, ფეხშიშველა გოგონას სახეს აცოცხლებდა და სიჭაბუკის წლებს ახსენებდა მეწაღეს.

სალამოს შინ ბრუნდებოდნენ. ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მერე აქრობდნენ შუქს და ისხდნენ სიბნელეში. ძალიან უყვარდათ სიბნელეში ჯდომა.

ახლა კი, როცა ბიჭი შინ ებრუნებოდა, უფრო მეტს ფიქრობდა მეგობარ ქალზე, ვიდრე ოდესმე. ბიჭმა თითქოს ყველა დარდი ერთად გაახსენა.

ბიჭმა ფანჯარა მიხურა. ფანჯრის მიღმა დარჩა უღრუბლო, ბნელი დამეტუნა ისევ წყნარი იყო.

მეწაღე პირაღმა იყო გაშოტილი. აბოლებდა, იმ ქალსა და ბიჭზე ფიქრობდა. ის წუთი გაიხსენა მეწაღემ, როცა დღეს ბიჭი პირველად დაინახა. მოწყენილი სახე ჰქონდა ბიჭს, ნაღვლიანი თვალები. მის გამოხედვაში სიმხდალის ნატამალიც არ იგრძნობოდა. სწორედ მაშინ მოუვიდა თვალში. ბავშვები ადრეც უყვარდა მეწაღეს.

„იმ მამაძაღლს რა საზიზღარი გამოხედვა ჰქონდა დღეს, — ფიქრობდა მეწაღე. — ბიჭი რომ წამოვიყვანე, ბრაზიანი მხერა დამადევნა. ნეტავ რად შეშურდა? თუმცა რაა საკვირველი, არც შვილი ჰყავს და არც არავინ. ასეთ აღამიანს ძუნწს ეძახიან. ნეტავ მეც თუ მეძახიან?“

ბიჭს თვალეები დაჭყუტილი ჰქონდა და ხედავდა, როგორ აბოლებდა მეწაღე.

„ასეთ აღამიანს ძუნწს ეძახიან, — თავის ფიქრს დაუბრუნდა მეწაღე, — უმრავლესობა მართლაც ძუნწია. ამ ბიჭს შემოდგომაზე სკოლაში შევიყვან და მერე რაც უნდათ, ის დამიძახონ. პირში კი ვერ მიუბნებია, მაგრამ ვინ იცის, რაებს ამბობენ ზურგსუკან.“

ჩაბნელებულ ოთახში ბიჭის ლოკინს ხედავდა. თეთრ ბალიშზე მზეზე გარუჯული სახე მოჩანდა.

„ხვალ ივარჯიშებს და ზეგ იმ ბიჭებს გაეჯიბრება, — ფიქრობდა მეწაღე. — ნეტავ, ბატრონი არა ჰყავთ მაც ბიჭებს? შემოდგომაზე სკოლაში შევიყვან და მერე კი აღარ გავაბედვინებ ეგეთ რალაცებს. რამე თუ ესიზმრება? სუფთა ლოკინი და ცარიელი ბოთლები მაინც აღარ დაესიზმრება...“

5

მეწაღემ ფისი მოადულა ელექტროქურაზე. დარბილებული ფისი ფეხსაცმელს ქუსლის კიდეებზე წაუსვა.

გარეთ ცხელოდა. მეწაღემ კისერი და შუბლი მოიწმინდა.

ბიჭი მთელი დღე თამაშობდა ქუჩაში. ციბრაც თან წამოეყვანა, კისერზე წვრი-

ლი თასმა მოება ძაღლისთვის. ძაღლს კი არა, მაჩვს უფრო ჰგავდა პატარა ციბრა.

გაზის გამყვანი მუშები ვეება მიღებზე ისხდნენ და შავ პურსა და ნედლე თევზს შეექცეოდნენ. შავი პური და ნედლი თევზი ყოველგვარ საქმიელს ერჩიათ ღონიერ მუშებს. ახლაც მადინად, გემრიელად ილუკმებოდნენ, ნედლე თევზს მარილს აყრიდნენ.

— შენ, ე!

მეწაღეს გამყიდველის ხმა შემოესმა. ერთი პირობა ხმის გაცემა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ლანჩას მახათი გაურჭო ზედ ძველ ნაკერზე, მერე მეორე მახათიც გაუყარა ძველი ნაკერის საწინააღმდეგო მიმართულებით. დასანთლული ძაფი გამოსწია, მაგრად მოუჭირა. ნაკერზე დასანთლული ძაფი თეთრად გამოჩნდა. დამდნარი ფისი გადაუსვა მზონავ ძაფებს ნაკერის დაყოფებაზე.

— შენ გეუბნები, ამხანაგო! — გაიმეორა გამყიდველმა.

— რა გინდა? — მოკლედ ჰკითხა, მეწაღემ.

— რა და ისა... ამ ქურდ ბიჭს რაზე ინახავ აქა?

— ეგ მე ვიცო. შენ ვინა გკითხავს?

— ერთი წუთითაც ვერ მიმიტოვებია აქაურობა.

— შენს ბუნავში დაეტიე! — მშვიდად უთხრა მეწაღემ და საქმე განაგრძო.

— ამ მხარეზე გადმოსული არ დავინახო ეგ ნაბიჭვარი.

მეწაღე აენტო, ფეხსაცმელი კუთხეში მიჰყარა.

— რას ერჩი, კაცო, ამ ბიჭს!

— მე კი არ ვერჩი, თვითონ არ მასვენებს. აბა, რად გინდა სხვისი ბიჭი, ადექი და გააგდე.

— სად უნდა გავაგდო!

— საიდანაც მოვიდა, ისევ იქ წავიდეს.

— ინტერნატია თუ რაღაცა, იქიდანაა გამოპარული.

— ვა, გამოპარული?

გამყიდველი ბურდლუნს განაგრძობდა. ბიჭმა დაღმართი ჩამოიხრბინა და სალაპარაკოდ ალესილი გამყიდველიც უცბად გაჩუმდა.

„ბიჭისა ეშინია, — გაიფიქრა მეწაღემ და გაეცინა. — მარჯვე ბიჭი ჩანს, გულადი და უშიშარი“.

ბიჭი ახლა ჯიხურის წინ იდგა ცხელ ასფალტზე. ციბრა იქვე ება, ხის ძირში. გამყიდველი თვლემდა. ბიჭმა კენჭი აიღო. ფარდულს ზურგი შეაქცია და კენჭი ისროლა. კენჭი ფარდულის თუნუქის სახურავზე დაეცა და ჭახანი გაიღო. გამყიდველმა თვალები გაახილა, დაფრთხა. გარეთ გამოვარდა და ველოსიპედზე მსხდომ ბიჭებს დაედევნა გინებითა და მუქარით.

მეწაღემ თავი გადაიქნია და ბიჭს დემუქრა. ბიჭმა ხელი ჩაიქნია. მერე ცარცით ცხელ ასფალტზე ოთხკუთხედი დახაზა. ოთხკუთხედში პარალელური ხაზები გაავლო და უფრო პატარა ოთხკუთხედებად, კვადრატებად დაჰყო.

„კარგი ბიჭია, ცოცხალი, დაუდეგარი, — ფიქრობდა მეწაღე. — უნდა დავარიგო, მოეშვას მაგ კაცს, საწყაღს თავისი სიღენჩეც ეყოფა“. ეს ბიჭი მასთან ერთ წუთსაც ვერ გაძლებდა. სხვის ბიჭს კი არა, თავის ობოლ ძმისშვილებს არ უშვებს სახლში. დაბერდეს ეგრე, უშვილოდ, მარტოდმარტო. მაგას რა ესმის. ძუნწია და შურიანი, იმიტომაც იღრინებოდა წიღან. მეწაღეს კი ყოველ საღამოს ბიჭი დაელოდებოდა შინ. ხმის გამცემი ეყოლებოდა. შავი ბიჭი დაელოდებოდა ყოველ საღამოს. შავი ბიჭი იქნება მისი ხმის გამცემიც და ახლობელი ადამიანიც. შავი ბიჭი, მზეზე გარუჯული, ცელქი ბიჭი...

ქუჩაზე გრძელი ჩრდილები იწვა, მუშები ისევ მიღებზე ისხდნენ, მზის გულზე ლიზნათს სვამდნენ.

ისევ გამოტყვრა საიდანაც მაწანწალა ძაღლი. ფარდულის წინ წამოწვა. უიმედოდ დაალო პირი და დრუნჩზე ენა გაისვა. ციბრა თავგამოდებით აყვავდა. ბიჭმა თამაშს თავი მიანება და ძაღლთან მივიდა. ძაღლმა შემოხედა, გამოჰყო ენა და ისევ ვედრებით შეხედა გამყიდველს.

გამყიდველმა დახლიდან პურის ნატეხები გადმოყარა. ბიჭმა გაკვირვებით შე-

ანზორ გვარამია
მეწაღე

ხედა გამყიდველს. გამყიდველმა ჯერ ჯიხურისკენ გაიხედა, მერე ბიჭს ხელი დაუჭინა — ჩემთან მოდიო. ბიჭმა ენა გამოუყო, დაეჭყანა და მერე მუშტი მოუღერა. გამყიდველს ახლა ლმობიერი სახე ჰქონდა, შორიდან ეფერებოდა ბიჭს.

— მოდი, შევრიგდეთ, — ხმადაბლა გადმოსძახა გამყიდველმა.

ბიჭი გაბრაზდა და უხეშად უპასუხა გამყიდველს. მეწაღემ თავი ასწია და დაინახა, ძალი გახმარ პურს ლოღინდა, გაჭირვებით ხრავდა და თან იღრინებოდა.

მალაღმა ქალმა მოაკითხა მეწაღეს, ჯიხურში შემოვიდა და ყუთზე ჩამოჯდა. მერე ფეხსაცმელი გაიძრო ქალმა. მეწაღემ შენიშნა, როგორ ეზარებოდა ქალს შიშველი ფეხის იატაკზე დადგმა. მეწაღემ ქალის ფეხსაცმელს გაცვეთილი ქუსლი მოაძრო და ახლის გაკეთებას შეუდგა. მეწაღე უყურებდა ქალის შიშველ ფეხებს და მუხლზე შემოტმანსულ კაბას.

ამ დროს ბიჭმა შემოიხედა ჯიხურში და მეწაღე მოულოდნელობისაგან დაიბნა. რატომღაც შერცხვა და გაწითლდა კიდეც, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

6

ცხელოდა. ქუჩაში ხეების გრძელი ჩრდილები ეფინა.

საკაჭრო წერტის გვერდით, ჭიშკრის მიღმა გოგონა იდგა. გოგონას ჭიშკრის ლატანებში გაეყო თავი და ქუჩაში იხედებოდა.

ბიჭი ქუჩაში დახტოდა... ხანდახან აღმაცერად გახედავდა ჭიშკართან მდგომ გოგონას. გოგონა გამხდარი ჩანდა, ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა.

ბიჭი თავისთვის ერთობოდა და ცალი თვალი მისკენ ეჭირა.

ცა ძალიან ლურჯი იყო, მალაღი, ნათელი.

ბიჭი ხედავდა ხის ტოტებზე მოყვივივე ჩიტებს. დიდი ფრინველები მალლა, ცის ლაყვარდში ჰკრავდნენ ირაოს.

მკლავებდაკაბიწებული გამყიდველი დახლთან იდგა და ზიზღით გასცქეროდა

ქუჩაში მოთამაშე ბიჭს. ეტყობოდა, ნერვებს უშლიდა მისი ხტუნვა და თამაში.

ბიჭი ხეს მიეყრდნო. ჭიშკართან ისევ იდგა პატარა, თეთრი გოგონა. გოგონას ბიჭივით შეკრეჭილი თმა და ჭკვიანი, ღრმა თვალები ჰქონდა.

გამყიდველმა ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები გამოიტანა გარეთ. ბიჭმა ყუთებს შეხედა და ცარიელი ბოთლები დაინახა.

ყველაფერი დაავიწყა გარეთ გამოდგმულმა ყუთებმა. ცარიელი ბოთლების დანახვაზე ბიჭი მოსვენებას ჰკარავდა ხოლმე, თავს ვერ იკავებდა. უმალ გაახსენდებოდა რეზინის ბურთი და წითელი ველოსიპედი, უბნის ბიჭებს რომ ჰქონდათ, ისეთი. ყველაზე მეტად კინო ახსენდებოდა. ყველაფერი თვალწინ გაურბენდა ცარიელი ბოთლების დანახვაზე: გრძელი, უსასრულო ლიანდაგები. დიდი, უშველებელი მატარებელი, ხალხით სავსე ვაგონები. რომელიღაც კუბეში გარმონის ჭყიპინი. ცაზე პატარ-პატარა ღრუბლები, ფერმკრთალი, მსუბუქი ღრუბლები. დიდი მთვარე. სველი მინდვრები. შორს პურის ყანები, უფრო შორს მალაღი მთები. მგზავრების შეშინებული თვალები, ზორბლების რახრახი და ნაღვლიანი მუსიკა. უცბად... აფეთქების ხმა, გუგუნე, ზანზარი, ცეცხლის წითელი ზოლები. მერე, ცოტა ხნის მერე, დაღწევილი ვაგონები. მდინარეში ჩახერგილი ხიდის ნანგრევები. ისევ სველი, თვალწინ მინდვრები. პატარ-პატარა ღრუბლები და დიდი, ძალიან დიდი მთვარე. ისევ ნაღვლიანი მუსიკა და უსასრულო ლიანდაგები უმატარებლოდ...

ახლაც კინოზე, რეზინის ბურთსა და წითელ ველოსიპედზე ფიქრობდა ბიჭი. მისი გულისყური ცარიელმა ბოთლებმა შებოჭა და გასაქანს აღარ აძლევდა.

„რამე არ აუტეხოს ამ ბიჭს. ეტყობა, რალაც მახეს უგებს“, — გაიფიქრა მეწაღემ.

ბიჭი ყუთზე არხეინად ჩამოჯდა. მეწაღე გუნებაში გაბრაზდა.

— მოდი აქ! — დაუძახა ბიჭს.

ბიჭი წინ დაუდგა მეწაღეს. თავი არ

ჩაულუნავს, ამაყად შეხედა, თვალი გაუსწორა. მეწაღემაც არაფერი აგრძნობინა, ფული ამოიღო ჯიბიდან და გაუწოდა. ბიჭი ფულს დაატკეპრდა. თვალეზმა სიხარული ვერ დამალეს: წითელი ფული იყო, მოხატული და ტკიცინა.

— პური და ძხვები იყიდე. ხურდა უკან მომიტანე. მალე მოდი, იცოდე. აბა გაიქეცი!

ბიჭი გაიქცა.

თავდაღმართზე გარბოდა ბიჭი. ფული მუჭში ჩაედო და თავგამოდებით გარბოდა. ოთხად გაკეცილი ფულის წვეტები ხელისგულზე ჩხვლეტდა. ეს სიამოვნებდა და ხელს უფრო მაგრად უჭერდა.

მალაზიის წინ შედგა. ვიტრინაში შეიხედა. ბიჭს მოეჩვენა: იქვე მდგომი დიდი ბიჭები ცბიერად უთვალთვალებდნენ და ფულის წართმევის გეგმას აწყობდნენ.

დახლთან რიგი იდგა. ქუჩის მეორე მხარეს, კინოს საღაროებთანაც დიდი რიგი იყო. იმ მხარეზე გადავიდა. კინოს ლამაზმა რეკლამამ მიიზიდა.

ხალხში თითქოს ვიღაცის ნაცნობმა სახემ გაიღვია. წამით გაიღვია და ისევ გაქრა. მომეჩვენაო, გაიფიქრა ბიჭმა.

კინოს შენობის უკან პატარა ბაღში შევიდა. გრილ ბალახზე წამოწვა. ჩრდილი და ბალახის სიგრილე ეამა ბიჭს. მერე უცბად წამოხტა, ისევ ის ნაცნობი სახე გაახსენდა და სახეზე სიწითლე გდაურბინა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქციულიყო. ბიჭს თავის სიცოცხლეში პირველად დაეუფლა შიში.

უცბად ნაბიჯის ხმა გაიგონა. ნელა გაიხედა... მეწაღე წამოდგომოდა თავზე! ახლა კი მიხვდა, კინოსთან ნაცნობ სახეს რომ მოჰკრა თვალი... ბრაზი ყელში მოეზუნა. ფული დაჭმუჭნა და მეწაღეს მიუგო.

მეწაღე ბაღის ბოლოში ძლივს დაეწია გაქცეულ ბიჭს.

მეწაღემ არც ძხვები იყიდა და არც არაფერი. ბიჭი უფრო გააბრაზა მეწაღის საქციელმა. ქუჩაში მიაბიჯებდნენ და ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ.

მერე საღამო მოვიდა. მეწაღე და ბიჭი მომდურებულებივით ისხდნენ ჯიბურში.

დილით ადრე ადგა მეწაღე.

ბიჭს ისევ ეძინა. ლოყები და შუბლი გაოფლიანებოდა.

მეწაღემ კოჭს ძაფი მოაწყვიტა. ბიჭის ლოგინთან მივიდა და ტერფს დაატოლა ძაფი, ფეხის ზომა აიღო. მერე ფანჯრები გამოაღო. დილის ნისლში გამოჩნდა გორაკი, ეულად მდგომი სახლი და უფრო შორს — რუხი, მოტიტვლებული მთა.

მეწაღემ პატარა წერილი დაწერა: როცა ადგები, ხელ-პირი დაიბანე, ნავთქურაზე რძე მოადლე, პური კარადაშაო.

სამხარეულოდან ცარიელი ბოთლები გამოიტანა და ბიჭის საწოლთან იატაკზე ჩუმად დადგა, უხმაუროდ. ბიჭს ისევ ეძინა, ტურები მოკუმული ჰქონდა.

ბიჭი გვიან ადგა. იატაკზე ბოთლები რომ დაინახა, შემფოთდა. არ იცოდა, სად იყო, სად ეძინა. მერე გამოერკვა და ყველაფერი გაიხსენა. მაგრამ ეს ბოთლები საიდანაა?! ვინ მოიპარა ეს ბოთლები?! ბიჭი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ზიზლით გადახედა ბოთლებს. რატომღაც დიდი სირცხვილი იგრძნო. ადრე, ცარიელ ბოთლებს რომ იპარავდა, არასოდეს უგრძენია ასეთი სირცხვილი.

გაბრაზებული იდგა. სახე და თვალეზი ეწვოდა. გუშინდელი დღე დაუდგა თვალწინ. ცარიელ ბოთლებს ფეხი გაჰკრა და იატაკზე ჭახუნით გააგორა. მერე ზიზლით ზედ დააფურთხა და რაღაც დაიყვინა. მოეჩვენა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, დასცინოდა, არცხვენდა.

კიდევ ამოჰკრა ფეხი ცარიელ ბოთლებს და იატაკზე მიმოჰფანტა, შერცხვენილი, დამცირებული იდგა და ბრაზისაგან ცახცახებდა. ყურები უწიოდა. ეჩვენებოდა, რომ სადღაც ახლოს მეწაღე იდგა და ეუბნებოდა: ფული თუ გინდოდა, ვერ მითხარიო? ბიჭი გარეთ გამოვიდა და პირის დაბანა დააპირა. როცა კიბეზე აღიოდა, ისევ ააწრიალა ფიქრმა. ყველგან მეწაღე, გუშინდელი დღე და იატაკზე დაგორებული ცარიელი ბოთლე-

ანზორ გვარამია

მეწაღე

ბი ელანდებოდა და ბრაზი მოსდიოდა. მეწაღე კი ჯიხურში იჯდა და მთელი დღე ელოდა ბიჭს. რკინის ფანჯრის მიღმა ქუჩა ხმაურობდა, მაგრამ მეწაღე თავს არ იღებდა.

ბიჭი არა ჩანდა. მეწაღე ისევ ელოდა. „რამე ხომ არ შეემთხვა, გუშინ გამებუტა და ვინ იცის, იქნებ“...—მაგრამ მეწაღემ მალე მოიშორა ეს აზრი. არაფერიც არ შეემთხვეოდა.

მსუბუქმა მანქანამ გაიარა, აღმართისკენ აიღო გეზი. ძველი იყო, მთლად დაფეხვილი და ბიჭებმა დამცინავი ყიჟინით გააცილეს.

ბიჭის ცალი ფეხსაცმელი უკვე მოათავა მეწაღემ. შეიძლება დღეს სულაც არ ჩამოაკითხოს ბიჭმა. ვინ იცის, იქნებ რამე საქმეს მოჰკიდა ხელი, საღამოს შინ დაბრუნებული მეწაღე მოულოდნელად რომ გაახაროს.

აგრძელდა, ცა თანდათან გამუქდა, მერე თხელი, სიფრიფანა ღრუბლებით დაიფარა.

ჯიხურში იჯდა ხანში შესული კაცი და ერთი წუთითაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ბიჭს შეეძლო... ბევრი რამე შეეძლო ინტერნატიდან გამოპარულ ბიჭს. შეეძლო გაეტეხა კარადის უჯრები, წაეღო ფული, ძველი ობლიგაციები და სხვა რამეებიც.

ბიჭი არც საღამოს გამოჩენილა.

ჩვეულებრივზე ადრე გამოკეტა მეწაღემ ჯიხური. იქაურობა არ დაულაგებია.

ეზოს კარი შეაღო. სახლიდან ძაღლი გამოიჭრა. და ფეხებში გაებლანდა.

მეწაღე ოთახში შევიდა და ბიჭს ერთ-ორჯერ ხმადაბლა დაუძახა. ხმა არავის გაუცია. იატაკზე ცარიელი ბოთლები ეყარა. აბურდულ საწოლზე მეწაღის პერანგი ეგდო. ბიჭს თავისი ძველი მაისურა ჩაეცვა და ისე წასულიყო. მეწაღემ ყუთები დაძებნა, კარადის უჯრებიც გასინჯა. ყველაფერი თავის ადგილას იდო.

„ჩემი ბრალია. გუშინდელს მერე თვალს ვერ მისწორებდა“, — ფიქრობდა მეწაღე.

შინ რა გააძლებინებდა! სწრაფად დაუყვა თავდაღმართს.

8

ქარმა დაუჭროლა დასიცხულ ხეებს. მერე ცა მოიქუფრა. კიდევ დაუბერა ქარმა უფრო მძლავრად. მერე წვიმა წამოვიდა.

მეწაღე თავის ჯიხურში იჯდა გაშეშებული, სახე ხელისგულზეში ჩაემალა, თითქოს თვლემდა. ესმოდა, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები ტროტუარსა და ტოლის სახურავზე.

პაპიროსი პირში ჩაიდო. მერე ასანთს გაჰკრა. არ აენთო. ასანთის ბოლო თმაზე გაისვა, მაგრად გაახახუნა და გაჰკრა. გააბოლდა.

ჯიხურის კუთხეში ცალი ფეხსაცმელი ეგდო. მეორე ფეხსაცმლის ლანჩაც გამოეჭრა მეწაღეს. ეს ლანჩაც იქვე ეგდო. მოწყენილი იყო ჯიხური, მხოლოდ პაპიროსის კვამლი და სინესტე იდგა შიგ.

ასფალტზე დახაზული ოთხკუთხედები თანდათან ქრებოდა. მეწაღეს გაახსენდა, ამ ოთხკუთხედებზე ბიჭი „კლასობანას“ რომ თამაშობდა გუშინ და გუშინწინ. ბიჭის თამაში აცოცხლებდა ქუჩას, მყუდრო ჯიხურს და მეწაღეს.

მეწაღემ წუთით ჩათვლიმა. დაეისმრა, ვითომ ომში იყო. მინდორი შავ, სქელ ბოლს დაეფარა. უჩვეულო ზან-ზართითა და გრიალით მოდიოდნენ ტანკები. თვითონაც ტანკში იჯდა. მინდორზე მოჩანდა ტანკებს ამოფარებული ჯარისკაცები.

როცა თავი წამოსწია, გარეთ ისევ წვიმიდა.

ჯიხური დაკეტა და აღმართს შეუყვა. გზაზე ხეს მიეყრდნო და ცოტა ხანს სველ ქუჩას უყურა. ის ადგილი მოათვალეირა, ბიჭი რომ დახტოდა ყოველდღე. ცალი ფეხით დახტოდა, მოზომილად, ხაზს რომ არ გადასცდენოდა. მშვენიერად ერთობოდა. კარგი ბიჭი იყო საერთოდ.

უკან რომ მიიხედა, ისევ დაგმანული ფარდული დაინახა. ფარდულის გვერ-

დით ყუთები აღარ ეწყო. იმ ადგილას, სადაც ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები ელაგა, წვიმის წყალი მოჟონავდა.

ქუჩაში მიაბიჯებდა წვერგაუპარსავი, მაღალი მეწაღე. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ისე მიაბიჯებდა სველ აღმართზე დინჯად, აუჩქარებლად. სახეში სცემდა ზაფხულის მშვიდი და სასიამოვნო წვიმა, წვიმის წყალი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე, წვერიან ღოყებსა და ნიკაპზე. ზაფხულის სასიამოვნო წვიმა უსველებდა გაღლილ მკერდს, ღონიერ ხელებს და გრძელ ფეხებს. წვეთები ეცემოდა ყველგან, მხრებზე, კისერზე... მიდიოდა და მზეზე გარუჯულ ბიჭზე ფიქრობდა. ისევ ასხამდა ზაფხულის წვიმა.

შინ გვიან დაბრუნდა, ფანჯრებს მიღმა ისევ წვიმდა. მეწაღემ თვალი მოჰკრა თავის პერანგს, ცარიელ ბოთლებს, აბურდულ ღოგინს... იგრძნო, ოთახში ძალიან ციოდა.

გვიან საღამოსაც წვიმდა.

მეწაღე ხშირად იღვიძებდა და ბიჭზე ფიქრობდა.

მერე ადგა და გარეთ გამოვიდა. ეზოში ისევ წვიმდა და ქუჩაზე ღვარი მოდიოდა.

მეწაღეს ფიქრი არ ასვენებდა. „იქნებ ინტერნატში წავიდა. ხვალ წა-

ვალ და ყველაფერს მოვუყვები. ვეტყვი, ვთხოვ“... — თავის თავს ეუბნებოდა მეწაღე.

ისევ წვიმდა. მეწაღე წვიმის ხმაურს აღარ უგდებდა ყურს.

...მეორე დღეს გამოიღარა. ქალაქის ქუჩები მზით იყო განათებული. სავაჭრო ფარდულთან მუშტრები იდგნენ და ცივ ლუდს სვამდნენ. ნელ-ნელა სვამდნენ, თან თხლად დაჭრილ ძეხვსა და პურის ნაჭრებს ატანდნენ.

ისევ ცხელოდა. უბნის ბიჭები ტოტებ-გაშლილი ხის ძირში ისხდნენ და გატაცებით ლაპარაკობდნენ ფეხბურთზე, კინომსახიობებსა და უბნის ამბებზე.

ბიჭივით თმაშეკრეჭილი თეთრი გოგონა ქუჩაში გამოვიდა. გოგონას გარღვეული სანდლები ეჭირა ხელში. ჯიხურთან შეჩერდა. ჯიხურს ბოქლომი ედო. კარზე ქალღი იყო მიწებებული. გოგონამ ხმამაღლა დამარცვლა ქალღიზე მიწერილი სიტყვები: „წავედი საქმეზე“.

გოგონას გაუკვირდა. ასეთ დროს მეწაღის ჯიხური არასოდეს დაკეტილი არ ყოფილა.

ანზორ გვარამია

მეწაღე





რედაქციის "ოქრე" - სათავე

სათავედასავლო რომანი

დღეს არ იყო და ხვალ იყო, წყალმა ნაფოტი გარყოს

1920 წელი. შემოდგომა.

ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ხელისუფლებას სათავეში საბჭოები ჩაუდგნენ.

საქართველო სოციალისტური რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა.

მაშინ, როდესაც ყოველდღე მოსალოდნელი იყო საყოველთაო სახალხო აჯანყება, როცა წითელი რუსეთი და სხვა მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები ქართველ ბოლშევიკებს ძმურ დახმარებას აღუთქვამდნენ, განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა არ იყო საჭირო, რომ მთავრობის მეთაურნი მიხვდარიყვნენ, ჩვენი დამხობა გარდუვალიაო. მაგრამ ისინი ვზაბნეულ მომხრეებს ილუზიებით ჰკვებავდნენ და ხალხს უფრო მეტად ემიჯნებოდნენ.

კომუნისტური პარტიის ლეგალური ორგანიზაციები ყველა მაზრაში დახურეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრები დააპატიმრეს.

ყოველ ახალ დღეს ახალ-ახალი, შემადრწუნებელი ამბები მოჰქონდა. ახალციხეში დახვრიტეს ოცდაექვსი ჯარისკაცი, რადგან აჯანყებულ გლეხებს ტყვია არ ესროლეს.

ყველა ჯურისა და ყველა კუთხიდან გადმოსხვეწილი თეთრგვარდიელთა რაზმები საქართველოში პოულობდნენ თავ-

შესაფარს. აქ ისინი საბრძოლო წვრთნას გადიოდნენ და თავიანთი უკანასკნელი ჯაფშნის, ვრანგელის დასახმარებლად ყირიმში მიემგზავრებოდნენ. მათ მეთაურობდნენ ისეთი თავგზებულადებული ავანტიურისტები, როგორებიც იყვნენ შკურო, დრაკენკო, ერდელი.

საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მებრძოლთა დასაყრდენ ბაზად გადაიქცა. ვის არ ნახავდით აქ: მთიელთა ხელშემწყობ კომიტეტს, კავკასიის სამეიროს წარმომადგენლებს, მუსავატურ და დამნაკურ „მთავრობებს“, თერგის გათავისუფლების კომიტეტს. ყველა ამათი შენახვა საქართველოს გადატაკებულ ხალხს მძიმე უღლად აწვა.

მენშევიკები კარგად გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოებას, მაგრამ ფსადაკარგული სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არაფერს არ ზოგავდნენ. ისინი თვითმპყრობელური რუსეთის აღდგენაზეც არ იტყოდნენ უარს, ოღონდ გაბედულად წინ მიმავალი საბჭოებისათვის გზა გადაეღობათ.

მენშევიკური მთავრობის სწორედ ასეთმა განწყობილებამ გამოიწვია 1920 წლის 18 ოქტომბრის სამარცხვინო გადაწყვეტილება ბათუმის ინგლისისათვის გადაცემის შესახებ.

უპატრონო ცხვარი ზამთარშიც იკრიჭებაო: შავი ზღვიდან, როგორც მძორთან ტურებმა, თავი ამოჰყვეს საფრანგეთის მისიის მეთაურმა შევალემ და აღმი-

რალმა დიუმენილმა. ისინი აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედს იძლეოდნენ, საქართველოს მთავრობას გარეშე მტრისაგან დაცვის გარანტიას სთავაზობდნენ.

საფრანგეთს არც ინგლისი ჩამორჩა, ამედებდა და დახმარებას აღუთქვამდა მენშევიკებს.

ქემალისტური თურქეთიც დიდი ინტერესით ეკიდებოდა კავკასიას. მათ ხალხი კი არა, ამ ქვეყნის მთები, ტყეები, მდარეოები იზიდავდა.

საქართველოს ნავსადგურებში იმატა ანტანტის სამხედრო გემების რიცხვმა.

დასავლეთს მენშევიკები საფრთხობედ აღიყენებდნენ, ამით წითელ რუსეთს ეუბნებოდნენ, საიმედო მოკავშირენი გვეყავსო. დასავლეთი უფრო მეტად დაფაცურდა მას შემდეგ, რაც ყირიმში ვრანგელი დამარცხდა, ხოლო კავკასიაში სომხეთმა და აზერბაიჯანმა მათთან მეგობრობას საბჭოთა რუსეთთან კავშირი არჩია.

მენშევიკური საქართველოს „პოლიტიკოსებმა“ აღმოსავლეთის სოციალისტებს დასავლეთის იმპერიალისტები აშჯობინეს და საბოლოოდ თავისი ბედი ანტანტას დაუკავშირეს.

ბაქოს ნავთსა და ყუბანის პურს მოკლებული საქართველო სულს დაფავდა. ხალხი ჩრდილოეთიდან ელოდა სხნას.

დასავლეთი დიდ მიზნებს ისახავდა. ის შავი ზღვის კარს — კონსტანტინეპოლს ფხიზლად დარაჯობდა და არც საქართველოს ტერიტორიიდან აპირებდა ფეხის მოცვლას. აქედან სურდა კავკასიიდან ბოლშევიკების განდევნა და აღმოსავლეთის კოლონიებისაკენ მიმავალი პირდაპირი გზის შენარჩუნება.

საქართველოს ბედი ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა.

ინგლისელებისა თუ ფრანგების, გერმანელებისა თუ იტალიელების იმედით გათავგებებული „დემოკრატიული“ საქართველოს მესვეურები არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ ხალხი მორჩილებაში ჰყოლოდათ.

ქართველმა კომუნისტებმაც გადაწყვიტეს, ძალადობაზე მედგარი ბრძოლით ეპასუხნათ და საყოველთაო სახალხო აჯანყებისათვის სამზადისს შესდგომოდნენ. მიუხედავად სასტიკი ტერორისა, ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აფხაზეთშიც გააცხოველეს მუშაობა. 1920 წლის შემოდგომისათვის აფხაზეთში ჩამოყალიბებული იყო და აქტიურ მუშაობას ეწეოდა პარტიის როგორც საოლქო, ისე სამაზრო და რაიონული კომიტეტები. სოფლებში ბოლშევიკური უჯრედები მოქმედებდნენ, ხალხს აჯანყების აუცილებლობაში არწმუნებდნენ.

მენშევიკური დამსჯელი რაზმები აშკარა შეტევაზე გადავიდნენ. ერთ საღამოს კომუნისტური პარტიის სოხუმის კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, ამათგან ოცი კაცი სიკვდილით დასაჯეს. ამ სისხლიანი ტერორის საპასუხოდ აფხაზეთის ყველა რაიონში შეიქმნა საბრძოლო პარტიზანული რაზმები. შეიარაღებულ ჯგუფებს სათავეში ჩაუდგა პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

უნდა ითქვას, რომ დროც ქართველი ბოლშევიკების მხარეზე იყო. იმხანად რუსეთში ინტერვენტებში და თეთრი გენერლები საბოლოოდ განადგურებული იყვნენ. ევროპაშიც რევოლუციური მოძრაობა ღვივდებოდა. მანამდე ინგლისი თუ საქართველოს „დაწყობა-დალაგებაზე“ ფიქრობდა, ახლა საკუთარი სახლის ქერი ენგრეოდა თავზე. ბრიტანეთის ლომი მიხვდა, რომ ამიერკავკასიაში აღარ გამოდგებოდა პოლიტიკა — სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ, გააწვეინეო, და შავი ზღვით კონსტანტინეპოლისკენ დაიძრა.

კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტმა პარტიზანული შენაერთები აფხაზეთის ტერიტორიაზე ისე განალაგა, რომ საჭიროების დროს აჯანყებულ ხალხს სათავეში ჩასდგომოდნენ.

ორდე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

დათა ბუკიას რაზმსაც, ახლა უკვე ასამდე კარგად შეიარაღებული მებრძოლისაგან რომ შესდგებოდა, ებრძანა, სოფელ სამუხაოში დაბანაკებულიყო და სანამ სახალხო აჯანყება არ იფეთქებდა, დრანდისა და ახალი ათონის მიდამოებში დაბანაკებული სახალხო გვარდიელები-სათვის მოსვენება არ მიეცა.

საოლქო კომიტეტის განკარგულების თაობაზე დათას კრინტიც არ დაუძრავს, სანამ შებინდებისას რაზმი სამუხაოსკენ მიმავალ გზას არ გაუყენა. მთელი ღამე ყამირ გზაზე და ორღობებში იარეს. ინათა და რაზმი ტყეს შეეფარა. ჯერ ცხენებს აჰამეს, მერე თვითონ შენაყრდნენ. დაისვენეს, გამოიძინეს.

დაღამდა. რაზმმა მზვერაგები გაიძლოლია. თეთრ ულაყს მიაგეღვებდა დათა. ბეღაურის ჩქარი და მსუბუქი ნაბიჯი რაღაცნაირად მედიდური და ღირსებით აღსავსე იყო. მეთაურიც ზედდაბადებულ იგივე იჯდა რაზმზე. ვინ იტყოდა, უნაგირზე ასე წელგამართულად მჯდარმა კაცმა ფეხი რომ გემზანზე აიდგა და ნობოქარ ზღვასთან ქიდილში დაგაჭკაცდა. ბუკიას ხოჭოსფერი, გრძელბეწვიანი ნაზადი ჰქონდა მოგდებული. თივთიკის ნაცრისფერი ყაბალახი თავზე აფხაზურად შემოეხვია და მისი თეთრი ფოჩი ღამაზად შეკრეშელ წვერ-ულვაშს ეთამაშებოდა. დათა ოდნავ გამხდარი ჩანდა, მაგრამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. კიდევ უფრო ცოცხალ მიმზიდველ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა და გარემოს ისე ზვერაგდა, თითქოს რაღაცას ეძებს ან ვიღაცას მოეღისო. ზღვამ თუ შეუბოვარი, გულფიცხი და მუსტმავარი გაზარდა სოფლის ანცი ბიჭი, მადლიანი აფხაზეთის ტყესა და მთებს, მუღამ განსაცდელის მოლოდინსა და იმ პასუხისმგებლობის გრძნობას — ბევრი ადამიანის ბედ-იღბალი მამარიო, იგი უფრო დინჯი, უფრო წინდახედული, ფრთხილი და თვინიერი გაეხადა.

მეთაურს გვერდით მოჰყვებოდა შავ ტაიჭზე ამხედრებული, მისი განუყრელი ძმაკაცი, ფიცხი აფხაზი სესრყვა. აფხაზსაც კოხტად მოეგდო ნაზადი, მასაც თა-

გი ყაბალახით წაეკრა და შავი ტაიჭის კოხტა თავ-კისერს დათას ცხენის გავას არ აშორებდა. ბუკიას მსგავსად სესრყვა-საც რუსული მოკლე კარაბინი ხმალივით ეკიდა ნაზადქვეშ.

მეორე მხარეს კორტა მოჰყვებოდა რაზმის უფროსს. კორტა-შკიპერს შავი მაუდის ბრჭყვიალა წინაფერიანი ქუდი ესურა. მხარბეჭიან ვაკაცს შეგნოდა მეზღვაურის შავი ქურთუკი და ჩექმებში ჩატანებული ტოტებგანიერი შავი შარვალი. კოსტა კორტას ნაყვავილარ სახეზე მოუშორებელი ღიმილი ეფინა. მეზღვაური ოქროსფერ ბეღაურზე ღაღად იჯდა და ცხენს მინდობილს თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს რაღაც სანატრელისკენ მიილტვისო. იქნებ დანისლული ვაკე-ხეობა აგონებდა სანუკვარ ზღვას, გარიჟრაჟზე მცირე ხნით აღმასივით რომ გაუფერულდება ხოლმე; იქნებ ევრი ედგა თვალწინ — ღამაზი, გამრჯე და კეთილი ბერძნის ქალი. იქნებ მომავალი უფესებდა გულს სიხარულით. იქნებ იმას ოცნებობდა, მთიდან ბარში რომ ჩავალ, ზღვის ტალღებს შევეჭიდებო.

— სესრყვა, — გაისმა მეთაურის ხმა. აფხაზმა ტაიჭს ქუსლი ჰკრა, დათას ცხენს გაუსწორდა.

— ღუდა ჩიქა გუშინ დილით მოვიდა რაზმში?

— დიახ, დილით.

— ვერ მოვასწარი ჯამუს ამბავი გამომეკითხა, იქნებ სხვა რამეც იცოდეს... — ერთ ხანს უხმოდ იარეს. მერე ისევ ბუკიამ დაარღვია სინჩუმე. — ვაჰანის ოცეულშია, არა?

— ვაჰანის.

— დამიძახე, მოვიდეს ჩემთან.

— ვაჰანი?

— არა, ღუდა.

სესრყვამ ცხენი სწრაფად შეაბრუნა და გაქუსლა.

— იმ ჭაბუკს თუ იცნობ კარგად? — ჰკითხა მეთაურს კოსტამ ხმადაბლა, ცხენს აურჩქარა, დათას დაუმხარდამხარდა.

— ვიცნობ. მაგრამ ვინ იცის, გულში... თუმცა ისიც საკმარისია, ჯამუს ძმა რომ არის.

— ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც.

— მართალი ხარ, მაგრამ რა ნახე მავ ბიჭში ასეთი? — დათამ ცხენს სადავე აუწია, ნაბიჯი დაუმოკლა, ყურადღებაგამახვილებულმა თანამგზავრს შეაფლო თვალი.

— მე არაფერი, შენ არ მითხარი, ეგ ბიჭი თორიას როგორ გადაურჩაო?!

— ვინც თორიას გადაურჩებო, განა ყველა საექვოა?! — ისევ აუჩქარა დათამ ულაყს ნაბიჯი, ჩაფიქრდა.

მალე სესრყვა და ღუდა წამოეწივნენ. ჩიქა მოგვეარე, უთხრა აფხაზმა მეთაურს, ცხენი განზე მიაბრუნა, დათასთან ადგილი ღუდას დაუთმო.

მეთაურს არც კი შეუხედავს ახალმოსული სათავის, სადავე კეხის თავზე ჩამოდგა, ერთ ხანს თამბაქოს ახვევდა ფიქრებში გართული, მერე აღვირი აკრიბა და ღუდას გადახედა.

— რამდენი წლისა ხარ, ღუდა?

— ოცდამეერთეში გადავდგი ფეხი, ჩემო ბატონო! — ცხენი ახლოს მოსწია, მეთაურს გაბედულად ჩახედა თვალებში. თუმცა შემოდგომის საგვე მთვარე უღრუბლო ცაზე ნათლად კაშკაშებდა, ვაკეხეობის გრძელი გზის პირას მაღალი მთის ჩრდილი იწვა და მიწას აბნელებდა. დათას თავი ჩაექინდრა და თემშარას უხმოდ მიჰყვებოდა, მაგრამ ჭაბუკის სიმშვიდე არ გამოჰპარვია. რამ აფიქრებინა კოსტას ამ ვაკეცხე ცუდი რამეო, უთხრა გულმა მეთაურს და თან: ავი განზრახვით მოსული ასეთი ახალგაზრდა ასე თამამად, გაბედულად თავს ვერ დაიჭერდაო, იფიქრა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, რომ ჩვენი ქვეყნის გაჭირვება შეიგნე და ჩვენთან მოხვედი, — შპალერის ქალაქში შეხვეული თამბაქო დათას ტუჩებზე აუბრიალდა. — ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, — მწარედ გადააფურთხა და სიგარა თხრილისაკენ ისროლა. — კიდევ კარგი, წვერ-ულგაში არ შემიტრუსა, — დასძი-

ნა და ისევ ჭაბუკს მიუბრუნდა: — ჯამუსი რა იცი? თორიასთანა თუ ციხეში გადაიყვანეს?

— ციხეში უნდა იყოს. ციხეში დააქვს საჭმელი და საცვლები ცოლს, — უპასუხა გაბზარული ხმით ღუდამ.

— შენც იქ იყავი იმ ღამით?

— სად?

— ჯამუსთან, როცა დააპატიმრეს? — ჰკითხა დათამ, ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა და გაფიცებულს დაუყვავა.

აიღეწა, წამოჭარხლდა ჭაბუკი, ცხენს გზისპირისკენ უბიძგა, მთვარის შუქს გაექცა, ხმა არ ამოიღო. კოსტა გაფაციცდა, თვალი უნდოდ გააყოლა ჭაბუკს.

— შენც ჯამუსთან იყავი იმ ღამით? — უთხრა ახლა კორტამ.

— ჰო, ვიყავი, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა და სახეზე ხელი ისე ჩამოიხვია, თითქოს ოფლმა შეაწუხაო.

— მერე ამოშპრე, შე კაი კაცო! — გულისწყრომა ვერ დამალა კოსტამ.

— იქნებ დაღლილია, რა მოხდა მერე! — დათამ მეგობარს უკმაყოფილოდ შეხედა, უნდოდა ენიშნებინა, მე მაცაღეო, მაგრამ ვერ მოახერხა: ღუდა სახეში მიშტერებოდა.

— დიახ, ვიყავი, სწორედ იმ საღამოს მივედი სანახავად. — ახალგაღვიძებულივით წამოიძახა ჩიქამ და მთის ჩრდილიდან გამოსულმა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა.

— რა უნახეს?

— პროკლამაციები.

— ეგ ვიცი. თუ კიდევ სხვა რამე...

— მარქსისა და ლენინის წიგნები ჩადეს ზურგჩანთაში.

— თორიაც იყო, არა? — იკითხა დათამ.

— დიახ, იყო ის წყეული.

— რა გითხრა, ბოდიში ხომ არ მოგიხადა შეწუხებისთვის?! — ვერ მოითმინა კოსტამ.

— ასეთი ზრდილობიანი კაცია თორიაც? — ჩაიცინა ღუდამ.

ორდღე ღებუბიე ჩაძირული „თოლია“

— ეგ შენ უნდა იცოდე, ბიჭო, — ისევ უკბინა კოსტამ და თვალი დათასკენ გააპარა, ხომ არ ბრაზობსო.

— რატომ უნდა ვიცოდე მე?! — გულსწყრომას ვეღარ მაღავდა ღუდა, ხმა უკანკალებდა, თავაწულებმა ცხენს აუჩქარა. ახლა მეთაურის ცხენის თავი ჩიქას ბედაურის გავას უსწორდებოდა.

კოსტას არაფერი უთქვამს, მშვიდად იჯდა უნაგირზე და გზას დინჯად გაპყურებდა.

— მაგ ქარაგმებისა არაფერი მესმის, რეიზო! იქნებ გამაგებინოთ, იქნებ მითხრათ პირდაპირ, — ახლა ღუდა გამომწვევი კილოთი ელაპარაკებოდა კოსტას, უნდოდა მეთაურისთვის გაესწრო, კოსტას გვერდით გაპყლოდა და თუ კიდევ... მაშინ იქნებ საერთოდ ხელი ჩაექნია ამ ისედაც ხელჩაქნეულ სიცოცხლეზე, მაგრამ დათასი ერიდებოდა, კიდევ წინ წასვლას ვერ ბედავდა.

— კოსტას აინტერესებს, შინ დაგტოვა, თუ სოხუმში ჩავიყვანა... — დათამ შეურაცხყოფილი ჭაბუკის დაშოშმინება სცადა.

— იმ დამით არ წავუყვანივარ, მაგრამ... მერე მეორე დღისთვის დამიბარა, საქმე მაქვს შენთანო...

დათამ ყური ცქვიტა.

— იყავი მეორე დღეს? — უცებ ჰკითხა კოსტამ.

— განა ერთხელ? — იყო პასუხი, მწარედ, მოურიდებლად ნათქვამი.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა დათამ და ვიწრო ბოვას მიადგა. ცხენს ქუსლი ჰკრა, წინ წავიდა. რაზემელებმა სათითაოდ იწყეს გადასვლა ბოვაზე.

— მერე, მერე რაო, რას გეუბნებოდა გიორგი? — ჰკითხა მშვიდად მეთაურმა, როცა ღუდა წამოიწია.

— პროკლამაციებს თუ ავრცელებდი სოფელშიო. ბოლშევიკების კრებებს თუ ესწრებოდიო. რა დავალებას გაძლევდა უფროსი ძმაო. ეკ, ვინ იცის, რას არ მეკითხებოდა.

— დათაზე, რაზეზე არაფერი უკითხავს? — ვერ მოითმინა კოსტამ.

— დათაზე? ბევრი არაფერი. აბრაგი

ბუკიასი თუ იცი რამეო, ერთხელ მკითხა და ეგ იყო.

— აბრაგი! — უნებურად გაცინა დათას, წვერი მოიფხანა. ეკ, ვინ ვის ეძახის ყაჩაღსა და ავაზაკს.

— მერე, შენ რა უთხარი? — არ ისვენებდა რეიზი.

ღუდამ ცხენი შეაჩერა.

— აბა! ეგ რა საკითხავია, ჩემო ბატონო. უფროსი რომ ხართ, ყველაფერი უნდა მითხრათ?! რაც ენაზე მოვადგებოთ, ყველაფერი...

— ნუ ფიცობ, ყმაწვილო, საკითხავი რომ არ იყოს, არც გკითხავდი! — კოსტას ხმაში ახლა მხოლოდ გულღია ლაპარაკის სურვილი იგრძნობოდა. ის აუჩქარებელი სიღინჯით განაგრძობდა: — მიკვირს და რა გქნა, მიკვირს, ღმერთმანი: პროკლამაციებით საგეოთასში დაგიპირეს და გამოგიშვეს. ისიც ვინ?! თორიამ, კაცმა, რომელიც მიცვალებულსაც არ დატოვებს: იქნებ ბოლშევიკი იყოს და თავს საფლავს აფარებდესო.

— მაშ მე საექვო კაცი ვყოფილვარ, საექვო კი არა, თორიას კაცი! — ღუდა მოიღუშა, თავს ძალა დაატანა, რომ გამამაგება გამოეხატა, სადავე მაგრად მოზიდა, ბედაური ყალყზე შეაყენა. უნდოდა ახლაც ყოფილიყო თამამი, მოურიდებელი. ისეთი, როგორც ყოველთვის, როცა ენა გულისნადებს არ მაღავდა, როცა მზეერას არავის არ არიდებდა.

— კარგი, გეყოფა, კოსტა! ვინ იცის, იქნებ თორია მომავლისთვის ფიქრობდა რაღაცას. ჯერ თუ არაფერი უთქვამს, იქნებ მერე უთხრას, აქ არა ვართ? ვნახოთ! — უგულოდ შეუტია კოსტას მეთაურმა, მაგრამ მის ხმაშიაც რაღაც ნაირად მორიდებული ეჭვი იგრძნობოდა.

— თუ ასეა, — ღუდამ ცხენი ნაპირს მიაყენა, — მე წავალ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, — მან ბედაური სწრაფად შეაბრუნა, მაგრამ მეთაურის ბრძანების კილომ შეაჩერა:

— ჩემთან წამოხვალ, ღუდა!

ბუკიას არც კი შეუხებდავს ჭაბუკის-თვის. გზას მშვიდად მიჰყვებოდა. კოსტაც გვერდით მისდევდა, მაგრამ თვალი ჩიქასკენ ეჭირა.

ერთ ხანს გაოგნებულივით იღვა ჭაბუკი, თითქოს ყოყმანობდა, მაგრამ როცა სესრყვამ უთხრა, რაღას უდგებნარო, ცხენი უსიტყვოდ შეაბრუნა და აფხაზს აედევნა.

ფრთხილთა დედანი არა სტირიანე

შაბათი დღე ჯერ არ გათენებულიყო, როცა მზვერავებმა სამუხაოს მცხოვრებნი წამოშალეს და აუწყეს, სოფელს დათა ბუკიას რაზმი უახლოვდებო.

მალწყარის პირას, მოედანზე, რომელსაც სამიოდე საწვრილმანო დუქანი, სამრეკლოჩამონგრეული პატარა ეკლესია და ათიოდე ტოტებგანიერი ცაცხვი და მუხა ამშვენებდა, მთელი სოფელი გამოეფინა. ერთმა მოხუცმა დათას ჭვავის მთელი პური და ჯამით მარილი მიართვა, მეორემ ხელადით ღვინო და, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს სოფელშიო, უთხრა.

ყველა ოჯახმა რაზმელები თანაბრად დაინაწილეს: საქონელი ბევრი გვყავს, ხორცსა და რძეს არ მოგაკლებთ, ჭვავიც საკმაოა, სიმინდიც ბევრი გვაქვსო, ამხნევებდნენ მებრძოლებს. ნემსის ყუნწში ძვრებოდა დიდი და პატარა, ყველას რაღაც უნდოდა ეღონა, რაღაც წვლილი შეეტანა საქვეყნო საქმეში.

აქამდე მყუდრო სოფელი უჩვეულოდ ანაშურდა. თემშარაზე და ვიწრო შუკებში თავით ფეხამდე შეიარაღებული ბრგე ვაჟაკები გამოჩნდნენ.

საკვარიეს ნაპრაღის თავზე საიმედოდ შენიღბული საგულშაგოები გაჩნდა, მალწყარის ნაპირზე აქოჩრილ ბუნჩებში მზირები განლაგდნენ.

მოედანზე სახელდახელოდ შეღობეს კოსკურა და ზედ სათვალთვალო მოაწყვეს.

სალამომდე ყველაფერი მოაწყობრიგეს, ყველას თავისი კუთხე მიუჩინეს, მოედანზე ცაცხვის ქვეშ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მთელი რაზმი მიიწვიეს. აჭამეს, ასვეს და მოასვენეს.

წყლის პირას ნაუცბათევად გამართულ ახორში ცხენები დააბინავეს, მეჯინიბენი მიუჩინეს.

მალე სოფელი ისევ მიწყნარდა. ყველა თავის საქმეს დაუბრუნდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მალწყარი ისევ ისე მიიჩქაროდა სადღაც. მუხისა და ცაცხვის ფოთლებს ნელი სიო ძველებურად აშრიალებდა. სადღაც შორს ძაღლები ყეფდნენ. კაკანებდნენ ქათმები, ზღაოდნენ ძროხები.

სამუხაოს ოცდაათამდე კომლი თავისი ნაოფლარით ცხოვრობდა. სამი თუ ოთხი მედუქნე, ასანთითა და საპნით თუ მარილითა და ნავთით რომ ვაჭრობდნენ, ბარიდან იყვნენ ამოსულნი და როცა ყველაფერი გაწყდა, საწვრილმანოები მიკეტეს და გაუჩინარდნენ. ერთადერთი კაცი, რომელიც ერთ დროს მთელ დღეს უქმად ატარებდა, იორდანე მღვდელი იყო. ამ ხუცესს პატარა ეკლესიის გასაღები ებარა, სწირავდა კიდეც, მაგრამ როგორც სოფლელები ამბობდნენ, თურმე არც წერა იცოდა და არც კითხვა. სქელტანიან წიგნს გაშლიდა და კაცმა არ იცოდა, რას ბუტბუტებდა.

დიდხანს ინახავდა სოფელი ხუცესს, მაგრამ ბოლოს, არც შენი წირვა გვინდა და არც სახუცო გადასახადიო, უთხრეს. არაფერი უთქვამს იორდანე მღვდელს, მაგრამ ეკლესიის კარი არ დაუქცია. ისევ სწირავდა ძველებურად.

კარგი სახლ-კარი ჰქონდა იორდანეს. ძროხები ბევრი ჰყავდა, გაუხედნავი ცხენებიც დაუდიოდა მინდორში. თხები და

ორღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

დორები ხომ სათვალავში არ იყო. ხალხი არ ემდუროდა ღვთის მსახურს: თავისი შრომით ცხოვრობს და ტკბილი სიტყვა არ ენაწებაო, ამბობდნენ, ვიდრე ბოლშევიკების სამდურავს არ მოუხშირა. მერე, როცა თავგამეტებულმა ბიჭებმა უთხრეს, ბოლშევიკებს თავი დაანებეო, ტირიფის ქერქზე მიტმასნილ ვასაკასავით გაისუსა.

ამრიგად, ხუცესს არაფერი ჰქონდა სჟფიქრალი, მაგრამ რატომღაც ბუკიას რაზმის გამოჩენა და იორდანეს მთელი ჯალაბობის სადღაც გადაკარგვა ერთი იყო.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს სოფლის თავკაცებმა ხუცესის სახლში რაზმის უფროსი დააბინავეს. დათასთან ერთად მღვდლის ხუთთახიან ოლა-სახლში მოეწყვენ კოსტა და სესრყვაც. ვაჰანი სოფლის შემოსასვლელთან დაბინავდა, ჯოკია გასასვლელთან; ბექვენაპრალის თავზე ერთ პატარა ქოხში მოთავსდა; შეექოთმა მალწყარის ნაპირზე დაიდო ბინა. ყველას ახლომახლო ჰყავდა განლაგებული თავისი ოცეული და სოფლის მისადგომებს ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს.

... მეორე დღეს, საღამო ჟამს, დათამ ვაჰანის ოცეულიდან ღუდა ჩიქა იხმო. ხუცესის სახლის დარბაზში დათა მთელი დღე ოცეულების მეთაურებთან ერთად ახლო მომავლის გეგმებს ადგენდა. როცა მარტო დარჩა, მასთან ჯოკია და ერთი შუახნის რაზმელი შევიდნენ. მეთაური მათ სოფელ მიმისში გზავნიდა. ეს სოფელი რაზმის ადრინდელ ადგილსამყოფელთან იყო ახლო.

ორი კვირა იყო, რაც დიდი სიციხით გათანგული მარია საბურა მიმისში ერთ საიმედო ოჯახში იწვა. ავადმყოფს თავზე ცუცა ანთია ადგა და გულმოდგინედ უვლიდა. ბუკიამ რომ რაზმის გადაყვანის ბრძანება მიიღო, მარია მაშინ თავს უკვე კარგად გრძნობდა და ოთახში სიარულიც შეეძლო, მაგრამ რაზმთან ერთად მის წაყვანაზე მეთაურმა უარი თქვა, კიდევ ერთი-ორი დღე მუხლები გაიმართოს, მოლონიერდესო, ზრუნვით გაიფიქრა.

და ახლა დათა ჯოკიასა და ერთ რაზმელს გზავნიდა მიმისში, რომ ქალები ფრთხილად და აუჩქარებლად მოეყვანა.

— ხვალ, უთენიაზე გაუდგებით გზას. იცოდეთ, ქალები იმ გზით ატარეთ, რა გზითაც ჩვენ მოვედით, ყველაზე საიმედოა, — ეუბნებოდა დათა ჯოკიას, როცა ვილცამ აივანზე, ღია კარს იქით დაახველა. დათამ გარეთ გაიხედა. ღუდას წააწყდა.

— ჰოო, შენა ხარ! შემოდი, შემოდი, — დათამ გზა დაუთმო ახალმოსულს და ღუდამაც დარბაზში მორიდებულად შედგა ფეხი.

დათა ჯოკიას მიუბრუნდა, ყველაფერი ხომ გასაგებიაო, ჰკითხა.

— გასაგებია, — იყო პასუხი.

— მშვიდობით იმგზავრეთ. ოთხშაბათს მოველით.

ბუკიამ ჯოკია და რაზმელი კიბემდე მიაცილა, კვლავ გზა დაულოცა და დარბაზში დინჯად შემობრუნდა.

მეთაურს სესრყვა შემოჰყვა. როცა აფხაზმა კუთხეში მორიდებულად მდგარი ღუდა დაინახა, უკან დაიხია, დავრჩე თუ წავიდეო, ჰკითხა მეთაურს თვალებით. არა უშავს, დარჩიო, უპასუხა უხმოდვე ბუკიამ და ღუდას სკამზე მიუთითა, დაჯექიო, უთხრა.

ჩიქა ჩამოჯდა. ნაბდის ქუდი იქვე, კუთხეში მდგარ მრგვალ პატარა მაგიდაზე დააგდო.

სესრყვა ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

— შენ რაზმიდან წასვლას აპირებდი რატომღაც, — დათა იმ კუთხისკენ წავიდა, სადაც ხალიჩაგადაფარებული ხის პატარა ტახტი იდგა.

ღუდამ მეთაურს თითქოს თვალი უნდა გაუმართოსო, თავი ასწია, მაგრამ ვერ გაბედა; მზერა ჯერ მის კოხტად შეკრებილ წვერზე შეაჩერა, მერე თვალი საკინძეშხსნილ გახუნებულ სატინის ხალათს დაადგა. მზერა სესრყვაზე გადაიტანა. თითქოს დარცხვენილმა, დიახ, მინდოდა წასვლაო, უპასუხა ბუკიას და მძიმედ ამოიხორა, შუბლი შეიკრა.

— თუ დარჩენას არ აპირებდი, რა გინდოდა, რას მოდიოდი?! ხომ იცი,

ჩვენთან კავშირში მხილებულს რა დღეს აყენებს მთავრობა? — დათამ პაიჭიბზე ლეკვერთხები შეიხსნა, კუნთები დაიზილა. — თუ მხილების არ გეშინია?! — ახლა ცალი წულა გაიხადა, უგულოდ გადააგდო. როცა ქოსალასძირიანი ფეხსამოსი იატაკზე ქვასავით დავარდა, ღუღა შეკრთა, თავი ასწია და დათას შეხედა:

— სწორედ ამიტომ მინდა მოგშორდე...

— რატომ? არ მესმის.

— აკი თქვენც ამბობთ, თუ მხილების არ გეშინიაო... სხვებს რა უნდა გავუმტყუნო, როცა არც თქვენა ხართ დარწმუნებული... — სიტყვა ვერ დაამთავრა, წამოიწია მაგრამ წატორტმანდა, მერე როგორც იყო, გამაგრდა, ქული აიღო და გაოგნებულივით დადგა. — გამოდის, ჯაშუში ხყოფილვარ, — ამოიღულღულა და ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო.

— ჯაშუში... რა ჯაშუში? — დათამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა სესრყვას და უხერხულად შეიშმუშნა.

აფხაზიც შეწუხდა. თავი ფანჯარისკენ მიაბრუნა და ეზოს თვალი ისე გაუშტერა, თითქოს რაღაცამ გაიტაცა.

— ვინ გაკადრა, ბიჭო! ვინ გითხრა, ჯაშუში ხარო, — თითქოს შეუტიო დათამ, მაგრამ მისი ხმა რაღაცნაირი უთანაზიარო იყო.

— აბა, რა სათქმელი იყო, თორიას როგორ გადაურჩიო, რომ მკითხა რეიზმა? — მაგიდას მოშორდა, ქულის ზონარს წიწკნა დაუწყო, კედელს მიეყუდა.

— იქნებ კოსტას შეეპარა ეჭვი. ყველას აქვს უფლება, რაც უნდა, ის იფიქროს, — დათამ ქისა ამოიღო. შარგლის მეორე ჯიბე მოისინჯა, გულის ჯიბეშიც ჩაიყო ხელი, ქაღალდს ეძებდა, სესრყვა ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, კოხტად გამოჭრილი ნაბეჭდი ქაღალდი გაუწოდა.

— ჰოდა, როგორ მედგომება რაზმში, როცა ჩემს პატიოსნებაში ეჭვი ეპარებათ! — ისევ ჩაქინდრა თავი, ქული ნერვიულად შეათამაშა.

დათამ თამბაქო შეახვია. სესრყვა ისევ თავის ადგილზე ჩამოჯდა.

— განა თორიამ არ იცის, ახლა შენ რომ ჩვენთან ხარ? როგორ ფიქრობ, სოფელში რომ დაბრუნდები, არაფერს არ გეტყვიან? — კაჭზე აბედი შემოდო, საკვესი მოიმარჯვა, ღუღას ცერად გახედა.

— სოფელში არ გამოვჩნდები, ბატონო, ტყე მარტოხელა კაცსაც შეიფარებს, — წაილულღულა, თავი გვერდზე მიაბრუნა.

დათამ თუთუნი ვააბოლა.

აფხაზს შეებრალა ღუღა. მეთაურს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: არა, ღუღა არ შეიძლება მოღალატე იყოსო.

ღუღამ მზერა კარისკენ გააპარა, ამოიოხრა, წასვლა დააპირა, ნაბიჯიც კი გადადგა, მაგრამ მეთაურმა ანიშნა, დაჯექითო. ჭაბუკი ახლა მონუსხულივით მიამტერდა ბუკიას.

დათას ერთ ხანს არც ჩიქასთვის შეუხედავს და არც აფხაზისთვის, დინჯად წამოდგა, ღია კარისკენ წავიდა, დახურა, შემობრუნდა და შუა დარბაზში შედგა, ჩაფიქრდა.

სესრყვა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს.

გაფითრებული ღუღა ისე შემართულიყო, თითქოს გაქცევას აპირებდესო.

მეთაური დიდხანს სცემდა ბოლთას ოთანში.

ღამდებოდა.

დათამ სიარულით გული იჯერა. კუთხესთან შედგა, კვლავ ღუღას მიუბრუნდა, დაჯექითო, გაუმეორა და სკამი მიუთითა.

ჭაბუკი დაჯდა, მეთაურს უგულოდ ახედა. დათამ კვესი შეათამაშა, გულის ჯიბეში ჩაიღო, ღუღას მიუბრუნდა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ბიჭვინთისკენ თუ გაგვიღია ამ ხნებში?

სესრყვამ სული მოითქვა, რაფაზე ნახევრად ჩამომჯდარმა მეორე ფეხიც ჩამოაგდო, გასწორდა.

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

და რის ვაი-ვაგლახით წამოდა ფეხზე. ჩვენც წამოვბარბაცდით... მზე დამჯდარიყო და გრილოდა.

— ლუდიცა მაქ, პურაცა მაქ, ერთ ინდურსაც ჩავაყვრევენებ თვალსა, გავიდეო, ჩემი სახლიცა ვნახოთ, სამი კედელი ჩემი ამოყვანილია, მეოთხე კედლის კალატროს პაპის პაპის პაპაც ვერ იცნობდა, იმის მარჯვენას ვენაცვალე. ციხის კედელი მაქ მეოთხე კედლადა, მაგის სიმტიციცა ენაცვალოს ჩიტა ხადური! გავიდეო, ბიჭებო!

- არა, ძია ჩიტა, გვაგვიანდება!
- გავიდეო, ბიჭებო!
- არა, ძია ჩიტა.

მერე „პოს“ მაგიერად თავი დაგვიქნია ჩიტამ. ჩვენ უარის ნიშნად გავაქნიეთ თავები აქეთ-იქით. მერე კიდევ დაგვიქნია, ჩვენ ისევ გავაქნიეთ თავები. ბოლოს გაბრუნდა, საცალფეხო ხიღისაკენ წაბანდალადა. დიდ ქვებს გარს უვლიდა თუ ღვინო ატარებდა აცა-ბაცა, ჩვენთვისაც ძნელი დასადგენი იყო. ხიღთან შედგა, გახედა, ჩვენსკენ მობრუნდა და მძიმედ დაგვიქნია თავი. ჩვენ ისევ გავაქნიეთ, ისევ გახედა ხიღს და ისევ დაგვიქნია.

- მიდი, იქნებ რა უნდა!
- ეგებ შეილა უნდა!

ჩიტასაკენ წავიდე. მერე მითხრეს ბიჭებმა, შენც ჩიტასავით მიდიოდო. ხიღთან რომ მივიდე, ჩიტა ხიღს მოშორებოდა და აღმა მიჰყვებოდა მდინარეს. დავეწვი და მოვებრუნე.

- ველარ გავალ, შვილო! — გამომიტყდა ჩიტა.
- მე გაგიყვან.
- ვერა, შვილო.

— აი თუ ვერა! — საცალფეხო ხიღზე შევდექი და ცოტაზე გავიარ-გამოვიარე. მდინარე აღმა აასკდა, ხიდი დაღმა დაქანდა, მაინც არ ვეშვებოდი.

— მაღლობ, შვილო, ვერა, შვილო. ზევით ერთი განიერი ხიდი მეგულება,

იმაზე ვცდი. იმაზეც თუ გამიჭირდა, იმას ზემოდან კიდე ერთი ხიდი მეგულება და მაღლობ, შვილო, ლუდა მაქ, პურიცა მაქ, რაღა გამოვიდა. ნათქვამი როა, ცოლი მყავდა, გაღმა მყავდაო, ჩემი საქნეც ეგრე გამოდის.

ჩიტა წავიდა განიერი ხიდის საძებნელად.

ბიჭებთან დავბრუნდი. ორივენი გაღმა იტყირებოდნენ. გაღმა ნაპირი ცარიელი იყო, აღარავინ აჩხჩახებდა.

- წავიდა? — ვიკითხე მე.
- ჰო, წავიდა.
- როგორ წავიდა?
- სარეცხი წამოკრიფა და წავიდა.
- საით აიარა?
- აგე, ჯერ იმ ლოღამდე მივიდა, მერე იმ ბილიკს აჰყვა.
- იქ რო ორად იყოფა ბილიკი?
- მარცხენას აჰყვა.
- მერე?
- რაღა მერე: აგერ, სარეცხსა ჰუენს
- ჰო, ეხედავ.
- დაჯე, აღარ მოდიხარ?!
- მა რას ვიზამ.

დავჯექი... სულ ტლინკვა-კუნტრუშით შეაფრინდა მოტოციკლი აღმართს.

- ცოტა ნელა წადი!
- ნელა რომ წავიდეო, უკან დაგკორდებოთ.
- სადღეებელია და მეტი არაფერი!
- კარგი, ეგრე იყოს!
- იყოს კი არა, არი!
- არი და იყოს!
- კარგი, რა მოგივიდათ?! — გვითხრა პავლემ.
- არაფერი!..

ერთმა ბრეთელმა მითხრა, ვინმე ბრეთელი შუბითიძე ქლორითა და ნიკოტინით წამლავს ფრონესაო...





მოთხრობა

1

ვერგაუპარსავი მალალი კაცი რკინის ფანჯრიდან გასცქერის ქუჩას. ჯიხურს „ფეხსაცმლის შეკეთება“ აწერია. პატარა ჯიხური დიდი სახლის კედელზეა მიშენებული და ტოლის ნაგლეჯით არის გადახურული. კედელზე ნაირნაირი სურათება მიუკრავთ. რკინის ფანჯრიდან კარგად მოჩანს ქუჩაში მოშრიალე მალალი ხეები.

მალალი მეწაღე თავდახრილი შედის ხოლმე ჯიხურში. გამურულ სკამზე ზის და მუხლებზე ძველი ტილოს ნახევი უფენია. ხან აკერებს, ხან გაცვეთილ ძირზე საპირეს აწებებს. წახრილი ზის მუდამდე. წინ მაგიდა უდგას. მაგიდაზე ტყავის ნაჭრები, საღებავის ქილები და მახათები ჰყრია.

მეწაღე პაპიროსს გაიჩრის კბილებში, ასანთს გაჰკრავს და მოუკიდებს. ერთს მოწვევს, მერე გამურული მაგიდის კიდეზე დადებს პაპიროსს და ფეხსაცმელს მიუბრუნდება. პაპიროსი ბოლავს, თანდათან იფერფლება. ისევ გაიჩრის მეწაღე პაპიროსს, ლაზათიანად მოწვევს. მერე მაგიდის კიდეზე დევს პაპიროსი, თავისთვის ბოლავს ნელა, შეუმჩნევლად. მერე ქრება.

მეწაღეს ძალიან უყვარს რკინის ფანჯრიდან ხმაურიან ქუჩაში ცქერა.

დიდი ხნის წინათ ომში იყო მეწაღე. ომამდე იგი მეწაღე არ იყო და ასეთ პატარა ჯიხურში არ იჯდა. ახლაც ხშირად ამოტივტივდება ხოლმე მეხსიერებაში ომის ამბები. თითქოს ტვინის ნაოჭებში სამუდამოდ ჩარჩა ყურისწამლები ხმაური, ტალახიანი გზები, მკაცრი და ცივი დღეები. როცა ქუჩაში იყურება, მეწაღე აღარ ფიქრობს წარსულსა და ომზე. ამ დროს იგა ძალზე ბედნიერი და კმაყოფილია — ხედავს სახლებს, ადამიანებს და ქუჩას. მაგრამ ყოველთვის ვერ გაექცევი საკუთარ თავს. ხშირად აწვალბებს წარსული დღეების მოგონება: გრძელი გზა. თოვლიანი მინდვრები. თოვლზე, აქა-იქ, შავი, უმოძრაო წერტილები. ცივი, სუსხიანი ამინდი. საოცარი განცდა იმისა, თუ როგორ ღამდება უცხო ქალაქში.

ახლა კი ავერ ზის, ამ პატარა ჯიხურში. რკინის ფანჯრიდან ხედავს ქუჩას, მალალ სახლებს და ეზოებში თოკზე გაფენილ ბავშვის საცვლებს. აქ არც სანგარია და არც შავი ბოლით სავსე სივრცე. ლურჯ ცას, ხის ტოტებში რომ მოჩანს, ცეცხლის ენები აღარ ანათებს. მეწაღე

ანზორ გვარამია

მეწაღე

ხედავს, საღამოობით როგორ წითლდება ცისკიდურნი.

ჯიხურში უამრავი გარღვეული ფეხსაცმელი ყრია, თაროებზე აწყვია. მეწაღეს ღონიერი, დაკოჟრილი ხელები აქვს. ამ ძლიერი ხელებით შეკეთებული ფეხსაცმელები თელავენ დიდ გზებსა და ქუჩის ქვაფენილებს.

მეწაღის ჯიხურის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, სავაჭრო ფარდულია. ფარდულში დიდთავა გამყიდველი ტრიალებს.

ფარდულთან ხშირად დგანან ხოლმე მუშტრები. ხან ლუდს სვამენ, ხან რალაც-რალაცებს ყიდულობენ. ზოგჯერ უკმაყოფილო ბუზღუნნი ესმის მეწაღეს. „სწორად აწონე“, „თავიდან იანგარიშე“. ასეთი საყვედური გაუთავებლად ისმის სავაჭრო ფარდულის დახლთან.

მეწაღეს ხშირად ესმის, როგორ ჭორაობს გამყიდველი უზნის ბიჭებზე. ბიჭები მოდაზე იცვამენ: კობტად, გემოვნებით და სადად. გამყიდველი ვერ იტანს ჭრელ ხალათებს, ვიწრო შარვლებს და წითელ წინდებს.

ბიჭები ყოველ საღამოს ქუჩაში იკრიბებიან. იქვე, ფარდულის გვერდით სხდებიან და გვიანობამდე საუბრობენ. ლაპარაკობენ ფეხბურთზე, კინოსმასხიობებსა და უზნის ამბებზე. მათ ხმამაღალი ლაპარაკი უყვართ. ცხარედ კამათობენ. გამყიდველი ცხვირს გამოჰყოფს ხოლმე დახლიდან — მოშორდით აქაურობას, თქვე უსაქმურებოო. ბიჭები ხარხარებენ და ყურადღებას არ აქცევენ.

ხანდახან მეწაღეც უერთდება მოკამათე ბიჭებს და ფეხბურთსა და უზნის ამბებზე საუბრობს. იგი მორიდებულია და არასოდეს არავისთან არ ამბობს: მე ძველი ჯარისკაცი ვარ, ყურადღება მომაქციეთ, პატივი მეცითო. ომიდან დაბრუნებისთანავე შეეძლო თავისი შესაფერი სამსახური მოეძებნა, მეწაღეს სიჭაბუკიდანვე გამოჰყვა დიდი და მოუცილებელი ღარდი, ამიტომაც მარტოობა, ფიქრი და გარღვეული ფეხსაცმელი აირჩია.

გასულ კვირას გაზის გამყვანი ბრიგადა მოვიდა უბანში. ქუჩა გათხარეს, ამო-

ნათხარი მიწა ტროტუართან მიყარეს. ვეება მიღებს გუდრონი წაუსვებს, მერე ქალაღლები შემოაწებეს. ახლა ისევ თხრიან. ბარემ მოათავონ საქმე, გაზი ექნებათ ოჯახებში.

მეწაღე ხარბად წევს პაპიროსს.

ფარდულის წინ, ასფალტზე, ენაგადმოგდებული ძაღლი წამომჯდარა უკანა თათებზე. ძაღლი თვალეში შესცქერის გამყიდველს, ხელებში შეჰყურებს. თითქოს ეხვეწება, რამე მაჭამეო. ძაღლმა ალღოთი იცის, გამყიდველი ფარდულის კუთხეში პურის ნატეხებს ინახავს, ძველ ვედროში აქვს ჩაყრილი. პურის ნატეხები ლუდის მუშტრების ნარჩენია.

საღამოობით მემწვანაილე ქალები აკითხავენ გამყიდველს. მეწაღე ხედავს, როგორ გამოაქვს გამყიდველს ვედრო და პურის გამხმარ ნატეხებს ტომსიკაში უყურის მემწვანაილე ქალებს, ფულს ართმევს და ხმას დაადევნებს, ხვალ-ზეგაც გამომიარეთო. კულამოძუებული, გაწბილებული ძაღლი შეუმჩნეველად სადღაც ჰქრება.

მეწაღე თავს ჩაქინდრავს, საქმეს მიუბრუნდება. „რა ძუნწია ეს კაცი“, — ფიქრობს ხოლმე თავისთვის.

მერე ქუჩაში მიაბიჯებს მაღალი კაცი. გრილა. მთელი დღე ჯიხურში ყოფნის შემდეგ ქუჩის სიგრილე სასიამოვნოა.

ქუჩა შეუმჩნეველად, თანდათან მაღლდება. ქუჩაში დაჰქრიან ლურჯი, ნაცრისფერი და წითელი მანქანები. წინ ისევ გრილი ქუჩაა, მაღალი ხეები და დიდი სახლები.

აღმართის ბოლოში ცხოვრობს მეწაღე. მარტოკა ცხოვრობს. მეწაღის სახლს იქით მენხერი ბუჩქებით დაფარული გორაკია, უფრო მაღლა კი ვიღაცის სახლი დგას ეულად. სახლის სახურავზე გრძელი ანტენაა ასვეტილი. რამე აიყვანა იმ სიმაღლეზე ის დალოცვილი, ამხელა ქალაქში ვერ დაეცია?

შორს რუხი, მოტიტვლებული მთაა. აქა-იქ ლურჯ ლაქებად მოჩანს კალთებზე, ამოსული ბუჩქნარი. მთის კალთებს შვე-

ული კლდეები ერთვის, შავად მოლაპლაპე, ნიაღვრებით გადარცენილი კლდეები. ალიონზე მთა ლურჯად მოჩანს მეწადის ჯიხურადან. მერე თანდათან მუქდება, თითქოს მზეზე ხუნდება. ბოლოს დილის ნათელი უბრუნებს თავის ფერს — მოწყენილ, რუხ ფერს. ყოველ დილით ხედავს მეწაღე, როგორ ამოდის სიბნელიდან მთა და როგორ იბრუნებს თავის პირვანდელ ფერს.

ისევ მოჩანს ლურჯი ლაქები და ჩრდილოვანი ზოლები, თეთრი სახლი და მალა აღმართული ანძის გაფარჩხული ზოლო.

მერე დღე იღლება, ითენთება და ქრება. ისევ ბინდში იძირება კლდოვანი მთა.

2

შავი, მზეზე გარუჯული ბიჭი ტროტუარის კიდეზე იჯდა. ხელები მუხლისთავეებზე შემოესალტა. სერიოზული სახით ვასცქეროდა ქუჩას.

ბიჭს სწორი ბეჭები ჰქონდა, თხელი და ლამაზი, მკერდი კი ოდნავ წინ წამოწეული, თმა აბურღული და მოუვლელი.

ბიჭი სავაჭრო ფარდულის გვერდით იჯდა, დიდთავა გამყიდველი დროდადრო გამოხედავდა მას, წაიგრძელებდა კისერს, დახლიდან თავს გამოჰყოფდა. მერე კისერს ბიჭისკენ მიიღრცედა და მალულად ათვალიერებდა.

მეწაღემ აღრვეე შეამჩნია გამურული ბიჭი, გარღვეული ფეხსაცმელი დადო და ბიჭს გახედა. ბიჭი ვერ ხედავდა მეწაღეს. ისევ დიდი კაცის სიღინჯით იჯდა, ფიქრიანი სახე და მოწყენილი თვალები ჰქონდა.

მეწაღემ ქუსლზე ნალი დააჭედა, ფეხსაცმელი თაროზე შემოდო და ქუჩაში გაიხედა; ეს მზეზე გარუჯული ბიჭი სადღაც მინახავსო, გაიფიქრა.

ბიჭი მოკვივივე ჩიტებით დახუნძლულ ხის ტოტებს მიაჩერდა. იგი ხედავდა, როგორ დახტოდნენ ჩიტები ტოტებზე. ხედავდა და თანდათან შუბლი ეხსნებოდა, სახე უნათდებოდა.

გამყიდველი დახლს იდაყვებით დაყრდნობდა და ისე უთვალთვალებდა ბიჭს, აღმაცერად, შეუმჩნევლად. მეწაღემ ისევ გაიხედა ქუჩაში და მხოლოდ ახლად მოაგონდა — ეს შავი ბიჭი გუშინწინ ნახა კინოსთან, მაგონი, ვილაცის დაეღრმავა: ძია, ხუთი კაპიკი ხომ არ გექნებაო.

გამურული ბიჭი ისევ ტროტუარის კიდეზე იჯდა. ქუჩას გაჰყურებდა და შორს აფურთხებდა. „გაურადელი ბიჭი ყოფილა...“ — გაიფიქრა მეწაღემ.

ახლა ჩიტები ძალიან მალა დაფრინავდნენ. სუფთა, უძირო ლაყვარდის გამჟვირვალე წიაღში ნავარდობდნენ.

ფარდულის წინ ცხელ ასფალტზე ის მშეირი ძაღლი იწვა. ძაღლმა საწყლად შეხედა გამყიდველს და დრუნჩი გაილოცა. აქედან მომწყედი, შე პატრონძაღლოო, — დაუყვირა გამყიდველმა. ბიჭს ღიმილმა გადაუარა სახეზე.

გამყიდველმა ლუდის კათხა მოუღერა მშეირ ძაღლს. ესეც დაინახა ბიჭმა და შორს გადააწიჭა. ძაღლი ისევ საწყალი თვალებით შეჰყურებდა გამყიდველს, მის მუქერას არაფრად აგებებდა.

— ტყუილად ზიხარ, რომ იცოდე, სულ ტყუილად, — დამცინავად უთხრა გამყიდველმა ძაღლს. თითქოს შერცხვაო, ძაღლი ადგა და გაიძურწა.

მეწაღე ჯიხურიდან უთვალთვალებდა ბიჭს. ბიჭი ვერ ხედავდა მეწაღეს, ჯიხურის ტუჭყიან მინაში რას გაარჩევდა! ფანჯარაზე არეკლილი სხივებიც თვალს სჭრიდა ბიჭს. მეჩხერ, თეთრ კბილებზე ენისწვერს აჭერდა და აფურთხებდა შორს, თითქმის ქუჩის შუაგულში. უყურებდა ტოტებზე მოკვივივე ჩიტებს და ხანდახან ისე, სხვათაშორის გაიხედავდა სავაჭრო ფარდულისაკენ. გაიხედავდა და თუ გამყიდველის წუწკ თვალებს და გულისამრევე სახეს წააწყებოდა, მხერას ხეთრა, მალალ სახლებზე გადაიტანდა ხოლმე.

მეწაღემ გააბოლა, თითქმის ნახევრამდე დაიყვანა პაპიროსი და გამურული მაგიდის კიდეზე დადო. საერთოდ, მეწა-

ანზორ გვარამია

მეწაღე

ღე სამი-ოთხი ნაფაზით ათავებდა ერთ პაპიროსს. მერე ოფლიანი სახე მოიწმინდა მეწალემ. უბნის ბიჭები აღმართის ბოლოში ასულიყვნენ, ახლა იქიდან მოისმოდა მათი ჟრიაშული. გამყიდველმა ისევ გამოჰყო თავი. ბიჭმა თავისთვის დაუსტვინა. მერე წამოდგა. გაიზმორა. მოკლე შარვალი მთლად დატრეტილი და ქუჭყინი ჰქონდა. ფეხები მზეზე ჰქონდა გარუჯული. გამხდარი ჩანდა. გახეული, მზეზე გახუნებული მისურა ეცვა.

ფარდულის წინ, დახლთან მუშტრები ჩამოდნენ. გამყიდველი დატრიალდა და კახა შეუშვირა ლუდის ონკანს.

ბიჭმა ჯიბეში ჩაიწყო ხელეები და კიდევ დაუსტვინა. მერე ისევ ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდა. ახლა უსტვენდა და თითებით ხელისგულს ისრესდა.

მეწალემ ფეხსაცმლის ლანჩას სადგისის წვეტი შეურქო, მერე სადგისი გამოიღო, შიგ ძაფგაყრილი მახათი უნდა გაეძვინა... მაგრამ ამ დროს დაინახა, რომ ბიჭი ადგა, ერთი მიიხედ-მოიხედა, მერე ფარდულის გვერდით დაწყობილ ყუთებს მიუახლოვდა. ერთ ყუთზე ჩამოჯდა. სწრაფად ამოიღო ყუთიდან ორი ცარიელი ბოთლი, იღლიაში ამოიჩარა, მერე კიდევ ამოიღო ორი ცალი. ამ დროს გამყიდველი ქეჩოში სწვდა ბიჭს და სახეში გაარტყა. ბიჭს თვალები დაუბნელდა. გამყიდველმა ბიჭს ყურებში ჩაავლო ხელი. ბიჭი მალე გონს მოვიდა. მშვიდად იდგა, უდანაშაულო კაცისებრ. ბოთლები იქვე მიყარა და დოინჯუმოყრილი წინ დაუდგა გამყიდველს, თვალი თვალში გაუყარა. ამან ნირი შეაცვლეინა გამყიდველს. ბიჭის მზერას ვერ გაუძლო, ლანძღვა-გინება და ყვირილი ატეხა:

— შე ქურდო, ავაზაკო...

ბიჭი გაქცევასე არც ფიქრობდა. გამყიდველი მიუახლოვდა და ერთი მაგარი სილა კიდევ უთავაზა. ბიჭმა ზიზღით შეხედა გამყიდველს. უკან-უკან დაიხია და გაქცევა დააპირა. უცბად ისევ ჩაავლეს ხელი ქეჩოში. შემობრუნდა და მალალი წვეგრვაუპარსავი კაცი აეხირა თვალწინ. შეშინდა ბიჭი, კაცი ბრავით უცქერდა.



— წამოდი ჩემთან! — ბრძანების კენჭით უთხრა კაცმა.

ბიჭმა ფეხები გაფარჩხა. მეწალემ ძალით წაათრია ბიჭი, ჯიხურში შეიყვანა და გვერდით მოისვა.

— რად გინდა ეგეთი რამეები! — უთხრა მეწალემ.

ბიჭი ღუმიდა.

— სად ცხოვრობ? — ჰკითხა მეწალემ. ბიჭმა არაფერი უპასუხა.

— ბუხარში ხომ არ ჩამმგვრალხარ, რამ გაგმურა ეგრე?

ბიჭი ისევ გაჩუმდა.

— ცული ბიჭი ყოფილხარ, ძმაო. მშობლების მინც არ გეხათრება?

ბიჭს თვალები აუწყლიანდა, თავი ჩაღუნა.

ლოყა გაწითლებული ჰქონდა. მერე სიწითლემ გადაუარა და თანდათან გაუფითრდა სახე. მეწალემ ადრევე შეამჩნია და ახლა დარწმუნდა: ბიჭს არაფრის არ ეშინოდა. მშვიდად იჯდა და არ ცახცახებდა. გამყიდველმა სახეში რომ გაართყა, წამწამიც არ შერხევია. მშიშარა ბიჭები ყოველთვის სძულდა მეწალეს.

ახლა მეწალე ხარბად ეწეოდა პაპიროსს. უფრო ხშირად იწმენდდა ოფლიან სახეს და ნერვიულად ჭრიდა საქუსლე ტყავს ბრტყელი, სამართებელივით ფხავათხელებული დანით.

— ასე თუ იქტრდე... — თქვა მეწალემ და პაპიროსს კბილები მაგრად დააჭირა, — კარვად ვერ წაგივა საქმე.

მერე ისევ მომდურებულოვით ისხდნენ.

— ქურდობას ხომ იცი... — მეწალემ მზეზე გარუჯულ ბიჭს ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ოთხი თითი დაანახა.

ბიჭს გაეღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისევ დინჯად და ხმაამოუღებლად იჯდა მალალი კაცის გვერდით.

მეწალემ ეზოს კარი მიიჯახუნა. ბიჭი ზღურბლზე დადგა და იქიდან გადახედა ეზოს, ხელი შუბლზე აიფარა, მზე მოიჩრდილა.

მეწაღემ კიბის პირველ საფეხურზე დაფენილ ძველ ტომარაზე გაიწმინდა ფეხი. იქვე, სახლის კედელთან მიშენებულ პატარა სადგომიდან ორი ყურდაცქვეტილი ბაჰია გამოძვრა. ბაჰიებმა ჯერ მიწა დასუნეს, მერე მეწაღეს ახედეს.

კიბის ქვემოდან პატარა ძაღლი გამოხტა. ძაღლმაც დაყნოსა მიწა და მეწაღეს თავი დაუკანტურა. მერე ერთი გაიზმორა, ბეწვი გაიბერტყა. ძაღლი მეწაღეს მისჩერებოდა. პატარა იყო, ტანმორჩილი და ცანცარა. დრუნჩს ილოკავდა და ერთთავად წმუტუნებდა. ბიჭი ძაღლს დაეპყვანა. ძაღლმა წმუტუნის შეწყვიტა და ბიჭს შეხედა.

მეწაღეს ეღიმებოდა. ძაღლი გაინაბა, მერე ისევ გაიზმორა და უკანა თათებზე შედგა; თეთრი, შავზოლებიანი მუცელი გამოუჩნდა.

— ჩემი ძაღლია, — უთხრა ბიჭს.

— რა ჰქვია? — იკითხა ბიჭმა.

— ციბრა ჰქვია, ციბრიკა, — უპასუხა მეწაღემ.

— ნაღდი ციბრიკაა, — დინჯად თქვა ბიჭმა. — ერთი ბეწო ძაღლია. მეცოდება, ძაღლიან პატარაა.

— მაღლა ამოდი. ცოტა შევისვენოთ და მერე ციბრა დავბანოთ. როგორი ჭუჭყიანია, შეხედე...

მეწაღემ საპონი და რკინის სავარცხელი გამოიტანა. ბიჭი წყალს უსხამდა მეწაღეს, მეწაღე ძაღლს ბანდა.

— არ გაცივდეს, თორემ ცუდი ავადმყოფობა იყის. პატარა ბიჭივით ჭირვეულია, — ღიმილით თქვა მეწაღემ.

„როგორ შეიძლება ძაღლი პატარა ბიჭივით ჭირვეული იყოს“, — ფიქრობდა ბიჭი და თან უცქერდა, როგორ გულდაგულ ბანდა მეწაღე პატარა ძაღლს.

ჩვეულებრივზე ადრე ივანშემეს ბიჭმა და მეწაღემ. მერე ისევ გამოიტანეს სახლიდან საპონი. მეწაღემ ჯერ წყალი გადაასხა ბიჭს, მერე საპონი წაუსვა თავზე. მერე ტანზეც წაუსვა საპონი.

— აბა, ხელები გაანძრიე! — უთხრა ბიჭს და კიბისკენ წავიდა.

— ეე! თვალები მეწვის! — იყვირა ბიჭმა.

მეწაღე ბიჭთან მივიდა. მხრებზე წყა-

ლი დაასხა. ბიჭმა ისევ იყვირა, თვალები მეწვისო. მეწაღე დაბნეული იყო და ხან მხრებზე უსხამდა წყალს, ხან გასაპნულ თავზე. ეგრე არასოდეს არ დაბნეულა.

— აბა, დაიბანე, ყოჩაღად, მარდადი!

— თვალები მეწვის და...

— თითები ამოისვი, რამ შეგაშინა ამხელა ბიჭი.

— კი არ მეშინია, მეწვის...

— გაგივლის, არა გიშავს.

მერე ბიჭი შინ შეიყვანა. კარადის უჯრიდან პირსახოცი ამოიღო და ბიჭს ტანზე შემოახვია. მერე თავისი პერანგი ჩააცვა. ბიჭს კანქებამდე მისწვდა მეწაღის პერანგი. ბიჭი სარკესთან დადგა და ქოჩორი დაივარცხნა. გარუჯულ სახეზე თეთრი, მეჩხერი კბილები უელავდა.

— ხვალ მთელი დღე უნდა გივარჯიშო.

— რაში უნდა ივარჯიშო? — სიცილით შეეკითხა მეწაღე.

— უფრო შორს გადავაფურთხებ. მერე იმ ბიჭს მოვანახავ. კინოსთან მოდის ხოლმე საღამოობით. იმას უნდა ვაჯობო! — მტკიცედ თქვა ბიჭმა.

— შენც ერთი დიდ რამეში აჯობებ!

— ჩემი საქმე მე ვიცი. გავეჯობრები და ვაჯობებ.

მეწაღეს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

რაღაც ბრაგუნმა გამოაღვიძა მეწაღე. შავი, გაურკვეველი სიბნელე აეფარა თვალებზე. ჯერ ვერ მიხვდა, რა უნდა გაბრახუნებულიყო ამ შუალამისას. მერე მოაგონდა, რომ დღეს ბიჭი მოიყვანა შინ. ბიჭს იქვე ეძინა, ოთახის მეორე კუთხეში.

მეწაღეს ღრმად ჩასძინებოდა და ახლა, როცა გამოერკვა, თითქოს უცხად საიდანღაც დაბრუნდა. სინათლე აანთო ოთახში. მეწაღემ დაინახა, ბიჭი კუთხეში

ანზორ გვარამია

მეწაღე

იღვა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მეწალე მიხვდა, რაც უნდოდა ბიჭს...

ბიჭი ფანჯრისკენ გაემართა. მეწალემ ფანჯარა გამოაღო. ოთახში სიგრილე შემოიჭრა. ბიჭი რაფას დაეყრდნო, მუხლენბით სკამზე დაიჩოქა და ისე გაიხედა ქუჩაში. მეწალე მიხვდა, ბიჭს ქუჩაში ყურება ესიამოვნა. გარეთ სიჩუმე იღვა. მაღალი ხეები არ შრიალებდნენ. თითქოს მაღალ ხეებსაც ეძინათ.

მეწალე ისევ ლოგინში შეწვა. საწოლის თავთან მიდგმულ მაგიდაზე ხელი ააფათურა, პაპიროსი აიღო და გააბოლა.

მეწალეს გაახსენდა, ამ დილით მაღალმა ქალმა რომ ჩამოაკითხა. ეს ქალი მეწალის ძველი მეგობარი იყო და ხშირად აკითხავდა ხოლმე. ქალმა ხელი ჩამოართვა. მეწალემ თავისი მაგარი ხელი მოუჭირა თეთრ თითებზე. ასეთი ჩვეულება ჰქონდა მეწალეს. ქალი ეუბნებოდა, დათვი ხარ, ნამდვილი დათვიო. მაღალი ქალი და მეწალე ხშირად დადიოდნენ კინოში. კინოდან რომ გამოვიდოდნენ, ნამალადევის ქუჩებში დაეხეტებოდნენ. მეწალეს უყვარდა ქუჩაში ხეტიალი, ქალს კი არ უყვარდა. უფრო წვიმის დროს უყვარდა მეწალეს ქუჩაში სიარული. უყვარდა სველი ქუჩები, ხეები, ფოთლები და... ყველაზე მეტად სველი ასფალტი. სველი ასფალტი ახსენებდა მთვარის შუქზე მოვლვარე შავ მდინარეს. აკონდებოდა მდინარის ნაპირი, წყალში მოქანავე მთვარე, მოლაპლაპე ზედაპირი და ფეხშიშველა, გამხდარი გოგონა.

როცა მეგობარ ქალთან სეირნობდა ქუჩაში, თვალწინ ედგა ფეხშიშველა გოგონა და ხშირად ფიქრობდა მასზე. ის ქალი უფრო იმიტომ იყო ძვირფასი, ფეხშიშველა გოგონას სახეს აცოცხლებდა და სიჭაბუკის წლებს ახსენებდა მეწალეს.

სალამოს შინ ბრუნდებოდნენ. ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. მერე აქრობდნენ შუქს და ისხდნენ სიბნელეში. ძალიან უყვარდათ სიბნელეში ჯდომა.

ახლა კი, როცა ბიჭი შინ ეგულებოდა, უფრო მეტს ფიქრობდა მეგობარ ქალზე, ვიდრე ოდესმე. ბიჭმა თითქოს ყველა დარდი ერთად გაახსენა.

ბიჭმა ფანჯარა მიხურა. ფანჯრის მიღმა დარჩა უღრუბლო, ბნელი ღამე. ქუჩა ისევ წყნარი იყო.

მეწალე პირადმა იყო გაშოტილი. აბოლებდა, იმ ქალსა და ბიჭზე ფიქრობდა.

ის წუთი გაიხსენა მეწალემ, როცა დღეს ბიჭი პირველად დანახა. მოწყენილი სახე ჰქონდა ბიჭს, ნაღვლიანი თვალები. მის გამოხედვაში სიმხდალის ნატამალიც არ იგრძნობოდა. სწორედ მაშინ მოუვიდა თვალში. ბავშვები ადრეც უყვარდა მეწალეს.

„იმ მამაძაღლს რა საზიზღარი გამოხედვა ჰქონდა დღეს, — ფიქრობდა მეწალე. — ბიჭი რომ წამოვიყვანე, ბრაზიანი მხერა დამადევნა. ნეტავ რად შემურდა? თუმცა რაა საკვირველი, არც შვილი ჰყავს და არც არავინ. ასეთ ადამიანს ძუნწს ეძახიან. ნეტავ მეც თუ მეძახიან?“

ბიჭს თვალეები დაჭყცილი ჰქონდა და ხედავდა, როგორ აბოლებდა მეწალე.

„ასეთ ადამიანს ძუნწს ეძახიან, — თავის ფიქრს დაუბრუნდა მეწალე, — უმრავლესობა მართლაც ძუნწია. ამ ბიჭს შემოდგომაზე სკოლაში შევიყვან და მერე რაც უნდათ, ის დამიძახონ. პირში კი ვერ მიუბნებინა, მაგრამ ვინ იცის, რაებს ამბობენ ზურგსუკან.“

ჩანჩენებულ ოთახში ბიჭის ლოგინს ხედავდა. თეთრ ბალიშზე მზეზე გარუჯული სახე მოჩანდა.

„ხვალ ივარჯიშებს და ზეგ იმ ბიჭებს. გაეჯიბრება, — ფიქრობდა მეწალე. — ნეტავ, პატრონი არა ჰყავთ მაგ ბიჭებს?! შემოდგომაზე სკოლაში შევიყვან და მერე კი აღარ გაგაბედვინებ ეგეთ რალაცეებს. რამე თუ ესიზმრება? სუფთა ლოგინი და ცარიელი ბოთლები მაინც აღარ დაესიზმრება...“

5

მეწალემ ფისი მოადულა ელექტროქუჩაზე. დარბილებული ფისი ფეხსაცმელს ქუსლის კიდეებზე წაუსვა.

გარეთ ცხელოდა. მეწალემ კისერი დაშუბლი მოიწმინდა.

ბიჭი მთელი დღე თამაშობდა ქუჩაში. ციბრაც თან წამოვიყვანა, კისერზე წვრი-



ლი თასმა მოება ძაღლისთვის. ძაღლს კი არა, მაჩვს უფრო ჰგავდა პატარა ციბრა.

გაზის გამყვანი მუშები ვეება მიღებზე ისხდნენ და შავ პურსა და ნედლ თევზს შეექცოდნენ. შავი პური და ნედლი თევზი ყოველგვარ საჭმელს ერჩიათ ღონიერ მუშებს. ახლაც მადიანად, გემრიელად ილუკმებოდნენ, ნედლ თევზს მარილს აყრიდნენ.

— შენ, ე!

მეწაღეს გამყიდველის ხმა შემოესმა. ერთი პირობა ხმის გაცემა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ლანჩას მახათი გაურჩო ზედ ძველ ნაკერზე, მერე მეორე მახათიც გაუყარა ძველი ნაკერის საწინააღმდეგო მიმართულებით. დასანთლული ძაფი გამოსწია, მაგრამ მოუჭირა. ნაკერზე დასანთლული ძაფი თეთრად გამოჩნდა. დამდნარი ფისი გადაუსვა მზონავ ძაფებს ნაკერის დაყოფებაზე.

— შენ გეუბნები, ამხანაგო! — გაიმეორა გამყიდველმა.

— რა გინდა? — მოკლედ ჰკითხა, მეწაღემ.

— რა და ისა... ამ ქურდ ბიჭს რაზე ინახავ აქა?

— ეგ მე ვიცო. შენ ვინა გკითხავს?

— ერთი წუთითაც ვერ მიმიტოვებია აქაურობა.

— შენს ბუნავში დაეტიე! — მშვიდად უთხრა მეწაღემ და საქმე განაგრძო.

— ამ მხარეზე გადმოსული არ დავინახო ეგ ნაბიჭვარი.

მეწაღე აენთო, ფეხსაცმელი კუთხეში მიჰყარა.

— რას ერჩი, კაცო, ამ ბიჭს!

— მე კი არ ვერჩი, თვითონ არ მასვენებს. აბა, რად გინდა სხვისი ბიჭი, ადექი და გაავდე.

— სად უნდა გავავდო!

— საიდანაც მოვიდა, ისევ იქ წავიდეს.

— ინტერნატია თუ რაღაცა, იქიდანაა გამოპარული.

— ვა, გამოპარული?

გამყიდველი ბურღულუნს განაგრძობდა. ბიჭმა დაღმართი ჩამოიბრინა და სალაპარაკოდ ალესილი გამყიდველიც უცბად გაჩუმდა.

„ბიჭისა ეშინია, — გაიფიქრა მეწაღემ და გაეცინა. — მარჯვე ბიჭი ჩანს, გულადი და უშიშარი“.

ბიჭი ახლა ჯიხურის წინ იდგა ცხელ ასფალტზე. ციბრა იქვე ება, ხის ძირში. გამყიდველი თვლემდა. ბიჭმა კენჭი აიღო. ფარდულს ზურგი შეაქცია და კენჭი ისროლა. კენჭი ფარდულის თუნუქის სახურავზე დაეცა და ჭახანი გაიღო. გამყიდველმა თვალები გაახილა, დაფრთხა. გარეთ გამოეგარდა და ველოსიპედზე მსხდომ ბიჭებს დაედევნა გინებითა და მუქარით.

მეწაღემ თავი გადაიქნია და ბიჭს დაემუქრა. ბიჭმა ხელი ჩაიქნია. მერე ცარციტ ცხელ ასფალტზე ოთხკუთხედი დახაზა. ოთხკუთხედში პარალელური ხაზები გაავლო და უფრო პატარა ოთხკუთხედებად, კვადრატებად დაჰყო.

„კარგი ბიჭია, ცოცხალი, დაუდევარი, — ფიქრობდა მეწაღე. — უნდა დავარიგო, მოეშვას მაგ კაცს, საწყალს თავისი სილენჩეც ეყოფა“. ეს ბიჭი მასთან ერთ წუთსაც ვერ გაძლებდა. სხვის ბიჭს კი არა, თავის ობოლ ძმისშვილებს არ უშვებს სახლში. დაბერდეს ეგრე, უშვილოდ, მარტოდმარტო. მაგას რა ესმის. ძუნწია და შურიანი, იმიტომაც იღრინებოდა წელან. მეწაღეს კი ყოველ საღამოს ბიჭი დაელოდებოდა შინ. ხმის გამცემი ეყოლება. შავი ბიჭი დაელოდება ყოველ საღამოს. შავი ბიჭი იქნება მისი ხმის გამცემიც და ახლობელი ადამიანიც. შავი ბიჭი, მზეზე გარუჯული, ცელქი ბიჭი...

ქუჩაზე გრძელი ჩრდილები იწვა, მუშები ისევ მიღებზე ისხდნენ, მზის გულზე ღიმილათს სვამდნენ.

ისევ გამოტყვრა საიდანლაც მაწანწალა ძაღლი. ფარდულის წინ წამოწვა. უიმედოდ დაალო პირი და დრუნჩზე ენა გაისვა. ციბრა თავგამოდებით აყეფდა. ბიჭმა თამაშს თავი მიახება და ძაღლთან მივიდა. ძაღლმა შემოხედა, გამოჰყო ენა და ისევ ვედრებით შეხედა გამყიდველს.

გამყიდველმა დახლიდან პურის ნატეხები გადმოყარა. ბიჭმა გაკვირვებით შე-

ანზორ გვარამია

მეწაღე

ხედა გამყიდველს. გამყიდველმა ჯერ ჯიხურისკენ გაიხედა, მერე ბიჭს ხელი დაუქნია — ჩემთან მოდიო. ბიჭმა ენა გამოუყო, დაეჭყანა და მერე მუშტი მოუღერა. გამყიდველს ახლა ლმობიერი სახე ჰქონდა, შორიდან ეფერებოდა ბიჭს.

— მოდი, შევრიგდეთ, — ხმადაბლა გადმოსძახა გამყიდველმა.

ბიჭი გაბრაზდა და უხეშად უპასუხა გამყიდველს. მეწაღემ თავი ასწია და დაინახა, ძალი გაამხმარ პურს ლოღინდა, გაჭირვებით ხრავდა და თან იღრინებოდა.

მაღალმა ქალმა მოაკითხა მეწაღეს, ჯიხურში შემოვიდა და ყუთზე ჩამოჯდა. მერე ფეხსაცმელი გაიძრო ქალმა. მეწაღემ შენიშნა, როგორ ეზარებოდა ქალს შიშველი ფეხის იატაკზე დადგმა. მეწაღემ ქალის ფეხსაცმელს გაცვეთილი ქუსლი მოაძრო და ახლის გაკეთებას შეუდგა. მეწაღე უყურებდა ქალის შიშველ ფეხებს და მუხლზე შემოტმანსულ კაბას.

ამ დროს ბიჭმა შემოიხედა ჯიხურში და მეწაღე მოულოდნელობისაგან დაიბნა. რატომღაც შერცხვა და გაწითლდა კიდეც, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

6

ცხელოდა. ქუჩაში ხეების გრძელი ჩრდილები ეფინა.

საეპქრო წერტის გვერდით, ჭიშკრის მიღმა გოგონა იდგა. გოგონას ჭიშკრის ლატანებში გაეყო თავი და ქუჩაში იხედებოდა.

ბიჭი ქუჩაში დახტოდა... ხანდახან ალმაცერად გახედავდა ჭიშკართან მდგომ გოგონას. გოგონა გამხდარი ჩანდა, ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა.

ბიჭი თავისთვის ერთობოდა და ცალი თვალი მისკენ ეჭირა.

ცა ძალიან ლურჯი იყო, მაღალი, ნათელი.

ბიჭი ხედავდა ხის ტოტებზე მოჭივივით ჩიტებს. დიდი ფრინველები მაღლა, ცის ლავეარდში ჰკრავდნენ ირაოს.

მკლავებდაკაპიწებულნი გამყიდველი დახლთან იდგა და ზიზღით ვასცქეროდა

ქუჩაში მოთამაშე ბიჭს. ეტყობოდა, ნერვებს უშლიდა მისი ხტუნვა და თამაში.

ბიჭი ხეს მიეყრდნო. ჭიშკართან ისევ იდგა პატარა, თეთრი გოგონა. გოგონას ბიჭივით შეკრებილი თმა და ჰკვიანი, ღრმა თვალები ჰქონდა.

გამყიდველმა ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები გამოიტანა გარეთ. ბიჭმა ყუთებს შეხედა და ცარიელი ბოთლები დაინახა.

ყველაფერი დაავიწყა გარეთ გამოდგმულმა ყუთებმა. ცარიელი ბოთლების დანახვაზე ბიჭი მოსვენებას ჰკარგავდა ხოლმე, თავს ვერ იკავებდა. უმაღლესად სენდებოდა რეზინის ბურთი და წითელი ველოსიპედი, უბნის ბიჭებს რომ ჰქონდათ, ისეთი. ყველაზე მეტად კინო ახსენდებოდა. ყველაფერი თვალწინ გააურბენდა ცარიელი ბოთლების დანახვაზე: გრძელი, უსასრულო ლიანდაგები. დიდი, უშველებელი მატარებელი, ხალხით სავსე ვეგონები. რომელიღაც კუპეში გარმონის ჰყიბინი. ცაზე პატარ-პატარა ღრუბლები, ფერმკრთალი, მსუბუქი ღრუბლები. დიდი მთვარე. სველი მინდვრები. შორს პურის ყანები, უფრო შორს მაღალი მთები. მგზავრების შეშინებული თვალები, ბორბლების რახრახი და ნაღვლიანი მუსიკა. უცბად... აფეთქების ხმა, გუგუნე, ზანზარი, ცეცხლის წითელი ზოლები. მერე, ცოტა ხნის მერე, დაღწეული ვეგონები. მდინარეში ჩახერგილი ხიდის ნანგრევები. ისევ სველი, თვალუწვდენი მინდვრები. პატარ-პატარა ღრუბლები და დიდი, ძალიან დიდი მთვარე. ისევ ნაღვლიანი მუსიკა და უსასრულო ლიანდაგები უმატარებლოდ...

ახლაც კინოზე, რეზინის ბურთსა და წითელ ველოსიპედზე ფიქრობდა ბიჭი. მისი გულისყური ცარიელმა ბოთლებმა შებოჭა და გასაქანს აღარ აძლევდა.

„რამე არ აუტეხოს ამ ბიჭს. ეტყობა, რაღაც მახეს უგებს“, — გაიფიქრა მეწაღემ.

ბიჭი ყუთზე არხეინად ჩამოჯდა. მეწაღე გუნებაში გაბრაზდა.

— მოდი აქ! — დაუძახა ბიჭს.

ბიჭი წინ დაუდგა მეწაღეს. თავი არ

ჩაულუნავს, ამაყად შეხედა, თვალი გაუსწორა. მეწაღემაც არაფერი აგრძნობინა, ფული ამოიღო ჯიბიდან და გაუწოდა. ბიჭი ფულს დააცქერდა. თვალგებმა სიხარული ვერ დამალეს: წითელი ფული იყო, მოხატული და ტკიცინა.

— პური და ძხვეი იყიდე. ხურდა უკან მომიტანე. მალე მოდი, იცოდე. აბა გაიძეცი!

ბიჭი გაიქცა.

თავდაღმართზე გარბოდა ბიჭი. ფული მუჭში ჩაედო და თავგამოდებით გარბოდა. ოთხად გაკეცილი ფულის წვეტიები ხელისგულზე ჩხვლეტდა. ეს სიამოვნებდა და ხელს უფრო მაგრად უჭერდა.

მალაზიის წინ შედგა. ვიტრინაში შეიხედა. ბიჭს მოეჩვენა: იქვე მდგომი დიდი ბიჭები ცბიერად უთვალთვალებდნენ და ფულის წართმევის გეგმას აწყობდნენ.

დასლთან რიგი იდგა. ქუჩის მეორე მხარეს, კინოს საღაროვთანაც დიდი რიგი იყო. იმ მხარეზე გადავიდა. კინოს ლამაზმა რეკლამამ მიიზიდა.

ხალხში თითქოს ვიღაცის ნაცნობმა სახემ გაიღვია. წამით გაიღვია და ისევ გაქრა. მომეჩვენაო, გაიფიქრა ბიჭმა.

კინოს შენობის უკან პატარა ბაღში შევიდა. გრილ ბალახზე წამოწვა. ჩრდილი ებ ბალახის სიგრილე ეამა ბიჭს. მერე უცბად წამოხტა, ისევ ის ნაცნობი სახე გაახსენდა და სახეზე სიწითლემ გადაურბინა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ბიჭს თავის სიცოცხლეში პირველად დაეუფლა შიში.

უცბად ნაბიჯის ხმა გაიგონა. ნელა გაიხედა... მეწაღე წამოდგომოდა თავზე! ახლა კი მიხვდა, კინოსთან ნაცნობ სახეს რომ მოჰკრა თვალში... ბრაზი ყელში მოეხვინა. ფული დაჰმუჭუნა და მეწაღეს მიუგვლო.

მეწაღე ბალის ბოლოში ძლივს დაეწია გაქცეულ ბიჭს.

მეწაღემ არც ძხვეი იყიდა და არც არაფერი. ბიჭი უფრო გააბრაზა მეწაღის საქციელმა. ქუჩაში მიაბიჯებდნენ და ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ.

მერე საღამო მოვიდა. მეწაღე და ბიჭი მომდურებულებივით ისხდნენ ჯიხურში.

დილით ადრე ადგა მეწაღე.

ბიჭს ისევ ეძინა. ლოყები და შუბლი გაოფლიანებოდა.

მეწაღემ კოჭს ძაფი მოაწყვიტა. ბიჭის ლოკინთან მივიდა და ტერფს დაატოლა ძაფი, ფეხის ზომა აიღო. მერე ფანჯრები გამოაღო. დილის ნისლში გამოჩნდა გორაკი, ეულად მდგომი სახლი და უფრო შორს — რუხი, მოტიტვლებული მთა.

მეწაღემ პატარა წერტილი დაწერა: როცა ადგები, ხელ-პირი დიზანე, ნავთქურაზე რძე მოაღულე, პური კარადაშაო.

სამზარეულოდან ცარიელი ბოთლები გამოიტანა და ბიჭის საწოლთან იატაკზე ჩუმად დადგა, უხმაუროდ. ბიჭს ისევ ეძინა, ტუჩები მოკუმული ჰქონდა.

ბიჭი გვიან ადგა. იატაკზე ბოთლები რომ დაინახა, შემოფოთდა. არ იცოდა, სად იყო, სად ეძინა. მერე გამოერკვა და ყველაფერი გაიხსენა. მაგრამ ეს ბოთლები საიდანაა?! ეინ მოიპარა ეს ბოთლები?! ბიჭი მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ზიზლით გადახედა ბოთლებს. რატომღაც დიდი სირცხვილი იგრძნო. ადრე, ცარიელ ბოთლებს რომ იპარავდა, არასოდეს უგრძენია ასეთი სირცხვილი.

გაბრაზებულა იდგა. სახე და თვალეზი ეწვოდა. გუშინდელი დღე დაუდგა თვალწინ. ცარიელ ბოთლებს ფეხი გაჰკრა და იატაკზე ჭახუნით გააგორა. მერე ზიზლით ზედ დააფურთხა და რალაც დაიყვინა. მოეჩვენა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, დასცინოდა, არცხვენდა.

კიდევ ამოჰკრა ფეხი ცარიელ ბოთლებს და იატაკზე მიმოჭფანტა, შერცხვინილი, დამცირებული იდგა და ბრაზისაგან ცახცახებდა. ყურები უწიოდა. ეჩვენებოდა, რომ სადღაც ახლოს მეწაღე იდგა და ეუბნებოდა: ფული თუ გინდოდა, ვერ მითხარო? ბიჭი გარეთ გამოვიდა და პირის დაბანა დააპირა. როცა კიბეზე ადიოდა, ისევ ააწრიალა ფიქრმა. ყველგან მეწაღე, გუშინდელი დღე და იატაკზე დაგორებული ცარიელი ბოთლე-

ანზორ გვარამია
მეწაღე

ბი ელანდებოდა და ბრაზი მოსდიოდა. მეწაღე კი ჯიხურში იჯდა და მთელი დღე ელოდა ბიჭს. რკინის ფანჯრის მიღმა ქუჩა ხმაურობდა, მაგრამ მეწაღე თავს არ იღებდა.

ბიჭი არა ჩანდა. მეწაღე ისევ ელოდა.

„რამე ხომ არ შეემთხვა, გუშინ გამებუტა და ვინ იცის, იქნებ“...—მაგრამ მეწაღემ მალე მოიშორა ეს აზრი. არაფერიც არ შეემთხვეოდა.

მსუბუქმა მანქანამ გაიარა, აღმართისკენ აიღო გეზი. ძველი იყო, მთლად დაფეხვილი და ბიჭებმა დამცინავი ყიყინით გააცილეს.

ბიჭის ცალი ფეხსაცმელი უკვე მოათავა მეწაღემ. შეიძლება დღეს სულაც არ ჩამოაკითხოს ბიჭმა. ვინ იცის, იქნებ რამე საქმეს მოჰკიდა ხელი, საღამოს შინ დაბრუნებული მეწაღე მოულოდნელად რომ გაახაროს.

აგრილდა, ცა თანდათან გამუქდა, მერე თხელი, სიფრიფანა ღრუბლებით დაიფარა.

ჯიხურში იჯდა ხანში შესული კაცი და ერთი წუთითაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ბიჭს შეეძლო... ბევრი რამე შეეძლო ინტერნატიდან გამოპარული ბიჭს. შეეძლო გაეტეხა კარადის უჯრები, წაედო ფული, ძველი ობლიგაციები და სხვა რამეებიც.

ბიჭი არც საღამოს გამოჩენილა.

ჩვეულებრივზე ადრე გამოკეტა მეწაღემ ჯიხური. იქაურობა არ დაუღაგებია.

ეზოს კარი შეაღო. სახლიდან ძაღლი გამოიჭრა. და ფეხებში გაებლანდა.

მეწაღე ოთახში შევიდა და ბიჭს ერთი-ორჯერ ხმადაბლა დაუძახა. ხმა არავის გაუცია. იატაკზე ცარიელი ბოთლები ეყარა. აბურდულ საწოლზე მეწაღის პერანგი ეგდო. ბიჭს თავისი ძველი მაისურა ჩაეცვა და ისე წასულიყო. მეწაღემ ყუთები დაძებნა, კარადის უჯრებიც გასინჯა. ყველაფერი თავის ადგილას იდო.

„ჩემი ბრალია. გუშინდელს მერე თვალს ვერ მისწორებდა“, — ფიქრობდა მეწაღე.

შინ რა გააძლებინებდა! სწრაფად დაუყვა თავდაღმართს.

ქარამ დაუქროლა დასიცხულ ხეებს. მერე ცა მოიქუფრა. კიდევ დაუბერა ქარმა უფრო მძლავრად. მერე წვიმა წამოვიდა.

მეწაღე თავის ჯიხურში იჯდა გაშეშებული, სახე ხელისგულებში ჩაემაღა, თითქოს თვლებშია. ესმოდა, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები ტროტუარსა და ტოლის სახურავზე.

პაპიროსი პირში ჩაიდო. მერე ასანთს გაჰკრა. არ აენთო. ასანთის ბოლო თმაზე გაისვა, მაგრად გაახახუნა და გაჰკრა. გააბოლა.

ჯიხურის კუთხეში ცალი ფეხსაცმელი ეგდო. მეორე ფეხსაცმლის ლანჩაც გამოეჭრა მეწაღეს. ეს ლანჩაც იქვე ეგდო. მოწყენილი იყო ჯიხური, მხოლოდ პაპიროსის კვამლი და სინესტე იდგა შიგ.

ასფალტზე დახაზული ოთხკუთხედები თანდათან ქრებოდა. მეწაღეს გაახსენდა, ამ ოთხკუთხედებზე ბიჭი „კლასობანას“ რომ თამაშობდა გუშინ და გუშინწინ. ბიჭის თამაში აცოცხლებდა ქუჩას, მყუდრო ჯიხურს და მეწაღეს.

მეწაღემ წუთით ჩათვლიმა. დაესიზმრა, ვითომ ომში იყო. მინდორი შავ, სქელ ბოლს დაეფარა. უჩვეულო ზანზარითა და გრიალით მოდიოდნენ ტანკები. თვითონაც ტანკში იჯდა. მინდორზე მოჩანდა ტანკებს ამოფარებული ჯარისკაცები.

როცა თავი წამოსწია, გარეთ ისევ წვიმდა.

ჯიხური დაკეტა და აღმართს შეუყვა. გზაზე ხეს მიეყრდნო და ცოტა ხანს სველ ქუჩას უყურა. ის ადგილი მოათვალიერა, ბიჭი რომ დახტოდა ყოველდღე. ცალი ფეხით დახტოდა, მოზომილად, ხაზს რომ არ გადასცდენოდა. მშვენივრად ერთობოდა. კარგი ბიჭი იყო საერთოდ.

უკან რომ მიიხედა, ისევ დაგმანული ფარდული დაინახა. ფარდულის გვერ-

დით ყუთები აღარ ეწყო. იმ ადგილას, სადაც ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთები ელაგა, წვიმის წყალი მოჟონავდა.

ქუჩაში მიაბიჯებდა წვერგაუპარსავი, მაღალი მეწაღე. ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ისე მიაბიჯებდა სველ აღმართზე დინჯად, აუჩქარებლად. სახეში სცემდა ზაფხულის მშვიდი და სასიამოვნო წვიმა, წვიმის წყალი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე, წვერიან ლოყებსა და ნიკაბზე. ზაფხულის სასიამოვნო წვიმა უსველებდა გაღელილ მკერდს, ღონიერ ხელებს და გრძელ ფეხებს. წვეთები ეცემოდა ყველგან, მხრებზე, კისერზე... მიდიოდა და მზეზე გარუჯულ ბიჭზე ფიქრობდა. ისევ ასხამდა ზაფხულის წვიმა.

შინ გვიან დაბრუნდა, ფანჯრებს მიღმა ისევ წვიმდა. მეწაღემ თვალი მოჰკრა თავის პერანგს, ცარიელ ბოთლებს, აბურდულ ლოგინს... იგრძნო, ოთახში ძალიან ციოდა.

გვიან საღამოსაც წვიმდა.

მეწაღე ხშირად იღვიძებდა და ბიჭზე ფიქრობდა.

მერე ადგა და გარეთ გამოვიდა. ეზოში ისევ წვიმდა და ქუჩაზე ღვარი მოდიოდა.

მეწაღეს ფიქრი არ ასვენებდა. „იქნებ ინტერნატში წავიდა. ხვალ წა-

ვალ და ყველაფერს მოვუყვები. ვეტყვი, ვთხოვ“... — თავის თავს ეუბნებოდა მეწაღე.

ისევ წვიმდა. მეწაღე წვიმის ხმაურს აღარ უგადავდა ყურს.

...მეორე დღეს გამოიღარა. ქალაქის ქუჩები მზით იყო განათებული. სავაჭრო ფარდულთან მუსტრები იდგნენ და ცივ ლუღს სვამდნენ. ნელ-ნელა სვამდნენ, თან თხლად დაჭრილ ძეხვსა და პურის ნაჭრებს ატანდნენ.

ისევ ცხელოდა. უბნის ბიჭები ტოტებგაშლილი ხის ძირში ისხდნენ და გატაცებით ლაპარაკობდნენ ფეხბურთზე, კინომახსიობებსა და უბნის ამბებზე.

ბიჭივით თმაშეკრეპილი თეთრი გოგონა ქუჩაში გამოვიდა. გოგონას გარღვეული სანდლები ეჭირა ხელში. ჯიხურთან შეჩერდა. ჯიხურს ბოქლომი ედო. კარზე ქალღი იყო მიწებებული. გოგონამ ხმამაღლა დამარცვლა ქალღიზე მიწერილი სიტყვები: „წავედი საქმეზე“.

გოგონას გაუკვირდა. ასეთ დროს მეწაღის ჯიხური არასოდეს დაკეტილი არ ყოფილა.

ანზორ გვარამია

მეწაღე



ორი ზეგუბაძე

რედაქციის "ორი ზეგუბაძე"



სათავადასავლო რომანი

დღეს არ იყო და ხვალ იყო, წყალმა ნაფოტი გარეშოს

1920 წელი. შემოდგომა.

ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ხელისუფლებას სათავეში საბჭოები ჩაუდგნენ.

საქართველო სოციალისტური რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა.

მაშინ, როდესაც ყოველდღე მოსალოდნელი იყო საყოველთაო სახალხო აჯანყება, როცა წითელი რუსეთი და სხვა მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები ქართველ ბოლშევიკებს ძმურ დახმარებას აღუთქვამდნენ, განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა არ იყო საჭირო, რომ მთავრობის მეთაურნი მიმხედარი იყვნენ, ჩვენი დამხობა გარდუვალიაო. მაგრამ ისინი გზაბნეულ მომხრეებს ილუზიებით ჰკვებავდნენ და ხალხს უფრო მეტად ემიჯნებოდნენ.

კომუნისტური პარტიის ლეგალური ორგანიზაციები ყველა მაზრაში დახურეს. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრები დააპატიმრეს.

ყოველ ახალ დღეს ახალ-ახალი, შემადრწუნებელი ამბები მოჰქონდა. ახალციხეში დახვრიტეს ოცდაექვსი ჯარისკაცი, რადგან აჯანყებულ გლეხებს ტყვია არ ესროლეს.

ყველა ჯურისა და ყველა კუთხიდან გადმოხვეწილი თეთრგვარდიელთა რაზმები საქართველოში პოულობდნენ თავ-

შესაფარს. აქ ისინი საბრძოლო წვრთნას გადიოდნენ და თავიანთი უკანასკნელი ჯავშნის, ვრანგელის დასახმარებლად ყირიმში მიემგზავრებოდნენ. მათ მეთაურობდნენ ისეთი თავგზებულადებული ავანტიურისტები, როგორებიც იყვნენ შკურო, დრაცენკო, ერდელი.

საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მებრძოლთა დასაყრდენ ბაზად გადაიქცა. ვის არ ნახავდით აქ: მთიელთა ხელშემწყობ კომიტეტს, კავკასიის საემიროს წარმომადგენლებს, მუსავატურ და დაშნაკურ „მთავრობებს“, თერჯის გათავისუფლების კომიტეტს. ყველა ამათი შენახვა საქართველოს გალატაკებულ ხალხს მძიმე უღლად აწვა.

მენშევიკები კარგად გრძნობდნენ აღსასრულის მოახლოებას, მაგრამ ფასდაკარგული სიცოცხლის გასახანგრძლივებლად არაფერს არ ზოგავდნენ. ისინი თვითმპყრობელური რუსეთის აღდგენაზეც არ იტყოდნენ უარს, ოღონდ გაბედულად წინ მიმავალი საბჭოებისათვის გზა გადაეღობათ.

მენშევიკური მთავრობის სწორედ ასეთმა განწყობილებამ გამოიწვია 1920 წლის 18 ოქტომბრის სამარცხვინო გადაწყვეტილება ბათუმის ინგლისისათვის გადაცემის შესახებ.

უპატრონო ცხვარი ზამთარშიც იკრიკებო: შავი ზღვიდან, როგორც მძორთან ტურებმა, თავი ამოჰყვეს საფრანგეთის მისიის მეთაურმა შევალიემ და აღმი-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6.

რალმა დიუმენილმა. ისინი აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის იმედს იძლეოდნენ, საქართველოს მთავრობას გარეშე მტრისაგან დაცვის გარანტიას სთავაზობდნენ.

საფრანგეთს არც ინგლისი ჩამორჩა, ამიედებდა და დახმარებას აღუთქვამდა მენშევიკებს.

ქემალისტური თურქეთიც დიდი ინტერესით ეკიდებოდა კავკასიას. მათ ხალხი კი არა, ამ ქვეყნის მთები, ტყეები, მალაროები იზიდავდა.

საქართველოს ნავსადგურებში იმატა ანტანტის სამხედრო გემების რიცხვმა.

დასავლეთს მენშევიკები საფრთხობეულად იყენებდნენ, ამით წითელ რუსეთს ეუბნებოდნენ, საიმედო მოკავშირენი გვყავსო. დასავლეთი უფრო მეტად დაფაცურდა მას შემდეგ, რაც ყირიმში ფრანგული დამარცხდა, ხოლო კავკასიაში სომხეთმა და აზერბაიჯანმა მათთან მეგობრობას საბჭოთა რუსეთთან კავშირი არჩია.

მენშევიკური საქართველოს „პოლიტიკოსებმა“ აღმოსავლეთის სოციალისტებს დასავლეთის იმპერიალისტები ამჯობინეს და საბოლოოდ თავისი ბედი ანტანტას დაუკავშირეს.

ბაქოს ნავთსა და ყუბანის პურს მოკლებული საქართველო სულს დაფავდა. ხალხი ჩრდილოეთიდან ელოდა ხსნას.

დასავლეთი დიდ მიზნებს ისახავდა. ის შავი ზღვის კარს — კონსტანტინეპოლს ფხიზლად დარაჯობდა და არც საქართველოს ტერიტორიიდან აპირებდა ფეხის მოცვლას. აქედან სურდა კავკასიიდან ბოლშევიკების განდევნა და აღმოსავლეთის კოლონიებისაკენ მიმავალი პირდაპირი გზის შენარჩუნება.

საქართველოს ბედი ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა.

ინგლისელებისა თუ ფრანგების, გერმანელებისა თუ იტალიელების იმედით გათავხებდებულნი „დემოკრატიული“ საქართველოს მესვეურები არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ ხალხი მორჩილებში ჰყოლოდათ.

ქართველმა კომუნისტებმაც გადაწყვიტეს, ძალადობაზე მედგარი ბრძოლით ეპასუხნათ და საყოველთაო სახალხო აჯანყებისათვის სამზადისს შესდგომოდნენ. მიუხედავად სასტიკი ტერორისა, ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აფხაზეთშიც გააცხოველეს მუშაობა. 1920 წლის შემოდგომისათვის აფხაზეთში ჩამოყალიბებული იყო და აქტიურ მუშაობას ეწეოდა პარტიის როგორც საოლქო, ისე სამაზრო და რაიონული კომიტეტები. სოფლებში ბოლშევიკური უჯრედები მოქმედებდნენ, ხალხს აჯანყების აუცილებლობაში არწმუნებდნენ.

მენშევიკური დამსჯელი რაზმები აშკარა შეტევაზე გადავიდნენ. ერთ საღამოს კომუნისტური პარტიის სოხუმის კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, ამათგან ოცი კაცი სიკვდილით დასაჯეს. ამ სისხლიანი ტერორის საპასუხოდ აფხაზეთის ყველა რაიონში შეიქნა საბრძოლო პარტიზანული რაზმები. შეიარაღებულ ჯგუფებს სათავეში ჩაუდგა პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

უნდა ითქვას, რომ დროც ქართველი ბოლშევიკების მხარეზე იყო. იმხანად რუსეთში ინტერვენტები და თეთრი გენერლები საბოლოოდ განადგურებული იყვნენ. ევროპაშიც რევოლუციური მოძრაობა ღვივდებოდა. მანამდე ინგლისი თუ საქართველოს „დაწყობა-დალაგებაზე“ ფიქრობდა, ახლა საკუთარი სახლის ქერი ენგრეოდა თავზე. ბრიტანეთის ლომი მიხვდა, რომ ამიერკავკასიაში აღარ გამოდგებოდა პოლიტიკა — სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ, გააწვივინეო, და შავი ზღვით კონსტანტინეპოლისკენ დაიძრა.

კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტმა პარტიზანული შენაერთები აფხაზეთის ტერიტორიაზე ისე განაღვა, რომ საჭიროების დროს აჯანყებულ ხალხს სათავეში ჩასდგომოდნენ.

ორღე დგებუაქმ
ჩაძირული „თოლია“

დათა ბუკიას რაზმსაც, ახლა უკვე ასამდე კარგად შეიარაღებული მეზრძოლისაგან რომ შესდგებოდა, ებრძანა, სოფელ სამუხაოში დაბანაკებულიყო და სანამ სახალხო აჯანყება არ იფეთქებდა, დრანდისა და ახალი ათონის მიდამოებში დაბანაკებული სახალხო გვარდიელები-სათვის მოსვენება არ მიეცა.

საოლქო კომიტეტის განკარგულების თაობაზე დათას კრინტიც არ დაუძრავს, სანამ შეზინდებისას რაზმი სამუხაოსკენ მიმავალ გზას არ გაუყენა. მთელი ღამე ყამირ გზაზე და ორღობებში იარეს. ინათა და რაზმი ტყეს შეეფარა. ჯერ ცხენებს აჭამეს, მერე თვითონ შენაყრდნენ. დაისვენეს, გამოიძინეს.

დაღამდა. რაზმმა მზვერავები გაიძლოლია. თეთრ ულაცს მიაგეღებდა დათა. ბეღაურის ჩქარი და მსუბუქი ნაბიჯი რაღაცნაირად მედიდური და ღირსებით აღსავსე იყო. მეთაურიც ზედდაბაღებულ იგივით იჯდა რაზმზე. ვინ იტყოდა, უნაგირზე ასე წილგამართულად მჯდარმა კაცმა ფეხი რომ გემბანზე აიდგა და ბობოქარ ზღვასთან ჭიდილში დაფაქცადა. ბუკიას ხოჭოსფერი, გრძელბეწვიანი ნაზადი ჰქონდა მოგდებული. თივთიკის ნაცრისფერი ყაბალახი თავზე აფხაზურად შემოეხვია და მისი თეთრი ფოჩი ლამაზად შეკრეჭილ წვერ-ულვამს ეთამაშებოდა. დათა ოდნავ გამხდარი ჩანდა, მაგრამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. კიდევ უფრო ცოცხალ მიმზიდველ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა და გარემოს ისე ზვერაგვად, თითქოს რაღაცას ეძებს ან ვიღაცას მოელისო. ზღვამ თუ შეუპოვარი, გულფიცხი და მუშტმაგარი გაზარდა სოფლის ანცი ბიჭი, მადლიანი აფხაზეთის ტყეცა და მთებს, მუდამ განსაცდელის მოლოდინსა და იმ პასუხისმგებლობის გრძნობას — ბევრი ადამიანის ბედ-იღბალი მამარიო, იგი უფრო დინჯი, უფრო წინდახედული, ფრთხილი და თვინიერი გაეხადა.

მეთაურს გვერდით მოჰყვებოდა შავ ტაიჭზე ამხედრებული, მისი განუყრელი ძმაკაცი, ფიცხი აფხაზი სესრყვა. აფხაზსაც კობტად მოეგლო ნაზადი, მასაც თა-

ვი ყაბალახით წაეკრა და შავი ტაიჭის კობტა თავ-კისერს დათას ცხენის გავას არ აშორებდა. ბუკიას მსგავსად სესრყვასაც რუსული მოკლე კარაბინი ხმალივით ეკიდა ნაბაღქვეშ.

მეორე მხარეს კორტა მოჰყვებოდა რაზმის უფროსს. კორტა-შკიპერს შავი მაუდის ბრჭყვიალა წინაფრიალი ქუდი ესურა. მხარბეჭიან ვაქკაცს შვენოდა მეზღვაურის შავი ქურთოუკი და ჩექმებში ჩატანებული ტოტმეგანიერი შავი შარვალი. კოსტა კორტას ნაყვავილარ სახეზე მოუშორებელი ღიმილი ეფინა. მეზღვაური ოქროსფერ ბეღაურზე ლაღად იჯდა და ცხენს მინდობილს თვალეზისე უბრწყინავდა, თითქოს რაღაც სანატრელისკენ მიილტვისო. იქნებ დანისლული ვაკე-ხეობა აგონებდა სანუკვარ ზღვას, გარიჟრაჟზე მცირე ხნით აღმასივით რომ გაუფერულდება ხოლმე; იქნებ ევრი ედგა თვალწინ — ლამაზი, გამრჯე და კეთილი ბერძნის ქალი. იქნებ მომავალი უფსებდა გულს სიხარულით. იქნებ იმას ოცნებობდა, მთიდან ბარში რომ ჩავალ, ზღვის ტალღებს შევეჭიდებო.

— სესრყვა, — გაისმა მეთაურის ხმა. აფხაზმა ტაიჭს ქუსლი ჰკრა, დათას ცხენს გაუსწორდა.

— ღუდა ჩიქა გუშინ დილით მოვიდა რაზმში?

— დიახ, დილით.

— ვერ მოვასწარი ჯამუს ამავი გამომეკითხა, იქნებ სხვა რამეც იცოდეს... — ერთ ხანს უხმოდ იარეს. მერე ისევ ბუკიამ დაარღვია სიჩუმე. — ვაჰანის ოცეულშია, არა?

— ვაჰანის.

— დამიძახე, მოვიდეს ჩემთან.

— ვაჰანი?

— არა, ღუდა.

სესრყვამ ცხენი სწრაფად შეაბრუნა და გაქუსლა.

— იმ ჭაბუკს თუ იცნობ კარგად? — ჰკითხა მეთაურს კოსტამ ხმადაბლა, ცხენს აუჩქარა, დათას დაუმხარდამხარდა.

— ვიცნობ, მაგრამ ვინ იცის, გულში... თუმცა ისიც საკმარისია, ჯამუს ძმა რომ არის.

— ერთი ხიდან ბარც გამოვა და ნიჩაბიც.

— მართალი ხარ, მაგრამ რა ნახე მაგ ბიჭში ასეთი? — დათამ ცხენს სადავე აუწვია, ნაბიჯი დაუმოკლა, ყურადღებამაზნეილებულმა თანამგზავრს შეავლო თვალი.

— მე არაფერი, შენ არ მითხარი, ეგ ბიჭი თორიას როგორ გადაურჩაო?!

— ვინც თორიას გადაურჩება, განა ყველა საექვოა?! — ისევ აუჩქარა დათამ ულაცს ნაბიჯი, ჩაფიქრდა.

მაღე სესრყვა და ღუდა წამოეწიენენ. ჩიქა მოგვეარე, უთხრა აფხაზმა მეთაურს, ცხენი განზე მიაბრუნა, დათასთან ადგილი ღუდას დაუთმო.

მეთაურს არც კი შეუხედავს ახალმოსულისათვის, სადავე კეხის თავზე ჩამოდგა, ერთ ხანს თამბაქოს ახვევდა ფიქრებში გართული, მერე აღვირი აკრიბა და ღუდას გადახედა.

— რამდენი წლისა ხარ, ღუდა?

— ოცდამეერთეში გადავდგი ფეხი, ჩემო ბატონო! — ცხენი ახლოს მოსწია, მეთაურს გაბედულად ჩახედა თვალბეშში. თუმცა შემოდგომის საცხე მთვარე უღრუბლო ცაზე ნათლად კაშკაშებდა, ვაკეხეობის გრძელი გზის პირას მაღალი მთის ჩრდილი იწვა და მიწას აზნელებდა. დათას თავი ჩაექინდრა და თემშარას უხმოდ მიჰყვებოდა, მაგრამ ჭაბუკის სიმშვიდე არ გამოჰპარვია. რამ აფიქრებინა კოსტას ამ ვაჯკაცზე ცუდი რამეო, უთხრა გულმა მეთაურს და თან: ავი განზრახვით მოსული ასეთი ახალგაზრდა ასე თამამად, გაბედულად თავს ვერ დაიჭერდაო, იფიქრა.

— ყოჩად, ბიჭო, ყოჩად, რომ ჩვენი ქვეყნის გაჭირვება შეიგნე და ჩვენთან მოხვედი, — შაალერის ქალაქში შეხვეული თამბაქო დათას ტურჩებზე აუბრიალდა. — ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, — მწარედ გადააფურთხა და სიგარა თხრილისაკენ ისროლა. — კიდევ კარგი, წვერ-ულვაში არ შემიტრუსა, — დასძი-

ნა და ისევ ჭაბუკს მიუბრუნდა: — ჯამუსი რა იცი? თორიასთანა თუ ციხეში გადაიყვანეს?

— ციხეში უნდა იყო. ციხეში დააქვს საჭმელი და საცვლები ცოლს, — უბასუხა გაბზარული ხმით ღუდამ.

— შენც იქ იყავი იმ დამით?

— სად?

— ჯამუსთან, როცა დააპატიმრეს? — ჰკითხა დათამ, ცხენს ფაფარზე ხელი გადაუსვა და გაფიცებულს დაუყვავა.

აიღეწა, წამოჭარხლდა ჭაბუკი, ცხენს გზისპირისკენ უბიძგა, მთვარის შუქს გაექცა, ხმა არ ამოიღო. კობტა გაფაციცდა, თვალი უნდოდ გააყოლა ჭაბუკს.

— შენც ჯამუსთან იყავი იმ დამით? — უთხრა ახლა კორტამ.

— ჰო, ვიყავი, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა და სახეზე ხელი ისე ჩამოისვა, თითქოს ოფლმა შეაწუხაო.

— მერე ამოშაქრე, შე კაი კაცო! — გულისწყრომა ვერ დამალა კოსტამ.

— იქნებ დაღლილია, რა მოხდა მერე! — დათამ მეგობარს უკმაყოფილოდ შეხედა, უნდოდა ენიშნებინა, მე მაცალეო, მაგრამ ვერ მოახერხა: ღუდა სახეში მიშტერებოდა.

— დიახ, ვიყავი, სწორედ იმ საღამოს მივედი სანახავად, — ახალგაღვიძებულივით წამოიძახა ჩიქამ და მთის ჩრდილდან გამოსულმა, ქუდი უშობლზე ჩამოიფხატა.

— რა უნახეს?

— პროკლამაციები.

— ეგ ვიცი. თუ კიდევ სხვა რამე...

— მარქსისა და ლენინის წიგნები ჩადეს ზურგჩანთაში.

— თორიაც იყო, არა? — იკითხა დათამ.

— დიახ, იყო ის წყეული.

— რა გითხრა, ბოდიში ხომ არ მოგიხადა შეწუხებისთვის?! — ვერ მოითმინა კოსტამ.

— ასეთი ზრდილობიანი კაცია თორია? — ჩაიციხა ღუდამ.

ორდღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

— ეგ შენ უნდა იცოდე, ბიჭო, — ისევ უკბინა კოსტამ და თვალი დათასკენ გააპარა, ხომ არ ბრაზობსო.

— რატომ უნდა ვიცოდე მე?! — გულისწყრომას ვეღარ მალავდა ღუდა, ხმა უკანკალებდა, თანაწეულმა ცხენს აუჩქარა. ახლა მეთაურის ცხენის თავი ჩიქას ბედაურის გავას უსწორდებოდა.

კოსტას არაფერი უთქვამს, მშვიდად იჯდა უნაგირზე და გზას დინჯად გაპყურებდა.

— მაგ ქარავმებისა არაფერი მესმის, რეიზო! იქნებ გამაგებინოთ, იქნებ მითხრათ პირდაპირ, — ახლა ღუდა გამომწვევი კილოთი ელაპარაკებოდა კოსტას, უნდოდა მეთაურისთვის გაესწრო, კოსტას გვერდით გაჰყოლოდა და თუ კიდევ... მაშინ იქნებ საერთოდ ხელი ჩაექნია ამ ისედაც ხელჩაქნეულ სიცოცხლეზე, მაგრამ დათასი ერიდებოდა, კიდეც წინ წასვლას ვერ ბედავდა.

— კოსტას აინტერესებს, შინ დაგტოვა, თუ სოხუმში ჩაგიყვანა... — დათამ შეურთაცხყოფილი ჭაბუკის დაშოშმინება სცადა.

— იმ ღამით არ წაფუყვანივარ, მაგრამ... მერე მეორე დღისთვის დამიბარა, საქმე მაქვს შენთანო...

დათამ ყური ცქვიტია.

— იყავი მეორე დღეს? — უცებ ჰკითხა კოსტამ.

— განა ერთხელ? — იყო პასუხი, მწარედ, მოურიდებლად ნათქვამი.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა დათამ და ვიწრო ზოგას მიადგა. ცხენს ქუსლი ჰკრა, წინ წავიდა. რაზმელებმა სათითაოდ იწყეს გადასვლა ზოგაზე.

— მერე, მერე რაო, რას გეუბნებოდა გიორგი? — ჰკითხა მშვიდად მეთაურმა, როცა ღუდა წამოეწია.

— პროკლამაციებს თუ ავრცელებდი სოფელშიო. ბოლშევიკების კრებებს თუ ესწრებოდიო. რა დავალებას გაძლევდა უფროსი ძმაო. ეპ, ვინ იცის, რას არ მეკითხებოდა.

— დათაზე, რაზეზე არაფერი უკითხავს? — ვერ მოითმინა კოსტამ.

— დათაზე? ბევრი არაფერი. აბრაგი

ბუკიასი თუ იცი რამეო, ერთხელ მკითხა და ეგ იყო.

— აბრაგი! — უნებურად გაეცინა დათას, წვერი მოიფხანა. ეპ, ვინ ვის ეძახის ყაჩაღსა და ავაზაკს.

— მერე, შენ რა უთხარი? — არ ისვენებდა რეიზი.

ღუდამ ცხენი შეაჩერა.

— აბა! ეგ რა საკითხავია, ჩემო ბატონო. უფროსი რომ ხართ, ყველაფერი უნდა მითხრათ?! რაც ენაზე მოვადგებოთ, ყველაფერი...

— ნუ ფიცხობ, ყმაწვილო, საკითხავი რომ არ იყოს, არც გკითხავდი! — კოსტას ხმაში ახლა მხოლოდ გულღია ღაპარაკის სურვილი იგრძნობოდა. ის აუჩქარებელი სიღინჯით განაგრძობდა: — მიკვირს და რა ვქნა, მიკვირს, ღმერთმანი: პროკლამაციებით საგეოთახში დავიჭირეს და გამოვიშვეს. ისიც ვინ?! თორიამ, კაცმა, რომელიც მიცვალებულსაც არ დატოვებს: იქნებ ბოლშევიკი იყოს და თავს საფლავს აფარებდესო.

— მაშ მე საეჭვო კაცი ვყოფილვარ, საეჭვო კი არა, თორიას კაცი! — ღუდა მოიღუშა, თავს ძალა დაატანა, რომ გაშმაგება გამოეხატა, სადავე მაგრად მოზიდა, ბედაური ყალყზე შეაყენა. უნდოდა ახლაც ყოფილიყო თამამი, მოურიდებელი. ისეთი, როგორიც ყოველთვის, როცა ენა გულისნადებს არ მალავდა, როცა მზერას არავის არ არიდებდა.

— კარგი, გეყოფა, კოსტა! ვინ იცის, იქნებ თორია მომავლისთვის ფიქრობდა რალაცას. ჯერ თუ არაფერი უთქვამს, იქნებ მერე უთხრას, აქ არა ვართ? ვნახოთ! — უგულოდ შეუტია კოსტას მეთაურმა, მაგრამ მის ხმაშიაც რალაცანიად მორიდებული ეჭვი იგრძნობოდა.

— თუ ასეა, — ღუდამ ცხენი ნაპირს მიაყენა, — მე წავალ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, — მან ბედაური სწრაფად შეაბრუნა, მაგრამ მეთაურის ბრძანების კილომ შეაჩერა:

— ჩემთან წამოხვალ, ღუდა!

ბუციას არც კი შეუხედავს ჭაბუკისთვის. გზას მშვიდად მიჰყევობდა. კოსტაც გვერდით მისდევდა, მაგრამ თვალი ჩიქასკენ ეჭირა.

ერთ ხანს გაოგნებულივით იღვა ჭაბუკი, თითქოს ყოყმანობდა, მაგრამ როცა სესრყვამ უთხრა, რაღას უღგებხარო, ცხენი უსიტყვოდ შეებარუნა და აფხაზს აედევნა.

ფრთხილთა დედანი არა სტირინა

შაბათი დღე ჯერ არ გათენებულიყო, როცა მზევარავებმა სამუხაოს მცხოვრებნი წამოშალეს და აუწყეს, სოფელს დათა ბუციას რაზმი უახლოვდებაო.

მალწყარის პირას, მოედანზე, რომელსაც სამიოდე საწვრილმანო დუქანი, სამრეკლოჩამონგრეული პატარა ეკლესია და ათიოდე ტოტებგანიერი ცაცხვი და მუხა ამშვენებდა, მთელი სოფელი გამოფენა. ერთმა მოხუცმა დათას ჭვავის მთელი პური და ჯამით მარილი მიართვა, მეორემ ხელადით ღვინო და, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს სოფელშიო, უთხრა.

ყველა ოჯახმა რაზმელები თანაბრად დაინაწილეს: საქონელი ბევრი გვაყავს, ხორცსა და რძეს არ მოგაკლებთ, ქვავიც საკმაოა, სიმინდიც ბევრი გვაქვსო, ამხნეებდნენ მებრძოლებს. ნემსის ყუნწში ძვრებოდა დიდი და პატარა, ყველას რაღაც უნდოდა ელონა, რაღაც წვლილი შეეტანა საქვეყნო საქმეში.

აქამდე მყუდრო სოფელი უჩვეულოდ ახმაურდა. თემშარაზე და ვიწრო შუკებში თავით ფეხამდე შეიარაღებული ბრგე ვაჟაკები გამოჩნდნენ.

საკვარიეს ნაპრალის თავზე საიმედოდ შენიღბული საგუშაგოები გაჩნდა, მალწყარის ნაპირზე აქოჩრილ ბუჩქებში მზირები განლაგდნენ.

მოედანზე სახელდახელოდ შეღობეს კოშკურა და ზედ სათვალთვლო მოაწყვეს.

სადამომდე ყველაფერი მოაწესრიგეს, ყველას თავისი კუთხე მიუჩინეს, მოედანზე ცაცხვის ქვეშ სახელდახელოდ გამლილ სუფრასთან მთელი რაზმი მიიწვიეს. აჭამეს, ასვეს და მოასვენეს.

წყლის პირას ნაუცბათევად გამართულ ახორში ცხენები დააბინავეს, მეჯინიბენი მიუჩინეს.

მალე სოფელი ისევ მიწყნარდა. ყველა თავის საქმეს დაუბრუნდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მალწყარი ისევ ისე მიიჩქაროდა სადღაც. მუხისა და ცაცხვის ფოთლებს ნელი სიო ძველებურად ამრიალებდა. სადღაც შორს ძაღლები ყუფდნენ. კაკანებდნენ ქათმები, ბლაოდნენ ძროხები.

სამუხაოს ოცდაათამდე კომლი თავისი ნაოფლარით ცხოვრობდა. სამი თუ ოთხი მედუქნე, ასანთითა და საპნით თუ მარილითა და ნავთით რომ ვაჭრობდნენ, ბარიდან იყვნენ ამოსულნი და როცა ყველაფერი გაწყდა, საწვრილმანოები მიკეტეს და გაუჩინარდნენ. ერთადერთი კაცი, რომელიც ერთ დროს მთელ დღეს უქმად ატარებდა, იორდანე მღვდელი იყო. ამ ხუცესს პატარა ეკლესიის გასაღები ებარა, სწირავდა კიდევ, მაგრამ როგორც სოფელები ამბობდნენ, თურმე არც წერა იცოდა და არც კითხვა. სქელტანიან წიგნს გაშლიდა და კაცმა არ იცოდა, რას ბუტბუტებდა.

დიდხანს ინახავდა სოფელი ხუცესს, მაგრამ ბოლოს, არც შენი წირვა გვინდა და არც სახუცო გადასახადო, უთხრეს. არაფერი უთქვამს იორდანე მღვდელს, მაგრამ ეკლესიის კარი არ დაუკეტიო. ისევ სწირავდა ძველებურად.

კარგი სახლ-კარი ჰქონდა იორდანეს. ძროხები ბევრი ჰყავდა, გაუხედავად ცხენებიც დაუდიოდა მინდორში. თხები და

ორდე ღებუაძე
ჩაძირული „თოლია“

დორები ხომ სათვალავში არ იყო. ხალხი არ ემდუროდა ღვთის მსახურს: თავისი შრომით ცხოვრობს და ტკბილი სიტყვა არ ენანებაო, ამბობდნენ, ვიდრე ბოლშევიკების სამდურავს არ მოუხშირა. მერე, როცა თავგამეტებულმა ბიჭებმა უთხრეს, ბოლშევიკებს თავი დაანებეო, ტირიფის ქერქზე მიტმასნილ ვასაკასავით გაისუსა.

ამრიგად, ხუცესს არაფერი ჰქონდა სუფიქრალი, მაგრამ რატომღაც ბუკიას რაზმის გამოჩენა და იორდანეს მთელი ჯალაბოზის სადღაც გადაკარგვა ერთი იყო.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს სოფლის თავაკებმა ხუცესის სახლში რაზმის უფროსი დააბინავეს. დათასთან ერთად მღვდლის ხუთთახიან ოდა-სახლში მოეწყუნენ კოსტა და სერცვატ. ვაჰანი სოფლის შემოსასვლელთან დაბინავდა, ჯოკია გასასვლელთან; ბექემ ნაპრალის თავზე ერთ პატარა ქოხში მოთავსდა; შვექოთმა მალწყარის ნაპირზე დაიდო ბინა. ყველას ახლომახლო ჰყავდა განლაგებული თავისი ოცეული და სოფლის მისადგომებს ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს.

... მერე დღეს, საღამო ეამს, დათამ ვაჰანის ოცეულიდან ღუდა ჩიქა იხმო. ხუცესის სახლის დარბაზში დათა მთელი დღე ოცეულების მეთაურებთან ერთად ახლო მომავლის გეგმებს ადგენდა. როცა მარტო დარჩა, მასთან ჯოკია და ერთი შუახნის რაზმელი შევიდნენ. მეთაური მათ სოფელ მიმისში გზავნიდა. ეს სოფელი რაზმის ადრინდელ ადგილსამყოფელთან იყო ახლო.

ორი კვირა იყო, რაც დიდი სიციხით გათანგული მარია საბურა მიმისში ერთ საიმედო ოჯახში იწვა. ავადმყოფს თავზე ცუცა ანთია ადგა და გულმოდგინედ უვლიდა. ბუკიამ რომ რაზმის გადაყვანის ბრძანება მიიღო, მარია მაშინ თავს უკვე კარგად გრძნობდა და ოთახში სიარულიც შეეძლო, მაგრამ რაზმთან ერთად მის წაყვანაზე მეთაურმა უარი თქვა, კიდევ ერთი-ორი დღე მუხლები გაიმართოს, მოლონიერდესო, ზრუნვით გაიფიქრა.

და ახლა დათა ჯოკიასა და ერთ რაზმელს გზავნიდა მიმისში, რომ ქალები ფრთხილად და აუჩქარებლად მოეყვანა.

— ხვალ, უთენიაზე გაუდგებით გზას. იცოდეთ, ქალები იმ გზით ატარეთ, რა გზითაც ჩვენ მოვედით, ყველაზე საიმედოა, — ეუბნებოდა დათა ჯოკიას, როცა ვილაცამ აივანზე, ღია კარს იქით დახვევლა. დათამ გარეთ გაიხედა. ღუდას წააწყდა.

— ჰოო, შენა ხარ! შემოდი, შემოდი, — დათამ გზა დაუთმო ახალმოსულს და ღუდამაც დარბაზში მორიდებულად შედგა ფეხი.

დათა ჯოკიას მიუბრუნდა, ყველაფერი ხომ გასაგებიაო, ჰკითხა.

— გასაგებია, — იყო პასუხი.

— მშვიდობით იმგზავრეთ. ოთხშაბათს მოველით.

ბუკიამ ჯოკია და რაზმელი კიბემდე მიაცილა, კვლავ გზა დაულოცა და დარბაზში დინჯად შემობრუნდა.

მეთაურს სერცვატა შემოჰყვა. როცა აფხაზმა კუთხეში მორიდებულად მდგარი ღუდა დაინახა, უკან დაიხია, დავრჩე თუ წავიდეო, ჰკითხა მეთაურს თვალებით. არა უშვებს, დარჩიო, უპასუხა უხმოდვე ბუკიამ და ღუდას სკამზე მიუთითა, დაჯექიო, უთხრა.

ჩიქა ჩამოჯდა. ნაბდის ქუდი იქვე, კუთხეში მდგარ მრგვალ პატარა მაგიდაზე დააგდო.

სერცვატა ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა.

— შენ რაზმიდან წასვლას აპირებდი რატომღაც. — დათა იმ კუთხისკენ წავიდა, სადაც ხალიჩაადაფარებული ხის პატარა ტახტი იდგა.

ღუდამ მეთაურს თითქოს თვალი უნდა გაუმართოსო, თავი ასწია, მაგრამ ვერ გახედა; მზერა ჯერ მის კოხტად შეკრეჭილ წვერზე შეაჩერა, მერე თვალი საკინძქმეხსნილ გახუნებულ სატინის ხალატს დაადგა. მზერა სერცვატაზე გადაიტანა. თითქოს დარცხვენილმა, დიახ, მინდოდა წასვლაო, უპასუხა ბუკიას და მიმედ ამოიოხრა, შუბლი შეიკრა.

— თუ დარჩენას არ აპირებდი, რა გინდოდა, რას მოლიოდი?! ხომ იცი,

ჩვენთან კავშირში მხილებულს რა დღეს აყენებს მთავრობა? — დათამ პაიჭიბზე ლეკვერთხები შეიხსნა, კუნთები დაიზილა. — თუ მხილების არ გეშინია?! — ახლა ცალი წულა გაიხადა, უგულოდ გადაადგო. როცა ქოსალასძირიანი ფეხსამოსი იატაკზე ქვასავით დავარდა, ღუდა შეერთა, თავი ასწია და დათას შეხედა:

— სწორედ ამიტომ მინდა მოგშორდეთ...

— რატომ? არ მესმის.

— აკი თქვენც ამბობთ, თუ მხილების არ გეშინიაო... სხვებს რა უნდა გაგუმტყუნო, როცა არც თქვენა ხართ დარწმუნებული... — სიტყვა ვერ დაამთავრა, წამოიწია მაგრამ წატორტმანდა, მერე როგორც იყო, გამაგრდა, ქული აიღო და გაოგნებულივით დადგა. — გამოდის, ჯაშუში ვყოფილვარ, — ამოილულულა და ცალი ხელით მაგიდას დაეყრდნო.

— ჯაშუში... რა ჯაშუში? — დათამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა სერსყვას და უხერხულად შეიშმუშნა.

აფხაზიც შეწუხდა. თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა და ეზოს თვალი ისე გაუშტერა, თითქოს რალაცამ გაიტაცა.

— ვინ გაკადრა, ბიჭო! ვინ გითხრა, ჯაშუში ხარო, — თითქოს შეუტიაო დათამ, მაგრამ მისი ხმა რალაცანიერი უთანაზიარო იყო.

— აბა, რა სათქმელი იყო, თორიას როგორ გადაურჩიო, რომ მკითხა რეიზმა? — მაგიდას მოშორდა, ქულის ზონარს წიწკნა დაუწყო, კედელს მიეკუდა.

— იქნებ კოსტას შეებარა ეჭვი. ყველას აქვს უფლება, რაც უნდა, ის იფიქროს, — დათამ ქისა ამოიღო. შარვლის მეორე ჯიბე მოისინჯა, გულის ჯიბეშიც ჩაიყო ხელი, ქალაღს ეძებდა, სერსყვა ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, კოხტად გამოჭრილი ნაბეჭდი ქალაღი გაუწოდა.

— ჰოდა, როგორ მედგომება რაზმში, როცა ჩემს პატიოსნებაში ეჭვი ეპარებათ! — ისევ ჩაქინდრა თავი, ქული ნერვიულად შეათამაშა.

დათამ თამბაქო შეახვია. სერსყვა ისევ თავის ადგილზე ჩამოჯდა.

— განა თორიამ არ იცის, ახლა შენ რომ ჩვენთან ხარ? როგორ ფიქრობ, სოფელში რომ დაბრუნდები, არაფერს არ გეტყვიან? — კაჭზე აბედი შემოდო, საკვისი მოიმარჯვა, ღუდას ცერად გახედა.

— სოფელში არ გამოვჩნდები, ბატონო, ტყე მარტოხელა კაცსაც შეიფარებს, — წაილულულა, თავი გვერდზე მიაბრუნა.

დათამ თუთუნი გააბოლა.

აფხაზს შეებრალა ღუდა. მეთაურს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: არა, ღუდა არ შეიძლება მოლაღატე იყოსო.

ღუდამ მხერა კარისკენ გააპარა, ამოიხსრა, წასვლა დააპირა, ნაბიჯიც კი გადადგა, მაგრამ მეთაურმა ანიშნა, დაჯექო. ჭაბუკი ახლა მონუსხულივით მიაშტერდა ბუკიას.

დათას ერთ ხანს არც ჩიქასთვის შეუხედავს და არც აფხაზისთვის, დინჯად წამოდგა, ღია კარისკენ წავიდა, დახურა, შემობრუნდა და შუა დარბაზში შედგა, ჩაფიქრდა.

სერსყვა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს.

გაფთრებული ღუდა ისე შემართულიყო, თითქოს გაქცევას აპირებდო.

მეთაური დიდხანს სცემდა ბოლთას ოთახში.

ღამდებოდა.

დათამ სიარულით გული იჯერა. კუთხესთან შედგა, კვლავ ღუდას მიუბრუნდა, დაჯექიო, გაუმეორა და სკამი მიუთითა.

ჭაბუკი დაჯდა, მეთაურს უგულოდ ახედა. დათამ კვისი შეათამაშა, გულის ჯიბეში ჩაიღო, ღუდას მიუბრუნდა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ბიჭვინთისკენ თუ გაგივლია ამ ხანებში?

სერსყვამ სული მოითქვა, რაფაზე ნახევრად ჩამომჯდარმა მეორე ფეხიც ჩამოდგა, გასწორდა.

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

გაკვირვებულმა ჭაბუკმა პასუხი დაავიანა, წარბებშეყრილი თვალეში მიატყერდა მეთაურს, ნეტავ რაში აინტერესებს ბიჭვინთაო, გაუელვა.

— როგორ არა, ამ ერთი კვირის წინ ვიყავი, — უპასუხა.

დათა ფანჯარასთან მივიდა, ეზოს გახედა. თითის წვერებზე შემდგარი სესრევა ტახტისკენ გაემართა.

— იქ, ბზიზის ნაპირზე რომ სადარაჯოა, გაგივია?

— გამივია კი არა... — ქუდი ისევ მაგიდაზე დაავდო, წელში გაიმართა, ჩახველა.

სესრევა ტახტზე ჩამოჯდა.

— რა „კი არა“? — დათა შემობრუნდა, ღუდას შეხედა.

— ვყოფილვარ იმ სადარაჯოზე.

— როდის?

— ამ ერთი თვის წინ, ბიძას ვახლდი, დეიდაჩემის ქმარს. სადარაჯოებს სინჯავდა, მეც თან გამიყოლია. — ღუდას შუბლი უნებურად გაეხსნა, გულწრფელი კაცის იერით თვალი თვალში გაუყარა მეთაურს.

დათა გაცბუნებული უყურებდა ამ საამო აღნაგობის ახალგაზრდას, მაგრამ გაკვირვებას მალავდა. ნუთუ ასეთი გულწრფელობა შეუძლია კაციშვილს, რომელსაც გულში ბოროტება უდევს და მოყვასის ყელის გამოჭრას ფიქრობს?!

მაგრამ მე რა! მე ხომ არ დამბადებია აზრი ღუდას ავკაცობაზე? რატომ დაემართა ასეთი საქმე გამოცდილ კაცს, ბევრის მნახველ კოსტას?! მეც რად დამაავადა ამ საშინელი სენით — ეჭვით?

ღუდას რომ რამე ჭუჭყი ედოს გულში, განა მეტყოდა, რომ იყო იქ, სადაც ჯარისკაცთა რაოდენობას და საბრძოლო იარაღის განლაგებას ფრიად საიდუმლოდ ინახავენ.

— რამდენი ჯარისკაცია სადარაჯოზე? — ჰკითხა და ღუდასკენ გაიწია.

— აბა, რა მოგახსენო, მე ვინ დამათვლევინებდა ჯარისკაცებს, — უპასუხა ჭაბუკმა და გულუბრყვილოდ გაიღიმა. გაიღიმა და მიხვდა, რომ ფიცხ მეთაურს გულზე უჩხვლიტა. არ უნდა ეთქვა, ჯა-

რისკაცებს ვინ დამათვლევინებდაო და დუმდა, თვალეში დახარა.

მართლაც არ ესიამოვნა დათას, ბიჭუკელამ რომ გულუბრყვილობაში გამოიქირა და შეიშმუნა; ჭაბუკს თვალი აარიდა, სესრევას მიუბრუნდა:

— ნახე, ლამაზში ნავთი თუ ასხია.

აფხაზმა არ დააყოვნა. ბუხარს მიაშურა, სანათი ჩამოიღო, შუშა ახადა, ასწია და შეანჯღრია. ყველას გასაგონად ალაყლაყდა ნავთი ლამაზში.

— ჰო, მართალი ხარ, შენ ვინ დაგათვლევინებდა ჯარისკაცებს, — დინჯად მიუგო დათამ და კეფა მოიფხანა, მერე აფხაზს გახედა. სესრევას კაჭუე ცერისოდენა აბედი დაედო, საკეცს იქნევდა. — შენ ის მითხარი, — მეთაური ჭაბუკთან მივიდა და ისე დააკვირდა, თითქოს მის თვალეში რაღაცას ეძებს, მაგრამ ბინდი უშლის ხელსო: — ვინ არის დეიდაშენის ქმარი, ან რა მოხელეა და სად მუშაობს?

— დეიდაჩემის ქმარი სოხუმშია. ჯარისა და გვარდიის ნაწილებს სურსათითა და ტანსაცმლით... ყველა საჭირო ნივთებითა და, რა ვიცი, ერთი სიტყვით, ყველაფრით ამარაგებს.

აფხაზს ანთებულ აბედზე ქალღდის ნახევი მიედო და სულს გამალებით უბერავდა.

დათა ერთ ხანს აფხაზს უცქეროდა, მერე უღვავზე დინჯად გადაისვა ხელი. გასცეს მოჭუტულმა თვალებმა; ისინი აშკარად მეტყველებდნენ, რომ მეთაურს სადღაც, გულის სიღრმეში კმაყოფილებით გაეღიმა.

მეთაურის გულს სიხარული ეძალებოდა, აქამდე ვერ წარმოედგინა, ასეთი საჭირო კაცი რაზმში თუ ეყოლებოდა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ღუდას თვალი თორიასკენ ეჭიროს? მაშინ... როგორც კი ოთახს სინათლე მოეფინა, ბუკია ფანჯრისკენ შებრუნდა, შუბლი შეიკრა, შეეცადა სახეზე არ გამოხატვოდა კმაყოფილებისა და სიფრთხილის, უნდობლობისა და გულწრფელობის ქიდილი.

— კარგია, რომ ასეთი ბიძა გყოლია... კიდევ უკეთესი, დროზე რომ მითხარი.

გარეთ უკვე ბნელოდა. დათამ ფანჯარაში გაპყო თავი, ზესენელს ახედა. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები კამკამებდნენ. ახლა ეზოში გადაიტანა მზერა. ლამის ნათელი შუქი ლაფაროს უკან ბუჩქებში იკარგებოდა.

— საჭირო რომ იყო, არ ვიცოდი, თორემ ადრე გეტყვოდი.

— საჭირო და მერე როგორ! — დათა დინჯად შემობრუნდა, გაუღიმა ღუდას.

— შენ ჯერ ბავშვი ხარ, გამოუცდელი, — განაგრძობდა ბუკია, — თორემ ისეთ კაცთან თუ ახლოს იყავი, რომელსაც ჯარის ნაწილებისა და გვარდიის განლაგება ხელის გულზე აწერია, რა უფლება გქონდა ჩუმად ყოფილიყავი?!

— არ ვიცი, არაფერი მესმის, — გაიკვირვა ღუდამ, მაგრამ პირმცინარე, კმაყოფილი მეთაურის შეხედვამ ჭაბუკიც გაამხნევა, გაათამაშა.

— იცი რა? — მეთაური დაჯდა, თვლები მოჭუტა, წარბები შეჰყარა. — მე მინდა ვიცოდე, თითოეულ სადარაჯოზე რამდენი ჯარისკაცია, რამდენი ტყვიამფრქვევი, რამდენი ქვემეხი! — მოჭუტული თვლები ფართოდ გაახილა, ღუდას შეხედა, კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ჭაბუკმა გულსადაგად გაუღიმა, თავი დაუქნია: ჰო, ვიცი, მიგიხედი, რაც გინდაო, უთხრა უსიტყვოდ.

სესრევა ტახტზე ჩამოჯდა, სმენად გადაიქცა.

— ადვილი საქმეა, ზიძაჩემს ხუთი თითივით ეცოდინება, სად რამდენი კაცია, სად რა აქვთ, — ღუდა ახლა თანატოლივით ელაპარაკებოდა მეთაურს. სკამი გაისწორა.

ბუკია დუმდა.

დუმდა, მაგრამ ჭაბუკს თვალს არ აშორებდა. ნუთუ შეიძლება ასეთი მიმნდობი სახისა და ასეთი ნათელი თვლების პატრონს საგულეში იუდას ბული ედოსო. ბუკიამ შეხედა სესრევას.

აფხაზმა სიკეთით სავსე მზერა შეაგება მეთაურის თვლებს.

— თუ ადვილია, — ახლა ისევ ჭაბუკს მიუბრუნდა დათა, — უნდა წახვიდე, უნდა გაიგო, რამდენი ჯარისკაცია, რითი

არიან შეიარაღებულნი, აქვთ თუ არა ტყვიამფრქვევი, ქვემეხი...

ჭაბუკი სულწასულივით წამოიჭრა ზეზე, მრგვალი მაგიდისკენ გააპარა თვალი, ქუდს ეძებდა:

— ამაღამ წავიდე?

— არა, — უპასუხა მეთაურმა დინჯად, — ამაღამ არა. დაისვენებ, გამოიძინებ და დილით უთენია გაუდგები გზას, — დათამ თვლები მოჭუტა, თითქოს ღუდას კიდევ რაღაც უნდა უთხრას, მაგრამ რატომღაც უმძიმსო. მერე ბუნარს ახედა, წვერიანი მამაკაცის სურათს დაადგა თვალი. ამ შავჩოხიანი დარდიმანდის განიერ მხარზე რუმბივით გასიებული დედაკაცს წურბელივით დაბერილი თითები სასაცილოდ გაეპარჭყა და ჯიუტად იცქირებოდა. დათას გაეღიმა, ისევ ღუდას მიუბრუნდა, სად ნახავ ხვალ ზიძაშენსო, ჰკითხა.

— სოხუმში; თუ სადმე სხვაგან საქმეზე არ არის წასული.

— სად ცხოვრობს?

— პუშკინის ქუჩაზე.

— რომელ ნომერში, თუ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს! რვა ნომერში, ორსართულიანი სახლი აქვს, დიდი გალავანი... ზალი...

— თუ შინ არ დაგიხვდა...

— სამუშაოზე მივაკითხავ.

— სამუშაოზე არ უნდა მიაკითხო. შინ უნდა ნახო. ძალზე ფრთხილად უნდა მიხვიდე. ეჭვი არავინ არ უნდა აიღოს, თორემ თორიას მეძებრები ისეთი მსუნაგები არიან, რომ...

— მაგაზე ნუ ფიქრობ.

— რისი იმედი გაქვს, ბიჭო! — დათამ აღმაცერად გადახედა ჭაბუკს.

— თორიას მსუნაგები ზიძაჩემთან მისვლას ვერ გახედავენ, — უპასუხა, ამაყად თავი ასწია და სესრევას გადახედა.

— სანამ ზიძაშენთან მიხვიდოდე?! — დათა წამოდგა, კარისკენ გაიწია.

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

— ამიტომ მინდოდა ამაღამვე გავ-
დგომოდი გზას. გათენებამდე ვესტუმრე-
ბოდი დეიდაჩემს. ბიძა თუ შინ იქნებო-
და, ლოგინში დავადგებოდი თავზე, —
უპასუხა და მაგიდასთან მივიდა, ქუდი
აიღო.

— ამაღამი!? — ერთხანს იდგა მეთა-
ური უსიტყვოდ, მერე მტკიცედ უთხრა,
არა, ახლა წადი, დაისვენეო, და ოთახი-
დან გავიდა. ღუდაც თან გაჰყვა. ერთ
ხანს აივანზე იმუსაიფეს, მერე ჭაბუკი
კიბის საფეხურებს ჩაჰყვა, ხოლო მეთაუ-

რი ოთახში შემობრუნდა. სესრყვა ისე
წამოდგა და მიეგება, თითქოს მეთაურის
ბრძანებას ელისო. დათამაც არ დააყოფ-
ნა, ბექეეს დამიძახე, ღუდას უნდა ჩაასწ-
როს სოხუმშიო, უთხრა.

— ღუდას? — ჰკითხა გაკვირვებულ-
მა აფხაზმა და ფეხი აითრია.

— დიახ, უნდა ჩაასწროს, უნდა უთ-
ვალთვალოს, ვინ იცის... სიფრთხილეს
თავი არ სტკივა. ხომ გაგიგონია,
ფრთხილთა დედანი არა სტირინო.

ვაგრძელება იქნება





სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

რომანი

ადგან ძია ვანოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ინასაც გიამბობთ, თუ როგორ შევხვდით ერთმანეთს ამერიკაში.

დღეები უხალისოდ მისდევდა ერთმანეთს. საჭმელი სანამ თევზზე იდო, გემრიელი ჩანდა, ჭამას დავიწყებდი და ჩალის გემო ჰქონდა. ღვინოც კი აღარ მსიამოვნებდა. გულზე ცივი ლოდი მაწვა. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი უგუნებობის მიზეზი მარტოობა იყო.

ხმის გამცემი მყავდა — ძია მონტო; ადგილიც კარგი მქონდა, პაკარდის ქარხანაში. თანდათან ამერიკელებსაც დავუმეგობრდი, უფრო იმათ, ჩემს საამქროში რომ მუშაობდნენ და ოჯახშიაც მპატივებდნენ ხოლმე. ბევრი განსხვავებული ადამიანი-წესი გვქონდა მე და იმათ, მაგრამ მაინც მომწონდნენ თავიანთი გულღიანობითა და უშუალოებით.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მაინც რაღაც მიხრავდა გულს. საქმე ის იყო, რომ რაც მეტ ამერიკელ მეგობარს ვიძენდი, მით უფრო მწვავედ ვგრძნობდი სიმარტოვეს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ნაჯახით ორად გაჩხეს ჩემი ცხოვრება და მე იმ ნაწილის დარდი

მკლავდა, საქართველოში რომ დარჩა. ჩემთვის ახალი მეგობრები აუცილებელი იყო, მაგრამ კიდევ ვიღაც მაკლდა — ის, ვინც სამშობლოს გამახსენებდა. მაშინ ჩემს გაორებასაც ბოლო მოეღებოდა.

ბოლოს, ერთ დღეს, თითქმის ამიხდა ნატურა. ნიუ-იორკიდან ილიკოს წერილი მომივიდა. ილიკოს „ქართველების გაზეთს“ ვეძახდით, რადგან ყველა ჩვენთაგანის ასავალ-დასავალი იცოდა: ვინ დაქორწინდა, ვინ მოკვდა, ვინ გაუჩინარდა, ვინ შეიცვალა მისამართი. ჩვენ ისე ცოტანი და ისე გაბნეულები ვიყავით, ილიკო რომ არა, სულ დავკარგავდით ერთმანეთს. ილიკო ახალ ამბებს მატყობინებდა:

„სალამი და გამარჯვება, გოორგი. გისურვებ წარმატებას და კარგად ყოფნას. პეტრო ტრამვაის დაეჯახა. რადიატორი დაემსხვრა. მკლავიც მოიტეხა. გივი უკვე დიდი ვაჟკაცია — სკოლაში დადის. ვანოს ქალიშვალი გათხოვდა. ერთი ახალი შეგვემატა. შენზე ამბობს, ვლადიკავკაზიდან ვიცნობო. ახლა ფორტ უეინში წამოვიდა სამუშაოდ. ახლობელია? იცნობ? ძია ჯონი მქვიაო, თქვა“.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6, 1963 წ.

ძია ვანო აქ, ამერიკაშია?! ფორტ უენში?! გულში ამღვრებულ პანგს ფეხი ავაყოლე და ცეკვით შემოვიარე ოთახი.

რა თქმა უნდა, ვიცნობდი. ის კი არა, მიჩვენებოდა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემს გვერდით იყო, როგორც ძია გიორგი, ძალუა სალომე და ჩვენი ვარდუა, რომელსაც თურმე აღარ ეწერა ომიდან დაბრუნება.

ძია ვანო ჩემი ნამდვილი ბიძა არ იყო. უფრო მეტიც — მეზობლებიც კი არ ვიყავით. პირველად ვლადიკავკაზში გავიცანი, ათი წლისა რომ ვიყავი. იქ ხმლების ოსტატს მიმაბარეს შევირდად.

გამწარებული ცხოვრება მქონდა. ოსტატის ბრძანებით სახელოსნოში უნდა დამეძინა (გაქურდვისა ეშინოდა); ბრტყელ ლოდზე ვწვებოდა და სახნად კამეჩის ტყავს ვიხურავდი. დღეში თოთხმეტ საათს ვმუშაობდი. ეს კიდევ არაფერი: ოსტატის ცოლს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა წმენდა-ხეხვა. ნიადგ საპნიანი წყლით ხეხავდა და ფხეკდა ყველაფერს. მისი ჯაგრისი და იატაკის საწმენდი ყველაფერს წვდებოდა, ფანჯრებიდან დაწყებული სახლის წინა ქუჩით დამთავრებული, და ყოველივე ამისათვის წყალი ჰქონდა მე უნდა ზომეტანა, თანაც დასვენების წუთებში. მაინც არაფერი შევლოდა. ორიოდღე დღე რომ გაგეტარებინათ იმ სახლში, მთელა სიცოცხლე ვეღარ მოიშორებდით ქუჭყს.

ერთხელ დამით, როცა უკვე ორი კვირა იყო გასული ჩემი შევირდობიდან, უკანა კართან ვიჯექი და ხის თოფს ვაკეთებდი (თუ მართლა დამესხმოდნენ ქურდები, თავს დავიცავდი), თან ჩემს ერთადერთ მეგობარს, ცალთვალა მურა ძაღლს, ბუსტას, ვესაუბრებოდი.

— ბუსტა, რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს? ამ უხეირო სამუშაოზე ვარ მიჯაჭვული. სულ მარტოდმარტო ვარ, ერთი მეგობარიც კი არა მყავს. განა შენზე უკეთეს დღეში ვარ?!

მე და ბუსტა ცოტა ხანს ფიქრებმა წაგვიღო. უცებ მეზობელი ეზოდან რაღაც ხმაური გაისმა. ბუსტამ ჰიშვრის

ღრიჭოში ცხვირი გაჰყო, სუნი აიღო და მობრუნდა. მივხვდი, რომ მშვიდობა იყო.

— ბუსტა, ნეტა რისთვის ვცოცხლობ ამ ქვეყნად? ჯობს მეც ძაღლი ვიყო.

— თუ აგრე გინდა, აპა, ძვალი მიირთვი.

ფეხზე წამოვვარდი, ერთი წუთით ვიფიქრე, ბუსტამ ლაპარაკი დაიწყო-მეთქი. მაგრამ არა: ვიღაც კაცი იყო, ქვის ყორედან გადმოწყურებდა. შვიდი ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. მრისხანე უღვაშები და შავი თმა ჰქონდა. მარტო თვალები ჰქონდა აღერსიანი.

— აპა ძვალი, — გაიმეორა მან და ბატკნის დაბრაწული ბარკალი მომაჩეჩა ხელში. — თუ ძაღლობა გინდა, ეს მიირთვი, მაგრამ თუ კაცად დარჩენას ამჯობინებ, დამიჯერე, უფრო მეტად ისიამოვნებ. აი, უკვე ორმოცდაათი წელია, კაცი ვარ და ჯერ არ მიანია. მოდი, გადმოძვერი და სუფრას მოვუსხდე.

მეც გადავძვერი და დაერწმუნდი, რომ ის კაცი არა ტყუოდა.

შიშინა მწვადები და მწვანილწყარილი ბატკნის ბეჭი გიახელით, ზედ ვაზის ფოთლოში გახვეული ტოლმა დაეცოლეთ. ბუსტაც შევიამხანაგეთ — ღობის ვადაღმა ვუყვრიდით ძვლებს და ისიც მაღიანად ახრამუნებდა. შემდეგ მოვიდა ძროხის ხორცი სოკობითა და ნაღებით; ტკბილეულითა და ხილით სავსე ლანგარიც გაჩნდა, სადღეგრძელოებს ხუთნაირი ღვინით ვამზობდით — სამი წითელი იყო, ორი კი თეთრი. ერთი სიტყვით, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას, რადგან რესტორანში ვიყავით და ჩემი მასპინძელი კი მისი პატრონი გახლდათ. ცოლი, შვილები, ღედ-მამა დიდი ხანია აღარა მყავს და ამ ქვეყნად ერთი ნათესავიც აღარ შემომჩრა, ასე რომ ახლა ყველას ძია ვარო, მითხრა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ დღე მივიდიოდი ძია ვანოს დუქანში და თუ თავისუფალი დრო მქონდა, ყველგან ვეზავნებოდი და ყველაფერში ვეხმარებოდი. დუქანი დღემუდამ სავსე იყო ლატაკი ხალხით და ძია ვანო ყოველთვის

დაუზარებლად ისმენდა მათი გასაჭირი-
სა თუ დაღუბნის ამბებს: მოხუც ჯარის-
კაცს პენსიის საქმე ვერ მოეგვარებინა,
რამდენიმე ახალგაზრდა ციმბირიდან
გამოქცეულიყო. ექვსშვილიან ქვრივს
ლუკმა პური არ ჰქონდა შინ. ხანდახან
ისეთი კაციც გამოერეოდა, მისი დაჭე-
რისათვის მეფის პოლიცია ჯილდოს იყო
დაპირებული.

ძია ვანომ ამჯობინა, რომ მუშტრებზე
მეტი მეგობრები ჰყოლოდა. მისთვის
რომ ფული ყოფილიყო მთავარი, ადგე-
ბოდა და კვლავ შეფ-მზარეულად წავი-
დოდა პეტერბურგში, სადაც მასთან ბა-
ტონიშვილები ივლიდნენ, სადაც დიდი
მთავრები ოც მანეთს მისცემდნენ თითო
შამფურ მწვადში.

— მე მირჩევნია ჩემი თავის ბატონ-
პატრონი ვიყო, — ამბობდა ხოლმე ძია
ვანო, — ამიტომ ჩამოვედი შინ; აქ ისე
არ მიჰქრიან დღეები, როგორც პეტერ-
ბურგში. თანაც ჩემს პატარა რესტო-
რანში ყოველ დღე შემიძლია წვეულება
გაუმართო. ესეც დიდად მსიამოვნებს.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე —
ხანი გავიდა და ძია ვანოს წყალობით
შეგირდობის ყავლი შეუმჩნეველად მოვა-
თავე. შემდეგ ომი ღაიწყო და როცა
ვლადიკავკაზში დაებრუნდი, ძია ვანო
წასული დამხვდა. ბოლოს ამერიკაში ჩა-
მოვედი. ახლა თურმე ისიც აქ ჩამო-
სულა.

მომავალ დასვენების დღემდე სული
კბილით მეჭირა. დასვენებამ სამშაბათს
მომიწია. ქალაქკარეთ მიმავალ პირველ-
სავე მატარებელში ჩავჯექი და დილაად-
რიან ფორტ უეინში ჩავედი. სულ არ მე-
გონა, რომ ძია ვანოს პოვნა გამიჭირდე-
ბოდა. მზარეული იყო და, ბუნებრივია,
რომელიმე რესტორანში უნდა ყოფი-
ლიყო.

ტაქსი დავიჭირავე და ქალაქის რეს-
ტორნების ჩამოვლას შევეუდექი. „ხომ
არა გყავთ აი ამ სიმაღლე, ამ სისქე,
ასეთი და ასეთი მზარეული?“ — ვკი-
თხოლობდი ყველგან. მგონი იმ დღეს
იმდენი მზარეული ვნახე, რამდენსაც
სხვა მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ

ნახავდა, მაგრამ არც ერთი არ იყო ძია
ვანო.

ოთხი საათი შესრულდა. უკვე მზად
ვიყავი ხელი ამელო ძებნაზე.

— ექვსი რესტორანი, ორი კლუბი,
ერთი სასადილო და ერთი საავადმყოფო
დაგვრჩა, — მითხრა ტაქსის შოფერმა.

— რესტორნები მომზებრდა, მოდი
ახლა კლუბები ვნახოთ, — ვუთხარი მე.
შოფერმა ერთ სახლთან მიმიყვანა.
„ათლეტთა კერძო კლუბი“ — ეწერა
თითბრის აბრაზე. როცა დარბაზში შე-
ვედი, გვერდით ოფიციალტმა ჩამიარა.
ლანგრით ომშივრიანი თეფში მიჰქონდა
სასადილო ოთახში, ჩემი ძიება დამთავრ-
და: ოფიციალტს ხახვსა და პომიდორში
ჩახრაკული ვარია მიჰქონდა; ეს კერძი
ძია ვანოს ხელოვნების მწვერვალი
იყო.

ბევრი აღარ მიფიქრია — უკან გაგბ-
რუნდი და სამზარეულოში შევრვე თავი.
ძია ვანო მართლაც იქ იყო. თმა და ულ-
ვაში გაჭაღარავებოდა, სიარული უჭირ-
და, მაგრამ ხმა არ გამოცვლოდა. მო-
ხუცმა იმწამსვე მიცნო და მეგობრულად
გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ძია ვანომ სუფრა გააწყო და დავსხე-
დით. რა თქმა უნდა, ძია ვანოს აქაც მო-
ენახა ხალხი, რომელსაც მისი დახმარება
სჭირდებოდა: ამჯერად მოხუც უკრაი-
ნელს და ქლეტიან აკორდენისტს პატ-
რონობდა.

ძია ვანომ მთელი კლუბი მოიწვია
და ყველას ჩემი სადღეგრძელო შესთა-
ვაზა.

— ამ პატარა ჭიქით, ჯენტლმენებო,
აღღეგრძელეთ ეს ბიჭი, რომელსაც სი-
ცოცხლე შევუნარჩუნე.

ყველა სხვადასხვანაირად მეკითხე-
ბოდა:

- გემზანიდან გადავარდით?
- ფრონტზე მოხდა ეგ ამბავი?
- ყაჩაღები დაგესხნენ?
- და არ მიჯერებდნენ, როცა ვეუბნე-
ბოდი: ძია ვანო რომ არა, ჩემი საქმე
ცუდად იქნებოდა-მეთქი.

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს
57

მოხუცი სიხარულით გაიბადრა, როცა ვუთხარი, დარბაზში ჩემს გვერდით ჩახობნილი ჩაატარეს და იმით მოგაგნემეთქი: ჩანს, შენ ჩემში მეგობარს კი არა, ნამდვილ ხელოვანსაც სცნობო, მითხრა. აკორდეონისტმა სიმღერა შეთხზა და ჩვენს პატივსაცემად შემოსძახა:

რამდენი სითბო და მოგონება
და რაოდენი სიღალე ახლავს
უცხო მხარეში,
უცნობ მხარეში
მონატრებული მეგობრის ნახვას.

დიდებული დღე იყო, ასეთი დღე იშვიათად დაუდგება კაცს. ძალიან მეწყინა დაღამება.

რა გაეწყობოდა — შინ დავბრუნდი და მუშაობა განვაგრძე. ამის შემდეგ

ყველაფერს ჰკურნავს, სიყვარულით ღამფვარი ბულის ბარდა

ერთი ჩვენებური ბიჭი, ილარიონი, დიდ კოლეჯში მუშაობდა. მისი მოვალეობა იყო ტელესკოპით ემზირა ვარსკვლავებისათვის. როცა ვარსკვლავებს არ უთვალთვალებდა, სტუდენტებს ასწავლიდა ხოლმე ათას რაღაცას, მაგალითად: როგორ უნდა გაეზომათ მზე, როგორ მისულიყვნენ მთვარეზე უმოკლესი გზით: უხსნიდა, თუ საით მიისწრაფვიან კომეტები, ელვასავით რომ ჩამოგვიქროლებენ ხოლმე.

ილარიონი ღამეებს ათენებდა სამუშაოზე, მაგრამ მაინცდამაინც ბევრ ფულს ვერ აკეთებდა, თუმცა, ღვთის მადლით, ზოგიერთივით ფულის გიჭი არ იყო. მხოლოდ სწავლაში პოულობდა სიამოვნებას. ხანდახან გასართობად ორიოდ ისეთ ვარსკვლავს დაიჭერდა, რომლებიც წინათ არა ჩანდნენ იმ მიდამოებში, ღამაზ-ღამაზ სახელებს დაარქმევდა და წიგნში ჩაწერდა. აი, ასეთი გართობა და კვირაში ერთხელ მეგობრებში დაღლეული ერთი ბოთლი ღვინო საესებით აკმაყოფილებდა მას.

ილარიონს მტკიცე ჩვეულებად ჰქონდა, ყოველ პარასკევ საღამოს რესტორანში შეგვხედროდა და კარგად გაეტარებინა დრო. თუმცა დიდი პროფესორი იყო,

ზოგჯერ რამდენიმე თვე ვერა ვნახულობდი ძია ვანოს. ზოგჯერ წელიწადიც გადიოდა ხოლმე. შემდეგ რამდენიმე დღეს ან კვირას კვლავ ერთად ვიყავით. ერთხელ მშვენივრად გავატარეთ მთელი ზაფხული სან-ფრანცისკოში. მერე კვლავ იყრებოდა ჩვენი გზები. მაგრამ როცა ამერიკის თავბრულდამხვევი ორომტრიალი ჩამითრევადა — ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი, სამუშაოს ვიცვლიდი და ნაცნობ სახეს ველარცხედავდი — მაშინ გამახსენდებოდა, რომ სადღაც არსებობს მარად უცვლელი, კეთილი ადამიანი — ძია ვანო და კვლავ კარგ ხასიათზე ვდგებოდი.

ტელესკოპის პლატფორმაზე იჯდა და ქერად დაფა ეხურა, თუმცა ყველა მდაბლად უკრავდა თავს, — იმდენი ჭკუა მაინც შერჩნოდა, რომ როცა ქეიფში მოხვდებოდა, მეცნიერების ტაძარი დაევიწყნა და კაცურად მოეღვინა.

მაგრამ ერთ პარასკევს ილარიონი აღარ გამოჩნდა. ჩვენ ბეჭიც კი მოვახარშვინეთ, რადგან ილარიონს ყველაფერზე მეტად ბეჭი უყვარდა.

— არა მგონია, რაიმე შემთხვეოდა, — თქვა ვახტანგმა, — თუმცა ვინ იცის? ილარიონი ხომ სულ ერთთავად იმ უზარმაზარ წიგნებს კითხულობს. ვეუბნებოდი კიდეც, როდესმე ეგენი ყოფას გიტირებენ-მეთქი. სურათებაც არაა იმ წიგნებში, რომ ცოტა თვალი შეასვენოს კაცმა.

— არა, ეგ არ ავნებდა, — თქვა შალიკომ, — ჩვენ, ხევისურებს, არწივის თვალეები გვაქვს. არ მიაბზნია თქვენთვის ბიძაჩემის ამბავი? მას შეეძლო მიზანში მოერტყა...

— გიამბზნია! გიამბზნია!
სულ არ გვეხალისებოდა თავიდან ბოლომდე მოგვეზმინა, თუ როგორ არტყამდა შალიკოს ბიძა გარეულ ტახს ტყვიას ნახევარი მილის მანძილიდან,

თანაც შიგ გულში. ასჯერ მანაც ექნებოდა მოყოლილი, და მანძილი შალიკოს ბიძასა და ტახის შორის უფრო და უფრო მატულობდა.

— ისევ ის ტახი? გეყო, შალიკო. მალე ბიძაშენს რადიოთი დაახოცინებ ღორებს, — თქვა ვახტანგმა.

— იქნებ ილარიონს რაიმე საქმე გამოუჩნდა, — ვთქვი მე, რათა კინკლაობა შეწყვეტილიყო. — იქნებ მთვარის დაბნელება ან სხვა რაიმე მოხდა და ვეღარ მოიცალა.

ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ, ასე რომ მეორე პარასკევამდე არ გვიღარდია. მაგრამ ილარიონი არც ახლა გამოჩნდა.

— ახლა კი რაღაც უბედურება გვჭირს, — თქვა ვახტანგმა. — ხომ არ შეიძლება, რომ მთვარემ ყოველ კვირას მოისულელოს თავი. რომელიმე ჩვენთაგანი კოლეჯში უნდა წავიდეს და გაიგოს, რა უჭირს.

დღეგატად შალიკო ავირჩიეთ.

— ოკეი, — თქვა მან, — როცა ჩემს სოფელს საფრთხე მოეღის, მე უნდა მივხედო. მისი გადარჩენა ჩემი ვალია.

მეორე დღეს დაბრუნდა და ძალიან ცუდი ამბავი მოგვიტანა — ილარიონი ავად ყოფილა, ძალიან ავად!

— რა დაემართა? — ჰკითხა ვახტანგმა. — აბა ამიწერე, როგორ გამოიყურება?

— ახლავე. რაღაც საავადმყოფოს მსგავს ოთახშია, ოთახი კოლეჯის შენობაშია. ამბობენ, ისეთი არაფერი სჭირს, ოღონდ დაიღალაო, მაგრამ, მე მგონი, რაღაცას გვატყუებენ.

— შენი თვალთ ნახე?

— კი. შემიყვანეს იმ ოთახში. ილარიონი კედლისაკენ პირშებრუნებული წევს. რა დაგემართა-მეთქი, ვუთხარი ქართულად. მომვლელმა დაისისინა: შენს მეგობარს ნუ ააღვლელებ; ცოტათი გადაიღალა, დიდი მნიშვნელობის გამოკვლევა დაამთავრა და ახლა ისვენებსო. — ისვენებს? — ვუთხარი მე. — უფრო ავადმყოფსა ჰგავს! — არა, ავად არ არი, — თქვა იმ ქალბატონმა და კბილები ისე გააეღვა, გეგონებოდათ, ელ-

ნათურები აინთოთ. ბრაზი მომივიდა და ვუთხარი: დარწმუნებული ვარ, ავად არის, აბა ამხელა კაცი ამ შუადღეზე ლოგინში რამ გააჩერა-მეთქი. მერე ილარიონს ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. არაფერიო, ობოლი ბატკანივით დაიკიცინა ილარიონმა.

— ილარიონი და ლოგინი?! — გავიკვირვე მე. — ას ოთხმოცდაათ გირვანქიანი, ექვსი ფუტისა და სამი დუიმის სიმაღლის კაცი ლოგინშია?

— ჰოდა წავედი და ექიმს ვკითხე, ძალიან დიდ პროფესორს. მითხრა: ილარიონი ძალიან მაგრად მუშაობდა და ახლა გვეშინია, ნერვები არ დაუსუსტდესო.

— ნერვების დასუსტება რაღა? — იკითხა ვახტანგმა.

— ეს ამერიკული დაავადებაა: როცა შენს ტვინს შენზე ფაქრი აღარა სურს, — ავუსხენი მე.

— ალბათ საშინელი რამაა. ხანდახან მეც მემართება — მავიწყდება, სად რასა ვდებ. სხვა მხრივ მე და ჩემს ტვინს კარგი ურთიერთობა გვაქვს. სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია.

— ნეტავ თავი გავტეხათ ომში, — ვთქვი მე, — ან ტყვია მოხვედროდა ფეხში, რაღაც ისეთი დამართოდა, რომ კაცი მიმხვდარიყო რამეს. ეს ნერვების დასუსტება რა ჯანდაბაა?!

გადავწყვიტეთ, საავადმყოფოში წავსულიყავით. იქ უკეთ შევატყობდით, რითი შეგვეძლო შეველა.

ილარიონი აბანოს ხალათში დაგვხვდა. სკამზე იჯდა, მაგრამ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— ილარიონ! — ვუთხარი მე. — მშვიერი ხარ, კაცო?

— ძვირფასი კერძი გვქონდა საუზმედ — ისპანახი, — თქვა ილარიონის მომვლელმა ქალბატონმა, — და თუ კარგად მოიქცევი (მან ილარიონს თითო დაუქნია), ერთ დიდ ფინჯან კრემს მიიღებ ვახშად. მაშ, შევთანხმდით, არა?

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

— ილარიონ! — უთხრა ვახტანგმა ქართულად. — ბატკნის ხორცი არ გინდა, შამფურზე შემწვარი, კარგად გახუხული? სისხლს მოგიმატებს.

ილარიონმა თავი გააქნია.

— ერთი ჭიქა კარგი ღვინო, შავი? — შესთავაზა შალიკომ. — ჯანზე მოგიყვანს.

— გინდა რამეს გიმღერებთ, იქნებ გესიამოვნოს? — ვუთხარი მე.

— არა, ჯენტლმენებო, დღეს არა. ხვალ კი შეგიძლიათ კვლავ მოინახულოთ, — გვეითხრა ქალბატონმა და გარეთ გამოგვრეკა.

— მისმინეთ, ბიჭებო, — ვთქვი მე, როცა სახლის გზას დავადექით, — სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე. ხვალ ძია ვანო ბრუნდება ფრესნოდან¹. უკვე 85 წელია ამ ქვეყანაზე ცხოვრობს და, უტყვევლია, ამისთანა ამბის წამალი ეცოდინება.

როგორც კი ძია ვანო ჩვენთან მოვიდა, ეს ამბავი ვუთხარი. კარგა ხანს იფიქრა (ამასობაში მშვენივრად დაივარცხნა წვერი) და ბოლოს იკითხა, სიყვარულში ხომ არ განიცადა მარცხიო?

— არა, — უპასუხა შალიკომ, — ეგ არ უნდა იყოს მიზეზი. პირველად მისვლისას ცოტა რომ გამომეფხიზლეზინა, ვუთხარი: ილარიონ, ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამაჩერა კიბესთან და მკითხა, მისტერ ილარიონი დღეს როგორ არისო. შევლივით ქალი იყო, შენი გულის ვარდი ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ არც კი შემომხედა.

— მაშინ ერთადერთი გზა დაგვრჩენია, — თქვა ძია ვანომ, — ნიორწყალი უნდა ვცადოთ. კვებით არ ვიტყვი და ჩემი გაკეთებული ნიორწყალი კოჭლს ააცეკვებს, მუნჯს აამღერებს და მკვდარს გააცოცხლებს. ნამდვილად. გეუბნებით, მიჯნურის გარდა, ყველას მოარჩენს.

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უშველის, — ვთქვი მე, — ერთხელ მეც მიგემნია. მადას გაუხსნის და რაკი ჭამას დაიწყებს, რაღა თქმა უნდა, მოიკეთებს კიდეც.

— რომ არ მოუხდეს? — იკითხა ვილკამ.

— მაშინ დაღუპულა საქმე, — თქვა ძიამ, — მაშინ მის ქელეხზე უნდა ვიზრუნოთ. არა რცხენია ავადმყოფობისა? ახალგაზრდა კაცია, ჯანმრთელი, ხელი არ აკლია და ფეხი. აი მე 85 წლის კაცი ვარ და როდისმე თუ გახსოვთ, ლოგინში ჩავწოლილიყავი და მეგობრები შემეწრიალებინოს?

— ილარიონის გაჯორვას მერეც მოვასწრებთ, — თქვა ვახტანგმა, — ახლა კი საქმეზე ვიზრუნოთ: როგორ ვაჭამოთ ეგ ნიორწყალი? საავადმყოფოში შეტანა არ მოხერხდება, ტრამევის გაჩერებიდანვე ეცემათ სუნი.

— მე დავრეკავ და ექიმს ვთხოვ, რომ ჩვენს მეგობარ ილარიონს ჩვენთან გამოსეირნების ნება დართოს, — თქვა ვახტანგმა.

— კარგია!!

— შემდეგ მანქანით წავიდეთ სადმე, ქეიფი მოვაწყოთ და ნიორწყალი ვაჭამოთ.

— ერთი კი ეცეს ნივრის სუნი და მერე უარს აღარ იტყვის ერთ ნაჭერ ხორცზე, — ვთქვი მე, — მერე ოროდე ყლუბ ღვინოსაც გადაყლუნწავს ჩვენი ილარიონი და დარწმუნებული ვარ, კვლავ მოიკეთებს.

— მერე საავადმყოფოში რას იფიქრებენ, დროზე რომ არ დაბრუნდება?

— როცა გამოვიყვანთ, მეორედ დავურეკოთ და ვუთხრათ, ჩვენთან კიდევ რამდენიმე საათის გატარება მოინდომათქო, კარგად მოეუვლით-თქო.

— სად წავიდეთ? პარკში?

— არა, პარკში დიდ ცეცხლს არ დაგვანთებინებენ.

— სანაპიროზე?

— სანაპიროზე აჯობებს. ქვევით დავუყვით და ქალაქს გავცდეთ.

— ის პატარა პლაჟი ბუტლვეგერებითაა საესე, — თქვა ვახტანგმა. — იქ თანინთ ნაგებსა სკლიან.

— კარგი ერთი, — უპასუხა შალიკომ, — თუმცა შეიძლება შემთხვევით გადავწყდეთ. მე მინდა ხუთი-ექვსი გა-

¹ სან-ფრანცისკოს კინიზობითი სახელწოდება.



ლონი გამოვარტვა. ერთბაშად ვიყიდი და იათად გამოვალ.

დავრეკეთ საავადმყოფოში. ექიმმა ნება დაგვართო. მანქანით მივედით ილარიონის წამოსაყვანად.

— გადავწყვიტეთ სანაპიროზე წაგიყვანოთ და კარგი ქეიფი გავმართოთ, შენი პატივისცემა გვინდა.

— სულაც არ მიპიტნავენება ქეიფი.

— ცეცხლს დავანთებთ, მწვადებს შევწვავთ...

— არ მინდა.

— ძიამ ისეთი აჯაფსანდალი დაამზადა, შენ რომ გიყვარს.

— არ მინდა! არ მინდა! — იმეორებდა ილარიონი მოშლილი გრამაფონივით.

ნაპირს გაეყვივით და ქალაქიდან 20—25 კილომეტრზე საუცხოო ადგილი ვიპოვეთ. მანქანა მინდორში დავყენეთ და ბილიკით ჩავედით ზღვის ნაპირას. იქაურობა თეთრი, ქათქათა ქვეშით იყო მოფენილი. სამი მხრიდან ციკაბო კლდე იცავდა. უქარო ადგილი იყო, ნანატრი. ილარიონს დიდ შორებზე საბნები გავუშალეთ და დავსვით. პირდაპირ ოკეანეს გაპყურებდა.

— აბა არ მოიწყინო, — უთხრა ვახტანგმა, — ზღვის ჰაერი ისუნთქე და უცებ გამომჯობინდები. ღრმად ისუნთქე.

ამასობაში მე და შალიკომ ფიჩხი მოვაგროვეთ და ცეცხლი დავანთეთ. ძიავანო ნიორწყლის კეთებას შეუდგა — ქვასანაყში დარჩეული ნიორი, მარილი, წიწკა, ქინძი და კამა ჩაყარა და ნაყვა დაიწყო. თან ძმარს უმატებდა წვეთ-წვეთად. როცა კრემივით იქცა და ჰაერი სურნელებით გაიქედინთა, ნიორწყალი უკვე მზად იყო.

ილარიონი ავადმყოფი იყო და მწვადს პირდაპირ შამფურიდან ვერ შეჭამდა, ამიტომ ვახტანგმა რამდენიმე საუკეთესო ნაჭერი ფოთოლზე დაუწყო, მწვადს გვერდით ნიორწყალი დაუსხა და პური დატეხა. დავიწყეთ ჭამა და ღვინის სმა. ნიორწყალმა ისე მოგვაშია, რომ კიდევ რამდენიმე შამფური ბატკნის ხორცი შევწვივით და კიდევ ორიოდე ჭიქა ღვინო გადავკარით. ძიავანომ ანეგლოტები

გვიამბო, ვახტანგმა თავისი ჩონგური ააღლულუნა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცალი თვალი ილარიონისაკენ გვექონდა. მართალია, ჭამდა, მაგრამ ისე, თითქოს ჩალას ღეჭავსო.

— არა, სასწაულები არა ხდება, — მითხრა შალიკომ, როცა მე და ის გამოირიყული შეშის მოსაგროვებლად წავედით. — იქნებ მეორედაც რომ ჭამოს, მაშინ განკურნოს მაგ ნიორწყალმა. ასეთ მძიმე შემთხვევაში ალბათ ორჯერაა საჭირო.

როცა უკან დავბრუნდით, შალიკომ სამშობლოს ამბები გაიხსენა — იქნებ ილარიონი გამხიარულდესო. ორივენი ხევსურები იყვენენ, მთებში შებუდრულ სოფლებში ცხოვრობდნენ. ამ ხევსურებს უცნაური ზნე-ჩვეულებები აქვთ: დღემდე იმ ჩაფხუტებსა და ჯაჭვის პერანგებს ატარებენ, რომლებიც ჯვაროსნებმა დაუტოვეს. ხშირად უშუბებით ფარიკაობენ. თუ საჩხუბარი არაფერი აქვთ: სახუმარო ბრძოლებს მართავენ დროის გასატარებლად. უმამაცესი ხალხია, მაგრამ ცოტა ჩამორჩენილი.

ჩვეულებრივ, ილარიონს უყვარდა ხევსურებზე საუბარი. იგი ამაყობდა, ხევსური რომ იყო და იერუსალიმის ყველა ჭიშკარში აარაღითა და გაშლილი დროშით შესვლის უფლება რომ ჰქონდა (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღემდე არ უსარგებლია ამ უფლებით). ილარიონს და შალიკოს ძალიან მოსწონდათ თავი, როცა ორლესულებს აათამაშებდნენ ხოლმე ხელში.

— მოდი, თუ ძმა ხარ, უკაცური ადგილია და არავინ შეწუხდება, საბრძოლო სიმღერები დავძახოთ; აი ისა, აკრის ალყის დროს რომ ვმღეროდით, ჰა? გინდა? ხომ გინდა? — შეაგულიანა შალიკომ.

არა, ილარიონს არ უნდოდა.

— მაშინ იმაზე რას იტყვი, ლაშქარი რომ შევკრიბეთ და დორილეუმი რომ გადავარჩინეთ განადგურებას?! ასეთი

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

შემთხვევა ხშირად არ გვეძლევა ხოლმე, რაც გვინდა, ყველაფერი შეგვიძლია შემოვძახოთ.

— არა!

— კარგი, მაშინ მე ვიმღერებ, შენ კი მოძახილი მითხარი. აბა მოდი: „ფრანგებს ჰყავდათ დედოფალი ელეონორა, ელეონორა...“

ვერა, ილარიონის გული ვერაფრით ვერ მოიგო.

ისევ ვახტანგმა ააქლერა ჩონგური და ამღერდა. მე, ძია ვანო და შალიკოც აყვივით. მშვენიერი კვარტეტი გამოვიდა. ბანს ტალღები გვეუზნებოდნენ — ბუმ, ბუმ, ბუმ...

და სწორედ მაშინ, როცა ასე ბედნიერად ვგრძნობდით თავს — ჭიქით ხელში ვუშხერდით ოქროსფრად, მწვანედ და ცისფრად მოელვარე ცეცხლის ენებს, ჩვენს უკან, სულ ათიოდე ნაბიჯზე. ტყვიამ ქვიშა ამტკვრა.

— დაწიქით! — იყვირა ძია ვანომ. ყველანი მიწაზე განვერთხეთ და მორს ამოვეფარეთ. თოფმა კიდევ ერთხელ დაითხინა.

— BB-ა! ¹ — თქვა ვახტანგმა, როცა მესამე გასროლის ხმა გაისმა. — თანაც მარტო ერთი თოფიდან ისვრიან, პნევმატურიდან.

— სულ ერთია, მანაც არ მინდა, რომ მომხვედეს, — თქვა შალიკომ. — რატომ გვესვრიან?

— რატომ! ეგენი ის ბუტლეგერებია, ბითუმად რომ გინდოდა გამოგერთმია ღვინო. მოდი ნულარ იყიდი, იმ ფულით ვინმე მეკუბოვე იქირავე, რომ იაფად დაგმარხოს.

ბუტლეგერები უკნიდან მოგვპარვოდნენ. მათი ლაპარაკიც გვესმოდა.

— სიმღერის დროს მოგვეპარნენ, — თქვა ძია ვანომ. — ალბათ გემს ელიან ამაღამ და იმიტომ გვაგრძნობინეს, წადითო.

— განა არ შეეძლოთ წესიერად ეთქვათ? — იკითხა შალიკომ. — ახლა

წასვლა აღარ შეიძლება! ეგონებათ, რომ გავეძეცით.

რამდენიმე წუთს ხმაგაკმენდილები ვიწექით მორს უკან. ცალ მხარეს ძია ვანო მეწვა, მეორეზე — ილარიონი.

— რა ვქნათ? — დაიჩურჩულა შალიკომ. — შეიძლება შემოგვიტიონ.

ნაპირზე რაღაც ამოძრავდა. ვითომ კაცია? არა. კიდევ მივიხედე უკან — იქნებ წყალმცენარეები შრიალებენ. გარკვევით ვერაფერი ვერ გავარჩიეთ და ძიას გავკარი ილაყვი, მაგრამ იმანაც ვერაფერი დაინახა. რაღაც ლანდი მოჩანდა მხოლოდ.

— რა ვქნათ და როგორც წესია, ისე მოვიქცეთ, — უპასუხა ვახტანგმა შალიკოს. — ერთად დავესხათ თავს და ვიბრძოლოთ. როცა ბოლო. ჩვენთაგანი დარჩება ცოცხალი, იმას შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც გაეხარდება.

— მოვიცადოთ, — თქვა ძიამ, — ცოტა ხანს...

უცებ ღრიალმა ხმალივით გააპო ღამის მყუდროება.

— ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ ილარიონია! — წამოიძახა შალიკომ.

ჩემს გვერდით ხელი მოვაფათურე — არავინაა.

ნამდვილად ილარიონი იყო. იგი კვლავ ღრიალებდა. ისეთი ხმები ამოსდიოდა პირიდან, კაცს სისხლი გაუჩერდებოდა ძარღვებში:

— ერთი თოფიანი დავიჭირე, მომეხმარეთ, ბიჭებო, ორიღა დამარჩა.

იგი კლდის ნაპირას, ბილიკზე იდგა, ციცაბოს ნახევარი ჩაველო. ნეტა როგორ ჩავიდა? თუმცა რა იყო მისთვის ცოცხით გაველო მთელი კლდინი სანაპირო, ახოხებულყოფი ფრიალოზე და იქიდან დახტომოდა თავს ბუტლეგერებს — ხეცსურები ნამდვილი ჯიხვები არიან.

ჩვენს ზევით ავცოცდით, ცოტა ხნის ძიძგილაობის შემდეგ მთელი ჯგუფი დავიჭირეთ და ქამრებით შეგვკარიოთ.

— ხელა დროებითი ზავი დავდოთ, — თქვა ჩვენმა სპიკმენმა და უხუცესმა ძია ვანომ. — რატომ გვესროდით?

¹ პნევმატური თოფის სახეობა.

— თქვენ კანონი დაარღვიეთ! — თქვა ერთმა; იგი იტალიელი უნდა ყოფილიყო, რადგან ინგლისურად ისე კარგად ვერ ლაპარაკობდა.

— ჩვენ დავარღვიეთ?! — გაიკვირვა შალიკომ. — რა სასაცილო ხარ! ერთი ამას დამიხედეთ. იქნებ პრეზიდენტმა აკრძალა სანაპიროზე პიკნიკების მოწყობა! აკრძალა?

— დაიკარგეთ! ვიცით თქვენი პიკნიკები! — თქვა ყველაზე წარმოსადევმა იტალიელმა.

— გაგიშვებდით, კარგი ბიჭები რომ იყოთ, მაგრამ რა ვიცი, კიდევ რას ჩაიდენთ! ძალიან ველურები ხართ, — თქვა ძია ვანომ.

— არა, ლაპარაკზე დროს ნუ დავკარგავთ, — განაცხადა ილარიონმა. — უახლოეს ფერმაში მივადეთ და პოლიციას დავურეკოთ.

— პოლიცია?! — დაიღრიალა ბრვე იტალიელმა. — რას ამბობთ? გაგიჭდით? ბუტლეგერები...

— ვინა ხართ, მე არ შეკითხება. ხალხს ნუ ესვრით! ამას შეიძლება მარცხი მოჰყვეს. თქვენი ბრალია, პოლიციას რომ ვეძახით.

— თქვენ ვერ გაბედავთ პოლიციის დაძახებას, — თქვა მეორემ; მას ყელზე წითელი ცხვირსახოცი პქონდა შემოხვეული (მესამე ბუტლეგერი მხოლოდ ტურჩებს აცმაცუნებდა — რა დაემართა, ვერ მიგვხვდი). — ვერ გაგვაცურებთ. პოლიცია ორი წელია დაგეძებთ. ხელად ციხეში გამოგამწყვდევნენ. თქვენ ხომ ბუტლეგერები ხართ!

— ბუტლეგერები ჩვენა ვართ? — გოცდა ვახტანგი. — ჩვენ კი არა, თქვენა ხართ!

— თქვენ! თქვენ! — ბრვე იტალიელი ისე გაცოფდა, ხტუნვა დაიწყო. — თქვენა ხართ! თქვენ! თქვენ!

— მოითმინეთ. — თქვა ძია ვანომ. — მოდი კარგად გავიგოთ, ვინ ვინ არის. მე ვარ კაცი, ხელობით მზარეული, სანფრანცისკოში მცხოვრები. აქ პიკნიკზე ჩამოვედი. ესენი ყველანი ჩემი მეგობრებია. მაშ ბუტლეგერები თქვენა ყოფილხართ. ხომ ასეა?

— როგორ არა, მოგართმევნე! — თქვა ბრვე იტალიელმა. — მე ფერმერი ვარ. ესენი ორივენი ჩემი მეზობლებია. კვირა ისე არ გავა, რომ განგსტერებმა აქ თავიანთი გემი არ გადმოცალონ და...

— მართალია, — ჩაურთო სიტყვა წითელმა ცხვირსახოცმა. — საქონელი საბარგო მანქანებით გადააქვთ და ოქროფხალას ნათესებს გვითელავენ, პურის ყანას მიჩანაგებენ. ათასჯერ ვუთხარი, აღარ მოხვიდეთ-მეთქი, მაინც მოდიან. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა მოვიცადეთ, ვიდრე ჩვეულებისამებრ დაღვედით, იმღერებდით და იღრიალებდით, შემდეგ თოფები პილპილით დაგტენეთ და...

— არა უშავს რა, — თავაზიანად თქვა შალიკომ. — შეცდომა ყველას მოუვა. ასე არაა?

მე ტყვეებს ქამრები ავხსენი.

— ზარალის საქმე როგორ იქნება? — იკითხა ბრვე ახალგაზრდამ. — ტანსაცმელი ნაფლეთებად გვექცა. თქვენმა მეგობარმა ჩემი თოფი მუხლზე გადაღუნა.

— ქველა ქვილევი დამაქრევიანა, — წაიჩიფჩიფა დაღუულმა კაცმა, აი იმან, ტურჩებს რომ აცმაცუნებდა. იგი ანთებული ასანთით ხელში დახობავდა მიწაზე. — ვერა ვფოულოფ. აი! არა, ეშ არაა. ხომ არ გადაგქლაფადე?

— კბილები დაკარგა. — გვითხრა წითელმა ცხვირსახოცმა.

— ღმერთო ჩემო! — შეწუხდა ილარიონი. — გულშიც არ გამივლია მაგის უკბილოდ დატოვება.

— ხელოვნური კბილებია. — დავგაწყენარა წითელმა ცხვირსახოცმა. — შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო.

— მაინც ძალიან ვწუხვარ, — თქვა ძია ვანომ, — თხუთმეტი დოლარი შეგვარიგებს?

კი, შეგვარიგებსო, თქვეს.

— ო'კეი! აბა, ბიჭებო, ფული შეაგროვეთ! — გვითხრა ძიამ.

— არა, მე გადავიხდი. — თქვა ილარიონმა. — ძალიან კარგად ვგრძნობ

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს



თავს. რამდენი წელია, ასე არა ვყოფილ-
ვარ. მე ვკისრულობ.

ერთი სიტყვით, ფული გადავიხადეთ
და ერთმანეთს ხელი ჩამოვართეთ.

— ახლა მეგობრები ვართ! — გამოა-
ცხადა ძია ვანომ.

— უკაცრავად, — იკითხა დალეულმა
კაცმა (მას კბილები ეპოვნა და ჩაეს-
ვა). — ნივრიანი ხომ არაფერი გიჭა-
მიათ?

ამის შემდეგ ყველანი სანაპიროზე ჩა-
ვედით, მწვადები შევწვით. იმ ბრვე
ახალგაზრდამ (თურმე ტონი ჰქვოდა)
წითელცხვირსახოციანი შინ გააგზავნა,
მინდვრის გადაღმა: ორი დოქი წამოიღე,
ამათ კარგი ღვინო მინდა დავაღვევანო.

ილარიონი კი — ღმერთო დიდებუ-
ლო! — ჭამდა, მღეროდა, მალაყებს გა-
დადიოდა, გვიჩვენა, როგორ ცეკვავენ
მის სოფელში — ჯაჭვიდან აწყვეტილი
ძალლივით ხტუნავდა.

ბოლოს ცეცხლი ჩაიფერვლა, საჭმელი
შეიჭამა, სიმღერები შემოგვევლია და
ჩვენი ქეიფი დამთავრდა.

— დასწყევლა ღმერთმა, — თქვა
ტონიმ, როცა პირობა ჩამოვართეთ,
შემდეგ კვირას ქალაქში გვესტუმრე-

თო, — ასეთი მამაცი მებრძოლეები ჩემს
სიცოცხლეში არ შემხვედრია. ალბათ, ძა-
ლიან გიყვართ ბათქაბუთქი. — მან
მუშტი შემოკრა ხელის გულს. — ეს
ალბად ჩვეულებრივი რამეა თქვენებუ-
რებისათვის.

დილის ცხრა საათს გადასცდა, როცა
ილარიონი ჩავაბარეთ კოლეჯს.

— საავადმყოფოში ნუ წამიყვანთ,
ჩემს ოთახში დამტოვეთ! — ვეთხოვდა
იგი, კვიცივით კუნტრუშობდა და მზად
იყო მუშაობას შესდგომოდა.

— კარგად მოეწყო საქმე, ძია, —
თქვა შალიკომ, როცა მანქანამ ჩვენს ქუ-
ჩაზე შეუხვია. — სწორედ ისე გამოვი-
და, როგორც დაგებირდი. ნიორწყალი
თურმე მართლა ყველაფერს კურნავს.

— ჰო, ყველაფერს! — თქვა ძია ვანომ
და თვლები დაფახულა. — ყველა-
ფერს, სიყვარულით დამწვარი გულის
გარდა.

— მაგას რა შეგლის, ძია? — ვკი-
თხე მე.

ძიამ ცერით გაისწორა უღვაშები და
მიპასუხა:

— მხოლოდ სამარე, ან სხვა, უფრო
ლამაზი ქალი.

რა არის საპირმო ტაბილი ცოლ-ქმრობისათვის

ელენე რომ დაენიშნე, რაღა თქმა უნ-
და, მაშინვე მეგობრებთან გაეიქეცი, რომ
მეხარებინა. გული ზედნიერებით მქონდა
საესე.

მაგრამ იმათ, როგორც შევატყვე, ჩემ-
სავით არ გაეხარდათ ეს ამბავი. ვახ-
ტანგს ცხენივით დაუვრძელდა სახე. შა-
ლიკო გალურჯდა და ოთახის კუთხეში
დაჯდა. ილარიონმაც კი არ დამიჭირა
მხარი — ის ხომ თითქმის გაამერიკელე-
ბული იყო. მარტო ძიამ ჩამომართვა
უგემურად ხელი და ორიოდვე სიტყვა
გაიმეტა:

— ძალიან გამზედავი ყოფილხარ, ბი-
ჭო, თუ ამერიკელ ქალს ირთავ.

— უპირველეს ყოვლისა, — დააქნია

თავი ვახტანგმა, — ამერიკელ ქალებს
არ მოსწონთ უცხოური სახელები. ამი-
ტომ სახელი უნდა შეიცვალო. ერთმა
ჩემმა კარგმა ნაცნობმა რუსმა ამერიკე-
ლი ქალიშვილი ითხოვა. დაქორწინების-
თანავე ცოლმა სასამართლოში წაიყვანა
და პერბერტ ჰუვერად მონათლა, უნდო-
და წონა მომატებოდა მის ქმარს. ახალ
არჩევნებში პერბერტ ჰუვერი ვერ გაი-
მარჯვებს და წარმოგიდგენია, რა დღეში
ჩავარდება ის რუსი? შენც ასე დაგე-
მართება.

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ ყველა
ამერიკელი ქალიშვილი, რომელსაც

დღემდე შევხვედრივარ, საჭმელს წიგნე-
ბით ამზადებს, — თქვა ილარიონმა.

— მოიცა, იცი, ეგ რას ნიშნავს? —
განმიმარტა ვახტანგმა. — ერთიც ვნა-
ხოთ, წიგნი დაკარგა. საჭმელი ფაა-ფუ!
შიმშილით უნდა მოკვდე.

— ახალ წიგნს ვუყიდი.

— კიდევ მეტს გეტყვი, — ჩამოგვე-
რია ლაპარაკში შალიკო, — ამერიკელე-
ბი ძალიან ცოტა საჭმელს ამზადებენ.

თუ ორი სულია ოჯახში — ორ ბიფშ-
ტექსს, სამია — სამს. ერთ ზედმეტ
უღუფას არ დაამზადებენ შემოსწრე-
ბულისათვის. უცებ ვინმე რომ მოვივი-
დეს სტუმრად, მშვიერი დარჩება. ექვსი
თვეც არ გავა, რომ სირცხვილისაგან
უფალს მიაბარებ სულს.

— მართალია, — დაუკრა კვერი ვახ-
ტანგმა, — დასაფლავების შემდეგ პურ-
ღვინოც კი არ გედირსება, მარტო კუბოს
წამლებებს თუ დააღვინებენ თითო ჭიქა
ჩაის. მე არც კი მოვალ.

— შენს კარზე მგზავრი ჩაიგლის
და სადილზე ვერ მოიპატივებ, ამ სია-
მოგნებას უნდა გამოეთხოვო, — თავის
ქნევით ჩაილაპარაკა შალიკომ, — თეთ-
რად მბრწყინავი ხუთასდოლარიანი, ღი-
ლაკებიანი და სახელურებიანი მაცივა-
რიც რომ გედგას, ერთი ზედმეტი ბოთ-
ლი ღვინო არ გექნება შიგ.

— შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა საშინე-
ლება დატრიალდება შენს ოჯახში, —
მითხრა ვახტანგმა, — ვერც ერთი ამე-
რიკელი ქალი ვერა სძლევს უბოდგას-
ტოდ.

— ელენეს ძადლი ჰყავს, ირლანდიუ-
რი სეტერი. „ველიკი კნაზი“ ჰქვია, ინგ-
ლისურად ჰერცოგს ნიშნავს. ბოდგასტი
კი არ მინახავს იმასთან.

— ბოდგასტი დასახარჯი ფულის წი-
ნასწარ ჩამოწერას ჰქვია. დაფუშვით,
უქეიფოდ ხარ. ისე, მაგალითისათვის
ვთქვათ, და გინდა რუსულ კლუბში შეხ-
ვიდე, ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა და ქა-
შაყის ნაჭერი დააყოლო მადის მოსაყვა-
ნად. ამისათვის ჯერ ბოდგასტი უნდა
დაწერო:

ვსვამ ვისკის — 35 ცენტი.
ვაყოლებ ქაშაყის ნაჭერს — 10
ცენტი.

— როდის აქეთ იცნობ ასე კარგად
ამერიკელ ქალიშვილებს, საიდანა გაქვს
ასეთი ცნობები?! — გაუბრაზდი ვახ-
ტანგს.

— გეყოთ, ბიჭებო, — გაგვაჩერა
ძიამ. — რაკი პირობა მისცეს ერთმა-
ნეთს, აღარაფერი ეშველება. საქმე გა-
თავებულია. — ძია ვანომ მეორედ ჩამო-
მართვა ხელი. — არა უშავს, ბიჭო გო-
გია, ოცი წელი შენი მეგობარი ვიყავი
და ახლა ვეღარ დაგკარგავ.

მათი ლაპარაკი არად ჩავაგდე და ყვე-
ლაფერი მშვენივრად აეწყო. ჩემს სი-
ცოცხლეში პირველად მქონდა ოჯახი.
საუკეთესო დედა მყავდა, კაცი უკეთეს
ვერ ინატრებდა; მყავდა ლამაზი და მხი-
არული და; წარმოიდგინეთ, ბებიაც კი
გამიჩნდა. ბევრი კი ვერ დაიკვებინს
ასეთი ბებიით — ოჯახის მშვენიება
იყო.

ჩემი ცხოვრების მზით გაკაშკაშებულ
ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა,
ვიდრე ქალები ქორწილის სამზადისს
არ შეუდგნენ.

— ათი ან თერთმეტი კაცის დაპატი-
ყებას თუ აპირებ, — მითხრა დედამ, —
თხუთმეტიც ხომ აქაურები იქნებიან,
სულ ოცდაათი იქნება. ჩემი ვარაუდით,
მაშინ რულეტი დავაცხოთ; სამი, არა სა-
მი კი არა, ოთხი ქათამი; სოკოები...

— ოთხი ქათამი?! — საშინელ დღეში
ჩავვარდი. მაგრამ ჯობს ახლა ვუთხრა
ჩვენებურების ამბავი. სუფრას რომ შე-
მოუსხდებიან, მერე კი გაიკებენ, მაგრამ
გვიან იქნება.

— ორ ქათამს მარტო ძია ვანო ჭამს,
როცა მალაზუა.

ჩემს სიღედრს სახეზე შევატყვი, რომ
გაოცდა.

— უფალო დამიფარე! მერე წნევა არ
უწევს?

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

— არა, საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში 85 წლის კაცის პირობაზე.

— კეთილი, მაშინ ქათმები მეტი იყოს. ფრანგული მუხუდო, აი ისა, პტი პუას რომ ეძახიან. პატარა ცხელ-ცხელი ბისკვიტები, მუსი...

— მუსი ძალიან კარგი იქნება, ბარკლებიდან მწვადების გაკეთება შეიძლება, ბეჭს მოვხარშავთ.

ელენეს სიცილი აუტყდა.

— მუსი ნაყინის მსგავსი საჭმელია, — ჩამიჩურჩულა დამ.

როგორც ჩანს, ვერასოდეს ვერ მიხვდები ნათქვამს. მე მუსი ირმის მსგავსი ცხოველი მეგონა, მაგრამ აღარაფერი ვთქვი.

— მისმინე, ჩემო, — მითხრა დედამ, — როგორც მე მიგხვდი, ასე უნდა მოვიქცეთ: შენ მოგვიყვი, როგორია საქორწილო საუზმე საქართველოში და მერე ვნახოთ: რასაც შევძლებთ, გავაკეთოთ.

— იქ საუზმით არა კმაყოფილდებიან. მთელი დღე ჭამენ.

— კეთილი. რას ჭამენ?

— ჯერ თევზეულს. შებოლილი თართი შეიძლება. კარაქში შეპიწინებული მთის ციმორი. მერე ზუთხი — ქორჭილას მსგავსი თევზია, სტაფილოს წვენითა და დაფნის ფოთლით. მერე სათალი, ჭიჭყინა, შემწვარი კალმახი და ორაგული — დიდი თევზია, პირში ლიმონის ნაჭერს უდებენ. შემდეგ ცოტა ხიზილალა. იქნება ვინმეს უყვარდეს! ზედ ახალი ხახვი უნდა დააჭრან. და კიდევ...

— ზღვის ნაპირას გამართულ სადილს ჰგავს, მშობლიურ მენში რომ ვაწყობდით ხოლმე, ისეთს, — თქვა ბებია. — თქვენებურები ასთაკეებს თუ ჭამენ?

— არა, მაგრამ არაფერი დაშავდება, თუ სამ-ოთხ ცალს დავდებთ სუფრაზე. იქნებ ვინმემ გასინჯოს. ჩემი აზრით, თევზეული საკმარისია.

— შემდეგ რა მოდის? — იკითხა დამ, რომელიც ფანქრით იწერდა ყველაფერს.

— საწყალი კაცის ხიზილალა, — ვუთხარი მე და ინგლისურად ვუთარგმ-

ნე: — Poor man's caviar, უამისობა არ იქნება. იოლი საქმეა: კანიანად შემწვარ ბადრიჯანს კოვზით ამოფხეკვენ და კარგად მოსრესენ. მერე წვრილად დაჭრილ ქორფა ხახვს დააყრიან, ლიმონის წვენს და ზეთს დაასხამენ, მერე ტარხუნას, ძმარსა და ოხრაბუშს უზამენ.

— ზეთი ტარხუნა, ბადრიჯანი, — მისუსტებული ხმით იმეორებდა დედა, — თართი, ხიზილალა...

— წვნიანი შეიძლება გამოვტოვოთ, — განვაგრძე მე, — შემდეგ მოდის ხორციეული. ჯერ ინდაურის საცივი. ამის ოსტატი ძია ვანოა. მოიცა (უცებ კარგი აზრი მომივიდა თავში): თუ ნებას მომცემთ, რა იქნება ძია ვანოს ვთხოვო, რამდენიმე დღით ადრე მოვიდეს და ყველაფერი მოამზადოს?

— მზარეული ხომ არ არის? — მკითხა დედამ.

— რესტორანი პქონდა მრავალი წლის განმავლობაში. თქვენ ნულარაფერზე შეწუხდებით.

— კეთილი, — ამოიხვნეშა დედამ. — ყოველმხრივ კარგი იქნება. გვეტყვის, რა დავამზადოთ. ელენეც უყურებს და ისწავლის თქვენებური კერძების კეთებას. რაც დაჯდება, დაჯდება! რას ვიზამო! თავიდან უნდა დაგვეჭირა ქეთერერის¹ ვარაუდი.

„ნეტა რას ნიშნავს ქეთერერი. — ვიფიქრე გულში. — ესეც ვიკითხო? არა, თუ ეგ რაიმე კერძია, ძია ვანო უეჭველად მოახერხებს დამზადებას“.

ერთი სიტყვით, ყველაფერზე დავითანხმე ჩვენები და ქორწილამდე ორი დღით ადრე სადგურში წავედი ძია ვანოს დასახვედრად. იგი ისე იყო გარშემორტყმული ფუთებით, მუყაოს ყუთებითა და ჩემოდნებით, რომ ვუთხარი, წიწილებიან კრუსხა ჰგევხარ-მეთქი.

— რა მექნა, — მიპასუხა ძიამ, — ვერ გადავწყვიტე, რომელი ჩოხა წამო-

¹ პროდუქტების მომტანი.

მელო, შავი, სიასამურის ქუდით, თუ თეთრი, ასტრახანული ბოხობით? ბოლოს ორივე წამოვიდე. აქ კიდევ ჩემი ქვაბებია. ცოტა მწვანელიც. ასეთს აქ ვერ ვიშოვნედი. — და ძია ვანომ ათიოდე ისეთი რამ ჩამომიფვალა, ურომლი-სოდაც სიცოცხლე წარმოუდგენელი იყო.

ყველაფერი გადმოვიტანე და მანქანაში ჩავაწყვე. ხვერდის ჩანთა ძიამ თვითონ წამოიღო — ამ ჩანთაში შემზარავი საყახბო დანები, სამართებელივით ალესილი ვიწრო სათლელები, მოღუნულ-წვერიანი სათულები, ნაჯახები და პატარ-პატარა, უცნაური ფორმის ალმასივით მჭრელი საფხეკები იდო. ძიას მეტს არავის ჰქონდა ნება ხელი ეხლო მათთვის — ოსტატის ხელსაწყოები იყო!

შინ მისვლისთანავე დარბაზში შევიყვანე.

— ეს ის კაცია, საჭმელი რომ უნდა მოამზადოს? — მკითხა დედამ.

ძია თავის ბარჯს აღაგებდა, სათითაოდ იღებდა ნივთებს ფუთებიდან, მაგრამ როცა ქალების ხმა გაიგონა, სარკეში ჩაიხედა, ტანსაცმელი გაისწორა და მეორე ოთახში შევიდა. ჯერ საერთო სალამი მისცა ყველას, შემდეგ ქალებს ჩამოუარა და ყველას სათითაოდ ეამბორა ხელზე. ბოლოს ბებიას წითელი ვარდების თაიგული მიუძღვნა, დედას დაშაქრული ხილით სავსე ატლასის ყუთი მიართვა, დას ნელსაცხებლის ზაფთიანი ბოთლი, და ბოლოს ქართულად სიტყვა წარმოსთქვა. როცა სიტყვა დაამთავრა, უბიდან ძვირფასეულობათა პატარა ყუთი ამოიღო ელენესათვის. შემდეგ ორივე ლოყაზე მაკოცა და დაჯდა.

ბებია მღრმად ჩაისუნთქა და მკითხა: დიდად ნასიამოვნები ვარ, მაგრამ მითხარით, რა თქვათ?

— მან მადლობა გადაგიხადათ, პატივი რომ დასდეთ და მოიწვიეთ. გისურვით დიდხანს და თანხმობით იცხოვროთ ყველამ ამ ოჯახში. მწუხარება გამოთქვა, რომ დედა არა მყავს და მამა ჯერ არ ჩამოსულა, მაგრამ სიამოვნებით კისრულობს იყოს ჩემი უახლოესი ნათესავი

ყველა სავალდებულო ცერემონიალის შესრულების დროს.

— ჩვენს მაგივრად მადლობა გადაუხადე, გეთაყვა. უთხარი, უაღრესად დავალებული ვარ-თქო, — მითხრა დედამ.

— ის ამბობს, ქალები რომ საქორწილო ხორაგის გრძელი სიის კითხვით არ შევაწუხო, ხვალ მე თვითონ გამოგვევებით ბაზარში, ეს ჩემთვის სიამოვნება იქნებაო. ყველაფრის არჩევაში დაგეხმარებათ.

— გავაგებინებთ კი რამეს? — შეწუხდა და.

ამასობაში ძია ჯონი უკვე კარგად შეეგუა გარემოს და ეს კითხვა გაიგო. იგი წამოდგა, „I luff you“-ო¹, თქვა და კვლავ დაჯდა.

მომდევნო დღეებში მთელი სახლი საქორწილო მზადებით იყო აფორიაქებული. სისხამ დილიდან ნაყვის, კეპის, თქვეფის ხმა და ლუმელის კარის ხათქახუთქი ისმოდა. ქვაბების სახურავები ორთქლზე ციკვავდა. ძია ვანო მშვენიერ დროსტარებაში იყო — ხან თაროებზე აუათურებდა ხელებს და ვერცხლის ჭურჭელს ითვლიდა, ხან უეცრად გამოხტებოდა საკუჭნაოდან და კარაზიდან გამოღებულ თევშს ამოწმებდა, ხან ხანგრძლივად ჩაფიქრებოდა და დაცლილ ღვინის ჭიქას ატრიალებდა ხელში. ამ დროს იმას ფიქრობდა, რომელი ახალი კერძით გაეკვირვებინებ.

პირველ დღეს ძიამ და ბებია მორიოდე მწარე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს — წიწაკის დასამჭავებელ წათხის რეცეპტზე მოუვიდათ უთანხმოება, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჩხუბის შემდეგ საუკეთესო მეგობრები გახდნენ, მეტადრე მაშინ, როცა გამოირკვა, რომ ორივეს გაგიჟებით ჰყვარებია ცერცვი, ნამცხვარი, შემწვარი და მობარშული ხორცი, წვნიანი და სალათა.

¹ მე თქვენ მიყვარხართ (დამახინჯებულად).

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს



მერე ქალებმა შემოიარეს და ძია ვანო თითოეულს ცალ-ცალკე უმხელდა კომისის შექარში მოხარშვის საიდუმლოებას, ან თვითონ ეკითხებოდა რაღაც ანგელოზის ნამცხვრის დამზადების დეტალებს. ძია ვანოს მოსვლისთანავე სახლი სამზარეულო იარაღით აივსო. მანამდე არც უხმარია ისინი — მჭურელი დანები ვაშლის დასაჩირავად და ყალიბები კარაქისათვის. წარმოიღვინეთ, ერთხელ წინადადებაც კი მომცა — ყავის საფქვევი დაშალე, ერთი ვნახო როგორ ფქვავს ასე წვრილად; ეს ყავის საფქვევი კი თითქმის სავგარეულო რელიქვია იყო — ელენეს დიდედის პაპის ეყიდნა პორში.

ბუნებრივია, მე ასეთი სისულელეებისათვის ვერ მოვიცლიდი. მთელი დღეები საქორწილო წესების დაზებირებას ვუნდებოდი, რომ კრიტიკულ წუთებში მეგობრები და სამშობლო არ შემერცხვინა. ბოლოს ეს დიადი დღეც დაჯგაცრემონიალი დამთავრდა და აი უკვე ცოლიანი კაცი ვარ. ყველამ მოგვილოცა და გვისურვა, ერთი საუკუნე ბედნიერად იცხოვრეთო. ამის შემდეგ დადგა დრო, რომ ლამაზ, სანთლებით გაჩახჩახებულ, ვარდებით მორთულ და სანოვაგით დახორცილ მაგიდას შემოვსხდომოდით. თუმცა ზოგი ამერიკელი სტუმარი მგონი ძალიან გაოცდა და შეცბა ამ უცნაური საქორწილო საუბრის დანახვაზე, მაგრამ მადა კი არ წართმევიათ; ყველა გაცხარებული ილუკმებოდა და არც ისეთი დამბლა დასცემიათ, რომ მეორედ — არა, სჯობს სიმართლე ვთქვა — მესამედ და მეოთხედ არ გადაეღოთ ყოველი კერძი. ახლა ჩემს მეგობრებზე მოგახსენებთ: როცა ასეთი სუფრა ნახეს, შალიკომ ბოდიში მომიხადა (ეყო ვაჭკაცობა), და თვით ვახტანგმაც კი მოიხარა ქედი — ჩემი ბიძაშვილის გათხოვების შემდეგ ასეთი არაფერი მიხახავსო. ასე რომ ყველამ ბედნიერად იგრძნო თავი.

ძია ვანო ქალებში ჩამჯდარიყო და ნექტარის საქებნელად გამოფრენილი ფუტკარავით ზუზუნებდა. თან წამდაუწუმ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით.

— ამგვარად, ნიგოზს კარგად დაუნაყავთ, — მესმოდა მისი ხმა, — მერე დააკეილ ხახვში ავურევთ...

— ახალ ხახვში? — მიესივნენ ქალები და მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი პასუხს.

— ღიახ, ქალბატონებო, ოღონდ ნუღელავთ, ღერობს დაგვპრით, რადგან შემდეგ ლიმონის წვენი უნდა ვუქნათ. მერე წიწკა...

— ტკბილი წიწკა?

— ტკბილი, როგორც ქალის ღიმილი, — დაუქნია თავი ძიამ, — ტკბილი, მწვანე, მრგვალი წიწკა. შემდეგ ოხრახუში და ქინძი — ჩვენებური მწვანელი ბია და ყველა ამას ქორფა მწვანე ლობიოში შეზილავთ.

— გასაოცარია, — წამოიძახა ხუკუჭთმიანმა ლედიმ, — ნამდვილად გასაოცარია.

— და ეს ჩვენებური მწვანე ლობიო იქნება.

ამასობაში სადღეგრძელოები ითქვა, ცოტა ცრემლი დაიღვარა, მაგრამ უფრო მეტი სიცალი და მხიარულება იყო. ბოლოს განშორების ჟამიც დადგა — ჩვენ სამოგზაუროდ მიგდიოდით. წასვლისას, რაღა თქმა უნდა, ყველას რაღაც გაახსენდა, ელენემ სხვა კოსტუმის ჩაცმა მოინდომა, მერე საქორწილო ნამცხვარს კიდევ რამდენიმე ნაჭერი ჩამოაჭრა, მერე ჩემი თაიგული გადააგდეთო, თქვა.

— ბილეთები? მატარებლის ბილეთები რა იქნა?

— ილარიონ! სად შეინახე მატარებლის ბილეთები? აბა მარდად!

— შენს საფულეში.

კარგი ადგილი არ უპოვინა ბილეთების შესანახად?! მაგრამ მადლობა უფალს, საფულეს მივაგენი.

და როცა უკვე წასვლას ვაპირებდით, ძია ვანომ ბოდიშებით გაიყვანა ელენე დარბაზში და დიდი საიდუმლო გაანდო — ისეთი დიდმნიშვნელოვანი, რომ მგონი ორჯერ გაუშეორა. თაღის გადღმოდან მომესმა ელენეს „ღიახ“, და შემ-

დღეგ მიორედ „ღიას“. ბოლოს, როგორც იქნა, გავეტიეთ. ერთ ქორწილს კიდევ როგორმე აიტანს კაცი, ორს კი მე, ჩემდა თავად, ვერ გავუძლებდი.

— ახლა კი, — ვუთხარი ელენეს, როცა მატარებელში ჩავსხედით, — ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და მოდი ნურაფერი გვექნება ერთმანეთისაგან დამალული. რა ვითხრა ძია ჯონმა?

— ახალი რეცეპტი, — სიცილით მითხრა ელენემ.

— ღმერთო ჩემო, რისი რეცეპტი?

— თუ გინდა ბედნიერი ცოლქმრობა გქონდეთო, ჩამიჩურჩულა ძია ვანომ ყურში, სულ ცოტა — დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენს ქმარს, მიყვარხართქო, და როცა ქართველებისათვის გააწყობ სუფრას, არ დაივიწყო: უამრავი საჭმელი თუ არ იქნა, არ ეყოფათო.

ინგლისურიდან თარგმნა
ანდრეაფაარ ჭეიშვილმა

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

გაგრძელება იქნება



ქაღალდი. მკვიდრით...

მოთხრობა

ფილის რვა საათი იქნებოდა. ზამოსტიევსკის მტს-ის დირექტორის მისაღებ ოთახში ხანში შესული კაცი იჯდა. გამხდარი, დანაოჭებული სახე ზამთრის სუსხს აეჭრელებინა. შავ, მოკლე ტყაპუქსა და დაბამბულ შარვალში იყო ჩათბუნებული. ქეჩის ჩექმებზე ავტომანქანის საბურავებისაგან გამოკერილი კალოშები ეცვა, ძველ სალდათურ ქამარში მათრახი ჰქონდა გარჭობილი. სავარძლის კიდეზე იჯდა, ორივე ხელით მუხლებზე დაყრდნობილი. იქვე იატაკზე ძველი, გაქუსული, მელიის ბეწვშემოვლებული ქუდი და ბრეზენტის დიდრონი ხელთათმანები დაედო. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდი, რომ მემარხილე იყო. დიახ, სერგეი მარუშკინი მარხილზე მუშაობდა ზამოსტიევსკის მტს-ში, პატარა რაიონულ ქალაქში.

მემარხილეს გარდა მისაღებ ოთახში ტელეფონებით დახუნძლულ მაგიდას უჯდა ახალგაზრდა ქალი. კობტად შეკერილი აბრეშუმის ბლუზა და დიდი თბილი ჩექმები ეცვა. ეს გახლდათ დირექტორის მდივანი ქალი მარინა. იგი გაჩქარებით წერდა რაღაცას, ქაღალდზე ჩამოეარდნოდა ხშირი კულუღი. მემარხილე ნაღვლიანი თვალებით გახედავდა ხოლმე მდივან ქალს, ეტყობა, რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ვერა ბედავდა, ვაითუ მუშაობაში ხელი შეეწეულიყო. ბოლოს ველარ მოითმინა:

— ხომ ვერ მეტყვი, მარინა, ამ დილაუთენია რისთვის დაგჭირდით?

— აგრონომი ჩამოვიდა მოსკოვიდან და კოლმეურნეობაში უნდა წაიყვანოთ.

— აგრონომი? ეგ კარგი ამბავია! — ესიამოვნა მემარხილეს.

მარინამ თავი ასწია, ხელად დაავიწყდა სამუშაო, რომლითაც ეს წუთია ასე იყო გატაცებული.

— ერთი ცხვირმოუხსოცავი გოგოა, სიმაღლე მაინცა ჰქონდეს! როგორც ჩანს, ინსტიტუტი ეს-ესაა დაუმთავრებია.

— ეგრე რად ამბობ, მარინა, — მკაცრად უთხრა მემარხილემ. — ხომ გაგიგონია, ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო... სად უნდა წავიყვანო?

— არ ვიცი, მე არ მამბარებენ ანგარიშს, — მოუჭრა მარინამ.

მემარხილემ ამოიხსრა და ფანჯრისკენ მიბრუნდა. გარეთ ნელ-ნელა იფანტებოდა ღამის წყვიდიანი და მკრთალი, ფერფლისფერი დილა თენდებოდა. თითქოს არც ურიყრაყინა, არც მზე ამოსულა, ისე სცვლიდა ღამეს თებერვლის დაღვრემილი დილა. მაგრამ დაკვირვებული თვალის მემარხილემ ქალაქის მშენებლობათა შორის დარჩენილ სივრცეს გახედა და ნახა, რომ ჩაშავებული ტყის ზემოთ ცას ოდნავ დაჰკრავდა ყვითელი ფერი, თითქოს ფუნჯით ყვითელი ზოლი გაავლესო.

მემარხილე უფრო ახლოს მიიწია ფანჯარასთან და ეზო და მარხილში შებმუ-

ლი თავისი ცხენი დანახა. კარგი, სქელ-გავიანი ლაფშა ცდილობდა კბილებით მისწვდომოდა პარმაღზე დაკიდულ ყინულის ლოლუებს.

— გაგიჟიდ ახლა, შენი ოხერიც... — მოფერებით შეაგინა და ის კი ვერ მოიფიქრა, ლაფშას ხმას ვერ მივაწვდენ, სამაგიეროდ მარინა მშვენივრად გაიგონებს ყველაფერსო. ქარ-მზესა და ყინვას გამოვლილი სახე წამოუჭარხლდა, ფრთხილად გააპარა თვალი მდივანი ქალისკენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მარინა ოთახიდან გასულიყო.

შუა ეზოში მტს-ის დათოვლილი, ტენტიანი „პობედა“ იდგა.

„მამ სადგურიდან აგრონომი „პობედით“ მოუყვანიათ, — გაიფიქრა მემარხილემ. — მაგრამ კოლმეურნეობაში გუშინდელი თოვლის მერე მანქანით რას გაივლი? ტყუილია! აქ მისწრებაა ჩემი ოთხფეხა ყველგანმავალი“.

— ნეტავ, სად გაგზავნიან? ალბათ პეტროვსკოვლებთან, იმათ ყველაზე მეტად უჭირთ... ან იქნებ „ბოგატირში“ გაგზავნიან! იქაური თავმჯდომარე ამას წინათ ჩხუბობდა, აგრონომი გვჭირდებო... — მარტოხელა მოხუცების ჩვეულებისამებრ ხმამაღლა ფიქრობდა მემარხილე. — სტრელნიკოვოსა და დგორიკებშიც ელიან აგრონომს... მისთვის, რასაკვირველია, „ბოგატირში“ სჯობია, იქ კლუბიც არის, საცხოვრებელსაც არა უშავს რა.

— მაგრამ ისეთი თავმჯდომარე ჰყავთ!.. გართობს ვერ ელისებში! — ჩაილაპარაკა მის ზურგს უკან მარინამ.

— შენ სულ გართობა გახსოვს, — არ მობრუნებულა, ისე უთხრა მემარხილემ.

მარინამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო. კაბინეტის კარი გაიღო და გამოჩნდა მტს-ის დირექტორი ოკუნჩიკოვი ტანმორჩილი ქალიშვილის თანხლებით, რომელსაც ცხვრის ბეწვის საყელიანი ქალაქური ქურქი ეცვა და ასეთივე ქუდი ეხურა. ქუდიდან შუბლსა და მრგვალ წითელ ლოყებზე თხელი ქერა თმა ჩამოშლოდა. ხელში ეჭირა ჩემოდანი, რომელსაც სახელურზე მიბმული ჰქონდა საგზლით გატენილი ხელჩანთა.

ოკუნჩიკოვს გახურებული მუშაობის ამ ბოლო თვეებში ახალი ჩვეულება დასჩემდა: დაბრკოლებას გადაამწყდარი ცხენით, თავს გადიგდებდა უკან და ოდნავ გვერდზე. ახლაც ასე მოიქცა, მისალმების შემდეგ თავი გადიქნია და თქვა:

— სერგეი დანილიჩ, ამხანაგ აგრონომს პეტროვსკოვში წაიყვან, პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში! — თავი ისევ დაიქნია და ღიმილით დაუმატა: — მხოლოდ ფრთხილად იარეთ. აბა, ბედნიერად მოწყობას გისურვებთ, — უთხრა აგრონომს. — თუ რამე გაუგებრობა მოხდა, პირდაპირ მე დამიკავშირდით.

ოკუნჩიკოვმა ხელი გაუწოდა ქალიშვილს. ქალიშვილმაც ჩამოართვა ხელი და მაშინვე გამოსტაცა უკან, თითქოს შეეშინდა, არ მატკინოსო.

სანამ ოკუნჩიკოვი ლაპარაკობდა, მემარხილე სიმპათიითა და სიბრალულით ათვალეირებდა აგრონომს. ქალიშვილს თექვსმეტ-ჩვიდმეტ წელზე მეტს არ მისცემდით, ისედაც პაწაწინა ჩიტუნისა ჰგავდა და წარმოსადეგ მარინას გვერდით ხომ სულ ერთი ციცქნა გამოჩნდა. ისე იზღვირებოდა და მსუქანი ტურები ისე ამობურცული ჰქონდა, გაბუტულ ჟოგონას ჰგავდა. მსუბუქ ქურქში, აბრეშუმის წინდებსა და ბეწვმოვლებულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი, სრულიად შეუფერებელი იყო ზამოსტიეცკის მკაცრი თებერვლის სიცივისათვის.

„თითქოს სასეირნოდ გამოწყობილა, მთლად ბავშვია!“ — უწყინარი დაცინვით გაიფიქრა მემარხილემ და გაეხარდა, კიდევ კარგი, ცხვრის ქურქიც წამოვიღე და მარხილშიც თივა ბლომად ჩავაგეო.

ისინი ქუჩაში გამოვიდნენ.

— დაბრძანდი, — უთხრა მემარხილემ. — მარხილი დიდი მოსაწონი არ არის, სამაგიეროდ აქაური გზებისათვის მისწრება! — როცა გოგონა დაჯდა, მემარხილემ ტყაპუკი შემოახვია, ფეხებთან შეუკეცა და თივაში ჩაუთბუნა. ხე-

იური ნავიზინი
გადმოდო, მოვედით...

ღები აგრონომის გაციებულ ფეხებს მოუხვდა და გული დიდი ხნის დავიწყებული, მხოლოდ ფიქრებით ნალოლიაგები მამობრივი სინაზით აეესო: „მეც შეიძლებოდა მყოლოდა ასეთი გოგონა, ჩემი მარია რომ არ მომკვდარიყო ამ ოცდაორი წლის წინ“, — გაიფიქრა მან.

— როგორ არის საქმე, ჩათბი? — ჰკითხა ხმამაღლა, გულში კი დაუმატა: „შვილო“.

— არა მიშავს რა, — უპასუხა ქალიშვილმა გაბუტული ბავშვივით გაბოხებული ხმით.

— აჩუ! ლა-მა-ზო! — ჩაიმღერა მემარხილემ და უცებ მოუხერხებლად, გვერდულად ჩაეხეთქა მარხილში. მარცხენა ფეხი გაშეშებულივით დარჩა გამოშვებული მარხილს გარეთ და მაშინვე შეეტყო, რომ ფეხი კი არა, პროტეზი ჰქონდა...

ახალდათოვლილი გზა აღარც კი ჩანდა თოვლიან ველზე, მაგრამ ლაფშა თოვლში ჩაფლული ფლოქეებით გრძნობდა დატკეპნილ მიწას და არხეინად მიზობდა ჩორთით. უმზეო დღის შუქში გაცრეცილი ერთფეროვანი, უხალისო სივრცე შემორტყმოდა გარს მგზავრებს. აქეთ-იქით ტრიალი მინდორი გადაშლილიყო. მწკრივად გაბმული ტელეგრაფის ბოძები ხან მალღებოდნენ, ხან კი ისე დაბლდებოდნენ, მავთულები თითქმის თოვლში იკარგებოდა და მხოლოდ ამით თუ მიხვდებოდით, რომ მინდორი ხევხუვებითა და ბორცვებით იყო დასერილი. ხან მეჩხერი ჭალა ჩაუქროლებდათ და ისევ მოეფარებოდა თვალს, თითქოს ბუნდოვნად მოკიაფე დღის სინათლეში გაჰქრაო.

ხანგრძლივმა დუმილმა მოქანცა მემარხილე და ცხერის ტყაბუჭში გამოხვეულ გაუნძრეველად მჯდომ ქალიშვილს მოუბრუნდა.

— მაშ მოსკოვიდან ხართ? — ჰკითხა და თვალი ჩაუკრა გოგონას.

ეტყობა, გოგონა საუბრის გუნებაზე არ იყო, ხოლო ტყაბუჭის მალღ საყელოში არც თავის დაქნევა დაუნახავს,

მაგრამ გოგონამ დიდრონი წამწამებით რომ დაახამხამა, მემარხილე მიხვდა, „ღიახო“, რომ უთხრა.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, განაწილებით ჩამოხვედით თუ თქვენი სურვილით?

— ჩემი სურვილით! ან დადე მაგიდაზე ბილეთი, ან არადა შენი სურვილით წადიო! — წყნარი, ნაღვლიანი ხმა მოესმა აწეული საყელოდან.

მემარხილემ ან ვერ გაიგო პასუხი, ან ის გაიგონა, რისი გაგონებაც უნდოდა.

— კარგი გიქნია, რომ ასე მოქცეულხარ. მგონი, ისე შეგვეჩვიო, შინ წასვლა აღარ მოვიდეს.

გოგონა ხმას არ იღებდა.

მარხილი ნელა, რწევით მიცურავდა თეთრ, უკიდევანო თოვლის ზღვაზე.

— რა მოტიტვლებული და გახრიოკებულია აქაურობა... — ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

— ზამთარშია ასე! — შეფუცხუნდა მემარხილე. — აბა, ზაფხულში ნახეთ — ხალიჩა გეგონებათ, ისეა აჭრელებული აქაურობა! აქ სტრელნიკოვის კოლმეურნეობის სათიბებია; ძველ დროს კი ისეთი ჭაობი იყო, კაცი ჩაიფლობოდა. ბალახი ჭაობის ნაპირებში და აქა-იქ, ბუჩქების ძირას თუ იზრდებოდა.

მემარხილე მათრახის ტარით აწვენებდა აქეთ-იქით, თან უამზობდა, სად რა მიწებია, სად ტყეა, სად მინდორი, სად ტბა, და რატომ არის, რომ მიწა ერთნაირია და ჭირნახული კი ერთგან კარგი მოჰყავთ, მეორეგან ცუდი.

— თქვენ აქაური ხართ? — შეაწყვეტინა საუბარი გოგონამ.

— აქაური ვარ, მაშ სადაური! — რალაც გაეხარდა მემარხილეს. — აქ დავიბადე და აქ დავებრდი. ომის დროსაც აქ ვიყავი პარტიზანად და ფეხიც აქ დავკარგე. — მან მათრახის ტარი გაიშვირა მინდორს იქით, შავი ზოლისაკენ, ჩარჩოსავით რომ შემორტყმოდა ველს და მოხერხებულად დაჯდა, სალაპარაკოდ მოემზადა. ეგონა, გოგონა სიტყვას გაუბამდა, მაგრამ ქალიშვილი ისევ გაჩუმდა.

მემარხილეს ცოტა არ იყოს გული სწყდებოდა, რომ მისი მშობლიური მხარე მოსკოველი ქალიშვილის თვალში ასე უფერულად გამოიყურებოდა. თავად ვერა გრძნობდა, რომ მიდამო მოტიტველებული და გადახრიოკებული იყო; მისი ყოველი მტკაველი ხან ხალისიან, ხან ნაღვლიან, სასიხარულო ან სამწუხარო იმბავს აგონებდა, მაგრამ როგორ გაუზიაროს ეს მოგონებები გოგონას?..

მამაკაცი რომ იყოს, მაშინ ადვილია საუბარი. მაშინ მოუყვებოდა, შემოდგომობით რეზინის ნავით როგორ შეცურდებოდა პუჩკოვის ლელიან ქაოზში, შორს ჩამოქებული რომ მოჩანს. მარტო ერთ დღეს ათამდე იხეინჯას მოკვლავ კაცი. ხოლო პუჩკოვოს ქაოზებს იქით, ახლა თოვლით დაფარულ სვატეევოს ტბაში უამრავი კარხხანა და ჭანარია. იმ შორეულ ტყეში ხომ რაზე არ ინადირებ: უთვალავი ფრინველი, წვრილი და მსხვილი ნადირი იცის...

მამაკაცი რომ იყოს, მემარხილე უამბობდა დაუვიწყარ ორმოცდასამ წელზე, როცა იმ ტყის პირას ერთი მუჭა ბატრიზანები ებრძოდნენ გერმანელთა ბატალიონს. რამდენი კარგი ამხანავი დამარხეს სწორედ იმ ტყეში, წიწვით დაფარულ კორდზე და თავისი ფეხიც იქ მიხაზრა მიწას. მაგრამ რაში ებიტნავება ეს ამბები ახალგაზრდა გოგონას? მემარხილემ ამოისვენა და ხმამაღლა თქვა:

— ამ ადგილებში ბევრი სოკო და კენკრა იცის...

ჯერ ისევ თავის ფიქრებში იყო მემარხილე. ანგარიშიშუცემლად წარმოთქვა ეს სიტყვები და უცებ რა საცოდავად, უბადრუკად ეჩვენა თავისი ნათქვამი. მემარხილეს საკუთარ თავზე გაეცინა და ცხენი ააჩქარა. ახლა გზა თავქვე მიდიოდა, შემდეგ უცებ მოუხვია, ჯერ კიდევ დაკეტილ საჩაივს ჩაუქროლა და მდინარე ვორიცაზე გადებულ ახალ რკინის ხიდზე გავიდა. მემარხილემ აღვირი მოზიდა.

ღრუბლებში კამკამა ცა გამოჩნდა, მზის მკრთალი სხივი გამოიპარა და მდინარის გაღმა ბექობზე გადმომდგარი ძველი ეკლესიის სამრეკლოს ჯვარი ოქროს-

ფრად აციმციმდა. ვორიცის კალაპოტი დათოვლილი არ იყო, ნაპირზე განუწყვეტლად სისინებდა მწარე ქარი და თოვლს არ აჩერებდა, ბროლივით კრიალებდა მომწვანო ყინული. ხიდის ბურჯთან შავად დაელო პირი უზარმაზარ ყინულჭირილს. დაბამულ კურტაკებსა და შარვლებში გამოწყობილი კაცები ამოჭრილ გეგებრთელა ყინულის ლოდს ეწეოდნენ. ყინულის ლოდი ხელიდან უსხლტებოდათ, ხან აქედან ამოტრიალდებოდა, ხან იქიდან და მოცისფრო გვერდები უჩანდა. ხალხი ხან ერთად ეწეოდა ლოდს, თან რაღაცას დასძახებდა ხოლმე, ხან აფუსფუსდებოდნენ, ხელებს იქნედნენ, ხმამაღლა ილანძღებოდნენ; მერე ძალაყინს აშველებდნენ და ისევ ეწეოდნენ მძიმე ყინულის ლოდს.

ყინულჭირილის მოშორებით აღმართულიყო ოთხკუთხა ყინულების შტაბელი, ამ შტაბელისკენ ნაპირ-ნაპირ ქმენით მიარღვევდა გზას საბარგო მანქანა. მანქანის ბორბლები სქლად დადებულ ფხვიერ თოვლში ეფლოზობდა; მძლოლი გადმოვიდოდა კაბინიდან, ბორბლებს ქვეშ დახეულ ქურქს გაუფენდა, რამდენიმე მეტრზე გაატარებდა მანქანას და ისევ თოვლში ეფლოზობდა.

— ნეტავ რას წვალობენ? — წარმოთქვა სიცვიისაგან მოზუზულმა გოგონამ.

— როგორ თუ რას წვალობენ? — გაეცინა მემარხილეს. — ყინულს ამზადებენ.

— კი მაგრამ ხომ შეცივდებათ! — გოგონას ხმაში შიში გამოკრთოდა.

— რა სათქმელია! სიცვიეში გამობრძმედილი კაცი კაჟივით არის. — მემარხილეს მოეჩვენა, რაღაც ძალიან კარგად ვთქვიო და გაეღიმა, ღიმილისგან სახე გადაეტიცა, ნაოჭები შუბლისა და თვალის კუთხეებისაკენ გაექცა.

ხიდგაღმა გზა აღმართში მიდიოდა და ლაფშამ სულაც უკლო ნაბიჯს, მაგრამ მემარხილე არც აჩქარებდა. აქედან მშვენიერი ხედი იშლებოდა. კარგი სანახავი იყო კამკამა გაყინული ვორიცა და ფიჭ-

იური ნავიბინი
გადმოდი, მოვედით...

გებით დაბურული მდინარის ნაპირები; ლამაზი ბორცვი და ბორცვზე წამოსკუპული პატარა საყდარი, რომლის ჩრდილი მდინარემდე ვაჭოლილიყო, ქვიშიანი, საოცრად წითელი კარიერიც კი გაღმა რომ მოჩანდა, საამური სანახავი იყო. მემარხილეს ერიდებოდა ეკითხა: როგორ მოგწონს? მაგრამ ისედაც დარწმუნებული იყო, არ შეიძლება, ამ მარად საყვარელმა, უბრალო რუსულმა სილამაზემ ადამიანს გული არ აუძგეროსო. მაგრამ აი კარიერს ჩამოეფარა მდინარის ნაპირი, გზა ისევ ტრიალ მინდორზე გავიდა და წინ შავი წერტილივით გამოჩნდა სოფელი.

სოფელი ფერდობზე იყო შეფენილი და პატარა მდინარეს დასცქეროდა. დათოვლილ კალაპოტს გასდევდა მოჩქრილად წყლის შავი ზოლი. თბილი მდინარე იყო, არ იყინებოდა. განაპირა სახლები და საცხენებები ისე დაბლა მიჰკვროდა ფერდობს, გეგონებოდათ, სოფელი მდინარისაკენ მოცურავსო.

— აბა, მარდა-ა! — მარხილიდან წამოიწია მემარხილემ და ცხენს დასწყვილა.

და დამჯერე ლაფშაც უცნაური ჰენეზით გაქანდა, ისე, როგორც თხამ იცის ხოლმე. უცებ გაიღვრა სოფლის უბრალო სასაფლაომ, ქამ და მალლა აშვერილმა ორთაყვირმა, ჩაიქროლეს პატარა სოფლის ერთადერთ ქუჩაზე ჩაყოლებულმა ჩაზნელებულმა სახლებმა.

სოფელში კაი დროს შევიდნენ—თითქოს დღესასწაულიაო, ხალხი ქუჩაში გამოფენილიყო, მოხუცი და ახალგაზრდა თვალს აყოლებდა მარხილს, აფსუს, რომ ზედ გამგობის კარზე ვერ შეაყენა მარხილი, — მემარხილემ შორიდანვე შენიშნა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჟგუტოვი.

ანდრეი ჟგუტოვი, პეტროვსკოეს კოლმეურნეობის მეთვრამეტე თავმჯდომარე, შუა ქუჩაში იდგა და კოლმეურნეებს ესაუბრებოდა. ძნელია, როცა მეთვრამეტე თავმჯდომარე ხარ. ერთის მხრივ, დიდი რიცხვია და გიმძიმს, როცა იცი, რომ ამდენი ხალხი უკვე შეეწირა

თანამდებობას, რომლებზედაც ახლა შენ ხარ; მეორე მხრივ — რიცხვი კი დიდია, მაგრამ დამრგვალებული რიცხვი მაინც არ არის, სულ იმის ფიქრში ხარ, სადაც თვრამეტი თავმჯდომარე იყო, იქ მეცხრამეტე და მეოცეც გამოჩნდებო. ალბათ ამიტომ გეჩვენებოდათ ანდრეი ჟგუტოვი, ეს ჩასხმული, კუპრივით წვერულვაშიანი, პირმსუქანი და სახელაქდაჟა ტანადი ვაჟკაცი ასე მორიდებული თუ უწყინარი.

— გამარჯობა, მატვეიჩ, სტუმარი მოგიყვანე, — დაუძახა მემარხილემ, ალგერი მოქაჩა და მარხილი თავმჯდომარის წინ თითქოს მიწას დაეყინა.

ჟგუტოვი ქუდის მოხდით მიესალმა მემარხილეს, კოლმეურნეებს რაღაც უთხრა და აუჩქარებლად მიუახლოვდა მარხილს, გაღურჯებულ ტუჩებზე მკრთალი ღიმილი გადაჰკრაგდა.

— აგრონომი მოგიყვანეთ, პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოვიდა ამხანაგი, — ამაყად უთხრა მემარხილემ, — აბა, თქვენ იცით, სიყვარულით მოექცეით და მფარველობა გაუწიეთ.

ჟგუტოვი თავს უქნევდა, ოდნავ ღიმილით დაჰყურებდა აგრონომს და არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს, როგორც იყო, მოახერხა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება... — და ჩემოდანს წაეტანა.

მაგრამ გოგონამ არ დაანება ჩემოდანი, მაგრად ჩაეკიდა სახელურს, მარხილიდან გადმოხტა და სწრაფად გაჰყვა გამგეობისაკენ.

მემარხილემ ლაფშა პარმალს მიაბა და კოლმეურნეებთან მივიდა. ყველას კარგად იცნობდა, სადაც უნდა წასულიყო.

— ეს თქვენი ჟგუტოვი რაღაც დონდლოა! — უთხრა მისალმებისთანავე მემარხილემ. — ბრიგადირად როცა მუშაობდა, უფრო ცოცხალი კაცი ჩანდა.

— არა, კარგი კაცია, მხოლოდ უჭირს, — შეეპასუხა მონაგარიშე. — ვინ ჩამოიყვანე? გაზეთის მუშაკი ხომ არ არის? ახლა მიღებულია ჩამორჩენილ კოლმეურნეობებზე წერა. — მონაგარიშემ ხრინწიანი ხმით გაიციინა და პირიდან პაპიროსი დაუვარდა.

— აგრონომი ჩამოვიყვანე.

— არ გვატყუებ? — შესაბამისი მემინდერობის ბრიგადირმა, გამხდარმა, ბეჭებში მოხრილმა კაცმა. — ეჰ, ჩემო კეთილო, აგრონომი აი ასე გვჭირდება! — მან ხელი ყელში გამოისვა. — როგორი აგრონომია?

— მოსკოვში უსწავლია, ინსტიტუტში!

გადაწყვიტეს აგრონომის ჩამოსვლა აღენიშნათ. პატარა, ბოლით სავსე საჩაიეში მემარხილე არაყზე დააბატიყეს. არაყმა და კოლმეურნეების ყურადღებამ მემარხილე ააჭიკიკია და ზედმეტი წამოსცდა; ტრაბახს მოჰყვა, მე ვურჩიე მტს-ის დირექტორს აგრონომი თქვენთან გამოგზავნაო. თუმცა ყველამ იცოდა, რომ აგრონომის გამოგზავნას ამას არა ჰკითხავდნენ, მაგრამ არავინ ეცა პირში მემარხილეს, რადგან ტყუილებსაც კეთილი გულით ამბობდა ხოლმე.

როცა მემარხილე გამგეობის შენობასთან დაბრუნდა, კარს კლიტე ედო. „მაშ, თავმჯდომარეს აგრონომი ბინაზე მოსაწყობად წაუყვანია. შემიძლია უკან გავბრუნდე“, მაგრამ უცებ გული დასწყდა, ასე არ უნდოდა დაშორებოდა „შვილს“. ოკუნჩიკოვიც ალბათ შეეკითხებოდა, როგორ მოაწყვეს მოსკოველი ქალიშვილი. მემარხილემ კოლმეურნეებთან ლაპარაკში გამოარკვია, რომ აგრონომის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ახლახან დაიწყო. პეტროვსკოეში ჩამომსვლელთათვის კი თავის დღეში არ ჰქონიათ ბინა.

მემარხილემ ხარბად შეისუნთქა გაყინული ჰაერი და გაემართა თავმჯდომარის სახლისაკენ, რომელიც გზის გადაღმა იდგა. „შვილი“ სუფთა სასტუმრო ოთახში მაგიდას მისჯდომოდა. ზურგი შეექცია პატარა ფანჯრისათვის, რეზედების ქილებით რომ იყო დამშვენებული. წინ ედგა თბილი რძე ქონით და თლილი ჭიქა. გოგონას ზედა ტურსა და ვარდისფერ ფუნთუშა ლოყებს რძის კვალი აჩნდა. მემარხილემ შეამჩნია, მის დანახვაზე სიხარული რომ გამოკრთა გოგონას თვალეზში და გული აუჩუყდა.

— როგორ არის საქმე? — ალერსიანად შეეხმიანა გოგონას მემარხილემ და თვალი მოავლო თავმჯდომარის სადა ბინას, აქ ვიწროდაც იყვნენ და ჰაერიც არ ყოფნიდათ. მძიმე, ჩახუთული იყო ჰაერი; კედლებთან იდგა გაურანდავი მერხები, ტაბურეტები, ვითომ წითელი ხის კომოდი. კომოდზე ფოტოგრაფიული სურათები, ფერადი მინის ჭიქები და ნიკარებით მორთული კოლოფები ეწყო; კედლებზე ეკიდა სურათები, ასახევი კალენდარი, ბუზებისაგან დაწინწკლული ბარომეტრი, ვინ იცის, რაში და როდის მიღებული ქების სიგელი. რასაკვირველია, დიდი, მონიკვლებული აფუებული საწოლიც იდგა „იმათთვის“ და ორი ხის პატარა საწოლი „წვრილფეხობისთვის“. ახლა ისინი ღუმელზე ამჭვრალიყვნენ და იქიდან ათვალეირებდნენ აგრონომს თავიანთი უწყინარი, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით.

მემარხილის შეკითხვაზე პასუხი მოისმა სამზარეულოდან, სადაც თავმჯდომარის ცოლი სარეცს რეცხავდა. მოჩანდა საბანის ქაფით დაფარული თუნუქის ვარცლი.

— ჯერჯერობით ჩვენთან იცხოვრებს, კუთხეს გავუთავისუფლებთ.

— იქნებ არსენიხასთან უკეთ მოწყობილიყო? — ჰკითხა მემარხილემ.

— როგორ მოეწყობოდა უკეთ? ჩვენ ქუძუთა ბავში მანაც არა გვეყავს.

— ეგ კი მართალია, — დემოწმა მემარხილემ და გოგონას გახედა, მისი აზრი უნდოდა გაეგო, მაგრამ გოგონა დუმდა, თათქოს ეს ლაპარაკი მას არ ეხებოდა.

— სწყინს ამხანაგ აგრონომს, კლუბი რომ არა გვაქვს. — ჩუმად თქვა თავმჯდომარემ, — კინოს ვერ ვუჩვენებთ... სინათლის საქმეც... — უეცრად გაჩუმდა და დადხანს, თითქმის მთელი ერთი წუთი დუმდა. შემდეგ ამოიხორა და მკაცრად და სერიოზულად დასძინა: — ყველა ეს შენიშვნა სწორია, მოსწყინდებათ ჩვენთან ახალგაზრდებს, მოსწყინდებათ...

იური ნაგობინი
გადმოდი, მოვედით...

— პოდა, უნდა ისე მოაწყოთ, რომ მხიარულება იყოს, — მკაცრადვე უპასუხა მემარხილემ.

— რასაკვირველია, უნდა მოვაწყოთ. პური რომ გვექნება, ყველაფერიც გვექნება. მანამდე კი, ხედავ, ადამიანის შილებაც არ შეგვიძლია, როგორც წესი და რიგია... გადავწყვიტეთ, თებერვალში მოვათავოთ აგრონომისათვის სახლი, ჯერჯერობით საძირკველია მხოლოდ ჩაყრილი. რასაკვირველია, მართალია ამხანაგი, ნაწყენი რომ არის...

— რა შუაშია წყენა? — მკაფიო, მშვიდი ხმით წარმოთქვა ქალიშვილმა. — რადგან ვერ მაკმაყოფილებთ მუშაობისათვის საჭირო ნორმალური პირობებით, მე აქ არ დავრჩები. — ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს იგი დიდხანს ემზადებოდა ამის სათქმელად, თქმით კი უცხად თქვა.

„ყოჩაღ, გოგო, თავს არავის დააჩაგრინებს!“ — აღტაცებით გაიფიქრა მემარხილემ, მერე უცდიდა, რას უპასუხებდა თავმჯდომარე, რა სიტყვებს მოსძებნიდა, რომ დაეყოლიებინა ქალიშვილი, დარჩენილიყო. ხოლო ქალიშვილი ბოლოს და ბოლოს რომ მაინც დარჩებოდა, მემარხილეს რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა.

მაგრამ თავმჯდომარე, რომელსაც რცხვენოდა თავიანთი სიღარიბისა, ხელებს შლიდა და რაღაცას უპაროდ ბურტყუნებდა: დროებითი სიძნელებია, მოეწყობითო... შავ, ჯავარივით წვერში ლოყები ისე უღვიოდა, როგორც დაბურულ ტყეში კოცონი ღვივის ხოლმე. ქალიშვილმა კი უცებ დასტაცა ხელი თავის ჩემოდანს და ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე გაეშურა კარიხაკენ.

— ჩაჯექით, ამ წუთში მოვალ! — დაადევნა მემარხილემ ხმა.

მემარხილეს გულის სიღრმეში რაღაც არ მოეწონა. მას ეცოდებოდა პეტროვსკოელები, რომლებსაც მოლოდინი არ გაუმართლდათ, რცხვენოდა იმისაც, რომ იმდენი იტრაბახა, იფახიფუხა და ხალხის ხარჯზე იპურმარიალა. უსიამოვნო გრძნობა რომ გაექარებინა, თავმჯდომარეს დაუწყო საყვედურები.

— ულამაზო გამოვიდა, მატეიჩი, ხომ იცოდით, რომ აგრონომი ჩამოვიდოდა, უნდა მომზადებულიყავით!

— შენც ხომ კარგად იცი ჩვენი შესაძლებლობა, ამხანაგო მარუშკინ, — სევდიანად უთხრა შეცბუნებულმა თავმჯდომარემ. — ყველაფერში გვაბრკოლებენ, ტრანსპორტის მხრივ საშინელ დღეში ვართ. სახბორეს აშენებას ვერ დავაყენეთ საშველი და აგრონომისათვის სახლის ასაშენებლად გვცალია?

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ ხალხის გარჩევა უნდა იცოდეთ, ამ აგრონომს მოსკოვში უსწავლია, ევა და ჩვენ...

— ჩვენც გავვეგება ცოტა რამ, სერგეი დანილიჩ! — მიუვო თავმჯდომარემ და მემარხილეს მოეჩვენა, თითქოს გუნებაში ჩაიცნაო. — თუ ჩვენთან კიდევ ვინმეს მოყვანას დააპირებ, იქნებ ცოტა უფრო უბრალო ვინმე მოიყვანო.

— უბრალო! — გამოაჯავრა მემარხილემ, რატომღაც შეურაცხყოფილმა. — ასე თუ შეხვდით, არავინ დარჩება თქვენთან!

— ვინ იცის, ეგებ ვინმე მაინც დარჩეს — ისევე თითქოს დაცინვით უპასუხა თავმჯდომარემ.

ეს საუბარი არ მოეწონა მემარხილეს: ეტყობოდა, თავმჯდომარე ცოტა არ იყოს ყოყონობდა თავისი უზადრუკობით. მემარხილემ აიღო ქუდი და არც გამოშვიდობებია, ქუჩაში გამოვიდა.

გოგონა მარხილში იჯდა, ტყაპუჭი მოეხურა, კიდევ უფრო მოღუშული გამოიყურებოდა. მემარხილემ აღვირი ხელში აიღო და ფრთხილად დაჯდა ქალიშვილის გვერდით.

— ნ-წუ! — დაუწრუპუნა მემარხილემ.

ლაფშამ ძლივს დასძრა მიყინული მარხილი. თოვლში ჩაფლულ დაბალ ქოხებსა და ჩაშავებულ ხეებს შუა გასრივალდნენ, წვრილი ტოტები თოვლს ვერ იკავებდა. ჩაუარეს ბებერ, დიდრონ არყის ხეებს, მერქანი კაჟკაჟის ფრთებივით რომ ასჭურვებოდათ, ხოლო ტოტებზე საგულდაგულოდ დაჰყვნოდათ თოვლი; ჩაუარეს ყინულის სქელი პერანგით შემოსილ ქას, მოყანყალბულ საპატიო და-

ფას, რომელსაც თოვლის ბუმბულა ქუდი ეხურა ზემო კადონზე; გასცდნენ სასაფლაოს, თოვლიდან ამოზრდილ შავ-შავ ჯვრებს და თეთრად გადაბენტილ, მოცარიელებულ ველზე გავიდნენ.

ისევ ახმაურდა მარხილის ქვეშ ხის ხიდი, ხიდქვეშ კი ისევ ისე ილანძღებოდა, ხევნოდა ხალხი, თან კაუჭებით ეწეოდნენ ყინულის ახლა სხვა, უზარმაზარ ლოდს. თოვლს ისევ ებრძოდა გუგუნით ნახევარტონიანი მანქანა.

საჩაიეს კართან, საიდანაც დროდადრო გამოეარდებოდა ხოლმე გამთბარი პაერის ბოლქვები, ირეოდნენ მარხილები, ფორნები, მანქანები და ამ ორომტრიალში სახეგაპარხლებული გლეხკაცი ცდილობდა მოეტრიალებინა თივით დაზვინული ფორანი.

საუბარი არ ხერხდებოდა. მემარხილე გაბრაზებული იყო ჟგუტოვზე და უფრო კი ოკუნჩიკოვზე, ქალიშვილი რაღა ასეთ გაჭირვებულ, მოუწყობელ კოლმეურნეობაში გაგზავნაო. მარუშკინი ფიქრობდა, ქალიშვილის თვალში ალბათ მეც ცოტაოდენი ბრალი მიმიძღვისო და ამიტომაც დუმდა.

მტს-ში ორ საათზე დაბრუნდნენ. აქაც, როგორც იქ, საჩაიეში, ბევრ ხალხს მოეყარა თავი. საითაც გაიხედავდი, ტყაპუკებს, ბაშლიყებს, ბრუნუნტის საწვიმრებს და ბეწვის ქურთუკებს დაინახავდი. დერეფანსა და მისაღებ ოთახში თოვლის სუნი იდგა. გასავათებულმა, გაოგნებულმა, ყინვაში ნასიარულბეივით გაწითლებულმა მარინამ აღარ იცოდა, ჯერ რომელი ტელეფონის მილი აეღო.

მემარხილეს ეგონა, დიდხანს მოგვიხდება ცდა, სანამ გამოგვიძახებენო, მაგრამ აგრონომი პირდაპირ კარისაკენ გაემართა და, თუმცა მარინა არ უშვებდა, დირექტორის კაბინეტში შევიდა.

„რა უშიშარია“, — გაიფიქრა მემარხილემ.

— თქვენ რაო, უკან დაბრუნდით? — ეშმაკური ლიმილით ჰკითხა მარინამ, მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა და მემარხილე პასუხის გაცემისაგან იხსნა.

დირექტორის კაბინეტის კარი გაიღო, ფეხაკრეფით გამოვიდა გარაჟის გამგე საპოკოვი და გაჩერდა. „ალბათ, ოკუნჩიკოვმა სთხოვა, გარეთ ვადიო“, — გაიფიქრა მემარხილემ და თავდაც ახლოს მიიჭია კარისაკენ, რომ თუ ახსნა-განმარტება მოსთხოვდნენ, იქვე ყოფილიყო.

მაგრამ ახსნა-განმარტება საჭირო აღარ გახდა. კარი კვლავ გაიღო და დირექტორმა კარის დირედან უთხრა მღივანს:

— მარინა პეტროვნა, ამხანაგ აგრონომს საგზური გაუფორმეთ „ბოგატირში“.

დირექტორმა კარებში გამოატარა აგრონომი და კაბინეტში უნდა შებრუნებულიყო, მაგრამ მემარხილე გადაეღობაწინ.

— ამხანაგო ოკუნჩიკოვ, ნება მიბოძეთ, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

— რა გენბავთ?

მემარხილეს უნდოდა საყვედური ეთქვა პეტროვსკოელებზე, რომლებმაც თავიანთი უმწეობისა და უკულტურობის გამო მოსკოველი აგრონომი საკადრისად ვერ მიიღეს, მაგრამ თავისდა უნებურად სულ სხვა თქვა:

— ცოდონი არიან პეტროვსკოელები, თუ თქვენ არ დაეხმარებით, თვითონ ვერაფერს გახდებიან. სესხს უგვიანებენ, ტრანსპორტი იმათთვის არ არის, აგრონომისათვის სახლის აშენების თავი სადღა აქვთ?

— ეგრეა, ეგრე, ვიცი, — ჩაილაპარაკა დირექტორმა, თავი გაიქნია, თითქოს ცხენი ღობეს წააწყდაო. — საპოკოვ, შემოდი...

— „ბოგატირი“ პეტროვსკოე კი არ გეგონოს, — კმაყოფილი იერით ეუბნებოდა მემარხილე, თან ტყაპუქში ხვევდა გოგონას და ფეხებთან თივას უფენდა. — იქ კლუბიც არის, რადიოც, აგრონომისათვის სახლიცა აქვთ, დამშვიდებული ბრძანდებოდით!

იური ნავზინი
გადმოდო, მოვედით...



ცენტრიდან კარგა ხნის გასულები იყვნენ, მემარხილე კი ისევ ათასნაირად უხატავდა მომავალ ცხოვრებას მოწინავე არტელში. იგი გრძნობდა, რომ აჭარბებდა: „ზოგატირში“ ყველაფერი არც ასე იყო დალაგებული, მაგრამ საჭიროდ თვლიდა მოსკოველი ქალი პირველი მარცხის შემდეგ გაემხნეებინა. მით უმეტეს, რომ „ზოგატირისკენ“ მიმავალი გზაც, თუმცა სხვა მხარისაკენ მიდიოდა, დიდად არაფრითა სჯობდა პეტროვსკოესკენ მიმავალ გზას. იგივე ხელისგულივით მოსწორებული ტრიალი მინდვრები, იგივე მეჩხერი ქალები, იგივე ტელეგრაფის ბოძები, რომლებიც შორს, შორს მიჰქროდნენ.

ქალიშვილს მთელი გზა ერთი ალერსიანი სიტყვა არ გაუშეტებია მემარხილესათვის, მაგრამ მას გული არ დაწყევტია. მოსწონდა: თუმცა წყნარი და უსიტყვო გოგოა, თავისი მინც გააქვსო. „პატარაა და მომთხოვნი“, ფიქრობდა მემარხილე.

მემარხილე ელაპარაკებოდა და ამშვიდებდა გოგონას, თან მალ-მალე მოხედავდა ხოლმე ქალიშვილს და უეცრად შენიშნა, რომ ქალიშვილს თვალები შუშის თვალებივით გაუხდა და ტრიალი მინდვრების მეტს ვერაფერს ხედავდა.

— დაიქანცა... ეძინება... — წყნარად ჩაილაპარაკა მემარხილემ.

მაგრამ ქალიშვილმა გაიგონა მისი ნათქვამი, გრძელი წამწამები აახამხამა და შეშინებულმა თქვა:

— უკან ხომ არ მივდივართ?
— როგორ თუ უკან? — გაელიმა მემარხილეს.

— უკან... ისევ იქით...

— უკან კი არა, რა უცნაური გოგო ხარ! — მიუგო მემარხილემ და ვერ შეამჩნია, რომ „შენობით“ მიმართავდა, — პეტროვსკოესკენ რომ მივდიოდით, ხომ პირდაპირ გვიცქეროდა მზე. ახლა კი მზე აგერ სად არის. დაისვენე. როცა მივალთ, გაგაღვიძებ.

მაგრამ დაღლილმა გოგონამ მაინც არ დაიძინა; „ზოგატირში“ მისვლამდე ხმამოუღებლად, გაუნძრევლად იჯდა.

სოფელში ქარის ფრთებს შეჰყვნენ და თოვლილი სახურავები ოდნავ გავარდისფრდა, ფანჯრები კი, რომლებიც ჩამავალი მზისაკენ იცქირებოდნენ, წითელ-ლოყა ვაშლებივით აღაქდაქდა. სოფლის ბოლოში ბავშვები თხილამურებით სრიალებდნენ. მემარხილემ ბავშვებს ჰკითხა, ხომ არ იცით, თავმჯდომარე ახლა სად იქნება?

— გამგეობაში იქნება, სხვაგან სად უნდა იყოს? — უპასუხა ერთმა უფრო გამბედავმა ბიჭუნამ, რომელსაც ქურქი გაღებოდა და თბილი ქუდის ყურები კურდღლის ყურებს უგავდა. ბიჭი ჰკვიანნი და დამცინავი თვალებით მოურიდებლად ათვალეირებდა აგრონომს, ცოტა ხანს დაფიქრდა და დაუმატა: — მეცადინეობა აქვთ ზოოტექნიკაში. — უეცრად დასწყვილა და თავქვე დაეშვა.

მემარხილემ ცხენი დასძრა და მალე ორსართულიან სახლთან მისრიალდნენ. შენობის ქვედა სართული ქვისა იყო, ხოლო ზედა — ხისა. ჩუქურთმიან კარზე დიდი აბრა ეკიდა და ოქროსფერი ასობით ეწერა: „კოლმეურნეობა „ზოგატირის“ გამგეობა“. ყინვისაგან შეჭირხლულ მაღალ ფანჯრებში მუქი ჩრდილები ჩანდა. ეტყობოდა, გამგეობაში ბევრი ხალხი იყო. მემარხილე რატომღაც შეკრთა.

— წამოგყვეთ, თუ როგორ მოვიქცე? — გაუბნედავად ჰკითხა გოგონას.

მაგრამ ქალიშვილი უკვე მარხილიდან გადმოხტა, ჩემოდანს ხელი დაავლო და კიბე სწრაფად აირბინა. კარმა გაიჯახუნა. მემარხილემ ამოისუნთქა, მაგარი ქვეწკარი უბერავდა და მარხილი კედელთან მყუდროში დააყენა. ლაფშას საჭმელი მისცა და მარხილს მიეყრდნო. მისი ცხოვრება ასე გადიოდა: ან მარხილი მიჰყავდა, ან ვინმეს უცდიდა; კარგა ხანია შეჩვივა ერთსაც და მეორესაც.

შორს ყველაფერი ნისლში გახვეულიყო. სოფლის გრძელ შარაზე არავინ ჰაჭანებდა. „მამ, — გაიფიქრა მემარხილემ, — აქაურებს ზამთრობითაც აქვთ საქმე, პეტროვსკოელებივით ტყუილუბრალოდ არ დახეტიალობენ სოფელში. და საერ-

თოდაც, ეტყობა, აქ სულ სხვაგვარად ცხოვრობენ, თუმცა მანცდამანც კარგი სახლები არ დაუდგამთ; თითო-ოროლა თუ არის თუნუქით დახურული, სამაგიეროდ, ყოველი ქობის წინ ბაღჩაა და შიგ ორი-სამი ძირი ვაშლი და ალუბალი დგას. ყოველ სახლთან არის სინათლე მიყვანილი, მრავალ სახურავზე ანტენაა აღმართული. ძალიან გაახარა მემარხილე იმან, რომ ყოველი სახლის წინ მოჩანდა შოშიების ფიცრული ბუდეები — ესე იგი აქაური ხალხი ფაციფუცში კი არა, ოჯახურად და აზრიანად ცხოვრობდა. სოფლის ბოლოდან ისმოდა ძრავის რიტმული გუგუნვი.

მემარხილე იმან ჩააფიქრა, რაზედაც ბევრს ფიქრობს არა ერთი და ორი გლეხი: რატომაა ასე სხვადასხვაგვარად მოწყობილი ორი მეზობელი მეურნეობა. მიწებიც ერთნაირი აქვთ, ხალხიც თითქოს არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთი და იგივე უბედურება აქვთ გადატანილი ომის დროსაც და ომის შემდეგაც. მაგრამ ერთის მეურნეობა, თუმცა არც ისე ადვილად და უბრალოდ, მაგრამ მაინც ფეხს იმაგრებს, იზრდება, მიდის წინ ცხოვრების დიდ შარავნაზე, მეორე კი თავქვე ეშვება.

ამასობაში დაისის წითელი ლაქებიც გაქრა ფანჯარაზე, სოფელში ბინდმა დაისადგურა. შესამჩნევად აცივდა, მემარხილემ ფეხები ააბაკუნა, გადაწყვიტა შენობაში შესულიყო, მაგრამ გამგეობის კარი გაიღო, ჯერ გამოჩნდა ხელი, რომელსაც ჩემოდანი და მასზე მიბმული ხელჩანთა ეჭირა, შემდეგ კი აგრონომის მომცრო გამოსახულება. კიბეზე გაისმა ქუსლების კაკუნი. იგი მივიდა მარხილთან, ჩადო ჩემოდანი, თვითონაც ჩაჯდა თივაში, ქურქის საყელო აიწია და ისე შეიყუყა, თითქოს ნიჟარაში შეძვრაო.

— ეს როგორ გავიგოთ?.. — დაბნეულად ჩაილაპარაკა მემარხილემ.

— ცხვირიდან სისხლი დაიდინეთო, მე კი არ მსურს ცხვირიდან სისხლი დავიდინო, მე ასე არ შემიძლია... — იგი კი არ ლაპარაკობდა, კბილებიდან ცრიდა სიტყვებს, — მე ახალგაზრდა სპეცია-

ლისტი ვარ, არ შეიძლება ჩემგან ამდენის მოთხოვნა...

ქალიშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკიდან მემარხილე ცდილობდა წარმოედგინა, რა მოხდა გამგეობაში. მართალია, გუბანოვი მყვირალა და შფოთიან კაცია, ალბათ პირველი სიტყვებიდანვე შეაშინა თავაზიანი მოსუკოველი ქალიშვილი. თავმჯდომარე, თქმა არ უნდა, მაგარი, მაგრამ თავის მოწონება უყვარს: „ჩემთან ასეა: ცხვირიდან სისხლი დაიდინე და გააკეთო!“ — მისი საყვარელი გამოთქმაა. აგრონომი კი ახალგაზრდაა, გამოუცდელი; გასაგებია, შეერთა, დაფრთხა. მას უფრო ნაზად უნდა მიდგომოდა, ის კი დათვივით ეცა. არ გამოვიდა კარგი საქმე! გაუნაწყენეს „შვილი“. როგორია მისი მეორეჯერ მტს-ში დაბრუნება?

მემარხილემ ცოტა შეიცადა, იქნებ ვინმე გამოვიდეს გამგეობიდან აგრონომის შესაჩერებლადო, მაგრამ კარი თითქოს ჩაირაზაო. ბერიკაცმა ამოიოხრა და ლაფშას თოფრა ჩამოსხნა პირიდან. ლაფშა, ეტყობოდა, ძალზე მოშიებული იყო, ისევე თოფრისაკენ მიიწევდა და ნესტოებს ბერავდა. მემარხილემ იდაყვი გაჰკრა, ლაგამი ამოსდო თბილ გასლიპულ პირში. აღვირი გაუსწორა, ისევე ამოიოხრა და მარხილისაკენ წამოვიდა.

— იქნებ წახვიდეთ, მოელაპარაკოთ? ლაპარაკი იცის ეგეთი, თორემ როგორც თავმჯდომარე კი...

ქალიშვილი პირქუსად იჯდა მარხილში, წარბები შეეკრა, მაგრად მოეკუმა წითელი, მსხვილი ტურები.

— შეძლებული მეურნეობაა, — ამბობდა მემარხილე, ებრალებოდა ეს პატარა არსება. — შეძლებულად ცხოვრობენ, რაც შეეხება ბევრ სამუშაოს, სად არის ცოტა სამუშაო? აქ ის არ გეგონოთ — პეტროვსკოელებივით თავიდან კი არ უნდა დაიწყოთ ყველაფერი. სახლიც დიდებული ააგეს, თუნუქითაც გადახურეს, ნახშირიც მოიტანეს. ხედავთ, თოვ-

იური ნაგიბინი
გადმოდი, მოვედით...

ლი გადაშავებულია. იმწამსვე მიგხვდი, აკრონომისთვის რომ იყო, თვითონ შეშასა ხმარობენ...

— მე რა, თუნუქის სახურავი არ მინახავს? — წამოიძახა ქალიშვილმა და ისევ გაჩუმდა.

გაჩუმებულები დაიძრნენ ისევ უკან. მემარხილე ჯავრობდა, თავადაც ვერ გაეგო, ვისზე ან რაზე. რასაკვირველია, გოგონას უფლება აქვს ამორჩევისა; რაც არ უნდა იყოს, ერთი ციციწა გოგომ მიატოვა მოსკოვი, სახლი, დედა, მარტო კომკავშირულმა სინდისმა წამოიყვანა ამ სიშორეზე, უცხო, მძიმე ცხოვრებაში ჩასაბმელად. არც თავმჯდომარეა დამნაშავე, მუშაობას რომ თხოულობს; სამაგიეროდ, პირობებიც კარგი აქვს. სამწუხაროა, რომ ვერ მორიგდნენ! „იქნებ მე უნდა ჩაერეულიყავი საქმეში, მაგრამ მე ვინ დამიჯერებდა?“. ბრაზი არ უნელდებოდა და მემარხილე საბოლოოდ მიხვდა, რომ ყველაფერში გაზარმაყებული ლაფშა იყო დამნაშავე. ძლივს მიზოზინობს, თითქოს ვერა ხედავს, რომ სადაცაა დალამდება, საქმე კი არ გაგვიკეთებია. მემარხილემ თივიდან მათრახი გამოაძრო და ლაფშას გადაუჭირა. გამწყრალმა ლაფშამ თავი აიქნია და გაყინულ თოვლზე გაუჩქარა; თუმცა დიდხანს არ უვლია ასე: ჯიუტმა ცხენმა ისევ ჩვეულებრივ განაგრძო გზა, მაგრამ მემარხილესაც აღარ აუჩქარებია. მშვიერ ცხენს ამაზე მეტი რა მოგთხოვო, გაიფიქრა.

თავად მემარხილევც ვერ გრძნობდა თავს კარგად. მშვიერ მუცელზე დალეული არაყი ძილს ჰგვრიდა, ფიქრები ერთმანეთში აერია და მღვრიე ღურდოს დაემსგავსა. „ახლა ცხელი წვენი როგორ მომიხდება!“ — ფიქრობდა მემარხილე, თან მორეულ ძილს ებრძოდა. გოგონა რაღაცას იღებდა ხელჩანთიდან და ცმუცნიდა; მემარხილეს მუცელი აუწრიალდა, განგებ ცმუცტა დაიწყო და ერთი ორჯერ ჩახველა კიდევ, მაგრამ საჭმლის თხოვნა შერცხვა.

როდესაც მტს-ში მივიდნენ, უკვე ბნელოდა, ქუჩებში ფანრები აენთოთ და მკრთალ ყვითელ სინათლეზე ბუზებივით ირეოდნენ შავი ფიფქები. მემარხილეს

გაუხარდა, რომ ბნელოდა და ქუჩებშიც დაცარიელებული იყო. „ახლა მაინც გერავინ დაგვინახავს, — გაიფიქრა მან, — თორემ ისეთი ხალხია, დაიწყებენ მითქმა-მოთქმას, მემარხილე აკრონომს შევითქვევით ატარებსო!“

როდესაც შესასვლელთან გაჩერდნენ, ქალიშვილმა მემარხილისათვის უკვე ნაცნობი მოძრაობით დასტაცა ხელი თავის ჩემოდანს და მოკლე ნაბიჯებით წაბაკუნდა კიბისაკენ. ქალიშვილი ავიდა კიბეზე, დადგა ჩემოდანი, ორივე ხელით გააღო მჭიდრო ზამბარაინი კარი, ფეხით გააჩერა, ისევ აიღო ჩემოდანი და შენობაში დაიშალა. ამ მისმა ბავშვურმა, საბრალო, მაგრამ ჯიუტმა და ყოვლად შეუცბუნებელმა მოძრაობამ მემარხილე როგორღაც გააღიზიანა.

თავადაც გადმოვიდა მარხილიდან და იგრძნო, ბებერი სხეული გაშეშებოდა. ლაფშას ლაგამი წაპყარა, რომ საჭმელი მიეცა.

ლაფშამ თოვრაში თავი ჩაპყო და ხრამხარუში მოისმა. მემარხილეს კიდევ უფრო აუწრიალდა მუცელი. ცოტა გაიარ-გამოიარა, თოვლზე ჩქქმები ააბაკუნა, ქალიშვილი მაინც არ გამოდიოდა და მემარხილემ გაიფიქრა, ალბათ დირექტორი ტყავს აძრობსო. „არაფერია, ახალგაზრდებს ასეთი ტყუის სწავლება მოუხდებათ!“ — ამით ჩაიხშო ხანმოკლე თანაგრძნობა.

სახანძრო კოშკის თავზე მთვარე ამოცურდა და თოვლის ბორცვებმა და გორებმა ვერცხლისფრად დაიწყეს ბზინვა და, როგორც ზღაპარში, ამოიზარდა აქამდე უჩინარი ქალაქი თავისი სახურავებით, თავხეებით, მიღებით და შპილებით, ცისკენ აიწია. მემარხილე გაჩერდა, სიყვარულით მთავლო თვალი იქაურობას და აუჩქარებლად გაემართა კარისაკენ.

მან გაიარა ცარიელი დერეფანი, სადაც კიდევ იდგა ტყაბუქის სუნი და შევიდა ასევე დაცარიელებულ მისაღებ ოთახში. მარინას მაგიდა მილაგებული იყო, სინათლე ჩამქრალი, ეტყობოდა, დირექტორს შინ გაეშვა მდივანი ქალი. მემარხილეს გაუხარდა, რომ ამ ენაკვიმატ ქალიშვილს აღარ შეხვდა. დირექტორის კაბი-

ნეტის სქელი ქეჩითა და მუშაშებით აკრული კარიდან ხმა არ გამოდიოდა; მწვანე თვალვით ჩანდა კარის ქუჭურტანა.

მემარხილე მივიდა ყინულის ნაყშებით მოხატულ ფანჯარასთან და უსაქმო-ბისაგან დაიწყო ნაყშის გადაფხეკა. სად გაგზავნიან ახლა აგრონომს?

დგორიკებში რომ გაგზავნიდნენ, იქ ქალია თავმჯდომარე. იქნებ, უფრო ადვილად მორიგდნენ?

ვერ შეამჩნია, როგორ გაიღო კარი, გაიგონა მხოლოდ პატარა ფეხების ნაცნობი პაკაპუკი. ქალიშვილი თითქმის მირბოდა გასასვლელისაკენ, თან ჩემოდა-ნი მიჰქონდა. მემარხილემ დაუძახა, ქალიშვილმა, თითქოს გონს მოვიდაო, მოხედა ბერიკაცს, რაღაცას გაუცინა და თქვა:

— უპ, როგორ მეშინოდა, მე მეგონა, არ მომიცდიდით!

— როგორ თუ არ მოგიცდიდი? მე სამსახურში ვარ, — უთხრა მემარხილემ; გაუხარდა, გოგონა გამოცოცხლებული და გაცივებული რომ დაინახა, — საით მირბახნებთ? — მხიარულად ჰკითხა მან.

— სადგურზე! წავიდეთ სადგურზე! შინ მივდივარ! — გოგონამ ისევ გაიცინა და ჰაერში ფურცელი ააფრიალა: ჯერ ისევ სველი იყო ბეჭდის სქელი წრე და ოკუნჩიკოვის ჩახუჭუჭებული ხელწერა. ქალაღდი დაკეცა, ქურქის ჯიბეში ჩაიდო და სწრაფად გავიდა გასასვლელისაკენ. შეცბუნებული მემარხილე უკან გაჰყვა.

გოგონა უკვე ჩამჯდარიყო მარხილში, სულ სხვანაირად იჯდა, გაღადებული ჩანდა და ფეხსაც კი ათამაშებდა.

მემარხილემ ლაფშას თოფრა ჩამოგლიჯა პირიდან, მოსართავი გაუსწორა.

— აჩუ! — ხმადაბლა შეუტია ცხენს მემარხილემ.

იგი გაოცა და შეაშფოთა ამ გოგონას უდარდებლობამ, — რა იოლად გადაიტანა ეს დამარცხება.

— რა გაუგებრობა მოხდა, პა? — მორიდებით ჰკითხა მემარხილემ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— არაფერია! — ქალიშვილმა ისევ გაიცინა და თავი გაიქნია. — როგორ გაუკვირდებათ შინ!

გოგონა სახლისა და მოსკოვის რაღაც ამბებს ყვებოდა, მაგრამ მემარხილე სიტყვებს კი არ უგდებდა ყურს, რაღაც ახალ, წერიალა, საოცრად უცნობსა და უცხო ხმას.

მალე გავიდნენ სადგურისაკენ მიმავალ გზაზე.

— უპ, რა კარგი გზაა! — გაუხარდა გოგონას. — ჩვენ ასე ორმოც წუთში ჩავალთ, მატარებელი კი სამი საათის მერე ჩამოვივლის.

მემარხილე დუმდა, ალვირისათვის ხელი შეეშვა; გოგონა კი თავისთვის განაგრძობდა:

— მატარებელი სამი საათის მერე ჩამოვივლის... მე არც ბილეთი მაქვს, არც ჯაგშანია... იცი, ბაბუ, — გოგონამ მემარხილეს მხარზე ხელი შეახო, — თუ არ დაიძინებ და გარეკავ, არყის ფულს მოგცემ.

— მე თქვენი ბაბუა არა ვარ. მე სერგეი დანილოჩი გახლავართ, — მკვახედ მიუჯო მემარხილემ. — მე შენი არაყი არ მინდა, მაგაზე ნუ შეწუხდები.

— რა ბრაზიანია! — ჭირვეულად და სიცილით წარმოთქვა გოგონამ. — თქვენ აქაური ხართ? — ჰკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— აქაური... — გაკვირდა მემარხილე. პირველად ხომ არ ეკითხებოდა ამას. — აქაური! — გაიმეორა მან და რაღაც საწყენად გაისმა მისთვის ეს სიტყვა, რომელსაც იგი სიამაყით თუ არა, სიამოვნებით მაინც წარმოთქვამდა ხოლმე. და უცერად მთელი ძალით შეიგრძნო, რომ სამკედრო-სასიცოცხლოდ შეურაცხველ ამ პატარა სანდომიანამ ქალიშვილმა, შეურაცხყოფილია საკუთარი თავის გამო, თავისი მხარის გამო, რომლის არც ერთი კუთხე არ მოეწონა ქალიშვილს. შეურაცხყოფილია, რომ დაიღალა, რომ მშვიერ ცხენს ამაოდ დაჩაკჩაკებდა მთელი დღე ამ ძნელად გასაველ თოვლიან გზაზე. მემარხილეს მოაგონდა, რა მტრულად და კუშტად გასცქეროდა ქალიშვილი მის მშობლიურ მინდვრებს, ჭალებს, ვორი-ცას, ბროლივით ყინულის ქვეშ რომ მი-

იური ნავიზინი
გადმოდი, მოვედით...

იზღაზნებოდა. ამ პატარა უგულო გოგოს სულ არ ადარდებდა, რომ მის თანასოფლელებს დახმარება სჭირდებოდათ; რომ იმათაც უნდოდათ უკეთ ემუშავათ, უკეთ ეცხოვრათ. ქალიშვილი ხომ მათი შრომით დაზოგილი ფულით სწავლობდა. ისიც აღამიანი იყო და სწყინდა და რცხვენოდა, რომ ამხნის კაცი ასე მოტყუვდა, თითქოს დარჩეული ხორბლის მაგივრად ჩენჩო შერჩა ხელში.

მარხილიდან წამოიწია. შორს, სიბნელეში, სადგურის ფანჯრები აციმციმდა. ყოველი ფარნის ირგვლივ მოლურჯო-ოქროსფერი შარავანდედი კრთოდა. სამანევრო ორთქლმავალი ბლუჯა-ბლუჯად ისროდა წითელ ნაპერწკლებს.

მემარხილემ აღვირი მოსწია. ლაფშა უცებ დადგა, მარხილს ფლოქეები ჩამოჰკრა და კისერი მოაბრუნა, თითქოს მემარხილისათვის უნდა ეკითხა, ხომ მოვდიოდი ჩორთით, რა გინდოდაო!

— გადმოდი, მოვედით! — ხმადაბლა უთხრა ქალიშვილს მემარხილემ.

— როგორ თუ მოვედით! — იკითხა

გაოცებულმა და თან დაეჭვებულმა გოგონამ.

— როგორ და ისე! ცხენი დავალე ამდენი უქმად ხეტიალით. მარხილი გაათავისუფლე, ამხანაგო აკრონომო! — იგი დაიხარა, ჩემოდანი ზედმიბმული ხელჩანთით აიღო და გზაზე დადო. შემდეგ ცხენს დაუწრუპუნა და ისე უცებ შემოაბრუნა ლაფშა, რომ კავებმა დაიხრქიალა, მარხილი გადაფერდდა. ქალიშვილი უკან გადაქანდა, გულაღმა, მაგრამ იმწამსვე გასწორდა, გზაზე გადმოხტა, ჩემოდანი აიღო, მკერდზე მიიხუტა და დაიყვირა:

— რას მიზედავთ! გიჩივლებთ!

— სადაც გინდა, იქ მიჩივლე! — გადმოსძახა მემარხილემ და ლაფშას შოლტი გადაუჭირა.

მარხილი გასრიალდა გაყინულ, დაკლაკნილ ნაკვალევზე. გოგონა დიდხანს გაჰყურებდა გზას, მაგრამ მემარხილეს უკან აღარ მოუხედავს...

თარგმნა მარიამ ავიაშვილმა



ამ ნარკვევში მოთხრობილია
თბილისის მაულ - კაპოლიის
კომბინატის ახალბაზრლა მესო-
ბელთა საქმიანობაზე.

საქართველი საბჭოთა საინფორმაციო სისტემა

პარტიის ჩაუკრივშილი

დახევის გუგუნა

შემოკვეთ

შემოსასვლელთან ჯიხურია, შიგ
წვერგაუპარსავი კაცი ზის და პაპიროსს
აბოლებს. მკლავზე წითელი ლენტი
უკეთია. ეს იმას ნიშნავს, რომ მის დაუ-
კითხავად კომბინატში ვერც შეხვალ,
ვერც გამოხვალ.

კარისკაცი ზის თავისთვის და ადამიან-
ნებს აკვირდება. ყოველდღე ოთხიათა-
სამღე მუშა-მოსამსახურე შედის და გა-
მოდის კომბინატში. კარისკაცი ბევრს
იცნობს და საბუთს არა თხოვს, უცხოს
კი მაშინვე შეაჩერებს.

— სად მიდიხართ?

— ვინ გნებავთ?

— ვინ ბრძანდებით?

როცა ყველა კითხვაზე პასუხს გას-
ცემთ, კარისკაცი მიგასწავლით პატარა
ჯიხურს.

ჯიხურში შავთვალწარბა ქალიშვილი
ზის. იგი ხან წიგნს კითხულობს, ხან
კონსპექტებს ათვალეირებს. როდესაც
თქვენი ჩრდილი ჯიხურს დააბნელებს,
შეიძლება არც შემოგხედოთ, ისე შეგე-
კითხოთ:

— ვისთან მიბრძანდებით?

მერე მოგთხოვთ საბუთს. შიგ ამოი-
კითხავს თქვენს გვარ-სახელს, შეგივ-
სებთ საშვს, გადმოგაწოდებთ და ისევ
კონსპექტებს მიუბრუნდება.

წვერგაუპარსავი კაცი იისფერი მელ-
ნით შევსებულ ფურცელს დახედავს,
გვარის სისწორეს საბუთში შეამოწმებს
და გზას მიგასწავლის..

ეზო დიღია, მოვლილი, ნარგავებით
გალამაზებული. გაზონებში ყვავილებით
წერია: „დიდება შრომას!“



დიდ შენობებს ფართო ფანჯრები აქვს, ღამით ეს ფანჯრები ღამაში დასანახია; სიღრმეში ჩანან მოფუსფუსე ადამიანები, ისმის დაზგების გუგონი.

ეზოს განაპირას, პატარა შენობებს შუა ყრია ცარიელი ყუთები, საღებავებით მოსვრილი კასრები და ქანგიანი რკინები.

მთავარი შენობების გადაღმა ქვინავენ ორთქლის ქვაბები და ცად აზიდულნი საკვამლე მილი ბოლავს.

საკვამლე მილმა ხარირემივით იცის ყვირილი. ზოგნი ამბობენ, უხეში ხმა აქვსო. აქ მომუშავე ადამიანებს კი უყვართ. რომ ჰკითხოთ, ალბათ უბრალოდ გიბასუხებენ: — მიჩვეულნი ვართო.

ეზოში ადამიანებს ვარდა დატვირთული მანქანებიც შემოდიან. შემოდიან და შემოაქვთ დაზგების საზრდო. მაგრამ კომბინატი დიდია, საამქროები უამრავი, დაზგები უფრო მეტი. მანქანებით შემოტანილი არ ჰყოფნით. ამიტომ კომბინატის ეზოში მეორე მხრიდან შემოდის რკინიგზა. რკინიგზას შორიდან მოჰყვება დატვირთული ვაგონები, გადმოსვრავენ ველებს, ტყეებს, გამოივლიან ხიდებს, გვირაბებს და ორთქლმავალი მოაკივლებს ვეებერთელა რკინის ჭიშკარს. ჭიშკარი ფართოდ გაიღება და ორთქლმავალი კარისკაცის დაუკითხავად შემოგრიალდება კომბინატის ეზოში. შემდეგ სვლას უკლებს, რკინის ფილტვებიდან ორთქლის ღრუბლებს ამოისუნთქავს დაღლილივით და გაჩერდება.

მოვიდა ნედლეულის ახალი პარტია, დაზგა-საამქროების სარჩო-საარსებო! მოტანილს მოვლა-პატრონობა და გზის მიცემა უნდა. ამ საქმეს შალვა კრიხელი ხელმძღვანელობს.

შალვა ჩასუქებული, ჯმუხი კაცია. მის დანახვაზე ძლოსანი გაგახსენდებათ. მაგრამ შალვა სპორტსმენი არაა.

ორიგინალური მატყლის მოძრაობის ოსტატია. ასე ჰქვია მის თანამდებობას.

შკვიანი და საქმეში ჩახედული კაცია, მატყლის კარგი სპეციალისტი. აქ სამი წელია მუშაობს, მაგრამ მანამდეც, სადაც უმუშავია, ყოველთვის მატყლთან ჰქონია საქმე. შეხედავს თუ არა, გეტყვის, რომელი ხარისხის მატყლია, რომელ კლასს ეკუთვნის და რამდენი პროცენტი ექნება გამოსავლიანობა. იშვიათად, რომ შეცდეს. უფრო ხშირად კი კრიხელის აზრი და ლაბორატორიის მონაცემები ერთი და იგივეა. უცხოს შეიძლება გაუჟვირდეს, შალვასათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია.

გადმოსატვირთად ჩამომდგარ ვაგონებსა და მანქანებს კრიხელი და აღმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები ჩამოუვლიან. კომისია ზედნადებებს არ უჯერებს, თვითონ ამოწმებს მატყლის ავ-კარგიანობას, და კრიხელიც ამის შემდეგ იძლევა განკარგულებას: ეს ბარდანები აქვთ დააწყვეთ, ისინი იქითო. დაიწყება გადმოტვირთვა.

ღღის ბოლომდე უზარმაზარ საწყობში შეკრული მატყლის „მთები“ აღიმართება და იქაურობას აავსებს მძაფრი სუნით. კრიხელს ეს სუნიც უყვარს. მიყვარს ისე, როგორც თქვენ, ჟურნალისტებს, სტამბის საღებავის სუნი გიყვართო, — უთხრა ერთხელ კორესპონდენტს. იმ კორესპონდენტს ამაზე არაფერი დაუწერია, ალბათ ვერ წარმოიდგინა, როგორ შეიძლება უყვარდეთ გაურეცხავი მატყლის სუნი.

შალვა მატყლის „მთებს“ თვალს შეავლებს და უნებურად ფიქრობს მეცხვარეებზე და მათს ვაქაცობაზე.

რამდენი ადამიანის ხელში უნდა გაააროს ამ „მთებმა“, ვიდრე ფაქიზ ქსოვილად გადაიქცეოდეს...

ხიზარი პავი

რკინის მოაჯირთან პირხელი კაცი ზის და ეზოში იყურება. ეზო ხელისგულივითაა გადაშლილი მის თვალწინ. ქვე-

ვით გრძელი შენობაა, შენობის კუთხესთან — მოსახვევი. კაცი სწორედ იქითკენ იყურება და ფიქრობს: „ვიდრე“

ათამდე დავთვლიდე, ესტატეც გამოიჩნდება“.

მერე იწყებს თელას: ერთი, ორი, სამი... შეიდი... და ბარდანებით დატვირთულ ურიკაზე შემდგარი ესტატეც გამოიჩნდება. მარჯვენა ხელი მაგრად ჩაუვლია ჩამრთველზე და უხმაუროდ მოაგორებს დატვირთულ ურიკას.

ალექსანდრე ჩოხელს მარჯვენას გახსენებაზე გულში ყოველთვის რაღაც ჩასწყდება ხოლმე და ღრმად ამოიხორბს: ორად ორი თითილა აქვს შერჩენილი მარჯვენაზე. ამ რამდენიმე წლის წინ ხელი რაღაც ფათერაკით მანქანაში მოჰყვა და სამი თითი კვეცივით დაღუპეს კბილანებმა.

მერე დიდხანს ეკიდა მკერდზე დაბინტული მარჯვენა. ბოლოს მოუშუშდა ჭრილობა, მაგრამ თვალბუმში ნაღველი ჩარჩა. როგორი საქმეა: კაცს მუშაობა გიყვარდეს, გული გერჩოდეს და პენსიით კი ცხოვრობდე. არ ვიცი, ვინ რა აზრისაა ამაზე, მაგრამ ალექსანდრემ კი შინ ველარ გასძლო, ისევ მაუდ-კამფოლის კომბინატს მოაშურა და ხელმძღვანელობას სთხოვა, ჩემი შესაფერი საქმე გამომიჩანეთო.

გამოუნახეს.

და აი, ზის ახლა ჩოხელი რკინის მოაჯირთან, ელექტრო-ამწის ღილაკი უჭირავს და ესტატეს უყურებს. ესტატე გარეცხილი მატყლის საწყობიდან მოაგორებს ბარდანებით დატვირთულ ურიკას. მოიტანს მოაჯირის პირდაპირ, მერე ჩანგლებს ამოსდებს და ალექსანდრეს ანიშნებს, ასწიეო. ჩოხელი ღილაკზე თითს დააქერს და ბარდანებს მეორე სართულზე ამოიტანს. აქ ზაქარია დედაბრიშვილის ურიკა დგას. ალექსანდრე

ბარდანებს ზედ დაუშვებს, ჩანგლებს ახსნის და ზაქარია საჩენის მოსამზადებელში გაარბენინებს.

მაულის მოსამზადებელი და სამღებრო განყოფილება ერთ საამქროდ არის გაერთიანებული. პირველ სართულზე ღებავენ, მეორე სართულზე დასაჩენად ამზადებენ. მერე ამ მატყლს ხომ უნდა საწყობიდან მოტანა, ერთი განყოფილებიდან მეორეში გადატანა, ვადმოტანა. აი, რას აკეთებს ვანო ოქრუაშვილის მტვირთავთა ბრიგადა. სულ ოთხი კაცი მუშაობს და მაინც ბრიგადა ჰქვია.

ყველამ იცის თავისი საქმე: ესტატე ზაქარაშვილი საწყობიდან ეზიდება ბარდანებს, კოტე ნაცელიშვილს სამღებროში შეაქვს და შეღებილს კი გარეთ ეზიდება. ალექსანდრე დედაბრიშვილს მოსამზადებელ საამქროში მიჰქვს.

კაცმა რომ თქვას, სხვებს უფრო მძიმე საქმე აქვთ, ვიდრე ჩოხელს, მაგრამ ეს რა სახსენებელია ამხანაგოძაში. ერთი კაცი ამ საქმისათვის აუცილებელია და რაღა საღ-სალამათმა იმუშაოს, როცა ალექსანდრე აგერ არის. მით უმეტეს, იციან, ხეიბარი ომგამოვლილი კაცია...

ღრუბლიან ამინდში ჩოხელს თავს გაახსენებენ ძველი ჭრილობები. გაახსენდება დნებროპეტროვსკთან გადატანილი მძიმე ბრძოლები და უნებურად ხელს მოისვამს ტყვიაჩარჩენილ თემოზე. მერე თავის თავზე მოუვა გული. რამდენჯერ გადაწყვიტა საავადმყოფოში დაწოლა. ამოვიჭრი, მოვიშორებ იმ წყეთულთა „საჩუქარს“, სხეულში როდემდე უნდა ვატაროო, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვერ მოაბა ამ საქმეს.

მაულის საჩინი საამქრო

მოსამზადებელი განყოფილებიდან შეზავებული მაუდი პნევმატური მილებით პირდაპირ აქ მოდის და ლაბაზებში გროვდება. ლაბაზები პატარ-პატარა ოთახებსა ჰგავს. ვააღებ კარს და გამოიტან დასაჩენ მასალას. ჩაყრი აბა-

რატში, ჩართავ და მანქანა ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც აღამიანებს გაეხარდება.

ვალერიან ჩეკურიშვილი
დაზგების გუგუნში

დღეს ოთარ ნარჩომაშვილის ცვლა მუშაობს.

ოთარი ახალგაზრდა კაცია, მცოდნე და საქმის მოყვარული. იმიტომაც მიანდეს ცვლის უფროსობა. წელიწადზე მეტია, კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელისათვის იბრძვიან. დიდი ვალდებულებები აიღეს და, რა თქმა უნდა, გაანაღდებენ კიდევაც.

ახლა საამქრო საესეა ხმაურით. ცხრა-მეტი აპარატი ერთდროულად გუგუნებს და უცხოდშემოსულნი ამბობენ, აუტანელი ხმაურიაო.

ზინაიდა ღიბრაძესაც ასე მოეჩვენა, პირველად რომ შემოდგა ფეხი ამ საამქროში. ეგონა, ერთი თვეც ვერ შესძლებდა აქ მუშაობას და არა სჯეროდა ძველი მუშების სიტყვები: მიეჩვევი და ბოლოს შეგიყვარდება კიდევო. ზინაიდას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა შეყვარებოდა მანქანები, რომელთა გრიალი თავბრუს ახვევდა და სმენას უხშობდა.

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ. ზინაიდა ახლაც აქ მუშაობს და ერთი დღეც არ შეუძლია არ მოისმინოს ნაცნობი ხმაური. მისთვის ეს აუტანელი კი არა, საყვარელი მუსიკაა,—შრომის დიდი სიმფონია.

ზინაიდა მოწინავე მუშად ითვლება მთელ საამქროში. მისი გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის პირველი ხარისხისაა. იმიტომაც ანდობენ ახალბედების გამოზრდას. ნანა ხარიტონოვა, ნათელა კობაიძე, ვალია მჭედლიშვილი, ლუბა ტაბუნკოვა და ქუყუნა სამადაშვილიც მისი ნამოწაფრები არიან. ახლა ისინი ყოფილი მასწავლებლის გვერდით საჩეჩ მანქანებთან დგანან და ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

ზინაიდას ახლაც ჰყავს გამოსაზრდელი — იზოლდა სილაგაძე.

აღლოიანი გოგოა, მალე ისწავლისო, ფიქრობს ზინაიდა, როდესაც მისი ხელების მოძრაობას აკვირდება. შეიძლება ერთ თვეშიც შეძლოს დამოუკიდებლად მუშაობა...

გრიალებენ დაზგები.

გუგუნებს ზინაიდას აპარატიც და ლილვზე ნელა ეხვევა დასართავად მომზადებული მაულის ფთილა. შეახებ ხელს და არა გჯერა, თუ მართლა იმ უხეში მატყლისაგან შექმნეს მანქანებმა ასეთი ნაზი, მსუბუქი ფთილები. აღარც ის მძაფრი სუნი მოყოლია აქამდე, ალბათ სამრეცხაოში დაატოვებინეს.

ლევან წირიტილი

მაულის სართავი საამქრო საჩეჩის მეზობლად მდებარეობს. მათ დიდი კარი ჰყოფს, საქმე კი ერთმანეთთან აკავშირებს; საჩეჩიდან ფთილები პირდაპირ სართავში გააქვთ. დიდი კარი ყოველთვის ღიაა, გაღიან და გამოღიან საქმიანი მეზობლები ერთმანეთთან.

სართავ საამქროში შესვლისთანავე თვალში გეცემათ ახალგაზრდობის სიმრავლე. მანქანებთან მთელი დღე დაუღალავად ტრიალებენ ჯან-ღონით სავსე ქაღალცილები.

ლევან წერეთლის ცვლა ყოფილა.

ლევანს ძალიან უყვარს ახალგაზრდობა. ამითან ერთად მუშაობა და ყოფნა ვერც დამღლის, ვერც დამაბერებსო,

ხშირად ამბობს, თუმცა თმაში საკმაოდ უცინის ჰალარა.

თუ საამქროში კორესპონდენტი მოვიდა და საუბარი დაუწყო, ლევანი ყველა სიკეთეს ახალგაზრდა ბრიგადირებს, კარლო ოტიაშვილსა და გაბრიელ გოგიჩაიშვილს „გადააბარალებს“: თუ რამ სიკეთე გავგაჩნია, ამათგან; ამათ ბრიგადებზე ბევრი კარგი რამის დაწერა შეგიძლიათო.

მერე დაწვრილებით მოუყვება, როგორ დაიწყო ბრძოლა კარლო ოტიაშვილის ბრიგადამ კომუნისტური შრომის სახელწოდების მოსაპოვებლად. ჩამოუთვლის მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს, ეტყვის, როდის და როგორი გადა-

ჭარბებით შეასრულეს. გააცნობს ოტია-
შვილის ბრიგადის საუკეთესო კომკავ-
შირელებს: რუსიკო ქავთარაძეს, ვალია
გაგლოევას, მედიკო ჩქარეულს, ლიანა
ცვილოვას, მარიამ ქავთარაძეს, ირინა
ნადიბაიძეს და ბევრ სხვას. მიიყვანს
მათ მანქანებთან, — აი, ნახეთ, რა სწრა-
ფად, რა ენერგიულად შრომობენო.

მნახველს უთუოდ მოეწონება ყაზბე-
გელი ქალიშვილის, მედიკო ჩქარეულის
ჩქარი მუშაობა. იგი ელვის სისწრაფით
ამოძრავებს ხელებს და ასორმოცდაათი
მასრიდან ერთსაც არ აცდენს. რაც მოა-
ვარია, მასრების გამოცვლას ჩქარობს.

როცა მანქანასთან მარტო მუშაობს,
როცა მასრები ფუტკრებივით ზუზუნე-
ბენ, მედიკო ამ დროს მთელ ქვეყანაზეა
გაფანტული ფიქრებად და ოცნებებად.
მაგრამ ეს ხელს არ უშლის მასრები
სწრაფად გამოცვალოს, გაწყვეტილი
ძაფი მოძებნოს და სწრაფად გადაა-
ბას...

მედიკოს ხშირად აგონდება მშობლი-
ური ყაზბეგი, ცად აზიდული მთები,
დიდთოვლობა და ზამთრის გრძელი და-
შეები. აფუზგუზებულ ბუხართან ჩამომ-
სხდარი დედა-დეიდები... ზოგნი საჩეჩ-
ლის კბილებს აწყრიანებენ, ზოგნი თი-
თისტარზე ართავენ მამა-ბიძათათვის
საჩოხე მატყლს.

ლამპასთან მიმჯდარი მედიკო კი გა-
ლაკტიონის ლექსებს კითხულობდა,
ყაზბეგის რომანებს... გაკვეთილების

მომზადებას რომ მორჩებოდა, მერე დე-
და-დეიდებს შუაში ჩაუჯდებოდა, თვი-
თონაც აიღებდა ფთილებს და თითის-
ტარს ამღერებდა. სამი ქალი სამ საათში
სამას გრამ მატყლსაც ვერ ართავდა,
მედიკო კი ახლა დგას და ასორმოც-
დაათ მასრაზე სწრაფად ართავს ძაფს.

ლევან წერეთელი ოტიაშვილის ბრი-
გადიდან ყველაზე ბოლოს ვერა სობო-
ლევასთან მიიყვანს კორესპონდენტს.

— ეს არის ჩვენი საამაყო მუშა, სა-
ქართველოს უმადლესი საბჭოს დეპუტა-
ტი. თუ არ იცნობთ, გაიცანით.

შემდეგ ქვეოსტატ გაბრიელ გოგიჩაი-
შვილის ბრიგადაში გადაიყვანს. ეტყვის,
რომ გაბრიელის ბრიგადა მეორე წელია
იბრძვის კომუნისტური შრომის სახელი-
სათვის. აღებული ვალდებულებები
პირნათლად შეასრულეს და მალე სა-
სურველი წოდება მიენიჭებათ. მერე
სათითოდ გააცნობს მოწინავე ახალგა-
ზრდებს: ზინა ტუჩაშვილს, ლუბა ცეხ-
ნესტეროვას, ირა ჩუჩაშვილს, ბაბუღია
ხუბაევას, მარო გოგიჩაიშვილს...

— რომელი ერთი ჩამოგივთვალთ,
აი ადამიანები, რომლებიც საკუთარი
შრომით ქმნიან ჩვენი საამქროსა და
ცვლის წარმატებებს. ამათზე დაწერეთ,
ესენი არიან ქების ღირსნი. მე რა? მე
მხოლოდ ცვლის უფროსი ვარ და მეტი
არაფერი, — ამბობს ლევან წერეთელი
და ეღიბება.

ნ ა ზ ი კ ო

— შემდეგი ტექნოლოგიური პროცე-
სი ჩვენთან მიმდინარეობს, საქსოვი წარ-
მოების მოსამზადებელ სამქროში, —
ამბობს საამქროს უფროსი მერაბ ჟღენ-
ტი, — სართავიდან მუყაოს მასრებზე
დახვეული მაუდის ძაფი შემოდის. ჩვენ
ვახდენთ მის გაორფებას, ვგრებავთ, კო-
ნუსურ ბომინებად ვახვევთ, ვამზადებთ
ქსელსა და მისაქსელს. სულ ხუთი უბა-
ნია. ხუთივეს თავისი ოსტატი ჰყავს, და
ხუთივე იმ ბრიგადას ახალგაზრდა ნაზი-
კო მარღიშვილი ხელმძღვანელობს...

ნაზიკო ტანმორჩილი, ოდნავ გამხდა-
რი ქალიშვილია. მის ხმაში სიმკაცრე და
მომთხოვნელობა ჟღერს, თვალეში
გულკეითლობა უცინის. ლურჯი, ლაქე-
ბიანი ხალათი აცვია. ერთ ადგილას გა-
ჩერებულს ვერ დაინახავთ. უბნიდან
უბანზე მიდის, ერთი მანქანიდან მეო-
რესთან. ჩამოუვლის მუშებს; დახედავს,
ვინ როგორ მუშაობს. წინასწარ იჭერს

ვალერიან ჩეკურიშვილი
დაზგების გუბუნში



ნედლეულის თადარიგს, რომ არავინ მოსცდეს და მუშაობა არ შეფერხდეს...

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც აღრე გამოცხადდა სამუშაოზე. ცარიელი იყო საამქრო. დუმდნენ მანქანები. ოსტატმა უნდა იცოდეს, როგორ დაუტოვეს ცვლა, ჰოდა, ჩამოუარა, სათითაოდ შეამოწმა საორფებელი, საგრეხი, გადამხვევი მანქანები. ჩამოათვალიერა და ერთი გადამხვევი მანქანის საკისარში ძაფი ნახა ჩახვეული. გული მოუვიდა, — ასე რომ ტოვებდნენ, რას ფიქრობდნენო. იმ მანქანაზე ნადია ღიბრაშვილს უნდა ემუშავა. თვითონაც შეამჩნევდა, მაგრამ ნაზიკომ მაინც გაიფიქრა, — მოვა თუ არა, გავაფრთხილებო.

მერე საორფებელი მანქანის ლილვი შენიშნა გატეხილი. ამან უფრო გააცუცხლა. მაშინვე გაიქცა და ქვეოსტატის ჟურნალი მონახა. აინტერესებდა, რა ეწერა შიგ: რატომ გავტეხეთ, ან რატომ აღარ შევაკეთეთო.

„მუშაობის დამთავრებას თხუთმეტი წუთი ჰკლებია, როცა ლილვი გატეხილა. ვაკეთებას ვეღარ მოასწრებდნენ“, — ჩაილაპარაკა, ჟურნალი დახურა და შემკეთებელი ბრიგადა გამოიძახა.

— იცოდეთ, ნახევარ საათში უნდა მოასწროთ, მუშა არ მომიცდინოთ, — გააფრთხილა.

ამსობაში ქვეოსტატებიც მოვიდნენ. ერთად ნახეს დავალების ჟურნალი. ამ ჟურნალში წერენ, თუ რა უნდა აკეთოს შემდეგმა ცვლამ მთელი დღე.

ნაზიკომ ქვეოსტატებს საქმე გაუნაწილა.

მერე მოვიდნენ მუშები.

ცვლის უფროსს გაახსენდა, ნადია ღიბრაშვილი რომ ჰყავდა გასაფრთხილებელი და მასთან გაიქცა.

— ვნახე, — წყენით თქვა ნადიამ, — იმათ ცვლის უფროსს უთხარი, თორემ სხვა დროსაც ასე დაგვიტოვებენ.

ნაზიკო უფროსოდაც აპირებდა საყვედურის თქმას. მაშ არა და მადლობას ვეტყვიო, ჩაილაპარაკა და ახლა სხვა უბნისკენ გაეშურა.

გაისმა საყვირის ხმა.

ქალებმა მანქანები ჩართეს. ნელ-ნელა იმატა გუგუნმა და საამქრო მალე გაივსო ნაცნობი ხმაურით...

ახლა ნაზიკო ვერცხლის წყალივით მოძრაობს; ხან საამქროს უფროსთან აქვს საქმე, ხან ქვეოსტატებს აძლევს მითითებებს, ხან მაუდის სართავ საამქროში გაჩნდება, — აბა, როგორ არის საქმე, ნართი გვჭირდება, მანქანები არ მომიცდინოთო.

დღის ბოლოს კი შეჯამდება ნამუშევარი, გამოისახება პროცენტებში. წარმატებებით ნასიამოვნები ქალი მანქანებს სრულ წესრიგში დაუტოვებს შემდეგ ცვლას. გაიხდის ლაქებიან ხალათს, დაიბანს, დაივარცხნის და კომბინატიდან გამოვა ნაზი ქალიშვილი. მერე რომელიმე გასტრონომში შეუხვევს, პატარა მარინასა და მანანასათვის ტკბილეულს იყიდის და დღის ოჯახში წავა საღამოს გასატარებლად.

პინჰარაულაზი

თუნუქის ფირფიტაზე აწერია: „აქ მუშაობს კომუნისტური შრომის ბრიგადა“. ასეთ წარწერებს ყველა საამქროში შეხვდებით. საქსოვში კი ხუთია. ისინი ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ჰკიდია და შემსვლელთ სიამაყით ამცნობს, რომ აქ მომუშავე ადამიანები საკუთარი მარჯვენით ახორციელებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ოცდამეორე

ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

დაზგები კი გუგუნებენ.

მაქოები ელვის სისწრაფით დაძვრებიან ქსელში და ლილეებზე ეხვევა ძვირფასი საპალტოე ქსოვილები.

მართა ჭინჭარაულიც სხვებზე დასაქსოვ დაზგასთან და საქმითაა გართული. მუშაობისას მას მხოლოდ ერთი რამ

ახსოვს: მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქტია უნდა გამოვშვას. ასე აქვთ ნათქვამი ბრიგადაში, ასე მოილაპარაკეს, იმ კრებაზედაც ამაზე იყო ლაპარაკი, თხუთმეტ აბრილს რომ ჩატარდა კომბინატის კლუბში.

ოთხასზე მეტი კაცი ესწრებოდა კრებას. ესწრებოდა მართაც. იჯდა, უსმენდა და გრძობდა, ძალიან დიდ საკითხზე იყო ლაპარაკი. კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის საწარმოს წოდებისათვის ვიბროლებით, — თქვა თავის გამოსვლაში კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. გამცემლიძემ. ამასთან დაკავშირებით ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებსა... და ჩამოთვალა. აუ! რამდენი რამის გაკეთებაზე იყო ლაპარაკი! ვალდებულება დიდია, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ, თუ ყველა მუშა მასზე მინდობილ საქმეს მეტი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით მოეკიდებაო:

მერე საამქროს უფროსებმა, ცვლის ოსტატებმა, ბრიგადირებმა და მოწინავე მუშებმა ილაპარაკეს. საქვეყნოდ აცხადებდნენ, თავს არ შევირცხვენთ, ყველა სიძნელეს გადავლახავთ, სიტყვას საქმედ ვაქცევთ. მართა ჭინჭარაულს საჯაროდ სიტყვა არ უთქვამს, მაგრამ გულში კი ლაპარაკობდა, სხვებზე უარესი არც მე ვიქნებო. ჩვენს ბრიგადაში თუ ერთი შესძლებს რამეს, არც მე ჩამოვრჩებო. ჰოდა, ყურადღებით მუშაობს ახლა, არ უნდა მისი მოქსოვილი წუნმდებლების გასაკილავე გახდეს.

— მართა, როგორ არის საქმე? — ხანდახან ჩამოუვლის და ყურში ჩასძახებს ბრიგადირი ლევან კულაშვილი.

— კარგად! — გაეცინება ხევსურ გონას.

ეს არის და ეს. დანარჩენი დრო თავის დაზგებთან და ფიქრებთან არის ჭინჭარაულთა ქალაი. მოსაგონარი? რამდენიც გინდა! დღე დიდია და ფიქრი უთვალავი.

ხშირად აგონდება ხევსურეთი, სოფელ ლეხაისკარში გატარებული ბალობა. რა ლამაზია მთაში გაზაფხული! უამრავი ყვავილი იცის... სკოლიდან მო-

სული ძროხებს გარეკავდა ხოლმე საძოვარზე. ხან მთის ყვავილებს კრეფდა, ხან შუბყისა და დუცის დუყებსა ფცქვნიდა. ხან კენკეშას კრეფდა, ხან ხუნწ-შალშავით ივსებდა კაბის კალთას.

გაზაფხულობით წეროთა გადმოფრენა უყვარდა.

ჩამოჯდებოდა მართა ქუჩაზე და შეკყურებდა ჯარისკაცებივით დამწკრივებულ წეროებს. იცოდა, შორეთიდან მოფრინავდნენ და ფიქრობდა შორეთზე.

შორეთში იყო ქალაქიც.

ერთხელ პაპა სუმბათა წავიდა ქალაქში, ერთი წაიღო გასაყიდად. ერთ კვირაზე მეტი მოუნდა გზას. მერე დაბრუნდა ნავაჭრით და მართას წითელი პალტო მოუტანა.

ათენგნობას მართაზე ძვირფასი არავისა სცმია...

ხალხში ვერა, მაგრამ ჭერხოში ვანმარტოებით ხშირად სინჯავდა პალტოს. ასე ლამაზად რა ხელმა მოქსოვაო, უკვირდა.

ათოწელი გავიდა მას შემდეგ.

ხევსურეთიდან სამგორში ჩამოსახლდნენ.

ახლა ის ქალაქი შორეთში აღარ იყო. ახლოს იყო და მით უფრო მოუწევდა გული მისკენ.

საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისს ეწვია.

ახლა, ფეიქარია. თვითონ ქსოვს საპალტოებს. არც ისეთი საოცრება ყოფილა ფეიქრობა, მაგრამ მაშინ ბალლი იყო და წარმოდგენა არა ჰქონდა საქსოვ დაზგებზე...

პაპა სუმბათას ვერც ახლა წარმოუდგენია, მანქანამ როგორ უნდა მოქსოვოს საპალტოე, როცა მართა უყვება, ორ დაზგაზე ვმუშაობ და დღეში ოცი ქალის საპალტოებს ვქსოვო, უკვირს პაპა სუმბათას.

— თუმცა რაილა არი საკვირველი ამ ქვეყნიერებაზე, დედამიწის გულში არაფერი დაგრჩათ უნახავი და ზეცაში

ვალერიან ჩეკურიშვილი
დაზგების გუგუნში

ღმერთს აღარ აყენებთ... — იტყვის და
ყალიონს გააბოლებს.

მართას თვალწინ დაუდგა გაჯავრე-
ბული პაპა და გაელიმა.

— ქალო, რა გაცინებს, დაიხელ-
თე? — ყურებში ჩასძახა თამარიმა.

— რაილაცა მამაგონდა და გამეცინა.

— მოდი, ცოტახან მამეშველე.

— კი, გენაცვალე.

თამარიც ჭინჭარაულთა მოდგმაა.
ისიც პირიქითა ხევსურეთშია დაბადე-
ბული. ერთად დასახლდნენ სამგორში,
ერთად ჩამოვიდნენ თბილისში და ის-
წავლეს ფეიქრობა. ახლა ერთმანეთის
გვერდით მუშაობენ.

თამარს ერთდროულად რამდენიმე
ძაფი ჩასწყვეტია და მიხმარება ესაჭი-
როება.

ძაფები აღადგინეს. თამარის მეორე
დაზვამაც დაიწყო ქსოვა და მართა
კვლავ თავისებს მიუბრუნდა. ორივე

დაზვა უმოძრაოდ დახვდა. მაქოვსაში-
საქსელი გამოლეოდათ. მაგრამ ეს რა
სათქმელია. თვითონ მართას რამდენ-
ჯერ დასჭირვებია მოხმარება და თამა-
რისათვის დაუქნევია ხელი, მოდიო-
ასეა ერთ საამქროში, ერთ ბრიგადაში...

ერთხელ თამარი და მართა დასხდნენ
და დათვალეს მაუდ-კამვოლის კომბი-
ნატში მომუშავე ჭინჭარაულები.

— ჯერ მარტო საერთო საცხოვრე-
ბელში ერთ ოთახში ექვსნი ვცხოვ-
რობთ, — თქვა მართამ და თითებზე ჩა-
მოთვალა. მერე სხვებიც მიუმატეს.

— ოცნი ვყოფილვართ! — დააზუს-
ტეს ბოლოს.

ჭინჭარაულები მთელ კომბინატში
არიან გაფანტულები. ზოგი ჩეჩავს, ზო-
გი ართავს, ზოგი გრეხავს. საქსოვში კი
თამარი, მართა და მარიამი მუშაობენ...

მუშაობენ და არავისზე უარესები არ
არიან!

გ ა ა ძ მ თ

რკინის ჭიშკარს სატვირთო მანქანა
მოადგება და მოაყვრებს.

წვერგაუბარსავე კაცი წამოდგება, შე-
მოსასვლელ კარს ღრობით ჩაკეტავს
და მანქანასთან მივა.

მძლოლი კაბინიდან მიაწოდებს საშვს.
კარისკაცი გულმოდგინედ დააკვირ-
დება ხელმოწერას და ბეჭედს. მერე
კონტინენრიან მანქანას შეათვალე-
რებს და ჭიშკარს გააღებს.

მანქანა ეზოდან ქუჩაში გავა და კა-
რისკაცი თვალს გააყოლებს.

— წაიღეს... — ჩაილაპარაკებს თავის
თვის. — ვინ იცის, რომელ რესპუბლი-
კაში გაგზავნიან, შეიძლება საზღვარგა-
რეთაც... სადაც უნდა გაყიდონ, მე შენ
გეტყვი და დაიწუნებენ!

კარისკაცი საქონელმცოდნე არ არის,
მაგრამ ძალიან კარგად იცის, რომ მაუდ-
კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქარ-
თველოს“ გამოშვებული ქსოვილები სა-
ქვეყნოდ არის ცნობილი. იცის და ეამა-
ყება.



ლიბიგრი თხზარლი

მაიაკოვსკი და ქართული ლიტერატურათ-
მცოდნეობა

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა მაიაკოვსკის შემოქმედების შესწავლას დიდ ყურადღებას აქცევს და ამ მხრივ დიდი წარმატებებიც აქვს.

ლ. ტიმოფეევის შრომა მაიაკოვსკის პოეტიკაზე, ვ. კატენინის „ლიტერატურული ქრონიკა“, ე. ნაუმოვის, ა. მატჩენკოს, ვ. პერცოვის შრომები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე, აგრეთვე მოგონებები, სტატიები და კრებულები ცხადპყოფენ, რომ დიდი პოეტის შემოქმედების შესწავლამ საკვლევი დაწესებულებების გეგმებში სათანადო ადგილი დაიკავა.

ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას საქართველოშიც დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენს „მაიაკოვსკისმცოდნეობას“ გარკვეული მიღწევები აქვს ისევე, როგორც გარკვეული ნაკლოვანებებიც ახასიათებს.

წერილში შევეცდებით გავაშუქოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა საქართველოში. ჩვენი მკვლევარები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ კვლევის საშუალებაში, რომელიც საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. გარდა ამისა, ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ პოეტის მოღვაწეობის ეგრეთ წოდებულ „ქართულ“ ნაწილზე.

მაიაკოვსკის შემოქმედებაზე ჩვენში ბევრი სტატია დაწერილა, ბევრი მათ-

განი საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებითაა გამოქვეყნებული: კ. კალაძე — „მაიაკოვსკი“ („მნათობი“, № 7. 1957 წ.), გ. ლომიძე — „საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი“ („ბოლშევიკი“, № 4. 1950 წ.), ნ. გურაბანიძე და თ. ჯანელიძე — „მაიაკოვსკის დრამატურგია“ („მნათობი“, № 4. 1950 წ.) და სხვ. შეიძლება დაგვესახელებინა მრავალი საიუბილეო საგაზეთო წერილიც.

მაიაკოვსკის პოეზიის ცალკეულ საკითხებზე დაწერილია წერილები: ს. არველაძე — „მაიაკოვსკი და დემოკრატიული გერმანიის პოეტები“ („მნათობი“, № 7. 1953 წ.). სტატიაში ლაპარაკია, თუ როგორ აითვისეს მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები გერმანელმა პოეტებმა ი. ბეხერმა, ვიანერტმა, ბ. ბრეტტმა და სხვ. ფრანგულ პოეზიაში მაიაკოვსკის პოეზიის ტენდენციებზე მოგვითხრობს დ. ფანჩულიძე წერილში „ვ. მაიაკოვსკი და საზღვარგარეთის პროგრესული მწერლები“ („მნათობი“, № 4. 1950 წ.). ვ. ლაფერაშვილის წერილებში მოკლედაა გაშუქებული რამდენიმე თემა: ვ. ი. ლენინის სახე მაიაკოვსკის შემოქმედებაში, ჩინეთის თემა, ახალგაზრდობა, მშენებლობა და სხვ.

ზემოთ აღნიშნულ შრომებს ერთი თავისებურება ახასიათებს: ავტორები, წერილების თემისა და თუ მიზნის მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა დიდ ყურადღებას აქცევენ მაიაკოვსკის პოეზიის

პოპულარიზაციას საქართველოში. მაგრამ ნაშრომთა უმეტესობას მხოლოდ მიმოხილვის ხასიათი აქვს, რის გამოც მნიშვნელობითა და მასშტაბით რამდენადმე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არ არის მიაკოვსკის შემოქმედებისა და მოღვაწეობის სრულყოფილად, ამომწურავად ასახვის ცდები. ქართველი კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნეები გვერდს არ უნდა უვლიდნენ მიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი საკითხების გაშუქებას.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პრობლემაზე — „მიაკოვსკი და საქართველო“. ეს არის თემების კომპლექსი: „მიაკოვსკი და საქართველო“, „საქართველო და მიაკოვსკის შემოქმედება“, „პოეტის დამოკიდებულება თავისი მეორე სამშობლოსადმი“ და სხვ. ასეთია პრობლემის ერთი მხარე. მეორე მხრივ იკვლევენ არანაკლებ საინტერესო საკითხებს: „მიაკოვსკი ქართულ ენაზე“, „დიდი პოეტის ტრადიციები და ქართული პოეზია“ და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ამ ცალკეული პრობლემების შესწავლის საქმე გაცილებით უკეთ არის დაყენებული, ვიდრე საერთოდ მიაკოვსკის შემოქმედების შესწავლისა, თუმცა არც აქაა ყველაფერი რიგზე.

განვიხილოთ პრობლემის ერთი მხარე. ლ. მიაკოვსკაიამ, ვ. კატენინმა, ვ. პერცოვმა, გ. ბებუთოვმა, გ. ლეონიძემ, ლ. ასათიანმა, ს. ჩიჭოვანმა და სხვებმა დააღაგეს და სისტემაში მოიყვანეს საქართველოში მიაკოვსკის ცხოვრების უხვი ფაქტობრივი მასალა, გააშუქეს საკითხი, თუ როგორ ასახავს მიაკოვსკი თავის შემოქმედებაში საქართველოს. თითქმის ყველა ეს მასალა თავმოყრილია კრებულში „მიაკოვსკი საქართველოში“ (თბილისი, 1938 წ.). ამ საკითხებს შეეხო აგრეთვე ვ. ცისკარიძე ვრცელ მოხსენებაში, რომელიც რუსი,

აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობისადმი მიძღვნილ პირველ სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა.


საქართველოში მიაკოვსკის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები არაერთგზის გაუშუქებიათ ქართულ პრესაში. ეს არის თემები: მეტყვევის ოჯახი ბაღდათში, მიაკოვსკის ბავშვობა, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა, 1905 წლის რევოლუცია, მამის სიკვდილი და პოეტის ოჯახის მოსკოვში გადასახლება, თბილისში ჩამოსვლა 1914, 1924, 1926 და 1927 წლებში, თბილისის პრესის გამომხატურება მიაკოვსკის საღამოებზე, ცნობები ქართულად პირველად დაბეჭდილი ნაწარმოებების შესახებ და სხვ.

სადღეისოდ თემა „მიაკოვსკის ცხოვრება საქართველოში“ შეიძლება ამოწურულადაც კი ჩაითვალოს. ასევე კარგადაა შესწავლილი „საქართველო და მიაკოვსკის შემოქმედება“. დადგენილია მიაკოვსკის ეგრეთ წოდებული „ქართული“ („ქართულს“ პირობითად ვხმარობთ) ნაწარმოებების რიცხვი. აი ისინიც: პირველი ნაწარმოები ქართულ თემაზე — მენშევიკების განდევნა საქართველოდან (Окно Главполитпросвета, 68, март 1921 года). ლექსები: „ვლადიკავკაზი — თბილისი“, „თამარა და დემონი“, „მიყვარს“. ქართული ყოფის მოტივები ჟღერს ლექსებში: „ჩვენს ახალგაზრდობას“, „მექსიკა“, სტატიაში „მე თვითონ“. რამდენადმე ქართულია პოეტის ექსპროზიტი ვ. გუნიას სადღეგრძელოს საპასუხოდ თქმული.

„ქართული“ ნაწარმოებები პოეტს ცოტა აქვს, მან სამართლიანად თქვა: „ვალში ვარ, შენთან... მოწმენდილო ბაღდათის ზეცაზე...“

ერთი სიტყვით, პრობლემა „მიაკოვსკი და საქართველო“, ძირითადად, კარგად შეუსწავლიათ, რაც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის უდავო დამსახურებაა. თითქმის ყველაფერი გამოქვეყნებულია, ყველა საკითხი შესწავლილი. ასე რომ ამ მხრივ მნიშვნელო-

მადრი ვაი,
შენთან...
მოხუცნილო
გაღრმის ზეცა





ვანი აღმოჩენები ძნელი მოსახდენია. ვინც მოისურვებს საქართველოში მიაკოვსკის ცხოვრებაზე რამე დაწეროს, იძულებული შეიქნება მეორეხარისხოვანი წვრილმანებით დაინტერესდეს, ან მოძებნოს პოეტის ნაცნობები, რათა ერთხელ კიდევ მოისმინოს ძველი ამბები, იმსჯელოს ნაცნობ ფაქტებზე. მაგალითად, ვ. ლაფერაშვილის ბიოგრაფიულ წიგნში „მიაკოვსკის ცხოვრება საქართველოში“ (თბილისი, ზარია ვასტოკა, 1961 წ.), რომელიც არაერთჯერის გამოიცა რუსულად და ქართულად, ჩვენი აზრით, არც არის რაიმე პრინციპული სიახლე.

„საქართველო მიაკოვსკის შემოქმედებაში“ — აი კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესწავლისას გარკვეულმა ტენდენციამ იჩინა თავი: ხშირად საკვლევ ობიექტს ხელოვნურად აზვიადებენ. მაგალითად, ვ. ლაფერაშვილი მიაკოვსკის „ქართული“ ნაწარმოებების რიცხვს ასეთი პრინციპით ზრდის: იგი „ქართულს“ მიაკუთვნებს ყველა იმ ლექსს, რომელშიც საქართველოსთან დაკავშირებული რაიმე ფაქტია აღნიშნული, — ქალაქისა თუ ადგილის სახელი, ან ქართული გვარია ნახსენები და სხვ.

ეს პრინციპი სწორი არ უნდა იყოს. მთელი რიგი მართებული დებულებების გვერდით კურონოზებსაც ვხვდებით: პოემაში „კარგია“ გამოყოფილია „შავი“ (ზღვა), „ლედვი და კომში“ და ა. შ.

რა არის აქ მინცდამაინც განსაკუთრებული ქართული?

რასაკვირველია, საქართველოს ბუნების სილამაზემ და მრავალფეროვნებამ პოეტზე გარკვეული გავლენა მოახდინა. მაგრამ ამ სწორი აზრის დასასაბუთებლად მხოლოდ ის ფაქტი, რომ ლექსში „ღამე“ მდიდარი ფერებია, საკმარისი არ უნდა იყოს.

ვ. ლაფერაშვილი „ქართულ“ ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნებს აგრეთვე ლექსს „ამხანაგ ნეტეს“, სადაც ნახსენებია ბათუმი, ან მეორე ლექსს („Слегка нахальные стихи...“), სადაც ქართული გვარია ნახსენები. ყოველ

შემთხვევაში გარეგნული ნიშნით რაიმე ერთი სიტყვის გამო ნაწარმოების რომელიმე თემატური ჯგუფისათვის მიკუთვნება, ცოტა არ იყოს, მექანიკური კლასიფიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს. და ეს არ შეეფერება ლაფერაშვილის წიგნს, სადაც ბევრი საინტერესო ბიოგრაფიული ცნობაა თავმოყრილი. ჩვენი აზრით, ავტორს უნდა შეერჩია საქართველოსთან თემატურად დაკავშირებული ლექსები და შეესწავლა, დაედგინა ის „სავაზეთო ფაქტები“, რომლებიც პოეტის მხატვრული ქმნილებების საფუძველია; თუნდაც განეხილა, რამდენად ტიპურია ფაქტები, რომელიც საფუძველად დაედო ლექსს „ჩვენს ახალგაზრდობას“.

გაცილებით უფრო საინტერესოა პრობლემის მეორე მხარე — „მიაკოვსკი ქართულად“, „მიაკოვსკის ტრადიციები და ქართველი პოეტები“, რაც, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის შესწავლილი, თუმცა ყურადღება სწორედ ამაზე უნდა გამახვილებულიყო.

საკვირო იყო ქართველი მკითხველი ქართულ ენაზე გასცნობოდა მიაკოვსკის პოეზიის თავისებურებასა და სიდიადეს. ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა პოეტის შემოქმედებისადმი. მიაკოვსკის ლექსების თარგმნა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაიწყო. პოეტი თვითონ ეხმარებოდა მთარგმნელებს რჩევითა და შენიშვნებით. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მიაკოვსკის პოეზიის თარგმნამ ფართო ხასიათი მიიღო. მართალია, პირველი ქართული კრებული (მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი) 1931 წელს გამოვიდა, მაგრამ ამის შემდეგ 1938 წლამდე თითქმის არაფერი დაბეჭდილა. 1938 წლიდან ზედიზედ გამოდის მიაკოვსკის ქართული თარგმანები — „ლექსები და პოემები“ (1938 წ.), „ერთთომეული“ (1939 წ.), „თხზულებანი“

(1940 წ.). კრებულებში დაიბეჭდა როგორც ძველი, ისე ახალი თარგმანები. კრებულები დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს დადგენილების შემდეგ. ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა პოეტის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, „შარფლიანი ღრუბელი“, „ომი და მსოფლიო“, „ქარგია“. ითარგმნა ბევრი ახალი ლექსიც. ორი წლის მანძილზე მთარგმნელებმა დიდი შრომა გასწიეს და პოეტის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოაქართულეს.

შემდეგ, ზოგი მიზეზის გამო, ტემპმა იკლო და მხოლოდ 1952 წელს გამოიცა ერთტომეული „რჩეული“ (ს. ჩიქოვანისა და ვ. ლაფერაშვილის რედაქტორობით). კრებული ადრე გამოცემულ წიგნებზე გაცილებით უფრო სრულყოფილი იყო. იგი შეადგინეს რჩეული ნაწერების რუსული ერთტომეულის მსგავსად. წიგნში დაბეჭდილია მაიაკოვსკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ლექსი და პოემა. ერთტომეულს წამძღვარებული აქვს ვ. ლაფერაშვილის ნარკვევი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ვ. გაფრინდაშვილის, ი. აბაშიძის, დ. გაჩეილაძის, მ. პატარიძის, კ. ნადირაძის, ვ. ლაფერაშვილისა და სხვათა თარგმანები კარგად გადმოსცემენ მაიაკოვსკის პოეზიის მხატვრულ თავისებურებებს.

გადღევთ რა მალალ შეფასებას ერთტომეულს, მაინც უნდა აღენიშნოთ ზოგი ნაკლი. კრებულში არ შეუტანიათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: მაგალითად, „ომი და მსოფლიოს“ ადრინდელი თარგმანი, ისეთი ლექსები, როგორიცაა „Hate!“, „Вам!“ (ეს ლექსები საერთოდ არ თარგმნილა), შეიძლება კრებულის რედაქტორებს ყოველთვის არ დაეთანხმნით ლექსების შერჩევაშიც: ერთტომეულში შეტანილია „პოეტი მუშა“, „თხრობა იმაზე, თუ ნათლიდეთამ...“ და არ შეუტანიათ „Приказ № 2 по армии искусств“, „На запа-

де все спокойно“ და ცნობილი „მარცხენა მარში“.

გარდა ამისა, ვხვდებით ზოგიერთ უზუსტობასაც, ორიგინალის აზრის გაღარიბებას, ზოგჯერ დამახინჯებასაც (მაგ., ლექსში „პოეტი მუშა“ და სხვ.).

ბევრი ლექსი არც თუ ისე კარგად იყო თარგმნილი, რაც თავის დროზე ქართულმა პრესამ აღნიშნა (ვ. გორგაძე, „ვლ. მაიაკოვსკი ქართულად“. „მნათობი“, № 11, 1953 წ.).

მაიაკოვსკის პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულად მხოლოდ ოცდაათიანი წლების ბოლოს ითარგმნა. ასეთი დაგვიანებას თავისი მიზეზი ჰქონდა: ქართული და რუსული ენების მნიშვნელოვანი სხვაობა აძნელებდა მაიაკოვსკის პოეზიის თავისებურებისა და სირთულის გადმოცემას, თანაც ქართულში მახვილს არა აქვს ის ფუნქცია, რაც პუშკინისა და ნეკრასოვის ენაში, ხოლო მაიაკოვსკი მახვილს უაღრესად თავისებურად ხმარობდა, მას დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ასე რომ ამ მახვილის შესაცვლელად ქართულში, აგრეთვე ტონური ლექსების თარგმნისას მთარგმნელს უნდა მოეძებნა ისეთი გამომახატველი ელემენტები, რომელიც კარგად გადმოიტანდა მაიაკოვსკის პოეზიის თავისებურებას, ხასიათს, რიტმსა და ტონს.

ჩვენი მთარგმნელები თანდათანობით იძენდნენ გამოცდილებას, მათ ჰქონდათ გარკვეული პრაქტიკული მიღწევები, ხოლო ხშირი დისკუსიები თარგმნის სპეციფიკაზე, მაიაკოვსკის ლექსების განსაკუთრებულ ქლერადობაზე, საერთოდ, პოეტის შემოქმედებაზე, ქმნიდა იმის პირობას, რომ ქართველი მკითხველი კარგად გასცნობოდა დიდი პოეტის შემოქმედებას. თუმცა აქვე უნდა ითქვას ერთიც: ჩვენში მთარგმნელობითი საქმე საერთო ყურადღების ცენტრშია, ვაჰქვს პომეროსის, ბაირონის, „ფაუსტის“, „ომისა და მშვიდობის“, „წყნარი ღონის“

დამიტრი თუხარელი
მაიაკოვსკი და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა



და სხვა მრავალი ნაწარმოების თარგმანი, მაგრამ მაიაკოვსკის შემოქმედების მაღალხარისხიანი და მეტნაკლებად სრული თარგმანი სამწუხაროდ არ გავაჩნია.

ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი თემა — „მაიაკოვსკის ტრადიციები და ქართული პოეზია“. აქ შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ შემდეგი სტატიები:

ლ. ასათიანის წერილი მაიაკოვსკის შემოქმედებაზე („ჩრდილო ნაწიერები“, საბჭოთა მწერალი, 1958 წ.). სტატიის დასასრულს ავტორი მიუთქვამს, თუ რა გავლენა მოახდინა მაიაკოვსკის პოეზიამ ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, გ. ლეონიძისა და სხვათა შემოქმედებაზე;

გ. ასათიანის „მაიაკოვსკის გაკვეთილი და ქართველი პოეტების ახალი თაობა“ („მნათობი“, № 8, 1955 წ.), სადაც ავტორი ახალგაზრდა პოეტების მ. მაჭავარიანის, ა. სულაკაურის, ა. გეწაძისა და თ. შილაძის ლექსების მავალითვე ამტკიცებს, რომ მაიაკოვსკის პოეზიამ გარკვეული და მნიშვნელოვანი დიდი დამჩინა ქართველი პოეტების ახალ თაობასაც;

ბ. ჟღენტი თავის წერილში „მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები და ქართული საბჭოთა პოეზია“ („მნათობი“, № 4, 1955 წ.) განიხილავს, თუ რა სახით შეითვისეს და განავითარეს მაიაკოვსკის პოეზიის ტრადიციები გ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, გ. ლეონიძემ, გ. აბაშიძემ, ა. მირცხულავამ, რ. მარგინამა და სხვ.

ზემოთ დასახელებული სტატიები საინტერესოა საკითხის დასმითა და მთელი რიგი სწორი დაკვირვებით. მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა დავეთანხმეთ ვ. ცისკარიძეს — საინტერესო თემა ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს. და მართლაც, საჭიროა ჩატარდეს დიდი მოსამზადებელი მუშაობა, უნდა განვიხილოთ ქართველი პოეტების ცალკეული ლექსები მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციების თვალსაზრისით, მოვუყაროთ თავი ცალკეულ ფაქტებს, განვსაზღვროთ ისინი და ა. შ.

მაიაკოვსკის შემოქმედება ყოველთვის იქცევა ჩვენი საზოგადოების ყურადღებას, საქართველოში მის პოეზიას კითხულობენ რუსულად და ქართულად, იზეპირებენ ლექსებს, სწავლობენ მის ცხოვრებას. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ მაიაკოვსკი ჩვენი პოეზიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ჩვენში უკვე ითარგმნა დიდი პოეტის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა თარგმანი, რასაკვირველია, ერთი ღირსების არ არის. მაგრამ მაინც ქმნის ნათელ წარმოდგენას მაიაკოვსკის შემოქმედების თავისებურებაზე. ამჟამად აუცილებელია ითარგმნოს და გამოიცეს მეტნაკლებად სრული კრებული, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ქართულმა „მაიაკოვსკისმცოდნეობამ“ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი საკითხები, როგორცაა მაიაკოვსკის ცხოვრება საქართველოში, ქართული საზოგადოებრიობის დამოკიდებულება პოეტისადმი და საქართველო მაიაკოვსკის შემოქმედებაში — საფუძვლიანადაა გაშუქებული. სწორედ ეს საკითხები იქცევა ქართველი მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ შეაგროვეს და დააჯგუფეს დიდი მასალა, რომელიც ცხადყოფს პოეტის სიყვარულს თავის მეორე სამშობლოსადმი, მაგრამ საჭიროა შევიკავოთ თავი „ქართული“ ლექსების რიცხვის ნებისმიერი გაზრდისაგან.

მაიაკოვსკის შემოქმედება მთელ მსოფლიოს ეკუთვნის და მას სხვადასხვა ეროვნების მრავალი მკვლევარი ჰყავს, ქართველი მკვლევარების შრომებმა სათანადო აღგზილი უნდა დაიკავოს ამ საერთო საქმეში.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ისეთი საკითხების შესწავლასაც, როგორცაა „მაიაკოვსკი ქართულ ენაზე“ და „მაიაკოვსკი და ქართული პოეზია“. ჩვენ ბევრი კვალიფიციური მთარგმნელი გვყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა დაწერილა თეორიული წერილები მაიაკოვ-

სკის ლექსების თარგმნაზე, არ არის შეფასებული თარგმანებიც (თუ არ ჩავთვლით ვ. გორგაძის რეცენზიას „გლადიმერ მიაკოვსკი ქართულად“, „მნათობი“, № 11, 1953 წ.), ხოლო იმისათვის, რომ მიაკოვსკის პოეზია ქართულად კარგად ქლერდეს, აუცილებელია ასეთი შესამზადებელი მუშაობის ჩატარება. „მიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები და ქართული პოეზია“ — რთული თემაა, გარდა იმისა, რომ მიაკოვსკი დაიბადა ბაღდათში, ჩამოდიოდა თბილისში და დაწერა რამდენიმე ლექსი ქართულ თემებზე, მან უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოეზიაზე, გარკვეული კვალი დააჩინა ქართულ პოეზიასაც.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს საკვლევ ორგანიზაციებსა და გამომცემლობებსაც. მიაკოვსკის შემოქმედების შესწავლას მხოლოდ საიუბილეო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. რუსთაველის

სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა და უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრამ უნდა მოახდინონ შესასწავლი საკითხების კოორდინაცია, დაგეგმონ კოლექტიური შრომები, ჩარიონ საქმეში კვალიფიციური კადრები და ა. შ. ისეთი პოეტის შემოქმედების შესწავლა, როგორც მიაკოვსკია, იუბილეთთან დაკავშირებით არ უნდა ხდებოდეს, მას გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს.

ასეთია სადღეისოდ მიაკოვსკის შემოქმედების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმე ჩვენში და ასეთი რთული ამოცანები უნდა გადაჭრას ჩვენმა ლიტერატურისმცოდნეობამ.

ღიმიტრი თუხარელი
 მიაკოვსკი და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა



პასილ დაუშვარაშვილი

პოეტ-ტრიბუნი

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ ჩვენი თანამედროვეობის სახელმძღვანელო პოეტის, ოქტომბრის რევოლუციის დიდი მომღერლის, სოციალისტური საშობლოს მგზნებარე პატრიოტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავს.

„რევოლუციის პოეტ-ტრიბუნს“ არაერთხელ მიუმართავს მხურვალე სიტყვითა და ლექსით მუშების, მოსწავლეების, კომკავშირელების, მშრომელი ქალების, პიონერებისათვის. საბჭოთა ქვეყნის მაღალი ტრიბუნიდან სუქედა მაიაკოვსკის ხავერდოვანი ხანი, გრგვინავდა მისი „პარტიული წიგნაკების ასტორიული“ ხმა, საბჭოთა პოეზიის მეთაურისა და ავტატორის ხმა, საზღვარგარეთ კი მაიაკოვსკი იყო ჩვენი ქვეყნის მაღალიდეური პოეზიის „სრულუფლებიანი წარმომადგენელი“.

ვლ. მაიაკოვსკი მუდამ ხალხის შუაგულში ტრიალებდა. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან მტკიცედ დაუკავშირა ხალხის მასებს. პოეტს ვერ წარმოედგინა ისეთი დღე, როდესაც იგი მშრომელ ინტელიგენციასთან, მუშებთან და ახალგაზრდობასთან ვერ შესძლებდა საუბარს. იგი, როგორც ვიცით, უბრალო ავადმყოფობასაც კი ვერ იტანდა, რადგან ავადმყოფობა რამდენიმე დღით დააშორებდა მას ხალხმრავალ აუდიტორიებს, სალექციო დარბაზებს,

საყვარელ მკითხველებსა და მსმენელებს.

პოეტრ დაუხარებლად მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში, რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში, საზღვარგარეთ — ფინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში. მექსიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაგალითად, მან 1914 წლის შეიღობვა თვის განმავლობაში მოიარა სიმფეროპოლი, სევასტოპოლი, ქერჩი, ოდესა, კიშინიოვი, ნიკოლაევი, რამდენჯერმე იყო მოსკოვში, მინსკში, ყაზანში, პენზაში, როსტოვში, სარატოვში, თბილისში, ბაქოში, კალუგაში, ისევ მოსკოვსა და პეტროგრადში, შემოდგომის დამდეგს კი მაიაკოვსკი პეტროგრადიდან მუსტომიაკში (ფინეთში) გაემგზავრა, სადაც გაიცნო მაქსიმ გორკი.

მშობლიური ქვეყნის ბუნების გაცნობამ და ხალხთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. ნიკი, ცოდნა და დაკვირვება საფუძვლად ედო მის მრავალ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ გამოსვლას. მაიაკოვსკის წერილები და გამოსვლები საზოგადოებრივ საკითხებზე რამდენიმე ტომს შეადგენს. ფრიად სერიოზული და საინტერესო ხასიათისაა ამ მხრივ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიაც, სადაც მოიპოვება არა ერთი ფაქტი და დოკუმენტი, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ ლიტერატურული და პუბლიცისტური ხასიათის დიდ მასა-



ლას ერთვის ვლადიმერ მაიაკოვსკის საზღვარგარეთ ყოფნის დღეებთან დაკავშირებული მასალები, დოკუმენტები, გამოსვლები.

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის მოსკოვის ბიბლიოთეკა-მუზეუმის მასალების მიხედვით მხატვარმა ქალმა ბარბალე სტეპანოვამ სპეციალური რუკები შეადგინა. ერთი რუკა გვიჩვენებს მაიაკოვსკის მოგზაურობას საბჭოთა კავშირის ქალაქებში 1921—1930 წლებში. მეორე რუკაზე კი მხატვარმა ქალმა აღნიშნა მაიაკოვსკის მოგზაურობა საზღვარგარეთ 1922—1929 წლებში.

ორივე რუკას წამძღვარებული აქვს საბჭოთა პოეზიის „სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები: „განვადრძობ ტრუბადურებისა და მენესტრელების მივიწყებულ ტრადიციას. ვმოგზაურობ ქალაქებში და ვკითხულობ“. ეს სიტყვები აღებულია პოეტის ავტობიოგრაფიიდან, რომელსაც ჰქვია „მე თვითონ“.

1921 წელს მაიაკოვსკი იყო მოსკოვში, პუშკინოსა და ხარკოვში. 1924 წელს პოეტმა მოიარა ქალაქები — მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, გომელი, ვინნიცა, ოდესა, ლენინგრადი, სევასტოპოლი, იალტა, ნოვოროსიისკი, ვლადიკავკავი, თბილისი. 1926 წელს — ქალაქები: ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, როსტოვი, კრასნოდარი, ბაქო, თბილისი, ოდესა, იალტა, სევასტოპოლი, სიმფეროპოლი, ევპატორია, პოლტავა, დნეპროპეტროვსკი, ვორონეჟი, ტავანროვი, ნოვოჩერკასკი. 1927 წელს — ნიჟნი-ნოვგოროდი, ყაზანი, პენზა, სამარა, სარატოვი, ტულა, კურსკი, ხარკოვი, კიევი, იაროსლავლი, სმოლენსკი, ვიტებსკი, მინსკი, ლუგანსკი, სიმფეროპოლი, იალტა, ნოვოროსიისკი, ვლადიკავკავი, პიატიგორსკი, ესენტუჟი, კისლოვოდსკი, ნოვოჩერკასკი, ტავანროვი, ბაქო, თბილისი და სხვ.

1928, 1929 და 1930 წლებში მაიაკოვსკიმ საბჭოთა კავშირის უამრავი ქალაქი შემოიარა. მათ შორის პერმი, უიტომირი, სოჟი, ხოსტა, გაგრა, მაცესტა,

ლივადია, კოლბინო, ლენინგრადი და სხვ.

ეს ცოცხალი ურთიერთობა პოეტისა სხვადასხვა ქალაქის მოსახლეობასთან, მის მოწინავე ადამიანებთან, გვიხატავს მაიაკოვსკის, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ხალხთან მოსაუბრე პოეტს და როგორც თვითონ ამბობს — ტრუბადურსა და მენესტრელს.

როგორც აღვნიშნეთ, 1922 — 1929 წლებში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ საზღვარგარეთ იმოგზაურა. 1922 წელს იგი იყო შტეტინში, ბერლინსა და პარიზში. 1923 წელს — კენიგსბერგში, ბერლინში, ფლინცბერგში, ნორდერნეიში. 1924 წელს — რიგაში, ბერლინში, პარიზში. 1925 წელს — კენიგსბერგში, ბერლინში, პარიზში, სენტ-ნაზერში, სანტანდერში, ჰავანაში, ვერა-კრუცში, მეხიკო-სიტში, ლარედოში, ნიუ-იორკში, რაკოვეიში, კლივლენდში, დეტროიტში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ჰავრში, პარიზში, რიგაში. 1927 წელს მან მოიარა საზღვარგარეთის შემდეგი ქალაქები: პრაღა, ბერლინი, პარიზი, ვარშავა. 1928 წელს — ბერლინი და პარიზი, ხოლო 1929 წელს — ბერლინი, პრაღა, პარიზი, მონტე-კარლო.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის ლიტერატურულ საღამოებზე მთელი მრისხანებითა და შეურიგებლობით ებრძოდა ყოველგვარ უარყოფით მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და მისი სიტყვა, როგორც ხიშტი, ისე ხვდებოდა ბიუროკრატებს, კორიკანებს, მლიქვნელებს, გადაგვარებულ ნაძირალებს, ძველის ყოველგვარ გადმონაშთს.

ამიტომ დაუფიწყარია მგზნებარე საბჭოთა პოეტი, უშრეტე ენერგიით აღსავსე, საბჭოთა ხალხის უანგარო მსახური, მარად ცოცხალი მაიაკოვსკი, რომლის ქეშმარიტად პოეტური ხმა გრგვინავდა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს მრავალი ქალაქის ესტრადაზე. ეს ხმა ამხნევებდა მილიონობით მშრომელს, ეს

ვასილ ლაფერაშვილი
პოეტი-ტრიბუნი

ხმა სამოქალაქო ომის პერიოდში ალაფ-
რთოვანებდა ფრონტზე მიმავალ წი-
თელარმიელებს, გაბედულად ამხელდა
კაპიტალისტური სამყაროს სინამდვი-
ლეს, სადაც „აქციონერნი იყოფენ მო-
გებას და სიხარბისაგან დორბლი მოს-
დით“, ხოლო რესტორნებში „დამლაგე-
ბელი ზანგი ეძებს პურის ნამცეცებს“.

ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ დიდი
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-
ციის პირველსავე დღეებში იმდროინ-
დელი პრესა იტყობინებოდა: „ტრიბუ-
ნაზე გამოვიდა პოეტი მაიაკოვსკი. დარ-
ბაზი მეზღვაურებით, ჯარისკაცებით,
წითელგვარდიელებით, მუშებით იყო
სავსე. ყველანი ფეხზე იდგნენ. ესტრა-
დიდან კრემლის ზარივით გაისმის მაია-
კოვსკის დეკლამაცია. ტაშის გრილი
მოგაგონებთ ალფრთოვანებულ გუგუნს
ლეგიონებისას, რომელნიც ეგებებიან
ტრიბუნს“...

შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა
ვლადიმერ მაიაკოვსკიმ გაზეთ „კომსო-
მოსკაია პრავდას“ მკითხველთა საერ-
თო კრებაზე მოსკოვში, 1930 წლის 21
თებერვალს. მან განაცხადა, რომ დროა
„ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ ლი-
ტერატურისადმი ესთეტიკური დამოკი-

დებულებიდან საზოგადოებრივ, სოცი-
ლურ და პოლიტიკურ დამოკიდებულე-
ბაზე. დროა, ამხანაგებო, ლიტერატურა
ხმების თამაშიდან გადავაქციოთ ჩვენი
ყოველდღიური, უზარმაზარი, წვრილ-
მანი და დიდი პრობლემების ლიტერა-
ტურის იარაღად... ჩვენ ვიცით დღევან-
დელი დღის ათობით მწვავე და მნიშე-
ნელოვანი პრობლემა. მაგრამ სადაა პო-
ეტი? სად ეშმაკებში და რომელ უფსკ-
რულში გადაიკარგნენ პოეტები? ისინი
არ არიან არც ერთ გაზეთში, მათ რი-
ცხვში „კომსომოსკაია პრავდაშიც“...
ლიტერატორი მოწყდა ყველაზე მთა-
ვარს: იყოს აქტიური მებრძოლი, აქტი-
ური მუშაკი ჩვენი სოციალისტური მშე-
ნებლობის ფრონტზე“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის გამოსვ-
ლაში მოსკოვის კრასნაია პრესნის კომ-
კავშირის სახლში, 1930 წლის 25 მარტს,
მტკიცედ აცხადებდა: „პოეტი ის არის,
ვინც ჩვენს გამწვავებულ კლასობრივ
ბრძოლაში აძლევს თავის კალამს პრო-
ლეტარიატის შეიარაღების არსენალს...
პოეტი რევოლუციონერი არის ადამიან-
ი, რომელიც ყოველდღიურად მონაწი-
ლეობს სოციალიზმის მშენებლობაში“.



ბიოგრაფიული

მედიკოსის კინოსცენარები

... მეიერხოლდის თეატრში ა. ფაიკოს „მასწავლებელ ბუბუსს“ უჩვენებენ. მეორე რიგში ზის მიაიკოვსკი. ანტრაქტის დროს ყველა მას შესცქერის. თეატრი პიესას ელის მისგან.

— მეიერხოლდს ერთი სული აქვს, სანამ პიესას დავუწერდე, — ამბობს მიაიკოვსკი, — მე კი რა ვქნა, კინოსცენარების წერა მინდა.

ეს იყო ოდესაში, 1926 წელს. პოეტის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ის დაუოკებელი ლტოლვა კინოსაკემ, რომელიც, მიუხედავად მისი გაბედული კინოექსპერიმენტების მწარე ბედისა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აფორიაქებდა მიაიკოვსკის. რევოლუციის პოეტს იზიდავდა „მეათე მუზა“ თავისი უფართოესი აუდიტორიითა და ჯერ კიდევ გამოუყენებელი, კოლოსალური შესაძლებლობებით. კინო მიაიკოვსკის უაღრესად ინტერნაციონალურ ხელოვნებად მიაჩნდა. ამიტომაც სურდა გამოეყენებინა იგი, როგორც მაღალი ტრიბუნა რევოლუციის ფართო მასებთან, მილიონებთან სალაპარაკოდ. — მაგრამ კინო ავადაა, კაპიტალიზმმა ოქრო შეაყარა მას თვალბში. გაქნილი მეწარმეები ქუჩა-ქუჩა დაათრევენ მას და ჯობეს ისჩელებენ გულისამაჩუყებელი სიუჟეტებით. ამას კი ბოლო უნდა მოეღოსო, — ამბობდა პოეტი და კინემატოგრაფიაში თავისი აქტიური, პრინციპული ჩარევით სანიმუშო მაგალითს იძლეოდა.

მიაიკოვსკის, როგორც კინოსცენარისტის ნათლობა იმ დროს მოხდა, რო-

ცა ევროპიდან რუსეთში პრეტენციოზული მანიფესტებითა და ლოზუნგების კორიანტელით შემოიჭრა ფუტურისმი. მიაიკოვსკი დაუკავშირდა მემბოხე ფუტურისტებს — დ. ბურლიუკს, ვ. ხლებნიკოვს, ვ. კამენსკის... სწორედ ამ ჯგუფის მონაწილეობით 1913 წელს დაიდგა პირველი ფუტურისტული ფილმი „დრამა ფუტურისტების კაბარე № 13-ში“, რომელიც სინამდვილეში პაროდია იყო მაშინდელ „საზარელ“ კინოსურათებზე. ფილმში მიაიკოვსკის გარდა ეკრანზე პირველად გამოჩნდნენ ძმები ბურლიუკები, მწერალი ბორის ლავრენევი, პოეტი ვადიმ შერშენევიჩი, მხატვარი მაქსიმოვიჩი და სხვები. ვ. შერშენევიჩის მოგონებით ფილმის „სცენარში“, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ზოგადად მოხაზულ სიუჟეტის მსგავს სქემას, მიაიკოვსკისაც მიუღია მონაწილეობა.

ახალგაზრდა პოეტი დიდად დაინტერესდა სცენარებით. სწორედ ამ დროს გაეცნო იგი ლ. ნიკულისს, რომლისთვისაც უთქვამს, სასცენარო საქმის „სამზარეულო“ მინტერესებსო, და თან გონებაშახვილურად დაუცინია იმდროინდელი კინოდრამების სენტიმენტალური სიუჟეტებისათვის...

1913 წელსვე ოცი წლის მიაიკოვსკიმ დაწერა თავისი პირველი ორიგინალური სცენარი, რომლის შესახებაც პოეტი შემდეგში წერდა¹:

„პირველი სცენარი „Погоня за славой“ დაწერა 1913 წელს, პერსი-

¹ В. В. Маяковский. Театр и кино. Т. 2, стр. 432.



სათვის. ფირმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ყურადღებით მოისმინა იგი და მერე უიმედოდ თქვა:

— სესულელეა.

წავედი შინ შერცხვენილი. სცენარი ჩავარდა. შემდეგში ამ სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი უნახავთ ვოლგაზე. როგორც ხანას, სცენარი გაცილებით ყურადღებით მოუსმენიათ, ვინემ მე შეგონა“. სხვათა შორის, საფრანგეთში იგივე ამბავი შეემთხვა გიიომ აპოლინერს, როცა ერთხელ, ანდრე ბილთან ერთად იკისრა კინოსცენარის ტობა.

მაიაკოვსკის ეს სცენარი არ შემონახულა. მის შინაარსზე წარმოდგენას გვაძლევს მხოლოდ ვიქტორ შკლოვსკის მოგონება:

„ცნობილი ფუტურისტი ვაქრის მუდღე ბელოტელოვასათვის ბეჭდავს ლექსების წიგნს, რათა სახელი გაითქვას, მაგრამ დაავიწყდება საკუთარი სახელის მოწერა. ასე რომ მერე თავჭუდმოგლეჯილი დარბის და წიგნის ყოველ ცალს აწერს ხელს.

იგი ეძღვნებოდა იუმორისტულად მოპოვებულ დიდებას.

ფუტურისტს კი შინ ველოსიპედზე ეძინა.

ასეთი იყო ინდუსტრიალიზაციის მაშინდელი გაქანება“.

მაიაკოვსკი ერთ-ერთი პირველი მიესალმა და დაუკავშირდა რევოლუციას. პოეტი რევოლუციაში ხედავდა ხსნას და კინოც სწორედ აქ, სწორედ ამ დროს სჭირდებოდა, როგორც იდეური ზემოქმედების უდიდესი და საიმედო იარაღი.

1918 წლის იანვარში სააქციო საზოგადოება „ნეპტუნმა“, რომელიც კინოფილმებს იღებდა, მაიაკოვსკის შეუკვეთა სცენარების მთელი სერია, რომელთა განხორციელებაში პოეტსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, როგორც მსახიობს. ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, გამიზნული იყო რეკლამისათვის, რადგან იმდროინდელ კინოფირმებს უმთავრესად თავიანთი ვარსკვლავების მქუხარე სახელებით ვაჭონდათ თავი. ზოგისთვის ასეთი იყო მოზ-

ეუხინი, ზოგისთვის ვერა ზოლოდნაინა და სხვ. „ნეპტუნს“ კი არავინ ჰყავდა მათი მსგავსი. და აი, ბოლოს გამოჩნდა მაიაკოვსკი. როგორც პოეტის იმდროინდელი კინოპარტნიორი ა. რეზიკოვა იგონებს, ფირმას სურდა მუშაობაში ჩაება რევოლუციონერი პოეტი და ამით ეჩვენებინა თავისი ლოიალობა რევოლუციისადმი.

პირველი ფილმი, რომელიც დაიდგამის სცენარით, ეს იყო „დაბადებული არა ფულისათვის“ ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ მიხედვით. შემონახული არც ეს სცენარია, მაგრამ თუ რა მიმართებაში იყო ჯეკ ლონდონის იდენი ამ ფილმის გმირთან, ამას ვიცვებთ „მირ ეკრანა“-ში გამოქვეყნებული შენიშვნით, რომლის ავტორად, სხვათა შორის, თვით მაიაკოვსკის თვლიან:

„ჯეკ ლონდონმა რომანში „მარტინ იდენი“ პირველმა გამოიყვანა გენიალური მწერლის პიროვნება მთელი თავისი საოცარი ცხოვრებით. სამწუხაროდ, ძლიერი და უზარმაზარი იდენი გულისამაჩუყებელი დასასრულითაა გაფუჭებული. თავის კინორომანში „დაბადებული არა ფულისათვის“ მაიაკოვსკი გვაძლევს ივან ნოვს. ეს იგივე იდენია, მხოლოდ ისეთი, რომელმაც ქედი არ მოიხარა ოქროს წინაშე“.

ამ ფილმის რუსულ ნიადაგზე გადმოტანილი სიუჟეტი ძირითადად ზუსტად მიჰყვებოდა თავის პირველწყაროს, დასასრული კი სხვაგვარი ჰქონდა: ივან ნოვი გაითქვამს სახელს, მაგრამ იგი მაინც არ უყვართ. ამიტომაც ერთ ხანს თვითმკვლევლობაზე ფიქრობს. მერე „თავის ცილინდრს ჩამოაფხატავს ჩონჩხს, რომელიც რატომღაც მის ოთახში დგას და გადის ცხოვრების გზაზე, ისევე უსახლკარო და თავისუფალი, როგორც ჩაპლინი, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იღებდა ასეთ ფილმებს“ (ვ. შკლოვსკი).

„დაბადებული არა ფულისათვის“ დადგა რეჟისორმა ნიკანდრო ტურკინმა, რომელიც, თანამედროვეთა მოგონებით, უგემოვნო, ტრაფარეტული ფილმებით იყო ცნობილი. ამიტომაც მაიაკოვსკის,

როგორც სცენარისტსა და მთავარი როლის შემსრულებელს, გაუთავებელი დავა ჰქონდა მასთან: მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყობ... სამწუხაროდ, ეს 1920-მეტრიანი ფილმი დაიკარგა. მაიაკოვსკის გარდა ფილმში მონაწილეობდნენ დ. ბურლიუკი, ვ. კამენსკი, ტ. გრინკრუგი, ა. მირატო, მარგარიტა კიბალჩიჩი და სხვები.

პირველი ფილმის დამთავრებისთანავე მაიაკოვსკიმ პროგრესული იტალიელი მწერლის ედმონდო დ'ამიჩისის (1846 — 1907) ერთ-ერთი მოთხრობის („მუშათა მასწავლებელი ქალი“) მიხედვით დაწერა მეორე სცენარი, რომელსაც „ქალიშვილი და ხულიგანი“ უწოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სენტიმენტალურ დასასრულს, თემატურად იგი შორეული წინამორბედი შესანიშნავი საბჭოური ფილმისა „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“...

როგორც დამდგმელი - რეჟისორი ე. სლავინსკი იგონებს, მას არ ჰქონია სცენარი. მაიაკოვსკის იტალიური მოთხრობის რუსული თარგმანისათვის გაუკეთებია შენიშვნები, რომელთა მიხედვითაც ის და ე. სლავინსკი ყოველდღიურად აკეთებდნენ სამონტაჟო ფურცელს. პოეტმა მრავალი ცვლილება შეიტანა თავის „სცენარში“. მაგალითად, ორიგინალში არ არის სამიკიტნოს სცენა, სადაც შეზარხოშებულ ხულიგანს ხალხში მიმავალი მასწავლებელი წინ გადაუდგება.

„ქალიშვილი და ხულიგანი“ თითქმის მთლიანადაა შემონახული. ამ ფილმის ისტორიული მნიშვნელობა იმიტაც არის დიდი, რომ ამ ფილმში მომავალი თაობები თვალნათლივ იხილავენ 24 წლის ნამდვილ მაიაკოვსკის (იგი, საერთოდ, გრიმს არ იკეთებდა).

ამავე წელს მაიაკოვსკიმ სპეციალურად ლილია ბრიკისათვის დაწერა ორიგინალური ფანტასტიკური სცენარი „ფილმი შებორაკილი“.

სამწუხაროდ, ფილმის დადგმა მიენდო ისევ ნ. ტურკინს, რომელმაც მთლიანად გააფუჭა მაიაკოვსკის ეს საინტე-

რესო სცენარი. ლილია ბრიკის მოგონებით კი პოეტი მას თურმე ისეთივე გატაცებითა და სერიოზულობით წერდა, როგორც თავის საუკეთესო ლექსებს. მაიაკოვსკის გადაწყვეტილი ჰქონდა ამ სურათის მეორე სერიის შექმნა, მაგრამ პირველი სერიის ხალტურულმა დადგამამ ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა.

აღსანიშნავია, რომ 7 წლის შემდეგ მაიაკოვსკიმ სრულიად უკრაინის ფოტოკინოსამმართველოს (სუფკს) შეკვეთით შექმნა „ფილმი შებორაკილის“ ახალი ვარიანტი და მას „კინოს გული“ უწოდა. სცენარში გათვალისწინებულია ის ახალი სპეციალური საშუალებანი, რომლებიც კინომ მოიპოვა 1918—1926 წწ. ძველი სიუჟეტი, რა თქმა უნდა, გადაამუშავა, მაგრამ სწორედ ამ გადაამუშავების ხასიათია საინტერესო. აშკარად იგრძნობა უფრო კრიტიკული დამოკიდებულება ბურჟუაზიული კინოსადმი და მასთან საბჭოთა კინოხელოვნების დაპირისპირება. განსაკუთრებით შთამაგონებელია სცენარის ეპილოგი. ეს არის პირდაპირი მოწოდება, რომ დროა ჩვენი კულტურის მუშაკებმა თავიანთ ნაწარმოებებში ასახონ ახალი ცხოვრების მძაფრი მაჯისცემა, გმირული რომანტიკით აღსავსე საბჭოთა სინამდვილე.

მაიაკოვსკის, როგორც კინოდრამატურგის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერია 1926—1928 წლებში. სწორედ ამ დროს შექმნა მან თავისი მნიშვნელოვანი სცენარები.

იალტაში ყოფნისას (1926 წლის აგვისტო) მაიაკოვსკიმ ორ სცენარზე დაუღო ხელშეკრულება სუფკს-ს. პირველი მათგანი, — „ბავშვები“ მოსწავლეთა ცხოვრებას უნდა შეხებოდა ახალგაზსნილ პიონერთა ბანაკ „არტკში“ მეორე — „სპილო და ასანთი“ კი საფუძვლად უნდა დაედგოდა სრულმეტრეიან კომედიას. „ბავშვები“, რომელშიც პატარა ბიჭის მოტაცებისა და გა-

გიორგი დოლიძე
მაიაკოვსკის კინოსცენარები

მოსყიდვის ანტიურსტული მოტივი პირდაპირაა ნასესხები ოპენიდან, იმითაც არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ მისი მიხედვით რეჟისორმა ა. სოლოვიოვმა დადგა ფილმი. მეორე სცენარი, რომლის მიხედვითაც ფილმი დაიდგა, იყო „დეკაბრიუსოვი და ოქტიაბრიუსოვი“. ამ სცენარებს მეტად საღი და აქტუალური პოლიტიკური მიზანდასახულობა ჰქონდა.

როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, გაცილებით საინტერესოა „სპილო და ასანთი“. სცენარში მხატვრული ოსტატობითაა გამოძერწილი სატირული სახე ბიუროკრატის, ტრესტის მმართველ ევანოვისა, რომელიც ეკონომიის რეჟიმით და საკუთარი სიმსუქნითაა შეწუხებული. ექიმის რჩევით იგი იალტას მიაშურებს გასახდომად, მაგრამ იმდენად არის გაელენილი მეშინის მოწამლული სისხლით, რომ ერთ ხანს თავი კვლავ ბიუროკრატულ-კანცელიარულ სამყაროში ჰგონია და არა ყირიმის წარმტაც მხარეში.

სცენარის ავტორი ბრწყინვალე ოსტატობას ამჟღავნებს ტიტრების ხმარებისას. მისი ტიტრები არა მარტო გვიხსნის მოვლენათა მსვლელობას, არამედ უფრო მევეთრად ახასიათებს ცალკეულ პერსონაჟსა თუ სიტუაციას. ასე, მაგალითად: ბოლოს, როგორც იქნება, ივანოვი ჩავა პლაჟზე, მოეწონება იჭაურობა და სერიოზულად განაცხადებს — „Хороший пляж, только зря его сделали около самого моря“.

ეს რეპლიკა შესანიშნავად აშიშვლებს მის მეშინურ-ბიუროკრატულ ბუნებას.

მაიაკოვსკი დაუნდობლად ამატრახებდა ყოველგვარ სიყალბეს, მანკირებას, რაც ხელს უშლიდა ჩვენი ცხოვრების წინსვლას.

ამ თვალსაზრისით გამოირჩევა სცენარი „შკაფოლიუბოვის სიყვარული“. ამ გროტესკული ნაწარმოებით მაიაკოვსკი დასცინის ყოველგვარი სიძველის ბრმა თაყვანისმცემელს ვინმე

იოამ შკაფოლიუბოვს. იგი არის მცველი მუზეუმისა, რომელსაც ეწოდება „მე-18 საუკუნის კარმიდამო“. სცენარის პროლოგში ავტორი აცხადებს, რომ ბევრმა წარსულისაგან შემკვიდრობად მიიღო სიზანტე, ყოველგვარი სიძველის წინაშე მოწიწებით თრთოლვა და კანკალი. კომუნისტებისათვის საჭიროა მანქანები, ახალი მშენებლობანი და ახალი ადამიანები, ისინი კი იგიწყებენ ყოველივე ამას და რაღაც სიძველეებს ჩიჩქნიან მიწაში. ამიტომაც საჭიროა, ერთად შეეკრიბოთ და დავცინოთ ყველა შკაფოლიუბოვსო — ასკენის ავტორი.

ავტაციური ხასიათისაა სცენარები: „ამხანაგი კოპიტკო“ და „ამბავი ერთი ნაგანისა“. პირველში ავტორი პრობანდას უწევს სამხედრო სწავლებას, მოუწოდებს რევოლუციური სიფხიზლისაკენ. ამავე დროს სასტიკ ბრძოლას უცხადებს წარსულის მავნე გადმონაშთებს. „ამბავი ერთი ნაგანისა“ კი კომკავშირულ თემას ეხება. იგი მიმართული იყო იმ მეშინურ-ბურჟუაზიული განწყობილებების წინააღმდეგ, რომელიც აქა-იქ შეიმჩნეოდა ჩვენს ახალგაზრდობაში. მაგრამ ავტორი მაინც იმედის თვალთ შესცქერის ამ ახალგაზრდობას. მისი გმირი წინაპარი ან შთამომავალი როდია პრისიპკინისა, არამედ ეს არის ახალგაზრდა კომკავშირელი, რომელმაც მხოლოდ დროებით განიცადა მეშინურ-ბურჟუაზიული წრის გავლენა. შემდეგ იგი გამოერკვა, გათავისუფლდა დრომოტყულის, მავნე ჩვევებისაგან და ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში ჩადგა.

კინოსცენარი „ინეინერი დ'არსი“ (1927 წლის აგვისტო) ეხება ინგლის-ამერიკის ბრძოლას ირანის ნავთობის გამო. მაიაკოვსკიმ ნათლად გვიჩვენა მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკა, მისი ნამდვილი არსი, დაგვანახა ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი და ის ყაჩაღური მეთოდები, რომლითაც იმპერიალისტები უმოწყა-



ლოდ ძარცვავდნენ ირანის ნავთობის მდიდარ საბადოებს.

ამავე წელს მიაკოვსკი წერს კიდევ ერთ ახალ სცენარს—„გადღვიწყებუხარი“. როგორც ჩანს, — მას კარგად დაამახსოვრდა ვერა ხოლოდნაიასა და ვ. ვ. მაქსიმოვის მონაწილეობით ჯერ კიდევ 1918 წელს გამოშვებული ფილმი—„გადღვიწყებუხარი, შიგ ჩაპქრა ცეცხლი“. ამ სახელწოდებით მიაკოვსკიმ ხაზი გაუსვა თავისი ახალი სცენარის ანტიმეშჩანურ მიმართულებას. სცენარს საფუძვლად დაედო ის ნამდვილი ფაქტები და ამბები, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, ყოველი მხრიდან მიდიოდა მასთან საგაზეთო-პუბლიცისტური მოღვაწეობისას, განსაკუთრებით „კომსომოლსკაია პრავდაში“ მუშაობის დროს. ამ სცენარში პირდაპირ მოტანილია ციტატები „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაბეჭდილი წერილებიდან, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ახალგაზრდობის წრეში აქა-იქ შეჭრილ მეშჩანურ განწყობილებებზე იტყობინებოდნენ. მიაკოვსკის ეს სცენარი მიიღო ლენინგრაძის კინოფირმამ, ახლანდელმა „ლენფილმმა“. იგი უნდა დაედგათ ჯერ გ. კოზინცევისა და ლ. ტრაუბერგს, შემდეგ ვ. გ. შმიდტოფს, მაგრამ საბოლოოდ ფილმი მაინც არ დადგმულა. მაშინ მიაკოვსკიმ სცენარი პიესად გადააკეთა. ასევე დაიწერა დღეს უკვე აღიარებული პიესა „ბალღინჯო“, რომლის პრემიერამაც (მთავარ როლს ასრულებდა ი. ილინსკი) საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ დ. შოსტაკოვიჩი და ძმები კუკრინიკები პირველად სწორედ ამ სპექტაკლით შემოვიდნენ თეატრში.

იმ დიდმა წარმატებამ, რომელიც „ბალღინჯომ“ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის მრავალ თეატრში (პიესით დაინტერესდნენ საზღვარგარეთაც) დააფიქრა კინემატოგრაფისტები და გამოითქვა აზრი, ხელახლა გადაეკეთებინათ იგი სცენარად. ეს ამოცანა დავალა დ. დელიუბაშევსკის, რომლის სცენარიც შე-

ტანილი იყო 1935 წლის საწარმოო გეგმაში (რეჟისორები კ. კაზინსკი და მ. რუფი, ს. იუტკევიჩის სახელსნო), მაგრამ საბოლოოდ ამ სცენარის მიხედვით ფილმი არ დადგმულა.

•

მიაკოვსკი დიდად იყო დაინტერესებული, რომ მისი სცენარების მიხედვით ფილმები დაედგათ. მის სურვილს კინოსტუდიები ხშირად გულგრილად ხედებოდნენ.

„როგორ გიკითხობთ?“ თავისი ფორმით უპირატესად ექსპერიმენტულ-ნოვატორული ხასიათის კინოსცენარია. მიაკოვსკი მას განსაკუთრებით პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

„როგორ გიკითხობთ?“ რომლის თემა პოეტის ადგილი მუშათა მწყობრში, ეხება პოეტის ერთ დღეს. მისი შინაარსის გადმოცემა ორიოდ სიტყვით შეიძლება: მიაკოვსკი—მთავარი გმირი—კითხულობს გაზეთს. გაზეთის სტატიებისა და წერილების მეოხებით მის ოთახში მთელი სამყარო შემოდის ყველა იმ დიდი თუ პატარა ამბით, რაც დედამიწაზე ხდება. ყველა მათგანი მოითხოვს პოეტის ყურადღებას, მის გამოხმაურებას, ჩარევას.

ამ სცენარში მიაკოვსკი, როგორც ვ. როსტოცი¹ შენიშნავს, უხვად იყენებს კინოს შესაძლებლობებს, მდიდარ გამომსახველობითს საშუალებებს, საინტერესოდ და თავისებურად აგებს მოქმედებას. ამ მეთოდს პოეტი სხვა სცენარებშიც იყენებდა, მაგრამ სწორედ აქ იქცა იგი მოქმედების ორგანიზაციის მთავარ პრინციპად. ნაწარმოების ხასიათები ნათელი, რელიეფური, ცოცხალი იუმორით სავსე, ზოგჯერ ფანტასტიკურიცაა, მაგრამ მათ ყოველთვის აქვთ ნათლად განსაზღვრული და ცხვრებისეული შინაარსი. ასე, მაგალითად, სცენარის გმირი — პოეტი მიაკოვსკი

¹ В. В. Маяковский. Театр и кино. Т. 1, стр. 60.

გიორგი დოლიძე
მიაკოვსკის კინოსცენარები



გაზეთში კითხულობს, რომ ლენინაკანში მიწისძვრაა. ამავე დროს მის საწერ მაგიდაზე საგნები აძვივდებიან, ნათურა სკდება, მღუღარე ჩაიდანს კი მოქმედ ვულკანს ემსგავსება. დამახასიათებელია შემდეგი დეტალიც: მზარეულ ქალს მხარზე შეუღდამს გაზეთებით სავსე კალათი, რომლებიც უცებ დედამიწის ვეებერთელა სფეროდ იქცევა.

სცენარის განხილვამდე დადგმის შესაძლებლობის თვალსაზრისით მაიაკოვსკიმ იგი სპეციალისტებს წააკითხა. ლევ კულეშოვმა, რომელსაც პოეტი „ერთერთ ჩვენს საუკეთესო რეჟისორსა და კინოტექნიკის მცოდნეს“ უწოდებს, მყისვე დაიანგარიშა მომავალი ფილმის ხარჯები და უთხრა, რომ მისი დადგმა აუცილებელი იყო და თან ძვირიც არ დაჯდებოდა.

სცენარი მოიწონეს სოკინოს ლიტერატურის განყოფილების თანამშრომლებმა ბლიაზინმა და ვიქტორ შკლოვსკიმ, მაგრამ პოეტის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ორიოდ დღის შემდეგ მან სცენარი სოკინოს გამგეობას წაუკითხა. კითხვას ესწრებოდნენ გამგეობის იმდროინდელი თავმჯდომარე კ. შვედჩიკოვი, გამგეობის წევრი, გაერთიანებული კინოფაბრიკის დირექტორი ი. ტრაინინი, აგრეთვე ეფრემოვი, ბლიაზინი, რეჟისორი ლ. კულეშოვი და გამგეობის მდივანი.

გამგეობამ სცენარი დაიწუნა, როგორც მასებისათვის გაუგებარი ექსპერიმენტი და მიიჩნია, რომ მისი დადგმა გაუმართლებელ ხარჯებს გამოიწვევდა.

მაიაკოვსკი საკუთარი სცენარის შეუფასებლობამ კი არ აღაშფოთა, არამედ იმან, რომ სოკინო საერთოდ უარს ამბობდა ექსპერიმენტებზე და ყველაფერში ფინანსური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

ამ სცენარის ბედი ნათლად მოწმობს, თუ რა ცოტა გააკეთეს კინოწარმოების იმდროინდელმა მუშაკებმა მაიაკოვსკის საინტერესო კინოდრამატურ-

გიული ექსპერიმენტების განსახორციელებლად. ამ მხრივ არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ი. ვაისფელდს, რომელიც თავის წერილში „О чем напоминает Маяковский“¹, პოეტის სცენარებზე წერს: „სამწუხაროდ, იმდროინდელ კინემატოგრაფისტებს ხშირად არ ესმოდათ ამ ნაწარმოებთა ნოვატორული არსი და ამიტომაც არც ანხორციელებდნენ პოეტის საუკეთესო სცენარებს“.

მაიაკოვსკის სცენარების დიდი უმრავლესობა რომ არ დაიდგა, ჩვენი აზრით ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა: მიუხედავად ადრე აღნიშნული მთელი რიგი ღირსებებისა, მაიაკოვსკის სცენარების გარკვეული ნაწილი ლიტერატურულ-კინემატოგრაფიული თვალსაზრისით სრულყოფილი არ იყო.

მაიაკოვსკის მოღვაწეობა კინოში მუხჯი ფილმების პერიოდს დემთხვავ. იმ დროს სცენარი არ მიაჩნდათ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ჟანრად. „ლექსი“ მომხრეები, რომელთა შორის მაიაკოვსკი თვალსაჩინო ფიგურა იყო, პირდაპირ ამბობდნენ, რომ სცენარი არაა დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოები და საერთოდ ლიტერატურული ნაწარმოები. სცენარი—ეს მომავალი კინოსურათის სიტყვებით გადმოცემული პროექტიაო. როგორც გ. ალენიკოვი მიუთითებდა, ასე დაედო საფუძველი სამწუხარო „ტრადიციას“; ლიტერატორები კინოსტუდიებს ნახევარფაბრიკატების — ნედლეულის სახით აძლევდნენ სცენარებს.

მაიაკოვსკის სცენარებს თუ შევხვდებით ამ თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ მათი საკმაო ნაწილი დაუშვებელი, არასრულყოფილი, სქემატური ლიტერატურული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგრამ პოეტი არც უარყოფდა ამას. 1926 წელს იგი პირდაპირ წერდა „სუფს“-ს: „საკბიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ ჩემი სცენარე-

¹ Советский экран, 1959, № 16.

ბის დადგმის შედეგი მთლიანადაა დამოკიდებული რეჟისორის ნიჭზე“.

მაიაკოვსკიმ თავად იცოდა საკუთარი სცენარების ნაკლი, მაგრამ კინოს უდიდესი მნიშვნელობაც კარგად ესმოდა.

1927 წლის ოქტომბერში საკავშირო აღკვეთის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოებისა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის მიერ ჩატარებულ დისპუტზე, რომელიც საბჭოთა კინოს განვითარების გზებს მიეძღვნა, მაიაკოვსკი ორჯერ გამოვიდა კრიტიკული სიტყვით. თავისი მაღალი, პარტიული პრინციპულობით ეს სიტყვა საბჭოთა კინოს ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი დოკუმენტია.

პოეტის ეს გამოსვლა საინტერესოა არა მხოლოდ „სოვკინოს“ ბიუროკრატიული აპარატის მწვავე კრიტიკით, არამედ იმითაც, რომ ამ მაღალი ტრიბუნიდან მაიაკოვსკიმ ერთხელ კიდევ გამოთქვა მზადყოფნა — მთელი თავისი ნიჭი და ენერგია საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებისათვის მოეხმარებინა.

„თუ მე შეგნებული მაქვს, რომ კინო მილიონებს ემსახურება, — განაცხადა პოეტმა — მაშინ მსურს ჩემი პოეტური ნიჭი კინემატოგრაფიაში ჩავაქსოვო, რადგან პოეტისა და სცენარისტის ხელოვნებას ერთი და იგივე არსი უდევს საფუძვლად“.

დიდი პოეტის ეს სურვილი სათანადოდ ვერ შეაფასეს იმდროინდელმა კინემატოგრაფისტებმა. მაიაკოვსკის მაღალმხატვრული სცენარები „სპილო და ასანთი“ და „როგორ გიკითხოთ?“ დღემდე არ დადგმულა.

მაიაკოვსკის ნაწარმოებთა ეკრანიზაციის სასიამოვნო ფაქტია ს. იუტკევიჩის და ა. კარანოვიჩის ფართოეკრანიანი ფერადი თოჯინების ფილმი „აბანო“. ვფიქრობთ, ეს მხოლოდ დიდი საქმის დასაწყისია. იმედი, საბჭოთა კინოხელოვნება პირნათლად მოიხდის ვალს როგორც მაიაკოვსკის; ისე ჩვენი მაცურებლის წინაშე.

გიორგი დოლიძე
მაიაკოვსკის კინოსცენარები



ქართული კულტურის

პირობი ხუხუხვილი

სიმონ ჩიქოვანის პოეზია

დაკვირვებულ თვალს შეუნიშნავს საოცარი მგავსება პოეტის გარეგნობასა და მის ლექსებს შორის. ეს შინაგანი ნათესაობა უცებ როდი გეცმათ თვალში. შემოქმედი ადამიანის არსებაში ღრმად ჩახედვისას პოეზია გეხმარებათ, რათა მისი სახის ნაკვთებსა და ერთი შეხედვით მშვიდ გამომეტყველებასში მშოთვარე პოეტური სული ამოიცნოთ. ასეთს



მედუნდება თითქოს განგებ შეკავებული ტემპერამენტი; უცებ იქცევა თავდავიწყებულ, გატაცებულ მოამბედ. იმპროვიზირებულ მოსაზრებებს პოეზიაზე ორგანულად ეხამება უშუალო, გარეგნულ ეფექტს მოკლებული ერუდიცია. ამ დროს მისი სახე შინაგანი ცეცხლით არის განათებული და თქვენს წინაშეა კაცი, რომელიც პოეზიით სუნთქავს, პოეზიით ცოცხლობს და არსებობს პოეზიისათვის.

რამ ხშირად მიფიქრია, როცა სიმონ ჩიქოვანის სახეს, მის გარეგნობას, მეტყველებისა თუ კამათის მანერას დაკვირვებია. სულ ერთია, სად იყო ეს, მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე, ახლო მეგობრებთან საუბარში, ცხარე ლიტერატურული კამათის დროს თუ ახალგაზრდა მწერლებთან გულთბილ მუსაიფში, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის. ერთი შეხედვით იგი გულმოდგინე მკვლევარი გეგონებათ, მაგრამ მუდამ აღმოჩენის ეინით ანთებული თვალეები გარესამყაროს ფერების წყურვილით აქვს აღსავსე; ეს თვალეები თანაბარი ძალით ამქდანებს ბუნების საოცრებათა ხილვით მხატვრის გაცეხას და სიმღერაში გადასულ პოეტურ ფიქრებს. იგი უმთავრესად მშვიდ მკვრეტელს, ანალიტიკოსს ჰგავს, მაგრამ საქმარისია სიტყვა დასძრას პოეზიაზე და უცებ

მისი პიროვნული ცხოვრებაც გარემომორტყმულია უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი ნივთებით, იშვიათი წიგნებითა თუ მეგობარი მხატვრების ნაჩუქარი სურათებით.

„ერთ სახეში შერწყმულია პოეტი და მხატვარი. ჩიქოვანის ლექსებში ცხოვრება შემოდის ზუსტი და თვალსაჩინო, ხელშესახები ნიშნებით. მას მონადირისა და ფერმწერის, მეომრისა და მწყემსის მახვილი თვალი აქვს. მისი თვალი შეჩვეულია კავკასიონის მყინვარებიდან გადაშლილ შორ მანძილებს, შორეთის სილურჯეს, მაგრამ სიმახვილეს არც მაშინ ჰკარგავს, როცა მშედაკრული ფოთლის თრთოლვა ან წიგნის თავსამკალი უნდა დაინახოს. ჩიქოვანის სამყარო უპირველეს ყოვლისა თვალით ხილული, თვალთ შეგრძნობილი სამყაროა“, — წერს ცნობილი

რუსი პოეტი, ს. ჩიქოვანის მეგობარი და მისი მრავალი ლექსის მთარგმნელი პავლე ანტოკოლსკი. ვფიქრობ, ეს ზუსტად მიგნებული დახასიათებაა ს. ჩიქოვანის მეტად თავისებური შემოქმედებისა. შეიძლება ამაზე მიგვანიშნებდეს გამოჩენილ მხატვართა მიმართ პოეტის დიდი სიყვარული, დღევანდელი ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრებით დაინტერესება და ჩვენი დროის სახელოვან მხატვრებთან მეგობრობა.

ს. ჩიქოვანის ტალანტი გვიან და რთულად ჩამოყალიბდა. შინაგანი ახალგაზრდობა მას სიჭარბეამდე მოჰყვა. ოციან წლებში მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების ატმოსფეროში ჩაითრია, ერთ ხანს რთული ზიგზაგებით ატარა მაძიებელი პოეტური სული. ფუტურისტში ხარკი გადაუხადა, მშობლიური ფესვების სიმართლე დროებით გასცვალა ნაკლებობრგანულ მოდერნისტულ ხელოვნებაზე. პროტესტანტულმა სულისკვეთებამ ფუტემეგარ ტრადიციებზე დროებით უარი ათქმევინა, შინაარსისგან დაცლილმა ზაუმურმა ლექსებმა და მექანიკურად შეთვისებულმა ულტრაშეხედულებებმა მემარცხენე „ლეფელის“ სახელი დაუმკვიდრა. ყველაფერი ეს მაძიებელი პოეტის სულიერი ცხოვრების მხოლოდ გარეგნულ შრეებს შეეხო, შინაგანი ძახილი სულისა, ნამდვილი ხელოვანის არსება შეუღალავი დარჩა. ულოგიკო სტრიქონების, დაუკავშირებელი ფრაზების, უსისტემოდ მოტანილი სახეებისა და ხელოვნური ალიტერაციების ხანამ გაიარა. ცხოვრების მძლავრმა მდინარეებმა თავისი ძალა აგრძნობინა პოეტს, დააფიქრა წარსულ ტრადიციებზე, რევოლუციურ აწმყოსა და მომავალზე. ეს მეორედ დაბადებას ჰგავდა. იქნებ იმ ახალგაზრდებისთვის, დღესაც მოდური გავლენების ბურუსში რომ დააბიჯებენ, მწარე გაკვეთილი იყოს ჩვენი პოეტის უსაფუძვლო ფუტურისტული გატაცებები.

უკვე 1927 წელს დაწერილ ლექსში „უღელურ პოეტს“ ს. ჩიქოვანი მკაცრად განსაზღვრავს თავის პოზიციას.

კატეგორიულად დგება რეალისტური მწერლობის პოზიციებზე. „სიტყვა მართალი“, „ფიქრი გამჭრიახი და აღამიანური“, „უცხოეთის მტვრიანი ჭიანჭურის“ ნაცვლად ცოცხალი სინამდვილის ხმებით გამსჭვალვა პოეტის შინაგან მოთხოვნებზე იქცა. პოეტი პოლემიკურად არის განწყობილი როგორც ბრმად მიმბაძველი, ისე რუტინული ხელოვნებისადმი:

„შენ უცხოეთში ნასესხებ ხმებს ყალბად აპყვეი და ვერ გაიგე სამშობლოში ხალხის გალობა“.

ეს არ ნიშნავდა მხოლოდ ბარიკადების გაღმა დარჩენილთა გამოწვევას. ამნაირ სტრიქონებში საკუთარ წარსულთან ანგარიშის გასწორების ნამუსიანი ხმაც ისმოდა. ასე დასრულდა მერყეობა გზაჯვარედინზე. პოეტის წინაშე მანამდე უცნობი სივრცეები გადაიშალა.

შორეული ბავშვობის უშუალო ხილვებმა გაიღვიძეს, ნიჟარაში შემონახული ზღვის ხმაური და კოლხური საღამოების გასაოცარი ფერადოვნება ხელმეორედ განაცდევინეს. და აქ, გლეხური ცხოვრების ცოცხალი სურათების ლირიულ ჩანახატებში გაიღვიძა ფერმწერის ტალანტი. პოეტი თითქოს მიუბრუნდა თავის ნაფუძარს, თითქოს ხელახლა უნდოდა იმის პოვნა, რაც დაკარგა, ან იმისი დანახვა, რაც შეუღმწეველი დარჩა.

სამეგრელოს ბუნების ფონზე მან გააცოცხლა ბებიის კეთილი სახე, შორეულ გზებზე დაკარგულა ლამაზი სილუის მწარე კვიცილიც გაიგონა და ახალ ცხოვრებას მოწყურებულ გლეხაკის ნაფიქრალიც იგრძნო.

ოდესღაც მოწყენილი გარემო, ტბების უძირო სევდა და ჭაობების გრილი სიჩუმე ლექსებში მხიარული ფერებით აივსო. მიდამო „ვეფხის ტყავის მსგავსი“, მანამდე უცნობი მშვენიერებით გამოჩნდა და კოლხიდის მშვიდი საღამოები ფერწერული მომიხილაობით წარმოისახა:

ვიორგი ხუხაშვილი
სიმონ ჩიქოვანის პოეზია

„ღურჯი ბურუსი წვებოდა მთებზე,
ჰადრებმა ჩრდილი გაშალეს ბარად
და მზის სხივები ხარების რქებზე
ანთებულყო სანთლების დარად“.

ოდესღაც მწირი, უსიხარულო მიღამო ნაყოფიერებით დამშვენდა; განწირულ სიღუს მაგიერ ბედნიერი ცირას მომხიბლავი ღიმილი და ფოთში მარულაზე მიმავალი ვაჟკაცის სიმღერა ამშვენებს პეიზაჟს. „ბუნების სიმწიფე“ და შეყვარებული კოლხი ქალის უზადო მშვენებებმა პარმონიული ცხოვრების შთაბეჭდილებას ქმნის, პოეტის სულს მოდიდებული სიხარულით ავსებს.

სოფლის გარემოსთან მიბრუნებას პოეტისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ფუტურში უმთავრესად ქალაქური ყოფის, ელექტრონიკისა და ტექნიკის საუკუნის „ახალი ფორმების“ ძიებას გულისხმობდა, ხელაღებით სდევნიდა პოეზიიდან ბუნების „ტრადიციულ გაგებას“; ამიტომ სინამდვილის უფრო ღრმად წვდომის პრეტენზიით თვით აყალბებდა სინამდვილეს, ამკვიდრებდა პოზას, ლიტერატურულ ტრიუტებსა და ალოგიურობას. ახალ კოლხიდაზე დაწერილ ლექსებში ამნაირი მიდრეკილებების კვალიც არსად დარჩა. მოღუღლენე ბუხრის პირას ამირანზე თქმული ზღაპარი, „ნელი და გრძელი, როგორც რიონი“, მწიგნობარი ბებუის მონათხრობი ამბები იღვიძებს პოეტის სულში („ნიჟარის საფერფლე“). ამ ლექსში პოეტი ორი ადამიანის: ძველ ცხოვრებას შეგუებული დინჯი მოხუცისა და ახლის მაძიებელი მოუსვენარი ჰაბუკის ბუნებას ხატავს. ერთს სძულს ნიჟარაში დამწყვდეული ქარიშხალი, მეორე, პირიქით, მიელტვის მას.

„მაშინ ვიღებდი ნიჟარას ზღვისას,
შიკ ამირანის სული მღეროდა.
ყურში გუგუნი მესმოდა მისი
და ზღვაზე ღელავა მერქვენობა“;

როგორც ნაწყვეტი ვაშლი ზღაპრის
ან ქარი მცირე და ერთი ბუნება,
ოთახში იყო ტალღის ხმაური
და ვედხის ტყავი ნიჟარად ვცვა“.

ნიჟარის საფერფლე

ქარიშხლის სიყვარულით გამოხატული განწყობილება პოეტი-მოქალაქის სასიცოცხლო მიდრეკილებებზე მეტყველებდა და მის შინაგან აქტიურობას რომანტიულ ელფერს ანიჭებდა. ბებუის აჩრდილთან ერთად წასული „სამყარო ძველი“ და ამირანის ლეგენდის შემობრუნება ახალი ცხოვრების ყრიაშულს შეეხმანა. პოეტმა იგრძნო ეს განახლება, მთლიანად მიიღო იგი, ახალი დიდი სიმღერებისთვის განემზადა:

„კოლხიდა დადგა დიდებით ზღვაზე,
ბალი მოერტყა ნაპირს ოლარად,
და დევს საფერფლე ჩემს მაგიდაზე
კოლხურ ქარების მოსაგონარად“.

პოეტმა ქვეყნიერება სრულიად ახალ პერსპექტივაში დაინახა, იმედიან ხმებს დაუძმობილდა და უცხოეთში მონად გაყიდული სიღუს დღევანდელი სეხნია ახალი პლანტაციების ფონზე დაინახა; ტურფა ცირებივით ამართული ალგების რკალში დანახული სამეგრელოს საღამოების სურათები ფერმწერის მახვილ თვალსა და ოსტატობას ცხადყოფს. „ხეების ჩრდილი შეერთებული იზრდება, მისდევს შემოღამებას“, „სიმინდის ეშხით გაყლენთილ ჰაერს ნისლავს საღამო, ფანტავს ბორიო“, „როგორც ცირები ატყორცნილები, ალგებიც ზღვისკენ ეშურებიან“—ყველაფერი ეს აამოძრავა მეურმეების სიმღერამ და ოჩამჩირისკენ მიმავალი ორთქლმავლის კივილმა. ლიანდაგთან დამფრთხალი ცხენი, მატარებლის ხმაური და დოქს მიმსგავსებული, დონჯით მდგარი ქალი პოეტისთვის უბრალო დეტალები არ არის. პირველყოფილ მყუდროებასა და პროვინციულ სიმშვიდეში შეჭრილი მატარებელი ახალი ცხოვრების სიმბოლოა:

„დგება საღამო და ოტარიდი
ტყვიდან ამოდის ზეცის ტილოზე,
ბინდია მშვიდი და მოსარიდი
ზღვის შეტალღებულ მარმარილოზე.
...ზღვის ფირუხებში ყრია საფირებს,
ძვირფასი თვლების ძნები გროვდება
და შორს გაწეულ პონტოს ნაპირებს
მატარებელი უახლოვდება“.

სამეგრელოს საღამოები



ამ ლექსებში თითქოს აღწერილი მანერა სპარბობს, მაგრამ ეს არ არის ბუნებისა და ყოფის სურათების გულგრილი ფიქსაცია. პოეტის ტემპერამენტი, მისი სულიერი ცხოვრება გარემოსთანაა შეზავებული.

ს. ჩიქოვანის პოეზიაში მომხიბვლელი მეტაფორებითა და სახეებით იჭრება მშობლიური ბუნების ფერები. ქართული ფრესკების, ლაღო გუდიაშვილისა თუ დავით კაკაბაძის ფერთა სამყარო მას უჩვეულოდ იტაცებს და სიტყვით სწავლია ბუნების ნაირსახეობათა გადმოცემა. „მე მხოლოდ ხილულ მშვენივრებით ვიწვი“, ამბობს პოეტი და „ხილული მშვენივრების“ გვერდით ხანდახან „ავთანდილის სიმღერაც“ მოენატრება. აქ იგი უძღურობას გრძნობს: „ვერ შევუთანხმე ვაღობა სურათს, ვერ შევაერთე ოცნება ორი“. ფერების ოსტატს გულით უნდა იყოს „ხმების ოსტატიც“. უფრო გვიან, პოლონეთში, შოპენის სოფლისკენ მიმავალ გზაზე, მუსიკის გენიით მოხიბლული და მოგონებად ქვეყნული, სიმღერის ნაწილს შეუპყრია და სინანულით ამბობს:

„ვეუბნარ, მე სმენა არა მაქვს წმინდა,
ვერ დავემგვანე მომღერალ მშობელს.
მე, ჩამოსული შორეულ მიიდან,
ვეახლოვდები შოპენის სოფელს“.
შოპენის სოფლისკენ

ს. ჩიქოვანის პოეზიას არ ახასიათებს ის პოლიფონიურობა, რომლითაც გ. ტაბიძის პოეტური გენია ბრწყინავს. სიმღერა მისთვის პირობით ცნებად რჩება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს პოეტს რიტმის მრავალნაირობა და თავისებურება აკლდეს. ერთი შეხედვით მდორე ათმარცვლიან ლექსში, მძიმე თოთხმეტმარცვლიან სტრიქონებში თუ სრულიად სხვადასხვა რიტმული წყობის პოეტური ფრაზის მოულოდნელ მონაცვლეობაში ნათლად იგრძნობა ს. ჩიქოვანის დამოუკიდებლობა, განუმეორებელი ინტონაცია. ს. ჩიქოვანის სტრიქონებში ზოგჯერ არის ისეთი გადასვლები, სადაც ცხადია პოეტის მისწრაფება — დაკანონებული ფორმების

ტყვეობიდან თავის დაღწევა. ამნაირ დისპარმონიულობაში ახალი პარმონიის შექმნის შესაძლებლობა არის ნაგულისხმევი.

„რა კარგია მზის დახრისას გორი,
შემოდგომის ჩრდილი როგორ ესამება.
გადავეურებ ციხიდან და შორით
ურმულვიით ახლოვდება შეღამება“.
ქართლის საღამოები

პოეტი ვერ იტანს „იოლად თქმას“, წყალივით წამოსულ სტრიქონებს, როცა გარეგნული სილალე და მჩქეფარება შინაგანი სიცარიელისა და მოშვებულობის საფარია. აქ იგი სირთულის მომხრეა. მას ფიქრთან, განცდასთან სიტყვის მიახლოება მეტად ძნელ პროცესად მიაჩნია:

„შემოქმედებას სირთულე უყვარს,
გასაგებად და სიმძაფრით თქმული“.
მეამე მინაწერი

ს. ჩიქოვანის პოეტური პალიტრა არ გულისხმობს მხოლოდ მხიარულ ფერებს. იგი შინაგანად ვერ ურიგდება ზედმეტ პათეტიკასა და ტკბობამდე მისულ კმაყოფილებას. პოეტის დრამატიზმსა და მის ფილოსოფიურ ჩაფიქრებას ადამიანის წარმავლობა, ამ ლამაზი ქვეყნიერების აუცილებელი დათმობა განსაზღვრავს. ახალი ცხოვრების სიყვარული ამნაირი ადამიანური სინანული-საგან უფრო მეტ ცხოველმყოფელობას იძენს და პოეტის ოპტიმიზმს ჩრდილი არ აღგება. ამავე დროს ეს დრამატიზმი უმთავრესად განზოგადებულ ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს.

„რადგან ჩემ სულში ისე ღამდება,
რომ გათენებას გულისხმობს ღამე“.
ნუგეში

„მტრალი მიველ მიწაზე ღამით
და შინდა მღერით ავიღე მთაზე“.
არის სიყრმის და სიმწიფის
შორის

სხვა მხრივ პოეტის პირადი ტკივილები შემოქმედის შინაგან ექვებს ემყა-

გიორგი ხუხაშვილი
სიმონ ჩიქოვანის პოეზია



რება. „არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების და სიმორცხვის ეპიმი“, ამბობს იგი. სხვა ლექსებში კიდევ უფრო აღრმავებს ამ ეპევებს:

„ვერ შევიტყუე სიტყვაში ფიქრი,
ვერ შემოვარტყე ჯავშანი გარეთ,
კვარცხის ცოლივით გულის ხმა მითრთის
და მთაში მიხმობს არავის მთვარე.
...მიინც საღებავს დავეძებ თვითონ,
ცოლს გააღვიძებს შრიალი ფურცლის,
მას გაღვეუთხავ საეჭვო სტრიქონს.
რომელიც პირველ კვრთხევას უღდის“.

იჭვი

ამნაირი ეპევები პოეტის რთული შინაგანი ცხოვრების გამომხატველია და არა მისი პესიმისტური მსოფლშეგარძნების მათუწყებელი. ალბათ ყველა, დიდი თუ პატარა შემოქმედისთვის ბუნებრივი ყოფილა შინაგანი უკმარობის ამგვარი განცდა. მაგრამ ასეთი დაეპევების წუთებში პოეტი არ ჰკარგავს ადამიანური ძალების რწმენას, ბრძოლის წყურვილს, ენერგიას. როგორც სიკვდილის ძღვევის, ისე სიტყვის დამორჩილების უკვდავ მაგალითებს იგი წარსულს შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრებაში ხედავს, მათს ლანდებს ეთაყვანება.

„მაგრამ ხელს ვეა დამადებს მხარზე,
გზას მინათებს და სიმღერას ითხოვს.
და როცა მტრადი იღვრებს ცაზე,
მეც მოვახედრებ ნიშანში სტრიქონს“.

პოეტის თვალს და შთაგონებას არ ეყო ბავშვობაში ჩანახი კოლხური პეიზაჟები. მოგზაურას დაუცხრომელი ყინით გაუყუვა იგი სამშობლოს ბილიკებს. უკვე მომწიფებული მებრძოლი ეწვია მთას. მოგზაურობას ახალი შთაბეჭდილებება მოჰყვა და ზღვისპირეთის ჩანახატებს მიემატა გარდაქმნილი მთის ყოფაცხოვრების რეალისტური სურათები. ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში ს. ჩიქოვანის ლექსებს სვანეთსა და ხევსურეთზე თავისებური უღერადობა ახასიათებდა. მძაფრი კონტრასტებით აღსავსე მთის ლანდშაფტი მან ახალი თვალით დაინახა და ექსპრესიით აღსავსე ჩანახატებში დღევანდელი ადამიანების ვაჟკაცური ფიგურები შენიშნა; მთამსვლელების, გეოლოგების, გზის

მშენებლების სიმღერები დაიკირა—გაფუვალ ბილიკებზე; მთის პირველი კომკავშირლების ხმებს მიაყურადა; ბარს მოწყვეტილი, ცაში გამოკიდებული სვანეთის მაღალ კოშკებთან პატრიარქალური ცხოვრების დასასრული იგრძნო და ახალი ყოფის გმირული ყიყინი გააგონა („უშგული“, „ბარათი მთიდან“).

ფშავ-ხევსურეთზე დაწერილ ლექსებშიც რომანტიკული ფონი თანდათან ადგის. უთმობს ლირიკულ მონოლოგებს ახალ ადამიანებზე („შემოღამება ხახმატში“, „ძროხები რომეკაში“, „რომეკელი ძილა“). სტრიქონებიდან პირქუშად იყურებიან ალუდა ქეთელაურისა და ხოვანის მინდიას შთამომავლები. ერთნი, ალუდაურის მსგავსად, ხახმატში მანქანით ამოსვლასა და შოფრობაზე ოცნებობენ. დაბლვერილი საბიღეთისო კი უნდოდ შეჰყურებს ბარიდან მოსულ ახალი ცხოვრების მაცნეს. კლდეებივით მაგარმა, გამჭრიახმა მთის კაცებმა უკვე იციან, რომ „არ ვარგის მუდამ ხატის წინ წოლა, თვალ გავაყოლოთ სამხედრო გზაზეც“. „ხახმატი, გმირთა ძველი ბუდე“, მოწმე გახდა ადამიანთა ცხარე კამათის. ბანზე გაგებულ ქურქებზე მჯდარნი სანთლის არაყს შეიქცევიან და ნათელ მომავალზე ოცნებობენ. ლირიკული პოემის ფორმით განვითარებულ პოეტურ თხრობას დამაბულ სიტუაციამდე მივყავართ და ჰვარტლით შებოლილი კლდეების ფონზე ნათდება მიუნდობელი, გულდახშული ადამიანების მრისხანე სახეები:

„მესამე ღვთისო სინჯავდა ნათქვამს,
იჯდა და ჰქონდა თვალები ბასრი.
ღელვა დაეტყო თვითველ მთვანს,
გვესროლა ღვთისომ ხეცურის აზრი:

— რისთვის მოსულხართ, რისთვის ირჯებით, —
ფრანგულს მრისხანედ შეახო მკლავი.
მაგრამ წამოხტა ყუღია მარჯვე
და სამმა ღვთისომ დახარა თავი“.

ბუნების ნატიფი გრძნობა, ლირიზმი აქ უკვე მოვლენების ეპიკური ხატებით იცვლება. პოეტის მახვილი თვალი საუ-

კუნეობით უცვლელ ყოფაში გამეფებულ რუტინას ამჩნევს, ყალბი რომანტიკის ბურუსს ამორებს კარჩაკეტილ ცხოვრებას და ახალ ყოფას უპირისპირებს. ლიქოკელების, ალუდაურების, ხიმაკაურების ცხოვრება იცვლება. თოშველების, ხახმატელების, ბარისახოელების ყოფაში იჭრება დღევანდელი ბის უხვი სინათლე.

სამშობლოს გზებზე მოსიარულე პოეტი ისტორიკოსის ალლოთი აფასებდა ციხე-კოშკების ნანგრევებზე ხავსით დაფარულ ლეგენდებს, ვეჟაკობის ამბებს და არქეოლოგის თვალით იხედებოდა ქამთასვლით დაფარულ სამარხებში. მისთვის „მკვდარი ისტორია“ არ არსებობდა. ბრძოლასა და სიყვარულში გავლილი წარსული მდინარესავით შემოდინოდა აწმყოში, გრძელდებოდა, მძლავრად ხშიანდებოდა. ლექსებში დგებოდნენ არმაზის აჩრდილები, ფერფლადქცეული სერაფიტა იღვიძებდა სამარეში, უკვდავი სილამაზის ხატება საუკუნეების ბნელი წიაღიდან იყურებოდა, ბნელ სენაკებში ჩნდებოდნენ „გეფხისტყაოსნის“ გადამწერნი. ვარძიისა და თმოგვის მშენებელი ოსტატების დაკარგული სახელი ისახებოდა წარღვნებს გადარჩენილ ნაჩუქრთმევე ქვაში. ქამთა აღმწერლის წიგნში ცოცხლდება აკვამლებული წარსული. ციხის ქონგურებზე, ხარაჩოებზე, ძველ სენაკებში ჩანან მომავლისკენ მიპყრობილი სახეები. ზოგი ქვას ანდობს სამერმისო სათქმელს, ზოგი პერგამენტს, ზოგიც მამულისთვის დაღვრილ სისხლს. ასე შემოდის ისტორია ლექსებში („არმაზის აჩრდილები“, „მიძღვნა ხელნაწერი „გეფხისტყაოსნის“ ოსტატებისადმი“, „თეიმურაზ პირველი“). „ჟანგინი, ხავსიანი წარსული“ ხელშესახებად აღსდგა ხატოვან სტრიქონებში. ეს ლექსები წინაპართა ლანდებთან პირდაპირი შესიტყვების ფორმით არის დაწერილი. „ძველი მცხეთა—საქართველოს ფუძე“ მისი სიყვარულის რომარს ცხოველი ფანტაზიით უხილავს და ვარდებისა და დროშების შრიალი მოწვდენია.

„მოძებნეთ, არ გახრწნია ნეშტო, გამოცოცხლა წყაროს ხმით თუ მირონით. ტერფი დაგვრჩა ქვაზე ანახუქდი, არმაზიდან ირმეზივით ვყვიროდით. კერა გვენათ დაბლობში და მთაში, გრძელი ქამი გამოვცურეთ მხარულთა. სამარეში სუნთქავს პიტახში, მიწით მესმის იარაღის ქლარუნა“.

არმაზის აჩრდილები

მიწის, შორეული ფენების გრძნობა აქ ნამდვილ ექსტაზში გადადის, ძლიერი ფანტაზია საკვარველი გზნებით აცოცხლებს სამარხებში ჩაფერფლილ სილამაზეს და წარმავლობის ცვლით შემუსვრილ სერაფიტას ფერფლიდან მარადიული მშვენიება იხედება:

„ლანდი არი უკვდავების ნუგეში, ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი. სერაფიტი წევს გაჩინდულ კუბოში და წარსული შეგვინახა თბილი“.

წარსულის ტრაგიკულ სურათებს დღე რომანტიკაყ თან ახლავს, მაგრამ ეს რომანტიკა როდი აბნელებს ბურუსიან საუკუნეებს, პირიქით, სინათლეს ჰფენს მათ. ისტორია იოლი გამარჯვების ასპარეზი არ არის. ნაომარი, დაუძლურებული საქართველოს ფონზე პოეტი გვიჩვენებს სახალხო გმირების მწუხარე სახეებს და ამით მთელი სურათი ნათელი ხდება:

„და წელმოხრილი ურდოს მიღიან დაეთ ულუ და სარჯის ჯაყელი“.

ტრაგიკულ წარსულში უკეთესი მომავლისთვის მეტრძოლი ერის სახე ჩანს. უფრო გვიან, სამამულო ომის დღეებში დაწერილ შესანიშნავ ლექსში „ვინა სოქვა“ სამშობლოს სიდიადე პოეტმა უკვდავი წარსულის საქმეებით ვაზომი და მეომარი ადამიანების პატრიოტულ გრძნობას შორეული სათავეები მოუხანა.

ფქერისა და „მშვიდი ფერწერის“ პოეტი პათოსის ადამიანად იქცა, თავის მეგობრებს, ხალხს მოწოდება ესროლა: „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“. ამ

გიორგი ხუხაშვილი
სიმონ ჩიქოვანის პოეზია



პერიოდში მისი პოეზიის ტონი მკვეთრად შეიცვალა, მაღალ რეგისტრებში გადავიდა. ახლა იგი დღევანდელ გმირებს პირისპირ ელაპარაკებოდა, საბედისწერო დღეებში კავკასიონზე ილიას აჩრდილი ეზმანებოდა და სამშობლოს უკვდავების რწმენა უსკვედებოდა („აჩრდილი“). პოეტი ჭირისუფალივით დაჰყურებდა ყუბანის ველზე დაღუპული ვლადიმერ კანკავას საფლავს და ბაქსანის ნაპირთან ლეშქაშელის სიკვდილს მძის სიკვდილივით განიცდიდა („საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ კანკავას“, „ლეშქაშელის სიკვდილი“). ომის დღეებში ეს ლექსები ზოგჯერ თბილისის ქუჩებში გამოჩნდებოდნენ უხეშ ქალაღზე დასტამბული, მათ საერთო რუბრიკა ჰქონდათ: „ხიშტი და კალძით“. პოეტი პირნათელი იდგა თავისი ხალხის წინაშე და ფაშისმის დასათრგუნავად შემართულ ადამიანებს რწმენასა და იმედს უღვიძებდა.

ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ს. ჩიქოვანი ევროპის მიწაზე გაჰყვა შორეულ გზებს და იქ, ბერლინში ამართულ საბჭოთა მეომრის ძეგლთან კიდევ ერთხელ მოიგონა მძიმე დღეები. ლექსების ციკლები „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“ არ არის ტურისტის შთაბეჭდილებათა უბრალო რეპორტაჟი. მართალია, ლირიკულ თხრობას აქ ხშირად ენაცვლება ჯახსალი პუბლიცისტურობა, ყოველი სტრიქონი ერთნაირი ძალით არ არის დაწერილი, მაგრამ ამ ლექსებით ვხედავთ ფართო ინტერესების მქონე შემოქმედს, ვიზიბლებით შთაბეჭდილებათა სიღრმით და აზროვნების კულტურით. „სანთლებივით ანთებული არყის ხეების“ დანახვა უცხოეთში მას წამიერად აბრუნებს სამშობლოს მიწაწყალთან. პატრიოტული გრძნობის საზღვრები ფართოვდება, საქართველოს ფარგლებს სცილდება და არყის ხეების განზოგადებულ პეიზაჟურ დეტალში მთელი საბჭოთა ქვეყანა მოჩანს:

„არყის ხეების შვილი არა ვარ,
მე შეზრდილი ვარ ბიჭვინთის ბზაზე.
მაინც არყები ქმნიან ქარავანს
და მბარუნებენ სამშობლოს გზაზე“.
არყის ხეები

უცხოეთის გზებზე მისი ფიქრებას თანამგზავრი ისევ გოეთეს საფლავთან დარგული ცაცხვები თუ შოპენის სოფლის მადამოებია. გარემოს პოეტური ხილვა ამ ლექსებში კლასიკური სინათლით ხასიათდება და განწყობილებებში იმედინი ხმა ისმის.

ახალი სომხეთის გზებზეც პოეტის თვალს სიკეთისა და ნაყოფიერების ზეიმი შეუნიშნავს. მეგობრებთან სტუმრად მისულს „სამ ხმაზე მომღერალი“ საიათნოვას ლანდი მიუძღვის და ბედნიერი დღეების საგალობლის თქმა „თექვსმეტ ხმაზე“ სწავლია. ერევნის ქუჩებში მოსიარულე პოეტს „ქეები მღელვარე, როგორც ტალღები“ აღორძინებული ქალაქის სილამაზეს უმხელებენ და მოძმეთა მადლიანი შრომით გულწრფელად გახარებული ამბობს: „და მეჩვენება, მაღალ არარატს ერევნის ქუჩით ვუახლოვდები“.

ყველა ნამდვილ შემოქმედს აქვს ერთი ისეთი ქმნილება, სადაც მისი ნიჭი სრულყოფას აღწევს. ს. ჩიქოვანის პოეტურ ცხოვრებაში ასეთია „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ეს პოემა მაშინ დაიბადა, როცა მეომარი საბჭოთა ხალხი ისტორიის წიაღიდან სწორუპოვარ გმირთა, სახელოვან წინაპართა ლანდებს ახმობდა და მათი სახელმანი ცხოვრების წარუშლელ სურათებში სამშობლოსათვის თავდადების უბადლო მაგალითებს ხედავდა. ამ გაგებით „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ არ იყო მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონიკა. „სიმღერას“ მწყობრი ეპიური სიუჟეტი არ გააჩნია. მისთვის უცხოა ამბის თხრობის „დრამატურგია“, მაგრამ დავითის

ცხოვრების მთავარი მომენტები ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული. „წეროს დარად წიგნში მდგარი“ პოეტის ცხოვრების ამბავი თავიდანვე დრამატული სკენით იწყება და მთელი პოემა საწუთროს მსახვრალ ბედისწერასთან მკაცრი ჭიდილის ეპიურ სურათებად იშლება. პირველივე „ეპიზოდში“ იგი დატყვევებული გვეცხადება არმოში და, თავისუფლებაწართმეული, კენტად ამოსულ ბედის ვარსკვლავს ნაღვლიანი თვალებით მისჩერება...

გამარჯვებული გლების თვლით დანახული მიწა ს. ჩიქოვანის პოეტურ მხატვრობაში საყვარელი ფონია. მზით მოხასხასე ლამისყანის მიდამო უცებ იცვლება ტრიალ მინდვრებზე მოვარდნილი ავდრით და გაქცეული ტყვის სულში სევდიანად მღერალი წვიმა მთელს პოემაში ხმაურობს („დავით გურამიშვილი წვიმაში“). ოდესღაც ანთებული მიმინოს მხერა ახლა უბედური ლტოლვილის თვალებში წვიმას გაუნელებია და მისი სევდიანი სულის საგალობელი წვიმის წვეთების მუსიკად განხმაურებულა უდაბურ გზებზე.

რადგან სიტყვამ მოიტანა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ს. ჩიქოვანის პოეზიაში, მის ლირიკულ პეიზაჟებში წვიმის ხმაურს განსაკუთრებული მუსიკალური ფუნქცია აკისრია. თუ გალაკტიონის პოეტური ხილვები უმთავრესად აწყვეტილა ქარის ბობოქარ მოძრაობებში მქლავნდება, „ქარივით აფორიაქება“ მისი პოეტური ნატურისთვის მახლობელია, ს. ჩიქოვანის პოეტური ფიქრები და ასოციაციები უმთავრესად წვიმის ნელი აკომპანიმენტით გვესახება ხოლმე. ეს ქმნის სრულიად განსხვავებულ მინორულ ტონს და წვიმის თქორში დანახულ თბილისის ქუჩებს, სამეგრელოს მიდამოებს, ზღვის ნაპირს თუ ქართლის გარემოს თავისებურ პოეტურ გამაში წარმოგვიდგენს. „თუთა ცვივა თუ იზნევა ფეტვი, წვიმით მეც-

სება გაწვდილი პეშვი“. „შენი თვალები მინთია გულში, წვიმაში შენი ძახილი მესმის“, „შინ სიყმაწვილე შემოაქვს წვიმას და მწვანე ჯეჯილს შრიალით ბაძავს“. „მე სიყვარულზე ვერაფერს გეტყვი, თავად გეტყვიან პანგები წვიმის“. ეს პოეტისთვის დამახასიათებელი განწყობილებაა და „წვიმის პანგები“ მისი სულაერი ცხოვრებისთვის ნიშანდობლივი „მუსიკალური რეფრენია“.

ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს პირველსავე დრამატულ ეპიზოდში დავითის გამოჩენა წვიმიანი ამინდის ფონზე და მისი მწარე ფიქრების აქლერება წვეთების სევდიანი მუსიკით. დაღესტნის მკაცრი პეიზაჟი უცებ იცვლება გაშლილი სტეპით და ერთადერთი ზუსტად მიგნებული დეტალი: „ბორცვზე იდგა ეკლესია ცისფერი და მტრედის დარი“ ზუსტად ხატავს რუსულ გარემოს. და აქ, ზარების ხმებში, იბადება ნამდვილი მეგობრობა ტყვეობიდან გაქცეულ დავითსა და უკრაინელ ლაზარეს შორის. შორეული წინაპრების ბედი მოულოდნელად რუს თანამოძმეთა ცხოვრებას გადაეჯაჭვა და სამშობლოს მიწას მოწყვეტილმა ადამიანმა კეთილი გულების ფასი გაიგო. ამ ისტორიულ ფაქტში ს. ჩიქოვანმა ერთა დამძობილების მისწრაფებანი გამოხატა.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ პიონია დიდი ჰუმანისტისა და ხელოვანისადმი, რომელსაც ადამიანის უმაღლეს მოვალეობად მშობელი ხალხისა და სამშობლოს სამსახური მიაჩნია.

ს. ჩიქოვანის ბოლოდროინდელ ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა მომწიფებული ოსტატის თვალი, ამოუწურავი შინაგანი ენერგია და აღრეულ სიბაჭუქეში გაღვიძებული პოეტური გოაცება, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მკათხველზე და აღმოჩენის სიხარულს განაც-

გიორგი ხუხაშვილი
სიმონ ჩიქოვანის პოეზია

დევინებს. „ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი?“—თავისი ქვეყანა, უსასრულობის შემცველი მხარე პოეტის შთაგონების დაუღვეველი წყაროა. ბუნებაში, ადამიანებში, ყოფაში მშვენიერისა და ამაღლებულის შემჩნევა გარესამყაროსთან მისი ემოციური დამოკიდებულების მანიშნებელია. აქ იგი ბავშვივით

უშუალოა. ხოლო როცა თვალით ხილულის პოეტური შეფასება იწყება, იგი ცხოვრებაში გამობრძმედილი ადამიანს ინტელექტუალურ სიმწიფეს ამაღლავნებს და ესწრაფვის პირველი შთაგონებისა და მომწიფებული პიროვნების მაღალი აზროვნების ჰარმონიულ დაწყვილებას.





მალადიდეური და მალადმხატვრული ლიტერატურისათვის

წიგნილი მიორა

ის ტენდენციები, რომელთა შესახებ პირველ წერილში გვქონდა საუბარი, არ განსაზღვრავს ქართული მხატვრული პროზის განვითარების გზას, ისევე, როგორც არც იმავე წერილში გაანალიზებული რომანები თუ მოთხრობები არ მიგვანიშნებს თანამედროვე პროზის დონეს. პრიმიტივისტული და, მით უმეტეს, ფორმალისტური ნიშნებით აღბეჭდილი ნაწარმოებები სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ვარსებობა. ამიტომ თანამედროვე ქართულ პროზაზე ამ ნაწარმოებთა მიხედვით მსჯელობა სწორი არ იქნებოდა. სწორედ ამ თვალსაზრისის გამო ჩვენ ამ წერილში შევეცადეთ ცალკე გამოგვეყო ჩვენი აზრით ჭეშმარიტად ფასეული პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც გასულ წელს დაიბეჭდა ქართული სალიტერატურო ჟურნალების ფურცლებზე.

ჩვენ ყველა ეს რომანი თუ მოთხრობა, რასაკვირველია, თანაბრად არ მოგვწონება, ბევრი რამ სადავო და საკამათოცა გვაქვს ზოგიერთ ავტორთან, მაგრამ ისინი მაინც განსაზღვრავენ დღევანდელი ლიტერატურის დონეს, აგრძელებენ ქართული საბჭოთა მწერლობის რეალისტურ გზას და საერთო შეფასებაც 1962 წლის პროზისა სწორედ ამ ნაწარმოებებმა უნდა გადაგვაწყვიტინოს.

გასული წლის პროზა მცირე ფორმის ნაწარმოებებით უფროა მდიდარი, ვიდრე ფართო ეპიური ტილოებით. ჩვენი აზრით, რომანებიდან უყოყმანოდ მხოლოდ ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ შეიძლება მივიჩნიოთ საყურადღებო და საინტერესო ნაწარმოებად, ეს მაშინ, როცა თემის ორიგინალური გააზრებითა და გადაწყვეტით, მხატვრული აზრის სინათლით, ფორმის სისადავითა და დახვეწილობით ბევრი მოთხრობა იქცევა მკითხველის ყურადღებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ქართული მოთხრობა უთუოდ აღორძინებას განიცდის.

ვიდრე უშუალოდ ნაწარმოებებს შევხებოდეთ, გვინდა ერთი საგულისხმო ფაქტიც აღვნიშნოთ. ვინც 1962 წლის სალიტერატურო ჟურნალებს გადაავლებს თვალს, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ახალგაზრდა მწერლების აქტივობა. სამწუხაროდ, ქართული პროზის ზოგიერთ გამოჩენილ ოსტატს 1962 წელს არაფერი არ გამოუქვეყნებია. ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს უფროსი თაობის მწერლები ნაკლებ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ერთი წლის ლიტერატურული პროდუქციის მიხედვით ასეთი დასკვნის გამოტანა ნაქარევი და მცდარი იქნება, ხოლო თუ გავიხსენებთ კონსტანტინე გამსახურდიას

ტეტრალოგის დასკვნითს ტომს, დემნა შენგელიას „განძს“, სერგო კლდია-შვილის „მყუდრო სავანეს“ ან სხვა ნაწარმოებებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გამოჩენილი პროზა-იკოსები კვლავ შემოქმედებითი აღმავ-ლობის გზაზე დგანან. მათთან ერთად ახალგაზრდების ასეთი აქტიური შემოქ-მედებითი ცხოვრება, რომლის მოწა-მენიც ჩვენა ვართ, უთუოდ სასიხარუ-ლო იმედებს აღუძრავს ქართული ლი-ტერატურისა და კულტურის ყველა კეთილისმსურველს.

დიდი უშუალობით, გმირის ზუსტად მიგნებული განწყობილებებით, ოსტა-ტურად გამოკვეთილი მხატვრული აზ-რით იპყრობს მკითხველის ყურადღე-ბას სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ერთი დღე ბეთანელის ცხოვრებაში“ („მნათობი“, № 11). ეს მოთხრობა ნამ-დვილი საგალობელია მზისა, ბუნებისა, ყოველივე იმისა, რაც ადამიანს ადა-მიანობას უღვიძებს, უშუალობას აძ-ლევს, სიყვარულს ანიჭებს. ერთ დღეს პროფესორი ირაკლი ბეთანელი, რომ-ლის მთელი ცხოვრება გრაფიკით მიე-დინება, სოფელში სტუმრად მოხვდება თავის თანამშრომელთან. იგი უქმყოფი-ლოა ამით (ეს სტუმრობა მას დროის დაკარგვად მიაჩნია), მაგრამ მალე, კა-ლიის ძილისპირულით დამშვიდებული და მოგონებათა ბურუსში გახვეული, პირველად დაიძინებს ისე, რომ და-საძინებელ ფხვინოს არ მიიღებს. დილაადრიან მზის ამოსვლის მთელი დიდებულების შემყურე ბეთანელი კვლავ იგრძნობს ბუნების ძალას, სულ სხვანაირად წარმოუდგება თვალწინ თავისი ცხოვრება, ბევრწილად და-კარგული და გაფლანგული მუდმივ ფუსფუსსა და საქმიანობაში. სულ სხვა თვალთ დინახავს იგი თავის თანა-მშრომელს, ახალგაზრდა ელიკო სარი-შვილს, რომელიც აქამდე მხოლოდ სინ-ჯარებთან ერთად ახსოვდა. მაგრამ ერ-თი დღე მაინც ცოტაა, ქალაქში დაბრუ-ნებისას ბეთანელს თითქოს რცხვენია კიდევ თავისი მიძინებული ადამიანური ბუნების თუნდაც წამიერი გამოფხიზ-

ლებისა და გამოქვლავებისა. ადამიანი ადამიანად უნდა დარჩეს, არ უნდა ულა-ტოს თავის ბუნებას, რაგინდ რთულ და ცივილიზებულ ეპოქაშიც უნდა ცხოვრობდეს, ამას კი მზე და ბუნება სჭირდება. აი, ეს ერთი შეხედვით უბ-რალი კეშმარიტებაა ჩადებული ამ მო-თხრობაში, მაგრამ მწერლის მადლიანმა თვალმა და ნიჭმა იგი ახალაღმოჩენილის ძალით ააკიაფა.

დიდი ადამიანური სიკეთითაა სავსე რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ვილა-ცას ავტობუსზე აგვიანდება“ („მნათო-ბი“, № 1), რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია როგორც მწერლის შემოქმედებაში, ასევე გასულ წელს გამოქვეყნებულ მოთხრობათა შორის. რევაზ ინანიშვილს საერთოდ აქვს დიდი ინტუიტური მიგნებები, ხე-დავს ადამიანის ბუნების კეთილ საწყი-სებს, ახერხებს ჩაიხედოს გმირის სუ-ლის სიღრმეებში და ამით მკითხველი დიდი და სუფთა ადამიანური გრძნობე-ბის თანაზიარი გახადოს. მოთხრობაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება: ელენე, სოფლად წასული ახალგაზრდა მასწავლებელი, შაბათ საღამოს ჩამოდის თბილისში, ერთ დღეს რჩება ოჯახში, ქუჩაში რამდენიმე ამხანაგს შეხვდება, ერთ მეგობართან შეივლის, იგი სახლში არ დაუხვდება და კვლავ ბრუნდება სო-ფელში. თითქოს რა უნდა გვითხრას ამით მწერალმა, მაგრამ იგი ძალიან ბევრის თქმასა და მინიშნებას ახერხებს. ელენე მარტო მგზავრობს. იგი ფიქრობს ახალნაბულ ფილმზე, ქალის წინდებზე, წარსულ და მომავალ ცხოვრებაზე, დე-დისა თუ ღის საყიდლებზე, ბედსა თუ უბედობაზე, და ამ ფიქრების წყალობით ეს ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი მთელი თავისი მომხიბვლელობით წარ-მოგვიდგება თვალწინ. „ბალახი არ ცდა-ლობს ბანიანგის ხედ გადაიქცეს და ამას გამო დედამიწა მომხიბვლელო მწვანით იმოსება“ — თავგორის ეს სენ-ტენცია კარგად ესმის ელენეს. ისიც ჩვეულებრივ ადამიანად რჩება, — ჩვე-ულებრივ, სუფთა, შეურყვნელ და უპ-რეტენზიო ადამიანად. ეს სენტენცია

დიდი პოეტისა მარტო ელენემ კი არა, ყველამ უნდა გაიგოს, მაშინ აღარ ექნება ამხელა დარდი ელენეს, იმის დარდი, რომ ქარაფშუტა ქალების ეფექტური გარეგნობა და სითამამე ხშირად უფრო მეტს ნიშნავს მამაკაცებისათვის, ვიდრე ქვეშაირი სილამაზე (არა მარტო სულეერი) და კდემამოსილება, რომ ბანიანგის ხის ბუტაფორია ზოგჯერ ნამდვილი ბალახის სილამაზესაც ჩრდილავს.

ეს პრობლემა მაღალმხატვრულადაა გაანალიზებული და გადაწყვეტილი არჩილ სულაკაურის მოთხრობაშიც „ხადი“ („მნათობი“, № 3), სადაც საკითხი უფრო ფართოდაა დაყენებული. ამ მოთხრობაშიც არის ელენეს მსგავსი გმირი — მეგი. იგი შედარებით ნაკლებ კონტაქტშია მკითხველთან, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიგებთ მის უშუალო, წრფელ ბუნებას. არჩილ სულაკაურის მოთხრობაში, რომელიც ჩვენ აგრეთვე მაგვანია გასული წლის პროზის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად, წინა პლანზე წამოწეული და გახსნილია რთული ადამიანური ხასიათები. ეს ხასიათები თითქოს ბავშვობიდანვეა ჩამოყალიბებული ჩვენში, მაგრამ მის გარდაქმნასა და სწორი გზით წარმართვას მაინც დიდი ადამიანური ზეგავლენა სჭირდება. გურამიც სტყუის მეგისთან, რადგან იგი გატაცებულია მოქარაფშუტო ნაათი და ამიტომ ვერ იგებს უთქმელი და მოკრძალებულა მეგის გრძობას. გივის არტისტულობამ მოხიზლა ნაია და ამ უკანასკნელმა ვერ დაინახა გურამის ნამდვილი სახე. ამით ერთგვარად სამაგიერო მიეზლო გურამს მეგისადმი გულცივიობისათვის; მაგრამ მსგავსი ხასიათის შურისძიება არ არის მთავარი არც ცხოვრებაში და არც ამ მოთხრობაში. მთავარი სათქმელი აქ ის არის, რომ ადამიანი უნდა ელტვოდეს საქმეს და არა სახელს, ეძებდეს ცხოვრებაში ზრს და არა კომპლიმენტებს. ცხოვრება თავისი გზით მიედინება და ხიბუხ მხოლოდ ის ვადავა, ვისაც შრომის, ბრძოლისა და შენების უნარი აქვს. გივი თავისი ცრუ პრეტენზიებითა და

თანამედროვეთა მიერ ვითომცდა დაუფასებელი ხელოვანის განცდებით შენიღბული, ნაია საკუთარ ბედნიერებაზე ჰკდარი წარმოდგენით, რჩებიან ხილს გაღმა იმ აზრებითა და ხასიათებით, რაც ბავშვობაში თითქოს კიდევ ეპატიებოდათ, მაგრამ რაც მომავალში მათი ცხოვრების ტრაგედიად იქცა. ამ მოთხრობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს არჩილ სულაკაურის მისწრაფება არა მარტო რთული მხატვრული აზროვნებისაკენ, არამედ რთული და საინტერესო ფორმის ძიებისაკენაც. არჩილ სულაკაური კომპოზიციურად თითქმის ყოველთვის თავისებურად და ახლებურად აგებს მოთხრობას. მაგრამ ყველაფერი ეს მწერალს სჭირდება არა დახვეწილი ფორმით კოკეტობისათვის, არამედ იმისათვის, რომ მკითხველამდე სათქმელი რაც შეიძლება მკაფიოდ და სრულად მიიტანოს.

ახალგაზრდების ურთიერთობის, მისი მორალურ-ეთიკური საფუძვლების მხატვრულ ანალიზს მიეძღვნა გასულ წელს გამოქვეყნებული მოთხრობების უმრავლესობა, რომლებშიც სიყვარულისადმი დამოკიდებულება მეტნაკლებად ძლიერადაა აქცენტირებული. ასეთია ედიშერ ყიფიანის უთუოდ გემოვნებით დაწერილი მოთხრობა „ჯარში გაწვეული მუსიკა“ („მნათობი“, № 9), ახალბედა პროზაიკოსის დავით ჯავახიშვილის „ბაიდა“ („ციცკარი“, № 5), რომელიც უტყუარად გვამცნობს, რომ ქართულ მწერლობაში ახალი საიმედო ძალა მოდის, ოტია იოსელიანის „ცეცხლთან თამაში“ („მნათობი“, № 2), თამაზ ჭილაძის „შუადღე“ („ციცკარა“, № 9) და სხვ. ყველა მათგანზე ვერ შევჩერებთ მკითხველს ყურადღებას, მაგრამ ზოგიერთი მოთხრობის ირგვლივ ჩვენს პრინციპული მოსაზრება უნდა გამოვთქვათ, რომ შემდეგ საერთო დასკვნა ნაკლებად არგუმენტირებული არ მოეჩვენოს მკითხველს.

გურამ გვერდწიფიელი
 მაღალიდგური და მაღალმხატვრული
 ლიტერატურისათვის

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხრობები, მართალია, ძირითადად ერთ პრობლემას დასტრიალებს თავს, მაგრამ მათი არც დიპაზონი და არც მხატვრული ღირსება ერთნაირი არ არის. ამასთანავე, უთუოდ მოულოდნელობებთანაც გვაქვს საქმე. ვასულ წელს ოტია იოსელიანის მხოლოდ ერთი ნაწარმოები გამოქვეყნდა — „ცეცხლთან თამაში“, და ისიც, გულახდილად რომ ვთქვათ, არ შეიძლება მივიჩნიოთ საინტერესო მოვლენად ამ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითს ცხოვრებაში. მოთხრობას აშკარად ატყვია ხელოვნურობის კვალი. ოტია იოსელიანი უკვე ბევრი საინტერესო ნაწარმოების ავტორია, ასე რომ მისი ახალი ნაწარმოების დაბალი ღირსება უფრო დამაფიქრებელია და უსიამოვნო აზრების აღმძვრელი, ვიდრე ვინმე ახალბედა მწერლის მოთხრობისა, რომლის მანერაცა და ხტილიც ჯერ ჩამოუყალიბებელია და ამდენად ოსტატობის ძიებისა და დაუფლების ძნელ გზაზე მისი წაბორძიკებით შეიძლება აიხსნას.

იოსელიანის, როგორც მხატვრის მთელი ღირსება თავიდანვე იმან განაპირობა, რომ იგი ლიტერატურიდან კი არ მოსულა მწერლობაში, როგორც ეს ბევრ ახალბედს დაემართა, არამედ უშუალოდ ცხოვრებიდან და პირველივე მოთხრობებით თან მოიტანა ამ უკანასკნელის მსუყე ფერებიცა და სურნელებაც. სწორედ ამიტომ არ მიმაჩნია „ცეცხლთან თამაში“, ხელოვნური სიტუაციებით დატვირთული მოთხრობა, ამ ნიჭიერი მწერლის საკადრის ნაწარმოებად.

სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე დავით ჯავახიშვილის მოთხრობა „ბაიდა“. ოტია იოსელიანის ზემოთ ხსენებული მოთხრობისაგან განსხვავებით, აქ ყველაფერი მხატვრულად მართალი, ზუსტი და დამაჯერებელია. იმდენად ცოცხლად, ძუნწად, მაგრამ დამახასიათებლად გვიხატავს მწერალი ბაიდას, რომ მკითხველი ადვილად წარმოიდგენს აუტანელი სიცხით გადამწვარ და გადახრეული ად-

გილს, სადაც სიცოცხლე მხოლოდ ამღვრელი იორის ნაპირებს მიჰყვება. მხოლოდ ძლიერი ხასიათის ადამიანებს შეუძლიათ ბაიდაში ცხოვრება და მუშაობა. სწორედ ასეთი ადამიანები არიან თათარი მწყემსებიცა და ახალგაზრდა თბილისელი გეოლოგებიც. მწერალი არაფერს გვიყვება უჩვეულოს, იგი თითქოს არც კი ფიქრობს, რომ თავისი გმირები — ახალგაზრდა გეოლოგები ფართო პლანით დავანახოს. მოთხრობა აგებულია იმაზე, თუ როგორ დაარღვევს ოთხი მეგობრის „მყუდრო“ ცხოვრებას ბაიდაში ექსპედიციის ახალი წევრის მარინეს ჩასვლა. ყოველგვარი ხელოვნური ძალდატანების გარეშე ჩვენთვის ნათელი ხდება ამ ოთხი ახალგაზრდის ხასიათი, ბუნება, რაც მთავარია, მამაკაცური სიყვარული და საქმის ერთგულება, მათი მტკიცე ნებისყოფა. ოთხივე ამ ახალგაზრდის მხნეობა, სილადე, ვაჟკაცური სული, ამტანობა, მიზნისაკენ სწრაფვა მკითხველს არწმუნებს, რომ ასეთი ძლიერი ხასიათის ადამიანების წინაშე ბაიდაცა და მასზე დიდი უდაბნოც დაიჩოქებს. სამუშაოს ასეთი სიძნელის გამო უყვართ ახალგაზრდებს ბაიდა და სიხარულით შრომობენ იქ, თორემ სუსტი ნებისყოფის ადამიანი გაურზეზის ამ სამეფოში თავის უბედობაზე წუწუნის მეტს ვერაფერს მოახერხებდა.

ყველაფერი ეს დახატულია დამაჯერებლად, ყოვლად ძალდაუტანებლად. თვით იმ მაცდური სიტუაციის დროსაც კი, როდესაც ოთხივე ახალგაზრდა განზრახ თუ უნებურად ცდილობს მარინეს გულის მოგებას, მკითხველისათვის აშკარაა, რომ მათს სპეტაკსა და ვაჟკაცურ გრძნობას განსაცდელი ვერაფერს დააკლებს. მწერლის თვალი და ფსიქოლოგიური მიგნების უნარი კარგად ჩანს გმირების ამ განცდების ვარკვევის დროს. ხშირად ეს განცდა მხოლოდ ერთი დეტალის ხაზგასმით აქვს მწერალს მინიმუმებული და ეს კონკრეტული დეტალი უფრო მრავალისმეტყველი და, ამდენად, უფრო საინტერესოა მხატვრულად, ვიდრე

სიტყვაშირავალი განმარტებები. თუ ფსიქოლოგიური ანალიზები.

გარდა ზემოთ განხილულისა, სხვა მოთხრობებაც მოტანაც შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ერთი საერთო დასკვნა გამოვიტანოთ: უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ მოთხრობებში აქცენტი მორალურ-ეთიკურ პრობლემებზეა გადატანილი: ამის გამო ქართულ პროზას ერთფეროვნების იერი დაჰკრავს და შეიძლება ვთქვათ, იგი ცალმხრივია ცხოვრების მხატვრული წარმოსახვისას.

საყვედური ამ მხრივ კონკრეტულად არც ერთ მწერალს არ ეთქმის, რადგან ამ დიდი პრობლემისადმი მიძღვნილ მოთხრობებს არამცთუ არსებობის უფლება აქვს — აუცილებელიცაა ამგვარი ნაწარმოებები ყოველი ნამდვილი ლიტერატურისათვის. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს პროზის პრობლემათიკის გაერთფეროვნებას, გაღარიბებას და მწერლობის ინტერესების სფეროს შემოფარგვლას. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია უთუოდ ეტყობა გასული წლის ქართულ პროზას. ჩვენს მდელვარე თანამედროვეობა თავისი რთული პრობლემებით აქ უთუოდ გაღარიბებულადაა წარმოდგენილი. მართალია, ჩვენს მწერლობას, გასული წლის ნაწარმოებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სხვა პრობლემაც აწუხებდა, კერძოდ, იმ სულიერი ტკივილის გაცდა და გაგება, რომელიც ჩვენში აღძრა უბრალო და უდანაშაულო ადამიანთა დიდი ტრაგიზმით სავსე ხვედრმა. ამას მიეძღვნა არჩილ სულაკაურის „აბელის დაბრუნება“ („მნათობა“, № 7), „ძველი ამბავი“ („ცისკარი“, № 8); ჭაბუა ამირეჯიბის მოთხრობა „ბიძაჩემი მეჯღანა“ („ცისკარი“, № 12). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ გასული წლის ქართული პროზა თემატურად და პრობლემატურად ღარიბია. ჩვენს მწერლობას დღევანდელი მრავალმხრივი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვისათვის მეტი ზრუნვა და შრომა მართებს.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა, რაგინდ ბრწყინვალე მოთხრობებიც არ უნდა დაიწეროს, ფართო ეპიური ტილოების გარეშე მწერლობას არ შეუძლია.

ჩვენ სავსებით ვუერთდებით სალიტერატურო კრიტიკისა და ფართო საზოგადოების ერთსულოვან აზრს, რომ ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ — ეს არის შესანიშნავი „წიგნი ღიმილსა და ცრემლებზე“. ავტორმა მართლაც შეძლო დიდი ტაქტი (მხოლოდ აქა-იქ თუ ლალატობს მას ზომიერების გრძობა), ღიმილითა და ხალასი იუმორით მოეთხრო ჩვენთვის ღრმა დრამატიზმით სავსე მოვლენებზე. მან სოსოიასა და ხატისა, ამ ორი მოზარდის თვალთ დაგვანახა არა მარტო ომის საშინელება (ეს ყველაზე ძნელი საქმე არ არის), არამედ, რაც მთავარია, საბჭოთა ადამიანების მხურვალე, ადამიანური, ღრმა პატრიოტიზმით სავსე გული. არ შეიძლება ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ჰუმანიზმზე მსჯელობისას გვერდი ავუაროთ ამ რომანს. გავიხსენოთ ერთი ადგილი იმის დასადასტურებლად, თუ რომანის გმირთა ლალ საუბარსა და სიცილში რა დიდი ტკივილები და ადამიანური განცდებია ჩაქსოვილი. მოვიგონოთ საკოლმეურნეო კრება, რომელიც განუმეორებელი იუმორითაა დაწერილი. მკითხველს თითქოს ავიწყდება კიდეც, რომ მოქმედება ომის დროს ხდება. უეცრად დარბაზში შემოდის სოფლის ფოსტალიონი, რომლის გულწრფელი აღსარება ერთბაშად ჩასწყვეტს მკითხველს გულს. ფოსტალიონმა პირველმა მოიტანა სოფელში ომის დაწყების ამბავი, ახლა კი მეზობლებს ომში თავისიანების დაღუპვის ცნობებს ურიგებს, და მეტი ვეღარ აუტანია, უარს ამბობს ამ უმძიმეს მოვალეობასა თუ ხვედრზე. „ღმერთო, შენ მაინც არ გეცოდები? ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ დაურიგე ამ ხალხს

გურამ გვერდწითელი
მაღალიდუური და მაღალმხატვრული
ლიტერატურისათვის

ატი ცნობები, შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს ვაუძლებ... მე კაცი ვარ, კაცი. მეტი აღარ შემიძლია, შენი გაჩენილი თუა ეს ქვეყანა, შენ თვითონ მოუარე, მე რომ მათრევივინებ ამხელა ცოდვას...“ მკითხველს კარგად ესმის ფოსტალაონის ამ მუდარით საესე სიტყვებში ჩაქსოვილი მწუხარება. ლალი და მხიარული განწყობილებადან ასეთი უეცარი გადასვლა, დრამატიზმით საესე ფინალი სცენისა კიდევ უფრო ამძაფრებს მკითხველის განცდებს და ეს ერთერთი ძირითადი ფსიქოლოგიური და მხატვრული ხერხია, რომელსაც ავტორი ამ რომანში ოსტატურად იყენებს. ამ რომანთან დაკავშირებით სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან მის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, და ჩვენც უკვე შექმნილ საერთო აზრს ვიზიარებთ.

ამ რომანთან დაკავშირებით ჩვენ საბოლოოდ გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც დამაფიქრებელია იმდენად, რამდენადაც საერთოა და ერთგვარად დამახასიათებელია ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების შემოქმედებისათვის. ესაა სევდიანი განწყობილება, რომელიც ხშირად სენტიმენტალიზმში გადადის. ნოდარ დუმბაძის „მეხედავ მზეს“—ეს არის თბილი, ღირიული ტონით დაწერილი რომანი ომზე. ამიტომ გასაგებია, თუ საიდან მოდის ეს მინორული განწყობილება, რომელიც ზოგჯერ სენტიმენტალიზმის დაღს ასვამს ამ ნაწარმოებს. მაგრამ ეს მართლ ამ რომანისათვის როდია დამახასიათებელი. შეიძლება ამ მინორული ტონის ერთი საერთო მიზეზთაგანი იყოს ბოლო ხანს ჩვენში აშკარად შესამჩნევი მისწრაფება ეგრეთ წოდებული პოეტური ანუ ღირიული (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) პროზისაკენ. მაგრამ ყველაფრის მოღად ქცევა არ შეიძლება. ჩვენი მღელვარე თანამედროვეობის ასახავად უპირველესად გვესაჭიროება ისეთი პროზა, სადაც ცხოვრება მკაცრი რეალისტის თვლით იქნება დანახული. ხსენებულმა სევდიანმა განწყობილებებმა კი ახალგაზრდა მწერ-

ლების პროზიდან თუ არ განდევნა, ყოველ შემთხვევაში, მეტად შეავიწროვა და დაჩრდილა ვაჟაყფური ინტონაცია. ასეთ განწყობილებებს უპირდაპირდება თავისი მკაცრი რეალიზმით რეზო ჭეიშვილის მოთხრობები: „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ („ცისკარი“, № 1) და „ლუჯა პაჩიოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“ („ცისკარი“, № 5). ამ გარემოებამ ხსენებულ მოთხრობებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა გასული წლის ქართულ პროზაში. ამიტომაც ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ის მაღალი შეფასება, რომელიც რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას მისცა კრიტიკოსმა ნოდარ ჩხეიძემ.

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ გასულ წელსვე დაიბეჭდა ბევრი ნაწარმოები, რომელმაც არ შეიძლება თანამედროვე მკითხველის ყურადღება არ მიიქციოს მაგალითად, რევაზ ინანიშვილის „საყმაწვილო ამბები“, ბორის ჩხეიძის „კეთილი სიტყვა“, თენგიზ გოგოლაძის „სიკეთე“, აკაკი გეწაძის „შვილო გოგია“, დავით კვიციანიძის „გაზაფხული“, ნინო აბაშიძის „გადაჭრილი ხე“, გურამ გოგიაშვილის „ხილი“, ორდე დგებუაძის „ხელმოუწერელი ბარათი“, მიხეილ კაკაბაძის „მიწის გემო“, იუზა ყაჭეიშვილის „ძახილი“ და ოთარ ჩხეიძის „ახალწლის ღამეს“.

ამ მოთხრობებს უფრო ვრცლად გავიხილავთ შემდეგ წერილში.

გასული წლის მხატვრული პროზის მიმოხილვის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენს მწერლობაში ჯერ კიდევ მშვიდობიანად თანაარსებობენ რეალიზმი და პრიმიტივიზმი, მაგრამ ცოცხალ ლიტერატურულ პროცესზე უბრალო დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ ძალთა თანაფარდობა მკვეთრად იცვლება ნამდვილი რეალისტური ნაწარმოებების სასარგებლოდ. ამასთან სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ ქართული პროზის გამორჩენილ ოსტატებთან ერთად ნამდვილი რეალისტური ნაწარ-



მოებებით მშობლიური ლიტერატურის გამდიდრების უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს ერთგულად ემსახურება ახალგაზრდა მწერალთა ის ნაკადი, რომელიც მოვიდა და დამკვიდრდა, ან ახლა მოდის და მკვიდრდება ჩვენს პროზაში. გარდა ამისა, ვასული წლის პროზას იმ ტრაფარეტულ, მაგრამ კემშარიტებით სავსე დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ცხოვრება გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და მრავალპრობლემური, ვიდრე ეს ჩვენს ლიტერატურაშია ასახული, და რომ ჩვენს მწერლებს მართებთ თანამედროვე ცხოვრების მხატვრული წარმოსახვა მთელი თავისი სისრულით, ნიდრმითა და მრავალფეროვნებით.

საბჭოთა მწერლების წინაშე ახლად უდიდესი ამოცანები დგას, ისინი კომუნისტური მშენებელთა ავანგარდში უნდა იყვნენ და თავიანთი შემოქმედებით აქტიურად უწყობდნენ ხელს ახალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირების საქმეს. ამისათვის კი საჭიროა მათი შემოქმედება იყოს უფრო მაღალიდევური და მაღალმხატვრული. სწორედ ასეთი ლიტერატურის შესაქმნელად მოუწოდებდა და მოუწოდებს მწერლებს მშობლიური პარტია.

გურამ გვერდწითელი
მაღალიდევური და მაღალმხატვრული
ლიტერატურისათვის



ფიქრები თანამედროვე რომანზე

წერილი მიორბი

თანამედროვე მონუმენტური ფორმის ქართულ ლიტერატურაში რომანის ძლიერ ნაკადად შემოჭრას მართებულად აღნიშნავდა ამ რამდენიმე წლის წინათ აკად. გ. ჯიბლაძე. 1946 — 1954 წლების ქართულ პროზას რომ აფასებდა, იგი მიუთითებდა მოვლენათა სწორედ ფართო ეპიკური ხატვის თვალსაჩინო ტენდენციასზე.

ფართო ეპიკური ფორმის ტილომ, რომელსაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დასაბამი მისცეს კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, შ. დადიანმა, უფრო გვიან განვითარება ჰპოვა სხვა ქართველ რომანისტთა შემოქმედებაში. თანამედროვე ქართულმა რომანმა დააღწია თავი ეროვნული თემატიკის ერთგვარ „გეოგრაფიულ“ შეზღუდულობას და ამ თემატიკის პრობლემები საკმაოდ ვრცელ სარბიელზე გაიტანა, რამაც, თავისთავად, ფართო ეპიკური ფორმა მოითხოვა. ამასთანავე თანამედროვე ქართულ რომანისტიკაში მეტად ფართო ადგილი უჭირავს მოცულობით „ჩვეულებრივი“ ფორმის რომანს, რომელშიაც ასევე ფართოდ დასმული და დანახულია თანამედროვეობის თუ ისტორიული წარსულის დიდი პრობლემები, ასახულია ქართველი ხალხის ცხოვრება, ღრმად გააზრებულია საზოგადოებრივი განვითარების ტენდენცია და კანონზომიერებანი.

რასაკვირველია, რომანის ღირსება უნდა ვეძებოთ არა მის „მოცულობაში“, არამედ იდეურ-მხატვრულ სრულფასოვნებაში, რომანისტიკის იმ მაღალ ოსტატობაში, რომლითაც იგი აღიქვამს სინამდვილეს. ამიტომ მეტად უცნაურად გეჩვენებთ მწერალ რ. სირგეს მისწრაფება — თანამედროვე რომანის იდეალად წარმოადგინოს ერთგმირიანი ან, უკეთეს შემთხვევაში, გმირთა ძლიერ შეზღუდული რაოდენობის მქონე მცირე მოცულობის ნაწარმოები. სირგეს მოსაზრებით გვაქვს თანამედროვე რომანის ორი ძირითადი სახე. ესენია: ა) მცირე მოცულობის ნაწარმოები ერთი ან რამდენიმე გმირით და ბ) „გიგანტური სიტყვიერი პანო“. აქედან პირველში თითქოს უფრო მოსახერხებელია გმირთა სულიერი ცხოვრების ყოველმხრივი და საფუძვლიანი წარმოსახვა, „მართებული და მკვრივი ფსიქოლოგიური ქსოვილის შეკვრა“. ფართო პლანიან, დიდი მოცულობის რომანებში კი თითქოს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური აქცენტი, როგორც ტიპიზაციის საშუალება, დათრგუნულია, რადგან ამ რომანებში მთავარი ადგილი სოციალურ-ყოფით თემატიკას უჭირავს. (იხ. რ. სირგეს სტატია ესტონურ ჟურნალ „ლომინგში“, 1959 წ., XII).

„გიგანტური სიტყვიერი პანოს“ უარყოფა იმ მოსაზრებით, თითქოს იგი თრგუნავს ინდივიდუალურ-ფსიქოლო-

გიური გამოვლენის სიმკვეთრეს, გაუგებრობის შედეგია. საესეზოთ სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ამ მოსაზრების პრინციპული კრიტიკა, რასაც შეიცავს გ. ბელაიას სტატია „თავმდაბლური ნოვატორობის ძიებაში“ (ქურნ. „ნოვი მირ“, № 8, 1960 წ.).

განა „წყნარი დონის“, „გატეხილი ყამირის“, „მთვარის მოტაცების“, „ახალგაზრდა გვარდიის“, „არსენა მარაბდელის“, „რუსული ტყის“, „უფრიუმდინარის“, ფედინის, ზაქრუტკინის, კოჟევენიკოვის, ნიკოლაევას, უბიტის, ლაცისის და სხვათა რომანების პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ სიმამაფრეს ამ პერსონაჟთა გარემომცველი ვრცელი სოციალური სამყაროს მასშტაბური ხატვა ჩრდილავს? განა ეს სიმამაფრე უფრო გამოხატულია დ. გრანინის მოკლე რომანებში და მათ მეტი სოციალური „ქვეტექსტი“ აქვთ, როგორც ამას რ. სირგე ფიქრობს? ან რით ჯობს, ვთქვათ, რემარკის ერთ-ერთი უკანასკნელი რომანი „Geborgtes Leben“, რომელშიც პრობლემატკა განსაკუთრებით შეზღუდულია და რომანის ცენტრში ორიოდ პერსონაჟი ექცევა, გაცილებით უფრო მდიდარი პრობლემატკის მქონე მისსავე ფართოპლანიან რომანებს? ეს რომანები ხომ უფრო ძლიერია, ვიდრე კლერფესა და ლლიანის ინდივიდუალური ფსიქოლოგიაში გაუღენთილი ისტორია! ჩვენ გვესმის, რომ „მცირე ფორმის“ თაყვანისმცემლნი გამოხატვის სიძლიერისათვის იბრძვიან. მაგრამ ამის მისაღწევად არ კმარა მხოლოდ მცირე მოცულობის ფორმა. საქმე მოცულობა როდია, არამედ მწერლის ტალანტი, მისი ოსტატობა, რომელიც ყველგან ვლინდება: მცირე ფორმაშიც და ფართო ტილოზეც.

ასევე მცდარად უნდა მივიჩნიოთ „ორსიუჟეტნიანი რომანის“ თეორია, რომელიც ბოლო წლების საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში გამოჩნდა. ამ თეორიის მიხედვით შეიქმნა ახალი ტიპის მონუმენტური ფორმის საბჭოთა რომანი, რომელშიც, კლასიკური რომანისაგან განსხვავებით, მთავარი გმირე-

ბის ნაცვლად ძირითადი ადგილი უჭირავს ისტორიულ მოვლენებს; ასეთი რომანების თვისებაა მოვლენების ორსიუჟეტნიანი ხატვა. მაგალითად, ვ. ნაზარენკოს აზრით, თანამედროვე მონუმენტური საბჭოთა რომანი იმით განირჩევა მ. გორკის, მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის ეპოპეებისაგან, რომ თუ მათში გამჟღავნებული სიუჟეტის ქმნის მთავარი გმირების ბედი და ურთიერთობა, ახალმრავალპლანიან რომანებში „ისტორიული მოძრაობა იქცევა თხრობის მთავარ საგნად, ისტორიული მოვლენები ქმნიან „გამჟღავნებული“ სიუჟეტს, ხოლო ცალკეულ გმირთა ბედი რომანის მოძრაობის ეპიზოდურ სურათად იქცევა“¹. „იქმნება თანამედროვე რომანის ახალი ფორმა: რომანი ორი სიუჟეტით — ისტორიული სიუჟეტითა და პირადი ბედის სიუჟეტით“².

ვ. ნაზარენკოს ამ მოსაზრებას რომ მართებულად აკრიტიკებდა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ საბჭოთა რომანის პრობლემებზე მოსკოვში გამართული დისკუსიის დროს, მ. კუზნეცოვმა თავის მხრივ ხაზი გაუსვა რომანის ისეთ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც არსებობს ეგრეთ წოდებული „მოვლენათა“ და „ხასიათთა“ რომანების ტიპები. თითქოს, პირველ მათგანში წინა პლანზე იწევს მოვლენა და ეს დამახასიათებელია რევოლუციისა და სამოქალაქო ომის თემებზე დაწერილი ადრინდელი საბჭოთა რომანებისათვის, ხოლო შემდეგ, ოციანი წლების ბოლოს, წინ გამოდის „ხასიათთა“ რომანი; უფრო გვიან კი ხდება „ისტორიისა და გმირის“ სინთეზი და ასეთი შეერთების შემდეგ უკვე ვღებულობთ თანამედროვე რომანის იდეალს, რომლის ცენტრშიც ხასიათებია მოქცეული.

¹ იხ. ქურნ. „ზევზლა“, 1958 წ., № 8, გვ. 216.

² იხ. ქურნ. „ზევზლა“, 1959 წ., № 3, გვ. 188.

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

„მოვლენათა“ და „ხასიათთა“ რომანების შესახებ შეხედულება საკმაოდ „პოპულარულია“ და უთუოდ მას ეყრდნობოდა თავის „ღროზე არსებული „კლასიფიკაციაც“, რომელიც გამოყოფდა ე. წ. „საწარმოო რომანს“, „საკომედიურნო რომანს“ და ა. შ.

რასაკვირველია, ეს შეხედულებებუ „ორსიუქეტიანი“ რომანების თუ „მოვლენათა“ და „ხასიათთა“ რომანების შესახებ რომანის თეორიის რთული პრობლემების ერთგვარი გაუბრალოების ნიშანს ატარებს. ყველა ჭეშმარიტი რომანის — იქნება ეს „ჩაბაევი“, „განადგურება“ თუ „რკინის ნიაღვარი“, „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“ თუ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ — მთავარი მასალა, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანის — გმირის, პერსონაჟის — ბედი, მისი ხასიათი, მისი ადგილი ცხოვრებაში, მისი დამოკიდებულება ახალი რევოლუციური ძვრებისადმი და, საერთოდ, სინამდვილისადმი, რაც სწორედ ადამიანთა შინაგანი სამყაროს გახსნილთა ნაჩვენებია.

ახლა უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენის, ეპოქის არსი ყოველთვის ტიპების — პიროვნებების საშუალებით იხატება. პიროვნებათა ბედის, მათი ადგილის ჩვენებით იხსნება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსი, მისი არა მხოლოდ სხვადასხვა სოციალური ფენებით და მრავალმხრივი სულიერი ყოფით, არამედ დამახასიათებელი მატერიალურ-წარმოებითი მდგომარეობითაც; აისახება საზოგადოების ისტორიული განვითარება, ე. ი. მთელი ცხოვრება, რომლის ხატოვანი წარმოქმნისათვის შემოქმედი იყენებს გმირთა, პერსონაჟთა — ესე იგი ტიპების — ინდივიდუალიზებული სახეების ხატვას; აქედან არის დანახული მთელი ისტორიული განვითარება. ასე იყო ეს კლასიკური რომანში, ასეა დღესაც. ამის უგულვებელყოფა და ნაწარმოებში გმირის ნაცვლად წინა პლანზე ისტორიული მოვლენის ისეთი წამოწევა, როცა პერსონაჟები მოვლენების მხოლოდ კო-

მენტარებს წარმოადგენენ, მხატვრული ლობის სფეროს არ განეკუთვნება, თუ რომელიმე „რომანი“ მართლაც შეიცავს ასეთ ტენდენციას, ეს მისი სუსტი მხარეა და არა „ახალი“ დადებითი სპეციფიკა.

„მოვლენათა რომანის“ თეორია, როგორც ითქვა, ახალი არ არის და მისი ალორძინების ცდა ისევე შემცდარია, როგორც ზოგიერთი ლიტერატურის-მკოდნის ხელახალი მცდელობა—მიუბრუნდეს ამ შეხედულების ერთგვარად მონათესავე „დოკუმენტური პროზის“ კარგა ხნის წინათ უარყოფილ თეორიას.

რომანის მომავლის, მისი განვითარების შემდგომი გზისა და ფორმების, რომანის „უანრობრივი“ სახეცვლილებების და ბევრი სხვა საკვანძო საკითხით დიდად არიან ამჟამად დაინტერესებული საზღვარგარეთელი რომანისტები და თანამედროვე რომანის თეორეტიკოსებიც.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა რომანს ინგლისელმა პროგრესულმა მოაზროვნემ რალფ ფოქსმა. მან თავის ნაშრომში — „რომანი და ხალხი“ — მოგვცა რომანის განვითარების ისტორიული გზის ღრმა ანალიზი და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა თანამედროვე რომანის თავისებურებათა შესახებ. ჩვენ აქ შევეხებით მის მხოლოდ ერთ მოსაზრებას XIX საუკუნისა და მომავლის რომანის შესახებ.

რალფ ფოქსი წერს: „რომანის ოქროს ხანა იყო XVIII საუკუნე... XIX საუკუნე იყო უკუქცევის პერიოდი — უკუქცევისა, რომელიც დამთავრდა პანიკური გაქცევით ჩვენს დღეებში... ახალმა რეალიზმმა, რომელიც ჩვენ უნდა შევექმნათ, უნდა დაიწყოს იმით, რითაც დამთავრა ბურჟუაზიულმა რეალიზმმა... ეს ნიშნავს, რომ ჰეროიკული ელემენტი უნდა დაუბრუნდეს რომანის ფურცლებს, და ჰეროიკულთან ერთად — მისი ეპიკური შინაარსიც“.

მაშასადამე: ა) რომანმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია XVIII

საუკუნეში; ბ) XIX საუკუნეში რომანი, როგორც ეპიკური „ქანრი“ ეცემა; გ) სოციალისტური სინამდვილის რომანმა უნდა მიმართოს ეპიკური (აღრინდელი) ფორმის რომანს; XIX საუკუნის რომანი კრიტიკული რეალიზმისა მისთვის ნიმუშად ვერ გამოდგება, რადგან მასში ვერ შეეწნა ერთმანეთს პოეზიის და ცხოვრების სიმართლე.

რ. ფოქსის მოსაზრება, რომ მომავლის რომანი (მას მხედველობაში ჰქონდა ჩვენი დროის სოციალისტური რომანი!) „ეპიკური ფორმის რომანის“ გზით განვითარდება და რომ მისთვის მიუღებელია XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის რომანის ფორმა, სინამდვილის მიერ უარყოფილი იყო ჯერ კიდევ 20—30-იანსავე წლებში, როდესაც იქმნებოდა „გატეხილი ყამირი“, „წყნარი ღონი“, „ტანჯვის გზაზე“ თუ „კლმი სამგინის ცხოვრება“, „მთვარის მოტაცება“, „გვადი ბიგვა“ თუ „კოლხეთის ცისკარი“.

პოეტურიზებული გმირის კონცეფცია, რამაც შემდეგ სინამდვილის შელამაზების მახინჯ ტენდენციაში ჰპოვა ყველაზე მკვეთრი გამოხატულება, ცხადია, არ გამოდგება თანამედროვე რომანისათვის.

სწორედ XIX საუკუნის რეალისტური რომანის ფორმა, სადაც მაღალის დამკვიდრების იდეალმა და მდაბალის მხილების პათოსმა თავის კლასიკურ ხორცშესხმას მიაღწია და სადაც წინა ეპოქების რომანთა ჩინებული ტრადიციები გამოვლინდა, ყველაზე უკეთ მიუღდა ახალ, სოციალისტურ რომანს. გავიხსენოთ გამოჩენილი საბჭოთა რომანისტის ა. ფადეევის სიტყვები: „მე მიყვარს ძველი რეალისტური რომანის მონუმენტური ფორმა სოციალური ტიპების სიუჟეტით, ყოფაცხოვრებისა და მთელი იმ მატერიალური სამყაროს დაწვრილებითი, ზუსტი აღწერით, სადაც მიმდინარეობს ადამიანთა ცხოვრება, რომანი მისი თავისუფალი და ამავე დროს ასევე მატერიალური და მსუყენით, რომანი, სადაც ფაქტურის მიხედვით ყველაფერი მყარია და მტკიცე,

მაგრამ მით უფრო გამჭოლი, ღრმა და ხანგრძლივია ავტორის დიდი ჰუმანური აზრის გავლენა მკითხველის სულზე“.

თანამედროვე გამოჩენილი საზღვარგარეთელი რეალისტების (შოუს, ჰემინგუეის, რემარკის, ლაქსნესის, უილსონის, მორავიას, სტიინბეკის, ფოლკნერის, ოლდინგტონის, არაგონის, ამაღუს და სხვ.) შემოქმედების პრაქტიკა უარყოფს ზოგიერთთა მტკიცებას სოციალური რევოლუციების ეპოქაში რომანის დაცემის აუცილებლობის შესახებ; ამ თეორიის მიხედვით, რომანი არ შეიძლება შეიცავდეს ერთიანი საზოგადოების თავისუფლების პათოსს: „რომანი არის გამოხატვა იმ თავისუფლებისა, რომელსაც ეძიებენ ადამიანები არა თავიანთს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, არამედ თავიანთს განკერძოებულობაში“¹.

ძირითადი არსი ამ თეორიისა ის არის, რომ მის ავტორს რომანის გამოხატვის სფეროდ მიაჩნია ისეთი „თავისუფლება“, რომელიც ემყარება ადამიანთა ინდივიდუალიზმს და არა მათს ერთობას საზოგადოებაში. ამიტომაც ზედავს იგი რომანის „დაცემას“ თანამედროვე სოციალური რევოლუციების ეპოქაში, რომლის დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ერთიანი საზოგადოებრივი თავისუფლების დამკვიდრების იდეალია.

დასავლეთში კრიზისს განიცდის არა საერთოდ რომანი, არამედ რეალიზმის პრინციპებს დაპირისპირებული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურა.

თანამედროვე დეკადენტურ-ბურჟუაზიული „რომანის“ კრიზისის წყარო მისი გამჭოლი ინდივიდუალიზმია და არა საზოგადოებრივი თავისუფლების ძიების პათოსი, რაც ამ რომანს საერთოდ არ ახასიათებს.

¹ კ. კოდუელი. წიგნიდან „რეალიზმი და რეალურიზმი“; გამოც. 1948 წ. ნიუ-იორკში, ინგლენაზე; იხ. ანთ. „Совр. книга по эстетике“, под ред. проф. М. Рейдера, 1957 г., стр. 217.

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

თავისებური თეორიული საფუძველი აქვს დასავლეთის სხვადასხვა სტილის თანამედროვე რომანებს, რომელთაც ქმნიდნენ და ქმნიან ეგრეთ წოდებული ორნამენტული პროზის — „ცნობიერების ნაკადის“ წარმომადგენლები: „განადგურებული თაობის“, „დაკარგული თაობის“, „გამწყვდილები ახალგაზრდობის“ მიმართულებათა მწერლები და სხვ., რომელთაგან ბევრი შემოქმედი თანამედროვე რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

დასავლეთ ევროპის მოდური მხატვრული მიმართულებებიდან უკანასკნელდროს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ ფრანგი „ავანგარდისტების“ შესახებ, რომელთაც „ახალი რომანის“ საკუთარი თეორია წამოაყენეს.

ამ თეორიის მიხედვით, „პერსონაჟთა რომანი“, ესე იგი ტრადიციული, „არქაული“ ეპიკური ფორმა „მოკვდა“. შეიქმნა ახალი ტიპის რომანი, რომელსაც არა ჰყავს პერსონაჟი და რომელიც, თითქოს, მსოფლიოს ტოტალური ხილვის ყველაზე უკეთესი მხატვრული საშუალებაა.

„ახალი ფრანგული რომანის“ შემქმნელთა — „ავანგარდისტების“ ნ. საროტის, ა. რობ-გრეის და სხვ. თეორიის თანახმად, პერსონაჟი რომანისტის შემბორკველი ფიქციაა მხოლოდ. ისინი მიუთითებენ, რომ ახალი რომანი (ა. კამიუს „უცხო“, სელინის „მოგზაურობა წყვდიადის პირას“ და სხვ.) უპერსონაჟოა და ამიტომაც — შესანიშნავი. მათი აზრით, თანამედროვე რომანის ფორმა ამ გზით უნდა განვითარდეს.

ამგვარად, ფრანგი ნეორომანისტები გამოსავალს ხედავენ ახალი ტიპის მოდერნისტულ რომანში, რომელსაც ისინი ქმნიან. ასეთი რომანი არსებითად განსხვავდება რეალისტური, კერძოდ, კლასიკური ტიპის კრიტიკული რეალიზმის რომანისაგან. იგი განსხვავდება აგრეთვე ახალი ფორმის მძივებელ იტალიელ ნეორეალისტთა რომანებისაგანაც. მაგრამ ეს როდი იძლევა მისი ხელალებით უარყოფის საბაზს. ბევრი მო-

დერნისტული რომანი, რომელიც ბურჟუაზიული სინამდვილით იმედგაცრუების, პესიმიზმის დაღს ატარებს, ობიექტურად შეიცავს ამ სინამდვილის კრიტიკას (მაგალითად, საგანის, საროტის, რობ-გრეის და სხვ. რომანები).

და სწორედ აქ ჩვენ, გადაჭრით ვემიჯნებით რა საფრანგეთში გავრცელებულ ნეორომანიზმის თეორიას, რომლის ავტორებიც კლასიკური რეალისტური რომანის ფორმას უპერსონაჟო, უპერსპექტივო, ერთ შემთხვევაში — უსახო ფსიქოლოგიზმით დამძიმებულ (ნ. საროტი და სხვ.), ხოლო მეორე შემთხვევაში „საგანიზმით“ გაყვნილ (რობ-გრეი და სხვ.) ახალი ფორმის რომანს“ უპირისპირებენ, მაინც აღვნიშნავთ ასეთი რომანის მამხილებელ მხარეს.

ფრანგი ნეორომანისტების ასეთი წინააღმდეგობრივი მდგომარეობა მათსავე პოზიციას ეყრდნობა.

ერთი მხრივ — ისინი კავშირს წყვეტენ ბალზაკისა და სტენდალის რომანის კლასიკურ ფორმასთან (ისინი პირდაპირ უწოდებენ თავიანთს ნაწარმოებებს „თეთრ“, „ანტიბალზაკურ“ რომანებს). ეს ფორმა, მათი აზრით, ზერეულად აღიქვამს სამყაროს, არ იძლევა თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა სიღრმეში შეღწევის საშუალებას (ნ. საროტი: „თხრობის ტრადიციული ტექნიკა უძლურია გამოხატოს რეალურ სამყაროში წარმოშობილი ახალი ურთიერთობანი“; ბ. დორი: „ნეორომანისტების შემოქმედება არ ეყრდნობა სამყაროსა და ადამიანებს შორის არსებულ კავშირს“; მისი მიზანია „გამოხატოს წყვდიადის საშინელი სივრცე, სადაც ბატონობს ვილაც“; „თეთრი“ რომანი დაინტერესებულია „არა იმდენად ადამიანებით, რამდენადაც საგნებით, რადგან ადამიანი კვდება, საგანი კი არა“).

მეორე მხრივ — ისინი დეკლარაციულად არ უარყოფენ რეალიზმს, პირიქით, თითქოს იბრძვიან კიდევ ისეთი მხატვრული რეალიზმისათვის, რომელიც დღევანდელ სინამდვილეს „შეესა-

ტყვისება“. მათი აზრით, ეს არის ბრძოლა გაუბრალოების, გათანაბრების, წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ტენდენციებთან. აქ ისინი ვარდებიან წინააღმდეგობაში, რადგან ასეთი ბრძოლა კლასიკურად სწორედ ბალზაის, სტენდალის და სხვ. რომანებით გამოიხატა, რომელთა წინააღმდეგაც ისინი ამხედრებულან.

ფაქტიურად, მთელი საქმე ის არის, რომ ნეორომანისტები ზღუდავენ მხატვრის თვალთახედვას, რომანის ეპიკურ ფარგლებს. ნ. საროტის აზრით, თანამედროვე რომანისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს „შეუცნობელ ან ნახევრადშეუცნობელ გრძნობათა და ემოციათა სამყარო“. ამიტომაც აგებს იგი თავის რომანებს მხოლოდ დიალოგისა და შინაგანი მონოლოგის პრინციპით. მის აღმამის მხოლოდ შინაგანი, გარემოს მოწყვეტილი სამყარო აინტერესებს, ისიც შეუცნობელი ემოციებისა და გრძნობათა სფერო. ეს კი მას უბიძგებს თვითნაღიზისაკენ, „მეს“ ინდივიდუალური ინტიმურობისაკენ, რასაც რომანისტი საყოველთაოობის ფუნქციას ანიჭებს.

აღამიანური ხასიათების უგულვებელყოფა რომანში საერთოდ, კერძოდ კი — მისი სოციალური არსის მიჩქმალვა და, ამდენად, კონფლიქტის სოციალური ფუძის უკუგდება ჯერ კიდევ აღრინდელი სარტრიდან მოდის და ამ მხრივ ნეორომანისტები ახალს თითქმის არაფერს ამბობენ.

ნეორომანისტები ერთგვაროვანნი არ არიან და მათი თეორიაც წინააღმდეგობრივია. ა. რობ-გრეი, მ. ბიუტორი, კ. სიმონი და სხვ. უფრო ნატურალიზმისაკენ იხრებიან. საგანი მათ დეტალურად აინტერესებთ. ისინი აღწერენ ყველაფერს, რასაც კი თვალი ხედავს; ტიპიურის შერჩევის შინაგანი ლოგიკის პრინციპი მათთვის უცხოა. ამავე დროს ისინი, ძირითადად, კანტის გზით მიდიან, როცა საგნებს (და აღამიანებს) შემეცნების მიღმა აქცევენ. აქედან მოდის მათი თითქოსდა განურჩევლ-უტენ-

დენციო დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ამიტომ არის, რომ ბიუტორის რომანებში ერთმანეთშია არეული კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილი წარსული, აწმყო და მომავალი. მოვლენა, რომელსაც წართმეული აქვს ისტორიული ფუნქცია, აქ გაიგივებულია თემასთან (რობ-გრეის აზრით, „ხელოვნების ნაწარმოების ნამდვილ შინაარსად... მისი ფორმა იქცევა“).

მიუხედავად ასეთი მხატვრული კონცეფციისა, დღევანდელი მარქსისტული კრიტიკა მაინც ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს ანიჭებს თანამედროვე ფრანგულ „ახალ რომანს“, რადგან მასში მაინც გამოსჭვივის მამხილებელი ხასიათი.

თუ „ავანგარდისტები“ ქადაგებენ რომანის ტრადიციული ფორმების კვდომას, მაგრამ არ უარყოფენ საერთოდ რომანის ჟანრობრივ სახეს, დასავლეთში არიან ლიტერატურის თეორეტიკოსები, რომლებმაც რომანს უკვე გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. მათი აზრით, რომანის ფორმა საბოლოოდ დაიშალა მისი თანამედროვე მწვავე კრიზისის პერიოდში და მისი განვითარება შეწყდა.

დასავლეთგერმანელი კრიტიკოსი ვ. კაიზერი თავის წიგნში — „თანამედროვე რომანის წარმოშობა და კრიზისი“, წერს, რომ თანამედროვე რომანმა ვერ მონახა პირველი და მეორე მსოფლიო ომების ეპოქალური მოვლენების შესატყვისი მხატვრული ფორმა და სრული კრახის წინაშე აღმოჩნდა. ამავე აზრისაა ამერიკელი კრიტიკოსი ა. კეიზენიცი.

აშკარაა ამ მოსაზრების ცალმხრივობა და არაობიექტურობა.

თუ საქმე ეხება უკანასკნელი პერიოდის ბურჟუაზიულ რომანს, ისეთს, როგორცაა, ვთქვათ, ალბერ კამიუს „შავი ჭირი“, რომლის მორალიც ომების გარდუვალობას და კაცთმოძულეობას ემყარება, რასაკვირველია, მსოფლიო

გიორგი მერკვილაძე

ფიქრები თანამედროვე რომანზე

ომების ეპოქამ მართლაც ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა, მან მხოლოდ მახინჯი გამოხატვის ფორმა მიიღო „რომანში“. მაგრამ ისეთ დიდ რეალისტურ ტილოებს, როგორცაა ა. ფადეევის, მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, ე. ჰემინგუეის, თ. მანის, ე. რემარკის, დიუ გარის, ლ. არაგონის, ლ. ფოიბტვანგერის, უ. ფოლკნერის, ა. მორავიას, რ. ოლდინგტონის, ა. ზეგერსის და სხვ. რომანები — „ახალგაზრდა გვარდია“, „წყნარი დონა“, „უამი სიცოცხლისა და უამი სიკვდილისა“, „კომუნისტები“, „გმირის სიკვდილი“, „ვის უხმობს ზარი“, „ჩოჩარა“ და ა. შ. — ლიტერატურის ისტორიაში ადგილი დაუმკვიდრა ჩვენი დროის სწორედ უდიდესი პრობლემების — ომისა და რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლისა და ადამიანის გათავისუფლების, ჰუმანიზმისა და მშვიდობის საკაცობრიო პრობლემების მაღალხატოვანმა ეპიკურმა ხილვამ. მათში განხორციელდა რეალისტური რომანის სწორედ ის ტიპური თავისებურებანი, რომელთა შესახებ ასე მოხდენილად ამბობდა თომას მანი: რომანი „თავისი ბუნებით მოწოდებულია თანამედროვე ცხოვრების გამოსახატავად; მისმა გამსჭვალვამ სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემებით გამოიწვია ის, რომ იგი გადაიქცა მხატვრულ ფორმად, რომელიც ყველაზე უფრო სრულად გამოხატავს ეპოქას...“

ამგვარად, რომანის ფორმა არა თუ არ დაიშალა, არამედ მან მიიღო შემდგომი განვითარება რეალისტური რომანის სახით და ამჟამად იგი სულ უფრო მაღალ სიმაღლეებს იპყრობს.



მოსაზრებანი რომანის კვდომის, მისი გამოუვალი კრიზისის შესახებ, რომლებიც ასე გავრცელებულია თანამედროვე დასავლეთში, ძირითადად დღევანდელი დეკადანსის მოდური გამოვლინებაა ლიტერატურის თეორიაში.

ესაღი, თანამედროვე ტიპური ბუჩქი უაზიული რომანი დასავლეთში უდიდეს სიმძლევებს განიცდის იმის გა-

მო, რომ დეკადენტური ხელოვნების ესთეტიკური პოზიციები, მისი იდეური ფუძე, რომელიც სინამდვილის განვითარების ტენდენციას თავიდანვე დაუბრისპირდა, დღეს განსაკუთრებით სასტიკ წინააღმდეგობაშია ცხოვრებასთან. მაგრამ დეკადანსის ჩიხი როდი ნიშნავს ლიტერატურის კლასიკური ფორმების კვდომას.

თანამედროვე დეკადენტური „რომანი“, რომლის ამოსავალ წერტილს, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული სუბიექტივიზმის გამაფრება, ხოლო მეორე მხრივ, უკიდურესობამდე მიყვანილი ფროიდოზმი წარმოადგენს, მართლაც სრულ დეგრადაციას განიცდის.

თუ ბურჟუაზიულ-დეკადენტურმა რომანმა ოდესმე მოიპოვა გავრცელება და აღიარებაც კი, განსაკუთრებით ეს იყო ფრანც კაფკას რომანები („ამერიკა“, „ციხე-დარბაზი“, „პროცესი“), რომლებშიც უკიდურესი სიმამფრთხილინდა თანამედროვე სუბიექტივიზმის სიმახინჯე. კაფკამ უკან მოიტოვა ადამიანის სულიერი სამყაროს თვით პრუსტისა და ჯოისისეული განსაკუთრებით ხაზგასმული ინდივიდუალიზმი. მან კიდევ უფრო გააღრმავა პრუსტ-ჯოისის ხაზი, რომლის მიხედვითაც, „ხელოვნების ერთადერთი ამოცანაა არა ადამიანის პიროვნების შექმნა, არამედ ადამიანის პიროვნების გახრწნა“¹. თვით კაფკამ მართებულად შეაფასა თავისი შემოქმედება, როცა საკუთარ დღიურებში ჩაწერა: „ყოველივე, რაც კი მე შევქმენი, ეს მარტობის ღალადისია“. და თუმცა ჭეშმარიტების მისეულ ძიებაში ხშირად იჩენს ხოლმე თავს კრიტიკული ელემენტი, ტრაგიკული ბედი რიგითი ადამიანისა, მაინც მისი შემოქმედების ძირითადი არსია არა დანტერესება ადამიანთა მძიმე ბედის შეცვლით, არამედ გატაცება ამ ბედის ისეთი ავადმყოფური წარმოსახვით, როცა იგი პროტესტს არ აღძრავს ასეთი მდგომარეობის წი-

¹ Ральф Фокс. Роман и народ, 1939 г., стр. 147.

წალმდეგ კაცთა თავის თავს საკუთარ საფლავზე დადგმულ ძეგლს ადარებს, რომელშიც, მისი სიტყვებით, არ არის „ხერელი არც იქვენულობისათვის, არც რწმენისათვის, არც სიყვარულისათვის, არც ზიზღისათვის, არც ვულადობისათვის, არც შიშისათვის; მასში მხოლოდ მკრთალი იმედი ცოცხლობს და იგი არაფრით არ ფლობია საფლავის ქვების ეპიტაფიებს“. კაცკამ სცადა რომანის კლასიკური ფორმის სრული დაშლა. მისი რომანების მთელ რიგ მთავარ „პერსონაჟებს“ არა აქვთ გარკვეული სახელები და გამოკვეთილი სახეები. მისი ალეგორიები და შემთხვევით წარმოქმნილი ასოციაციები არსებული მძიმე დგანან, რადგან, სამყარო კაცკასათვის შეუცნობელია და შეუღწეველი.

რომანმა დასავლეთში, სადაც თავის დროზე კაცკამ ბურჟუაზიულ მხატვართა გარკვეული ნაწილი დაინტერესა, საბოლოოდ მიიწი არ მიიღო. ეს გზა.

რაც შეეხება ფროიდის მიხედვით — ამ პიროვნების თანამედროვე ფილოსოფიის — გავლენას დასავლეთის ლიტერატურაში საერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიულ რომანში — კერძოდ, აქ უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

საერთოდ, რომანში ძლიერია ფსიქოლოგიზმის — ადამიანის ფსიქიკის ამოხსნის, მის სულში შეღწევის — გავლენა. ფროიდული ფსიქოანალიზი კი თავისი სულისკვეთებით მეტად ხელსაყრელი მოძღვრებაა დეკადანისათვის. დასავლეთის თანამედროვე რომანის გარდა იგი ფართოდ შეიჭრა დრამატურგისა და კინოხელოვნებაშიც. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ამერიკაში, სადაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფროიდის მიხედვით გაქვნილი მთელი მიმართულებები დამკვიდრდა.

ადამიანისადმი, როგორც მხეცური ინსტინქტების მქონე საშინელი და უმდაბლესი არსებისადმი ფროიდის დამოკიდებულებამ, რეალიზმსა და რომანტიზმს დაპირისპირებულმა ადამიანის სულის ამ უტიფარი, ნატურალისტური,

ტური, ყალბი წარმოდგენის საშუალებამ ბევრი ბურჟუაზიული ხელოვანის სიმბათია დაიმსახურა. „საქმე მარტოს კი არ არის, რომ ფროიდის მიხედვით შექმნა, ასე ვთქვათ, თანამედროვე მეშინაწინგრასტენიკის გენიტალური რელიგია, აკურთხა რა მისი დამახინჯებული და წინათ ასე მონდომებით დაფარული სექსუალური ცხოვრება მძალევი წოდებით — „ადამიანური ბუნება“... ფროიდის მიხედვით რეაბილიტაცია უყო მეშინის იღუმალსა და ბინძურ მგრძნობიარობას, გამოაცხადა იგი ადამიანის საყოველთაო არსად და ამის წყალობით შეძლო ფარისევლობის გვერდით დაეყენებინა ახალმოდური სექსი“¹.

ფროიდის მიხედვით დამოკიდებულება ადამიანის ინსტინქტებისა და მოვლენებისადმი (ფორმულა — „სხვაგვარად არ შეიძლება!“) ამკვიდრებს „ფსიქოლოგიურ პენსიონს“, რომელიც მახინჯი სინამდვილისა და პიროვნების აუცილებელ შეთავსებას ცდილობს. თუ კრიტიკულ რეალიზმში მთავარია პიროვნების შეუთავსებლობა არსებულ სინამდვილესთან, ფროიდის მოძღვრებით გაქვნილი დეკადენტურ ლიტერატურაში პირველ ადგილს იჭერს ამ წინააღმდეგობის ისეთი ხილვა, როცა ბრძოლის აქტიური ელემენტი „გარდუვალისადმი“ შერიგების ქადაგებითაა შეცვლილი.

ფროიდულმა ეგოიზმმა, როგორც ადამიანის ყოველი მოქმედების ახსნის ვითომცდა ერთადერთმა საშუალებამ, მეტად ხელსაყრელი ნიადაგი ჰპოვა სწორედ დეკადენტურ ლიტერატურაში. „ნარციზმი“, რომელსაც ფროიდი „ეგოიზმის ლიბიდინოზურ დამატებად“ სთვლის², და რომელიც ეყრდნობა დე-

¹ В. Днипров. О фрейдистской психологии и реалистическом романе; журн. «Иностранная литература», 1961 г., № 7, стр. 186.

² З. Фрейд. Лекции по введению в психоанализ. Т. II, стр. 205.

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

ბულებას: ადამიანი — ა) შთანთქმულია ს ა კ უ თ ა რ ი თავით, ბ) შეყვარებულია ს ა კ უ თ ა რ თავზე, გ) მხოლოდ ს ა კ უ თ ა რ თავს აქცევს ყურადღებას, დ) ტკბება ს ა კ უ თ ა რ ი თავით, — ბევრი თანამედროვე ბურჟუაზიულ-დეკადენტური რომანის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

მაშასადამე, ერთი მხრივ, არსებული სიმახინჯის გარდუვალობის ქადაგება, რასაც ლოგიკურად მოსდევს უკიდურესი პესიმიზმი, და, მეორე მხრივ, ადამიანის „ლიბიდინოზური“ ბუნება, საიდანაც გამომდინარეობს უკიდურესი ეგოიზმი, დეკადენტურ ნაწარმოებებში ადამიანს ერთსა და იმავე დროს აპათურობის, განმარტოებულობის, ეგოისტური თვითდაცვის და ზნეობრივი აღვირახსნილობისაკენ უბიძგებენ. თანამედროვე დაცემულობის ბურჟუაზიული ლიტერატურა თავის ძირითად „გმირებად“ აქცევს ისეთი განწყობილების ადამიანებს, რომელთა პესიმიზმი და ეროტიზმი ერთ მსოფლმხედველობრივ ფუძეს ეყრდნობა.

თანამედროვე პესიმიზმს კარგა ხნის ისტორია აქვს და მას ძირითადად თავისი სოციალური კანონზომიერებანი განსაზღვრავს, ხოლო თანამედროვე ეროტული სიმახინჯე ლიტერატურაში უმთავრესად ფროიდიზმის არხით შემოდის. ფროიდის მიხედვით ხომ პიროვნების მოქმედება, მისი ფსიქოლოგია მისივე სექსუალური ინსტინქტებითაა გაპირობებული¹. ამიტომ არის, რომ ფროიდის მოძღვრებაზე დამკვიდრებულ რომანებში, კლასიკური რეალისტური თუ რომანტიკული რომანებისაგან განსხვავებით, სიყვარული აღიქმება, როგორც ფიზიოლოგიური მოვლენა გაშიშვლებული ავზორცული ინსტინქტებით.

ამრიგად, ცხოვრების სინამდვილის საწინააღმდეგოდ, რეალისტური ხე-

ლოგნების საპირისპიროდ, სადაც ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებს და განაპირობებს სოციალური ფსიქოლოგია, ფროიდის იდეებზე დამყარებულ ხელოვნებაში მთლიანად იჩრდილება, ან, უკეთეს შემთხვევაში, უკანა პლანზე ექცევა ცხოვრების სოციალური მხარე და პირველი ადგილი პირადულ-ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას ეთმობა.

ფროიდიზმის გავლენას ჩვენ ვამჩნევთ დოს-პასოსის, ა. ჟიდის, ო. ჰაქსლის, ა. კამიუს, ს. ბელოუს, ნაწილობრივ — ფ. საგანის, ყ. ფორტონის, ლ. ჰერლის და სხვათა რომანებში¹.

თანამედროვე რეალისტური რომანი დასავლეთში უკუაგდება ფროიდიზმს და განვითარების კლასიკური გზით — ბალზაკის, სტენდალის, ტოლსტოის, გორკის, როლანის, ჰემინგუეის რომანის გზით მიდის.

დღევანდელი რეალისტური რომანის დიდი შესაძლებლობანი აქვს მხედველობაში თანამედროვე სამხრეთამერიკელ მწერალს ა. გრავინას, როცა ამბობს: „... მე, როგორც რომანისტი, მგონია, რომ რომანის სპეციფიკური თხრობითი შესაძლებლობის წყალობით სწორედ მასში შეიძლება სინამდვილის ყველაზე უფრო ტიპური და მნიშვნელოვანი ეპიზოდების მთელი სისრულით გახსნა“.

¹ ლ. ჰერლი რომანში — „მსხვერველი მოიცავს ყოველივეს“ — ხატავს ადამიანის პესიმიზმს ტურ იმედგაცრუებას; პირველ ადგილზე წამოსწევის სექსს, აშიშვლებს ცხოველურ ინსტინქტებს; ა. კამიუს რომანის („უცხო“) გმირის ფილოსოფია გადმოცემულია სიტყვებით: „განა ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ადამიანების სიკვდილს, დედის სიცოცხლეს, ლმერთს ან ცხოვრების იმ სახეს, რომელსაც აირჩევს ადამიანი!"; ხოლო ს. ბელოუს გმირი („მერყევი ადამიანი“) აცხადებს: „შიში ღრუბელივით ვარს შემოგვერტყა ჩვენ. იგი წარმოშობს უტუნეთივით შავი გრძნობებისა და აზრების ბურუსს“.

¹ ფროიდის მიხედვით, „ყველაფერს განსაზღვრავს კონფლიქტი „მე“-სა და სექსუალობას შორის“ (3. Фрейд. Лекции по введ. в психоанализ, т. II, стр. 140).

მაგრამ დეკადენტიზმი დასავლეთში აღვილად როდი თმობს პოზიციებს. იგი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს რეალისტურ რომანს, რომლის სხვადასხვა მიმართულებანი თანდათანობით ავიწროვებენ დეკადენტურ-იმპრესიონისტულ-მოდერნისტული რომანის გავლენის სფეროს.

თანამედროვე დეკადანსის „რომანებში“ ისტორიული პიროვნება, როგორც აქტიური მოქმედი ძალა, უგულვებელყოფილია, რადგან დეკადანსი თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზმის სრულ დეფორმაციას, პიროვნების, როგორც ამ ორგანიზმის საყრდენის, სრულ დაშლას, ცხოვრების საყოველთაო დისპარმონიულობას აღიარებს. ხელოვნებაში ისტორიული პიროვნების დაკარგვამ დღევანდელი დეკადანსი უკიდურესი პესიმიზმის გამოუვალ ჩიხში მოაშფყვლია. დეკადანსისათვის გამორიცხულია თანამედროვე ადამიანის ხსნა საყოველთაო ქაოსისაგან, რასაც, მისი აზრით, მთელი XX საუკუნე მოუტავს.

რაც დრო გადის, მით უფრო გამოკვეთილი ხდება დასავლეთის თანამედროვე რომანის საში ტენდენციია. მათგან პირველი და ყველაზე ძლიერი — ეს არის თანამედროვე რეალისტური რომანი მისი პროგრესულ-ჰუმანური იდეებით; ისეთი, როგორც არის, მაგალითად, ე. ჰემინგუეის, ჯ. სტეინბეკის, რ. ოლდინგტონის, ა. მორავიას, უ. ფოლკნერის, ე. რემარკის, პ. ლაქსნესის, ლ. არაგონის, ჯ. ოლდრიჯის, ა. ზეგერსის და სხვა გამოჩენილი მხატვრების მრავალი რომანი. მათში გაშიშვლებულია კაპიტალისტური დასავლეთის სოციალურ-ფსიქოლოგიური წინააღმდეგობანი, გახსნილია კლასთა ბრძოლის კანონზომიერებანი. ეს რომანები გაქვლითილია ჰუმანიზმის დიდი იდეებით და ბევრ მათგანში სწორ ასახვას პოულობს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენცია, მომავლის პერსპექტივა.

ესენი არიან სხვადასხვა სტილის თუ მრწამსის მწერლები და მათი მიდგომა ც საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი სხვადასხვაგვარია. მაგრამ ყველა ისინი დაინტერესებულნი არიან ადამიანის ბედით, კაცობრიობის მომავლით. ბევრი თანამედროვე საზღვარგარეთელი რომანისტის ესთეტიკურ იდეალს გამოხატავს უ. ფოლკნერის სიტყვები შემოქმედზე: „მას შეუძლია გადაიქცეს ერთ-ერთ იმ ბურჯად, იმ საყრდენად, რომელიც ეხმარება ადამიანს გადარჩენასა და გამარჯვებაში“; ასევე, ბევრის მხატვრული კონცეფცია არის გამოთქმული ჯ. ოლდრიჯის სიტყვებით: „ყველაზე მთავარი მწერლისათვის — ეს არის სწორად გაიგოს თავისი დრო... ახლა ყველაზე მთავარია — აჩვენო ადამიანი, რომელიც შეგნებულად მოქმედებს“.

მეორე ნაკადზე ჩვენ საქმოდ ვილაპარაკეთ, როცა ბურჟუაზიულ-დეკადენტური „რომანის“ მდგომარეობას აღვნიშნავდით. აქ მხოლოდ გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს: თანამედროვე იმპერიალიზმი ცდილობს შექმნას მისი „მყარი მდგომარეობის“ ამსახველი, ბურჟუაზიული ყოფის გარდუვალობის იდეით გაქვლითილი ფართოპლანიანი მხატვრული ნაწარმოებები. ყველაზე უფრო მკვეთრად ეს სწრაფვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩანს. ფაქტიურად ეს არის თანამედროვე კრიტიკული რეალიზმისადმი დაპირისპირებული მიმართულება. კრიტიკული რეალიზმის წინააღმდეგ ამერიკაში გააფთრებით ილაშქრებენ ბურჟუაზიული კრიტიკოსები: ვოტო, ადამსი, სმიტი, ჰაისმარი, დევისი, მილერი და სხვ. ისინი უარყოფენ დრაიზერისა და ლუისის, ჰემინგუეის, სტეინბეკისა და მალცის რომანებს და მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ცხოვრებისადმი მიძღვნილ სახოტბო „საგე-

გორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე



ბის“ შექმნას. „პროტესტისა და ამბო-
ხების რომანი უკვე საკმაოდ მოძველ-
და. დღეს ჩვენთვის აუცილებელია შე-
ვინარჩუნოთ ჩვენი სინამდვილე, რო-
გორც ყველა შესაძლო სინამდვილეთა
შორის საუკეთესო, და არა მოვსპოთ
იგი რაღაც უფრო მაღალი იდეალის
გულისათვის“ — ამბობს უ. მერის რო-
მანის გმირი, კრიტიკოსი ტიმბლი. ასე-
თი ტენდენცია მართლაც იჩენს თავს
ზოგიერთი ამერიკელი რეაქციონერი
მწერლის შემოქმედებაში (გ. ვუკი,
კ. პოლი და სხვ.). ბრძოლა თანამედროვე
ბურჟუაზიული რომანის „დადებითი
გმირისათვის“, ფაქტიურად, ეს არის
ამერიკის თანამედროვე იმპერიალის-
ტური მხატვრული იდეოლოგიის ბრძო-
ლა ჰეშმარიტი რეალიზმის წინააღმდეგ,
ფსევდორეალიზმის სასარგებლოდ. ეს
არის სწრაფვა, შემოაბრუნონ თანამედ-
როვე რეალისტები ამბოხების განწყო-
ბილებებიდან კონფორმიზმის სულის-
კვეთებისაკენ.

რაც შეეხება მესამე ხაზს, თავისი
ტენდენციებითა და ესთეტიკური იდეა-
ლებით იგი შედარებით რთულია. უფ-
რო სწორად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა
თუ საზღვარგარეთელი ლიტერატურის-
მცოდნეების (ვ. ივაშოვა, ო. ჯინორია,
ა. სოვაჟი და სხვ.) მოსაზრება, რომ
რეალიზმის ჯანსაღი ტრადიციების გამ-
გრძელებელთა და ამ ტრადიციების წი-
ნააღმდეგ მებრძოლთა შუა დგას მთე-
ლი რიგი მწერლებისა, რომლებიც ხმას
იმალღებენ ბურჟუაზიული მარაზმის
წინააღმდეგ, მაგრამ მთლიანად არც
რევოლუციური მებრძოლი პროლეტა-
რიატის პოზიციებზე დგანან. ძირითა-
დად, ესენი არიან სწორედ „გაგულისე-
ბული“, „ნაგვემი“, „განადგურებული“
თაობების მწერლები, ნეორომანისტთა
და ნეორეალისტთა გარკვეული ნაწი-
ლი, რომლებიც თანამედროვე კაპიტა-
ლისტური სამყაროს ადამიანის შინაგან
სულღიერ დრამას, მის გზააზნეულობას,

უპერსპექტივობას გამოხატავენ. მათი
რომანების მამხილებელი ძალა ძლიე-
რია და თავისი ტენდენციით ისინი კრი-
ტიკული რეალიზმის ლიტერატურას
უფრო უახლოვდებიან.

რეალიზმი თანამედროვეობის უდი-
დესი მხატვრული მიმართულებაა, რომ-
ლის გაბატონებულ მდგომარეობასა და
უდიდეს პერსპექტივებს განსაკუთრე-
ბით ნათელჰყოფს, საერთოდ, დღევან-
დელი რეალისტური რომანის, კერძოდ
კი, საბჭოთა რომანის — სოციალისტუ-
რი რეალიზმის რომანის — მდგომარე-
ობა.

თანამედროვე რომანის ჟანრობრივ-
სახეობრივი სპეციფიკის დადგე-
ნაში, მისი თავისებურებების
განსაზღვრაში დიდი წვლილი შეიტანეს
ჰეგელმა, ბალზაკმა, ბელინსკიმ, ფლო-
ბერმა, ჩერნიშევსკიმ, ტენმა, ტოლსტო-
იმ, შელინგმა, ბრანდესმა, თ. მანმა და
სხვ.

ეს სპეციფიკა, ისევე როგორც სხვა
ჟანრობრივი სახეების სპეციფიკა, შე-
დარებით მყარია, როგორც ამ ცოტა
ხნის წინათ სამართლიანად აღნიშნავდა
პროფ. დ. ბენაშვილი. მაგრამ იგი მუდ-
მივად ვითარდება და მდიდრდება. ჩვენ-
მა ეპოქამ რომანის ნიშანთავისებურე-
ბანი კიდევ უფრო შეავსო და გაამრავ-
ალფეროვნა. მან როგორც თანამედ-
როვე საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის
მთელ რიგ რომანებში ახლა უფრო
ფართო სახე მიიღო. ამიტომაც რომა-
ნის თავისებურებათა ტრადიციული გა-
გება ერთგვარად უნდა შეივსოს იმ
ცვლილებათა გათვალისწინებით, რაც
ამ ჟანრმა ჩვენს დროში განიცადა.

რომანის ჟანრულ-სახეობრივ თავისე-
ბურებას მთელი ეპოქების მანძილზე
შეადგენდა და დღესაც შეადგენს ის,
რომ მისთვის დამახასიათებელია ფარ-
თო სოციალური ფონი, სა-
ზოგადოებრივი მოვლენე-
ბის დიდი ასპარეზი განხატოვ-

1 იხ. ქურნ. „ინოსტრანნაია ლიტერატუ-
რა“, 1960 წ., № 8, გვ. 190.

ნების პროცესში და, აქედან გამომდინარე, თხრობის მრავალპლანიანობა, რაც ასე თვალსაჩინოა როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე რომანისტთა შემოქმედებაში.

რომანში ჩვენ საქმე გვაქვს სამყაროს ისეთ მხატვრულ ეპიკურ ასახვასთან, როდესაც ეს თეტიკურ-მხატვრული ხილვა შერწყმულია ცხოვრების სოციალოგიური-სტორიულ-ფილოსოფიური გააზრების ამოცანასთან ბევრი ბედის, მრავალი პერსონაჟის ურთიერთობის ფონზე.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე დროის დიდი ლოკალი, რომლის მანძილზეც ხდება რომანის გმირთა, ხშირად რამდენიმე თაობის ადამიანთა სულიერი ჩამოყალიბება, განმტკიცება ან დამარცხება მატერიალურ სამყაროში.

ყოველივე ამას ემატება ადამიანთა ინტიმური ურთიერთობის ყველაზე მაღალი სფეროს — სიყვარულის გამოხატვა, რომელიც არ შეადგენს მხოლოდ რომანის თავისებურებას (იგი ძლიერად გამოვლენილია აგრეთვე დრამაში, ლირიკაში, პოეტურ ეპოსში), მაგრამ მაინც დამახასიათებელია ამ თავისებურებისა მის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში, როგორც მართებულად ფიქრობდა ამას ბალზაკი (რომანი — ფართო სოციალური ტილო სიყვარულის ფონზე!).

სოციალური ფონი თუ საზოგადოებრივ მოვლენათა ასპარეზი თანამედროვე რომანში განსაკუთრებით გაიზარდა. ერთსა და იმავე დროს მან უფრო მოიცვა მსოფლიოს მრავალი ერის ცხოვრება, ვიდრე ამას ახერხებდა წინანდელი რომანი. ეს მისი განვრცობილი-პანორამული ხასიათია. მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემათიკამ აქამდე რომან-

ში უფრო ფართო დასმა და გადაწყვეტა ჰპოვა მრავალი ერის ბედის ჩვენებით. ამდენად, ცალკე აღებული რომანისათვის უფრო ნიშანდობლივი გახდა არა ერთი ძირითადი თემა თუ იდეა, არამედ ამ თემათა და იდეათა სიმრავლე. რომანის ასეთი გლობალური ხასიათი გაცილებით მკაფიოდ ვლინდება ისეთი ფართო ეპიკური ტილოების სახით, როგორცაა კ. ფედინის „ევროპის მოტაცება“, ი. ერენბურგისა და ლ. არაგონის რომანები, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ვ. ზაკრუტცინის „სამყაროს შექმნა“, პ. პავლენკოს „აღმოსავლეთში“, ვ. ბერეზკოს „ატომზე ძლიერი“, გ. სევენცის „თეირანი“, ჯ. ოლდრიჯის „დიპლომატი“ და სხვ.

მართალია, თანამედროვე რომანისათვის ნიშანდობლივი დარჩა ადამიანთა ფსიქოლოგიური-ინტიმური განცდების სიმძაფრე, მაგრამ იგი ახლა ისე ხშირად აღარ მიმართავს სასიყვარულო ურთიერთობის ასპექტს; ტრადიციული სამიჯნურო ფონი ყოველთვის როდი ესაჭიროება სოციალურ მოვლენათა წარმოსახვას (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ლ. ქიჩელის „გვალი ბიგვა“ და ბევრი სხვა თანამედროვე რომანი).

თანამედროვე რომანში უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე წინათ, აქცენტაცია ხორციელდება არა იმდენად დროის, როგორც მთელი ეპოქის ლოკალზე, რამდენადაც ფსიქოლოგიური გარდაქმნის თუ სწრაფი ცვლადობის ისეთ კონკრეტულ მოვლენაზე, რომელიც ეპოქის შინაარსს გამოხატავს და ამ ეპოქის სულს გადმოგვცემს. აქედან — ამბავის, ფაქტის, მოვლენის მნიშვნელობის გრანდიოზულობა, გადატანი-

გიორგი მერკვილაძე
ფიქტები თანამედროვე რომანზე

ლი ეპიკური თხრობის ფორმაში (ლ. ქი-
აჩელის „გვადი ბიგვა“, ე. რემარკის
„ქამი სიცოცხლისა და ქამი სიკვდილი-
სა“ და სხვ.).

ყოველივე ამან მოითხოვა რომანის
ახალი სიუჟეტურ-კომპოზიციური გა-
მართვა, ახალ სტილურ თავისებურება-
თა ძიება. მ. გორკის, მ. შოლოხოვის,
ი. ერენბურგის, კ. გამსახურდიას, მ. ჯა-
ვახიშვილის, უ. ფოლკნერის, ე. ჰე-
მინგუეის, ე. რემარკის, ჰ. ლაქსნესის,

ლ. არაგონის და სხვ. რომანების კომ-
პოზიციურ და სიუჟეტურ აგებაში, ფა-
ბულის გამართვაში ამ თვალსაზრისით
ჩვენ კლასიკურ ტრადიციულ ფორმებ-
თან ერთად ბევრ ახალ სპეციფიკურ
თავისებურებას ვამჩნევთ.

ყოველივე ეს ერთად აღებული, ძი-
რითადად, უნდა ვაღიაროთ, როგორც
თანამედროვე რომანის თავისებურება
მისი რთული მრავალსახეობითა და
ფორმის მრავალფეროვნებით.



სიომონ სნიკვდაძე

ღაგვიანებუდი შენიშვნები

(ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის გამო)

ჩენი შენიშვნები ძირითადად ეხება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომს, რომელშიც თავმოყრილია პოეტის დღემდე გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლექსები (გამომცემლობა „ნაბჭოთა საქართველო“, 1961 წ.).

ლაბარაკი გვექნება გამოტოვებულ ლექსებზე და ზოგიერთ გაუგებრობათა, უკეთ რომ ვთქვათ, უზუსტობათა შესახებ.

ცნობილია, რომ ვაჟა რაფიელ ერისთავის პოეზიის დიდი დამფასებელი იყო და თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში მის გარკვეულ გავლენასაც განიცდიდა; ვაჟასა და მის ძმებს განსაკუთრებით „სამშობლო ხევსურისა“ მოსწონდათ.

რაფიელ ერისთავის სიყვარული და პატივისცემა ვაჟას ბოლომდე შერჩა, რაც შესანიშნავად გამოხატა პოეტის გარდაცვალებაზე დაწერილ ლექსში.

აღნიშნული ლექსი სამგლოვიარო დღეებშივე დაიბეჭდა ვაზ. „ივერიაში“ 1901 წელს (N 45, გვ. 1), სათაურით „რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზე“.

მას შემდეგ ეს ლექსი რატომღაც პოეტის არც ერთ გამოცემაში არ შესულა და ასე გასინჯეთ, იგი ვერც ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში მოხვდა, ხოლო ეს გამოცემა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე

სრულყოფილ გამოცემად უნდა მივიჩნიოთ.

მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ვაჟას თხზულებათა პირველი ტომის შემდგენელი (ზ. ჭუმბურიძე), როგორც ჩანს, მთლიანად დაეყრდნო სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ წიგნს, რომელშიც აღნუსხულია პოეტის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლექსები (იხ. „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“, თბილისი, 1940 წ.). საქმე ისაა, რომ ს. ყუბანეიშვილს სრულიად შემთხვევით გამორჩა და თავის წიგნში ვერ მიუთითა 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ვაჟას აღნიშნული ლექსი. დაენდო რა ყუბანეიშვილის წიგნის მითითებებს (თუ სად, როდის და რომელ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა ესა თუ ის ნაწარმოები), პირველი ტომის შემდგენელმა პერიოდულ გამოცემებში აღარ ჩაიხედა და ამიტომაც ეს ლექსი ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში ვერ მოხვდა.

მოვიტანთ დამახასიათებელ სტრიქონებს ამ ლექსიდან:

„ქრთხელშიც ხარ სულითა,
ღმერთმა გიკურთხა ჭალარა,
მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა
შენი ზმა, შენი ნალარა.
„სამშობლო ხევსურისაში“
ყველასიც გული დაღარა.

გრძნობა შესწირე ზვარაკად
შენსა სამშობლო მხარესა,
რბილსა და ნახსა ღიღინში
ცრემლსაც ურევდო მწარესა,
გაესხივოსნა წყვედიადი,
ხევეწებოდი მთვარესა...”

და სხვ.

გვინდა ერთი რამეც შევნიშნოთ. ლექსების იმ ციკლში, რომელიც ტომში გამოყოფილია „Varia“-ს სახელწოდებით და სადაც თავმოყრილია პოეტის მიძღვნები, რაზიკაშვილთა საოჯახო ლექსები, ექსპრომტები და სხვა, გამოტოვებულია ვაჟას შესანიშნავი ექსპრომტი, ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი მარგალიტი.

ამ ექსპრომტის არსებობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გავიგე ჩვენი სახელოვანი კრიტიკოსის ვახტანგ კოტეტიშვილისგან.

როგორც ვ. კოტეტიშვილმა გადმოშვა, ვაჟა 1896 წლის შემოდგომაზე სოფ. ენისელში სწევდოდა ცნობილ მწერალს ტრ. რამიშვილს და ჩვენთვის საინტერესო ექსპრომტიც ქეიფში უთქვამს (ეს ფაქტი არც ს. ყუბანიევილს გამოორჩენია).

უდავოა, ეს ექსპრომტი მრავალტანჯული საქართველოს სადღეგრძელოთა უნდა ყოფილიყო გამოწვეული. გვინდა ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში გამოტოვებული ეს ექსპრომტი ახლა მაინც მოვაგონოთ მკითხველს:

„შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენს ბედზე დაკარებული,
სულიც შენია, ლეშიცა,
ულავიც შადერებული,
მაინც არ გავცვლი სხვაზედა.
ბედისგან გახელებული,
შენს ყოფნას ვანდობ თვალგებსა,
ვდარაჯობ გამგელვებული“.

(იხ. „სახალხო ფურცელი“ 1915 წ. № 353, 9/VIII, გვ. 3).

ვაჟა-ფშაველას ლექსების სრულ ტომეულში აუცილებლად უნდა შეგვეტანა ის პოეტური ნიმუშებიც, რაც მის მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებშია გაბნეული.

განა აკაკი წერეთლის ლირიკული მარგალიტების საკმაოდ დიდი ნაწილი

მისივე ფელეტონებიდან („ცხელ-ცხელი ამბები“, „ბოდვა“, „ნადუდი“ ან სხვ.) და მოთხრობებიდან არაა ამოკრეფილი?

ვაჟა-ფშაველას მოთხრობებიდან ლექსების I ტომში მხოლოდ ერთი ლექსი შეუტანიათ. ესაა ლექსი „მასწავლებელს ემდურება“ (ტ. I, გვ. 352) მოთხრობიდან „საჩივარი“ (იხ. ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, გვ. 63). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლექსს I ტომის შენიშვნებში ერთგვარი ბუნდოვანი კომენტარი ახლავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ლექსი ვაჟას მოთხრობაში კი არ ჩაერთოს, არამედ სადმე ცალკე გამოექვეყნებინოს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ ლექსთან დაკავშირებით ერთი შესწორებაც გვინდა შევიტანოთ. ვაჟას მოთხრობების IV ტომის შენიშვნებში (გვ. 633) შეცდომითაა მითითებული, თითქოს მოთხრობა „საჩივარი“ დაიბეჭდა „ნაკადულში“ (მოზრდილთათვის) 1913 წელს, № 1, გვ. 4—7. ნამდვილად კი დაიბეჭდა იმავე წლისა და იმავე ნომრის „ნაკადულში“, რომელიც განკუთვნილი იყო სპეციალურად მცირეწლოვანთათვის (იხ. „ნაკადული“, მცირეწლოვანთათვის, 1913 წ. № 1, გვ. 4—7).

ვაჟას თხზულებათა ტომეულების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო მოცულობით პატარა, მაგრამ მაინც საგულისხმო ზოგიერთი კაფია. ძმებისადმი მიძღვნილი ლექსებისა და კაფიების გვერდით ადგილი უნდა დათმობოდა მეზობელ ბასილ რაზიკაშვილზე დაწერილ ლექსსაც — „დამწეული“ („სათიბს წავიდა ქავთარი“). რატომ გამოგვრჩა ვაჟას შესანიშნავი ლექსი, მიძღვნილი განთქმული ფშაველი მოლექსის მერცხალასადმი? (ლიტ. მუხ. № 22565).

კარგი იქნებოდა, ლექსების ამ ციკლში შეგვეტანა ვაჟას ის ლექსიც, რომელიც მან თავის წისქვილის გამმართავს მიხა ქოთილაშვილს გამოუთქვა („მიხამ გაგმართა, წისქვილო, გაგმართა, გაგაზრიალა“).

კრებულში არაა ავრეთვე რუსულად დაწერილი პატარა ლექსი, რომელშიც



მთელი პირდაპირობითაა გამოხატული ვაჟას ტრფიალი ხალხის სამსახურისადმი, თავისუფლებისადმი. აღსანიშნავია, რომ იგი პოეტს თიანეთში მომუშავე ბეთლის თედო კალნიცკის თხოვნით დაუწერია მისი ახალშეძენილი ძმის-წულის სადღეგრძელოდ.

გამოტოვებულია აგრეთვე ვაჟას მწვავე ეპიგრამა ვილაც მტარვალ აქციისზე და თბილისის სამოქალაქო სასწავლებლის დროინდელ ამხანაგ ნიკო ჩიკვაძეზე (ორივე რუსულად, იხ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, ნ. შამანაურისა და ივ. ბუქტურაშვილის მოგონებები. ეს ლექსები ს. ყუბანეიშვილმაც გამოაქვეყნა).

ვაჟას თხზულებათა პირველ ტომში აქა-იქ კუროიოზული სახის შეცდომებსაც ვხვდებით. პოეტის 1902 წელს დაწერილი ლექსები იხსნება ლექსით — „ამიციანა“ (გვ. 191).

დაეხედეთ თუ არა სათაურს, მივხვდით, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა ყოფილიყო.

ეს ლექსი თავიდანვე მცდარი სათაურით („ამიტანა“) დაიბეჭდა (გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 3, გვ. 3).

ვაჟას ბიოგრაფმა ს. ყუბანეიშვილმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ლექსის სათაური დამახინჯებული იყო და იგი უცვლელად გადაიტანა მის მიერ შედგენილ წიგნში (იხ. ს. ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“, თბილისი, 1940 წ., გვ. 51).

ჩანს, თვით ვაჟას არ ეუბნებოდა ლექსის სათაურის დამახინჯება და მოგვიანებით „საქართველოს მოამბეში“ ხელახლა დაბეჭდა იგი „ამოციანას“ სახელწოდებით (იხ. უფროსი „საქართველოს მოამბე“, 1910 წ., № 10, გვ. 7). თვით ლექსის შინაარსიც სავსებით შეესაბამება ამ სათაურს.

ალ. აბაშელისა და აკ. შანიძის რედაქციით გამოცემულ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომში (გვ. 268) ეს ლექსი სწორი სათაურით დაიბეჭდა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომის შენიშვნებისა და კომენტარების ავ-

ტორს უფრო მკაფიო განმარტებებში უნდა დაერთო ზოგიერთი ლექსისათვის.

აღნიშნულ ტომში შესულია ისეთი ლექსები, რომელთა გამომწვევე მიზეზზე თუ აღრესატზე შენიშვნების ავტორი არაფერს გვეუბნება.

რატომ არ შეიძლებოდა, შენიშვნებში ზოგიერთი ლექსის მშრალი დასახელებით არ დავემყოფილებულიყავით და მის შესახებ ცოტა რამ მიგვეწოდებინა მკითხველისათვის.

კარგი იქნებოდა ვაჟას ლექსების ავტორისეულ დასათაურებაზეც გვეფიქრა.

ვაჟა თბილისიდან შორს იყო და რედაქციები თვითნებურად ნათლავდნენ პოეტის ლექსების სათაურს, ხშირად სტრიქონებსაც კი ცვლიდნენ (ეს ყველაზე მეტად ამფოთებდა ვაჟას).

ჩვენ ნამდვილად უნდა დაგვებრუნებინა ლექსისათვის „მიკვლევა“ მისი პირვანდელი, ვაჟასეული სახელწოდება — „სახალწლო“. ეს ლექსი ამ სახელწოდებით შევიდა რედაქციაში და ამ სახელწოდებითაა დაცული დღესაც მისი ავტოგრაფი (ვაჟას ფონდი № 88). ვაჟასეული მართლწერა და სასვენი ნიშნები მთელი სიზუსტით არაა დაცული ლექსში „ჩემი ახალი მეკვლე“.

სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას V ტომში, რომელშიც თავმოყრილია ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები, გამორჩენიათ პოეტის საკმაოდ ვრცელი ნარკვევი, დაწერილი სოფ. დიდთონეთში მასწავლებლობის დროს (1886-1888 წლებში).

უნდა ვიფიქროთ, რომ ვინც ვაჟას თხზულებათა V ტომი გამოსაცემად მოამზადა, იგი შეაცდინა საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში არსებულმა გზამკვლევმა, რომელმაც აღწერსულია პოეტის არქივში დაცული ხელნაწერები. სხვათა შორის, ამავე ხელნაწერებში იხანება ვაჟას მამის პავლე რაზიკაშვილის საეკლესიო ქადაგებათა ხელნაწერი კრებული (იხ. S —

სიმონ სხირტლადი
დაგვიანებული შენიშვნები

5322 № 209), რომლის შესახებაც გზა-
მკვლევში ვკითხულობთ: „პავლე რაზი-
კაშვილის (ვაჟას მამის) კრებული საეკ-
ლესიო მოძღვრებისა. ავტოგრაფი. ბო-
ლო ნაწილი ვაჟას ხელითაა გადაწერი-
ლი“.

საქმეც ისაა, რომ სწორედ ეს ბოლო
ნაწილი პირადად ვაჟას კალამს ეკუთვნის
და მას არაფერი აქვს საერთო (გარ-
და იმისა, რომ შეცდომით პავლეს ხელ-
ნაწერ კრებულზეა დართული) მამამი-
სის საღვთისმეტყველო შეგონებებთან.

ს. ყუბანეიშვილის წიგნში იმ ადგი-
ლას, სადაც ლაპარაკია პავლე რაზიკა-
შვილის „დარიგებათა“ შესახებ, გარკვე-
ვით წერია: „აქვეა ვაჟას ხელნაწერიც,
რომელიც უმთავრესად შვილის აღზრ-
დის საკითხს ეხება“ (იხ. ს. ყუბანეიშვი-
ლის დასახელებული ნაშრომი, გვ. 234).

ვაჟას ამ ხელნაწერს, რომელიც მას
მასწავლებლობის წლებში დაუწერია,
უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პო-
ეტის პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური და
ფილოსოფიური შეხედულებების გასაც-
ნობად.

ამ ხელნაწერის ტექსტი, სათანადო
მიმოხილვით, ჩვენ მთლიანად გამოვა-
ჭვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“, 1961
წელს (№ 7, გვ. 109 — 127). ყოველ
შემთხვევაში, რა დონეზეც არ უნ-
და იდგეს მეცნიერული თვალსაზრი-
სით ახალგაზრდა პედაგოგის ეს ტრაქ-
ტატი, მას მაინც უნდა დათმობოდა ად-
გილი ამ ტომში.

ვაჟას ტომეულებში არც მისი დემო-
კრატიული და რევოლუციური შემარ-
თების გამომხატველი ზოგიერთი ნაშ-
რომი შეუტანიათ. როგორ შეიძლებო-
და ფართო მკითხველისათვის მიუწვდო-
მელი დარჩენილიყო პოლიტიკური ხა-
სიათის მეტად საინტერესო „დეკლარა-
ცია“, რომელშიც გარკვევით მოჩანს
დიდი პოეტის აქტიური დამოკიდებუ-
ლება 1905 წლის რევოლუციური მოძ-

რაობისადმი, მისი პროტესტით აღსავსე
მოწოდებანი ცარიზმის წინააღმდეგ. ეს
„დეკლარაცია“, რომელიც დავით ჯავა-
ხიშვილის (ვაჟას სიძედ ეკუთვნოდა. —
ს. ს.) დამოწმებით პოეტს სოფ. მალა-
როსკარში საკუთარი ხელით დაუწერია,
ოცი მუხლისაგან შედგება. რევოლუ-
ციის ბობოქარ დღეებში მთიელთა შო-
რის იგი თავისუფლებებისათვის ბრძოლის
მძლავრ მოწოდებად გაისმოდა.

თავისი დროისათვის ეს ფრიალ სა-
ყურადღებო პოლიტიკური მნიშვნელო-
ბის დოკუმენტი სათაურით „ფშავ-ხევე-
სურთა დეკლარაცია“, პირველად ჩვენს
პერიოდულ პრესაში ი. ლოლაშვილმა
გამოაქვეყნა (იხ. „ლიტერატურა და ხე-
ლოვნება“, 1948 წ., № 49). მან მრავალი
სარწმუნო არგუმენტით დაამტკიცა,
რომ „დეკლარაციის“ ავტორი ვაჟა-ფშა-
ველაა.

უდავოა, ამ საკმაოდ ვრცელ „დეკლა-
რაციას“ სათანადო ადგილი უნდა დათ-
მობოდა ვაჟას თხზულებათა კრებულში.

V ტომში არ შეუტანიათ არც ის
სიტყვა, რომელიც ხალხოსურთა მოძრა-
ობით გატაცებულ ჭაბუკ ვაჟას წარმო-
უთქვამს სოფლებიდან ჩამოსული პრო-
პაგანდისტების შეკრებაზე 1882 წელს,
სოფ. უფლისციხეში (იხ. „ლიტ. მემ-
კვიდრეობა“, წიგნი I, გვ. 96 — 98).

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, შენიშ-
ვნები ისედაც გაგვიგრძელდა.

ახლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს,
რამდენად ზუსტია სარედაქციო კოლე-
გიის განცხადება: „საერთოდ თხზულებ-
ათა სრული კრებულის მომზადების
დროს ხელახლა გულდასმით შემოწმდა
ყველა წყარო და გასწორდა მრავალი
მცირე თუ მსხვილი შეცდომა“ (ვაჟა-
ფშაველა, ტ. I, გვ. 5).

კლასიკოსების აკადემიური გამოცემა
საშვილიშვილო საქმეა. მას მეტი პასუ-
ხისმგებლობით და სიფრთხილით უნდა
მოვეყიდოთ!...



წიგნი მეორე

იკლავებო ამდგომარეობის სტრუქტურა

თანამედროვე ქართულ ხალხურ პოეზიაში წამყვანი ადგილი უჭირავს მწვემსთა შემოქმედებას. ახალმა დრომ და ახალმა პირობებმა ახლებურად ამღერა „კომპლიანი“ კაცის ფანდური. მწვემსთა დღევანდელი შემოქმედება თავისი შინაარსით ტრადიციული ხალხური პოეზიისგან ძირეულად განსხვავდება.

ლექსების დიდი ნაწილი დაპირისპირების ზერხს ემყარება. მთქმელი ჯერ წარსულს იგონებს, შემდეგ კი ახალი ცხოვრების ნათელ სურათს გვიხატავს. ეს ფართოდ გავრცელებული შემოქმედებითი მეთოდი კარგ მიზანს აღწევს: წარსულის შავ ფონზე ახალი ყოფა მთელი ბრწყინვალეობით წარმოგვიდგება.

რთული და ხიფათიანია მწვემსთა. მიუხედავად მწვემსის საყოფაცხოვრებო მდგომარეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისა, მისი მუშაობის სპეციფიკა ჩვენს დროშიც ძირითადად იკვივა. მწვემსები დღესაც არ არიან დაზღვეული ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით გამოწვეული მოულოდნელი ზარალისაგან. მაგრამ ამ თემაზე შეთხზული მწვემსთა თანამედროვე ნაწარმოებები დიდი ოპტიმიზითა და გაუტყელობით გამოირჩევა ანალოგიური ხასიათის ძველი დროის ლექსებისაგან.

გრძელი ლექსი „კომუნის მეცხვარეობა“ მეტად ამაღლებულ სურათს გვიხატავს: წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემოქედის მწვემსები ყიზლარში არიან და თავს დასტრიალებენ საერთო სახალხო სიმდიდრეს — ცხვრის ფარებს. აი, დოღმა უკვე წარმატებით ჩაიარა. მეცხვარეები მოუთმენლად ელიან გაზაფხულს, იალაღებზე გამგზავრებას. ნანატრი დროუ დადგა: მაისის ერთ მშვენიერ დღიას კომუნის ცხვრის ფარები საზაფხულო საძოვრებისკენ დასძრეს. გზაზე უეტრად ამინდი აიძრია, გაავდრდა, ქარიშხალი ამოვარდა; მთის კალთებიდან ზეავი წამოვიდა.

თან მოდის ქარის გრიალი
ამონაქროლი შორადა,
ბარში ნაკეები ცხვრის ჯოჯი
ზოგმა დააწყო გორადა.

ამ ამბავმა მახლობელი სოფელი ფეხზე დააყენა. დიდი და პატარა მხარში ამოუდგა მამაც მწვემსებს. საერთო ძალამ დასძლია ზარალიც და ზარალით გამოწვეული მწუხარებაც:

კიდევ გამოჩნდა ვარყოზე
ცხვრის ფარა დოვლათიანი,
კიდევ აბოლდა ცეცხლი და
ბინაც დაიდგა მხრიანი.

მწვემსებს ძალიან უყვართ თავიანთი საქმიანობა, რაც კარგად ჩანს მათს შემოქმედებაში. ეს სიყვარული განსაკუთრებით დიდია დღეს, როცა შრომა გმირობისა და სიხარულის წყაროა.

შრომის ნამდვილ ჰიმნს წარმოადგენს ლექსი „სიმღერა“. სახალხო მგოსანი თავის სამწყოსზე ისეთი სიყვარულით გვესაუბრება, თითქოს შვილებზე ლაპარაკობდეს. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ლექსის ბოლო ნაწილი, სადაც ხალხის აზრი შრომაზე მეტად ლამაზად, აფორისტულად არის გადმოცემული:

თუ დასთმობ, დასთმე სიძნუნე, —
შრომა რა დასათმობია,
ლოგინში სიკვდილს — სამწყემსო
ველზე. სიკვდილი სჯობია.

ხალხური პოეზიის განვითარებას განსაზღვრავს ახალი მოტივები, ახალი თემები, რომელთა შორის წამყვანი ადგილი სამშობლოს სიყვარულს უჭირავს. რა თემაზეც არ უნდა მღეროდეს მთქმელი, მისი ფიქრი სამშობლოს დასტრიალებს, ყოველი სტრიქონი მშობლიური ქვეყნის სიყვარულითაა შთაგონებული.

ეს აზრი კარგადაა გამოხატული მოხუცი მეცხვარის სტრიქონებში:

— მე როდი მქონდა სამშობლო,
ლატაკს — პირ მიწა მეყარა,
ეხლა კი ყველაფერი მაქვს —
მიწა, სამშობლო, ქვეყანა.

ამიტომ გასაგებია ის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, რომლითაც მწყემსი სამშობლოსადმი გამსჭვალული:

სამშობლოს მოსიყვარულეს
ლიმილი დამდის პირზედა,
თუ ვულალატო ჩემს მიწას,
მკლავი მომეკრას ძირზედა.

პატრიოტიზმს მშობლიური ბუნების სიყვარულიც უკავშირდება. ბუნება სილამაზისა და მშვენიერების პირველწყაროა. ადამიანს დასაბამიდან უყვარდა ის მიწა-წყალი, სადაც ცხოვრობდა, სადაც მამა-პაპის საფლავები ეგულეობდა. იგი მუდამ შესტრფოდა ბუნების გამოღვიძებას, აყვავებას. მწყემსს განსაკუთრებით უყვარს ბუნება. ეს გასაგებია: თითქმის მთელ სიკოცხლეს იგი ბუნების წიაღში ატარებს. „ლოგინად დედამიწა აქვს, ცა ახურია სახნადა“. ბუნების სიყვარული არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რის გამოც მწყემსს ასე ძლიერ უყვარს თავისი პროფესია და მრავალ მოულოდნელ ხიფათსა და გაჭირვებას იტანს. თუმცა რევოლუციამდე ხალხურ პოეზიაში ბუნებისადმი ჩივილისა და სამღერავის ხმა უფრო ხშირად ისმის, ვიდრე შექებისა და აღტაცებისა, ბუნებას უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ სტიქიურ უზედურებათა წყაროდ მიიჩნევენ: დღეს კი ბუნებისადმი მწყემსების მიდგომა სრულიად საპირისპიროა. ისეთი თვალთ უყურებენ მშობლიურ პეიზაჟებს, თითქოს მათი საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლასთან ერთად ბუნებაც შეიცვალა:

წვიმა ისევ წვიმს, თოვლიც თოვს,
მაგრამ სიამის მკვრელია,
ქუჩი არ ხმება კლდის პირზე,
შეიცვლილა ყველაფერია.

ბუნების მშვენიერების აღწერა ხშირად ერთ-ერთ ფონს წარმოადგენს პატრიოტული გრძნობების გამოსახატავად:

თუ შეუთო, ჩემო თუ შეუთო,
ვაღახატულო ათასად,
შენს იალაღებს ზეზვაის
რამის ფაფარი ფარავსა;
ვუღიცი რომ მსხვერპლად მომთხოვო,
მოგიტან, როგორც ღალასა.

ერთი შეხედვით ხალხურ პოეტთა პატრიოტიზმი თითქოს ვიწრო კუთხურ ჩარჩოებშია მოქცეული; სინამდვილეში ასე არ არის. მათ სამშობლოდ არა მარტო საქართველო, არამედ მთელი დიდი საბჭოთა ქვეყანა მიაჩნიათ. გულწრფელი სიყვარულით უმღერიან მრავალეროვან საბჭოთა ოჯახს და მის აყვავებას შეჰხარაინ. მწყემსები ყოველთვის ოცნებობდნენ ხალხთა მეგობრობაზე. მათთვის ყველაზე მეტად იყო საჭირო ვიწრო

საზღვრებისა და მიჯნების მოშლა, შორეული საძოვრებისკენ გზა რომ გახსნოდათ. მათი ოცნება სინამდვილედ იქცა. ამიტომ გასაგებია მწყემსის სინაზრული:

რა მოგივიდათ, თუ შეუთო,
დადგა როგორი ყამია,
შირვანში, აზერბაიჯანს,
სუყველვან თქვენი ცხვარია,
ისე უგრძენია მეცხვარეს,
ვითომ აღვანში არიან,
სიმშვიდე სუფევს სუყველვან,
რა მყუდროების ხანია.

წინათ მწყემსები თითქმის მთელი წელიწადი მოწყვეტილი იყვნენ თავიანთ ოჯახებს. ხშირად თვეები გადიოდა და არ იცოდნენ, მათი სამწყესო იქით რა ხდებოდა. დღეს კი სულ სხვა სურათია. ფოლკლორული ექსპედიციების დროს მწყემსებთან საუბრისას გაოცებული ვრჩებოდით მათი მაღალი კულტურული დონითა და ზოგადი განათლებით. მაგალითად, გომეურის ხეობაში ერთმა მეცხვარემ სიტყვა ჩამოგივლო ამერიკის ერთმეზული შტატების პრეზიდენტ კენედის პრეს-კონფერენციაზე, რაც იმავე დღით მოესმინა რადიოთი. ჩვენ ამაზე არაფერი ვიცოდით და ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობდით, კომპალზე დაყრდნობილ ფაფახიან ვაკეცვთა მსჯელობას რომ ვისმენდით.

მწყემსთა ლექსებში ხშირად ჩანს ფართო, ზოგადი საერთაშორისო საკითხებით დაინტერესება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშვიდობის დაცვას და ომის განაღდებას მხილვას.

ხალხმა იცის, რომ ახალი ცხოვრების შემოქმედი და ქვეყნად სიკეთის დამთესი არის დიდი ლენინის შექმნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტია და ლენინი თანამედროვე ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაა. მთქმელი ჩვენს ყოველდღიურ გამარჯვებას ლენინის სახელს უკავშირებს. მისი რწმენით, ილიჩი ფიზიკურადაც ჩვენთანაა და კომუნიზმის გზაზე წინ მიგვიძღვის. ამის მაგალითია პატარა ლექსი «ცამე ვაჭრილო ვაკეცო»:

ცამე ვაჭრილო ვაკეცო, შეუდრეკელო
გავარინ,
ბორბალოს მთიდან გიყურებ, გომღერი
ფეხზე დამდგარი.
გიყურებს მთელი ქვეყანა, ზაქშვიც არ
რჩება სახლშია,
დიდი ლენინიც გიყურებს, სურს რომ
დაგიკრას ტამია.
რომ არ ვეყოლოდა ლენინი, ვერც შენ
იფრენდი ცამეა.

პარტიის სიბრძნით აღტაცებული და ფრთაშესხმული ხალხის გულისთქმა ლამაზადაა გამოთქმული ამ სიმღერადქვეულ სტრიქონებში:



მწყემსი ვარ, ღვარას მივრქეავ, ცახე
 ცისკარი ანთია,
 წინ ვეგებები ჩონგურით სამშობლოს
 ყოველ განთიადს;
 თუმცა უბრალო მწყემსი ვარ, ერთხელ
 არ დამიკვნესია,
 რადგან პარტია მშვიდობის და
 გამარჯვების მწყემსია.

ცალკე უნდა შევიჩრდეთ სატირულ და იუმო-
 რისტულ ლექსებზე, რომელიც თანამედროვე
 ხალხური პოეზიის მნიშვნელოვან ნაკადს შეად-
 გენს. რევოლუციამდელი სატირა და იუმორი არ-
 სებული წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართუ-
 ლი, აკრიტიკებდა და ძირს უთხრიდა მას. დღეს
 კი სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა, ყოვე-
 ლივე უარყოფითის დასაგმობად და გასაკიცხად
 მთქმელები და ცინიკის ხერხს მიმართავენ, მათ
 სურთ კრიტიკის ცეცხლით ამოსწვან ზოგიერთის
 შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჟუაზი-
 ული ვადმონაშთები: შრომისადმი არაკომუნის-
 ტური დამოკიდებულება, უსულგულობა, დაუდევ-
 რობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და
 სხვა.

ზურაბიშვილი ეანია, კაცი ხარ შუახნისაო,
 ტყუილადა ხარ ცხვარშია, ნიუი არა ვაქვს
 ცხვრისაო;
 შაგცივა, ქოხში შამოხვალ, დაგცხება,
 ექვბ გრილსაო.

მსუბუქი იუმორით მიმართავს ხალხური პოეტი
 მეცხვარეს, უგულოდ რომ ეკიდება საქმეს. მას
 სხვა ნაკლიც ჰქონია — მშისარა ყოფილა:

ნადირის ხმაზე, საწყალო, ქოხისკენ იხამ
 პირსაო.

ხშირად იყენებენ სატირასაც, მაშინ დაყენებ
 უფრო მსუსხავი და მკაცრია. მთქმელი შეუბრა-
 ლებლად ამთარაბებს ზარმაც და უგერგილო მე-
 ცხვარეს.

ცოდვანი ხარ, ნადირაო, ცოდვა წინ
 შემოგეყარაო,
 ცხვრისთვის ნაქნევი დუქარდი რაღა შენ
 მოგხვდა თავშეაო,

სულ ცხვარსა პარსავს ქვეყანა, შენ კი
 შერცხვენ ხალხშიაო,
 შენისთანა ციცა კაცი სხვა არ არის
 ღშავშიაო.

გულგრილი და უსულგულო თავმჯდომარის
 სახეა დახატული ლექსში „მატივსა გვემდით, მი-
 შაო“. შენიშვნაში ეკითხულობთ: — „თავმჯდომარ-
 რეს თიანეთის მეძროხეობის ფერმაში მწველავი
 ქალებისათვის ნახევრად მიწიანი ფქვილი გაუტ-
 ზავინა“.

ამაზე მადლობელი ვართ, მიწის გვაწერავ
 პურადა,
 მიწა რო პურად ჩავთვალა, საღ
 გავგონილა ყურადა.

ზოგჯერ იუმორისტული ლექსის ადრესატს
 ცვლიან ისე, რომ სიტყვიერი ქსოვილი თითქმის
 იგივე რჩება, მაგალითად, 1961 წელს მთათუშეთ-
 ში ჩაეიწერეთ ლექსი, სადაც სარქალი მეცხვარ-
 ერებს ასე მიმართავს:

დამიანეს ნუ აწუხებთ, ავად არის ყოველ
 დღესა,
 გარეთ გასვლას ნუ უხსენებთ, თორემ
 აუტყდება კენესა;
 ღამე უნდა წყნარად იყოთ, რომ ძილი არ
 დაუფრთხესა,
 წუწკი ძალი ვერ სჯობია, გუდიანა
 გვაპარავს ყველსა.

იგივე ლექსი ათიოდე წლის წინათ სოფელ
 თეთრწყლებში ჩაუწერიათ, სადაც დაყინვის ობი-
 ექტი დამიანე კი არა, ღაზარეა.

ასეთია ძირითად ხაზებში თანამედროვე მწყემს-
 თა შემოქმედება. დღევანდელი ხალხური პოეზია
 ისე ვითარდება, რომ კვლავაც მრავლად შეიქმ-
 ნება მწყემსთა ბედნიერი ცხოვრების ამსახველი,
 ნათელი მომავლით შთაგონებული ნაწარმოებები.

ნოდარ შამანაძე
 იალაღებზე ამღერებული სტრიქონები



მეცნიერება და ჯიჟიკა

იაროსლავ პუშკინი

სიზღვისი

როჯერ რობი:

— თქვენ შეიძლება ის გინდათ თქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას ფანტიკოსები ხელმძღვანელობენ?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— მე არასოდეს არ მიფიქრია, რომ ჩვენ ფანტიკოსები გვხელმძღვანელობენ. პირიქით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკას საუკეთესო პირობები აქვს საიმისოდ, რათა ამგვარ ფანტიზმს თავი აარიდოს, მაგრამ მომავალში საზოგადოებრივი სისტემისა და რეჟიმის უპირატესობის საზომი იქნება არა ავტომობილები და მაცივრები, არამედ სულ სხვა რამ. ეს საზომია თავისუფლება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ადამიანი. ჩვენ თუ მას დაეკარგავთ, — დაეკარგავთ ყველაფერს.

მეცნიერება განსაზღვრული სახით დემოკრატიულია და ვერავითარ წინასწარ მიცემულ განკარგულებებს ვერ ეგუება. მეცნიერმა თავის თავს შეიძლება ნებისმიერი კითხვის დასმის უფლება მისცეს, შეუძლია ეჭვი შეიტანოს ყოველგვარ მტკიცებაში, რადგან იგი მოვალეა იზოვოს დასაბუთება და სცადოს ყველა შეცდომის გამოსწორება. გერმანელი მეცნიერები ომის დროს იმის გაფიქრებასაც კი ვერ პბედავდნენ, რომ ჰიტლერის იმპერია შეიძლებოდა დამსხვრეულიყო და მისი ჯარისკაცე-

ბი გამოერეკათ დაპყრობილი ტერიტორიებიდან. გერმანელ მეცნიერთა მთელი გვეგები აგებული იყო იმის აბსოლუტურ რწმენაზე, რომ მუდმივად იბატონებდნენ მთელს ევროპაში.

მათ ააგეს უამრავი ქარხანა და დაიწყეს ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რომლის გადაჭრა მათ არ შეეძლოთ, და ვერც შესძლეს. მაგრამ რომელიმე გერმანელ მეცნიერს რომ თავისი ეჭვი გამოეთქვა, მას თავს დაესხმოდა მთელი ხროვა, მას გამოაცხადებდნენ კაპიტულიანტად და, მაშასადამე, საკონცენტრაციო ბანაკს ვერ ასცდებოდა. ამიტომ, დიდი ცდისა და ზოგიერთ სფეროში მშვენიერი შედეგების მიუხედავად, მათ უნდა წაეგოთ. მათ წააგეს თავისუფლების უქონლობის გამო.

გორდონ გრეი:

— რამდენად ეხება ამერიკას ყველაფერი ის, რასაც თქვენ ლაპარაკობთ?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— სამწუხაროდ, გვეხება უფრო მეტად, ვიდრე ეს თავად გესურს. მკლავნდება, მაგალითად, იმის ტენდენცია, რომ მეცნიერება მთლიანად დაექვემდებაროს სამხედრო დისციპლინას და გამოეთიშოს იმ სფეროს, რომელზედაც საზოგადოებრიობის კრიტიკა ვრცელდება. ეს საშიშია. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი კოლექტივი არაა ისე ყოვლისმკოდნე და შეუცდომელი, რომ მისი შემოქმედება არ ექვემდებარებოდეს შემოწმებასა და კრიტიკას.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6.

გამონაკლისს არც სამეცნიერო კოლექტივი წარმოადგენს. ვინ შესძლებს შემდეგ თქვას, რა ხდება ლაბორატორიებში, კეთდება იქ საერთოდ რაიმე თუ არა, თუ ფულს წყალში ყრიან, ხომ არ აწარმოებენ უკვე დიდი ხნის წინათ აღმოჩენილის კვლავ აღმოჩენას? ყოველგვარ კარჩაკეტილობას მივყავართ კონსერვაციამდე, რომელიც წარმოადგენს სისულელეს და შეცდომების მიზეზს. მეცნიერება ვერ იტანს სამხედრო დისციპლინას და თხოულობს აზრის თავისუფლებას, მაგრამ სამხედრო ორგანიზაციებს არ უყვართ ორჭოფობა. მე მინდა სწორად გამოვიგონ: მეცნიერება არ ნიშნავს მხოლოდ სკეპტიციზმს. იგი ამოწმებს არა იმისთვის, რომ მხოლოდ ეჭვი შეიტანოს... ადამიანის სულის თავისუფლების დასაცავად ყველა უნდა იყოს მზად და თუ საჭირო იქნება, ეწამოს კიდევ, ვინაიდან, სანამ ჩვენ ვიფიქრებთ იმაზე, რაც გვსურს და ვილაპარაკებთ იმას, რასაც ვფიქრობთ, ადამიანის ცხოვრების პირობები განუწყვეტლივ გაუმჯობესდება. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ თომას ჯეფერსონის ურყევი რწმენა. იგი დარწმუნებული იყო, რომ წარსულის ვერაფერითარ სიძვე ვერ გაუძლეებს შემეცნებასა და ნამდვილ განათლებას. მას სჯეროდა ადამიანისა და დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი, რომელმაც მეტი იცის, უფრო ჭკვიანად მოიქცევა და უკეთესად იცხოვრებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს თაობას უკვე აღარ აქვს ასეთი მტკიცე რწმენა, და ამან ჩვენ უნდა შეგვაწუხოს.

როჯერ რობი:

— შეიძლება თქვენ ვსურთ გახდეთ თავისუფლების საქმისათვის წამებული. თუ თქვენ ჩვენთან არ მოგწონთ, რუსეთში წადით!

რობერტ ოპენჰეიმერი:

— სიტყვები თავისუფლებაზე, რომლისათვისაც სიცოცხლის გაწირვაა საჭირო, მე კი არ გამომიგონებია, ეს თომას ჯეფერსონმა დაწერა ჯერ კიდევ 1792 წელს, იმ დროს, როცა ნაპოლეონმა გარეკა დირექტორია და დიქტატორი გახდა. იმედია, თქვენ ეჭვი არ გეპარე-

ბათ, რომ იგი ნამდვილი ამერიკელი იყო.

როჯერ რობი:

— ეშმაკსაც შეუძლია ოსტატურად მოიყვანოს ციტატი ბიბლიიდან...

რობერტ ოპენჰეიმერი:

— თუ საზოგადოების მორალი ჯანსაღი და ნორმალურია, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, თუ ვინმე ერთი მას უარყოფს. ახლა, როცა ჩვენ ათასნაირი ტექნიკური მახე და მექანიზაცია გვემუქრება, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა მოვითხოვოთ პიროვნების თავისუფლება და ბრმად და უსიტყვოდ არ უნდა დავემორჩილოთ იმას, რაც საერთოდ ითვლება სწორად და უშეველად. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა ვიზრუნოთ ადამიანზე. ჩვენ ვხედავთ ადამიანთა კავშირის ახალი ფორმების ჯიუტ აუცილებლობას. მე შეშინია იმისი, რასაც განვიცდით; ჩვენ ვცხოვრობთ სახლში და არ ვიცნობთ მეზობლებს. ჩვენ ყველა ერთმანეთისათვის უცხონი ვართ და თუმცა შესაძლოა დამცნოთ, მე ვოცნებობ საზოგადოებაზე, სადაც ბავშვები სწავლობენ ლექსებს ზეპირად, სადაც ქალები ფერხულში ჩაბმულნი ცეკვავენ, სადაც ყველა გრძნობს ხელოვნებას და მიიღებს მეცნიერებისაკენ. არ შეიძლება უარყოთ ის, რომ მსოფლიო ღებულობს არაორგანულ ხასიათს...

ჩვენ ძალზე არათანასწორნი ვართ საიმისოდ, რომ ერთად ცხოვრება შეგვეძლოს. მხატვარი სრულიად მარტოა, ხოლო მეცნიერი უკმაყოფილოა იმით, რომ არავინ არ იწუხებს თავს იმის შესასწავლად, რის სწავლებაც მას შეუძლია. წინათ ჩვენ არასოდეს დაგვეჭირვებია ასე დაბეჯითებით გვეძებნა საზოგადოების თანაარსებობის ახალი ფორმები. არასოდეს არ მდგარა ასეთი საშიშროების წინაშე მარადიული და ნამდვილი ხელოვნების შინაგანი კეთილშობილება, ხელოვნების ბედი, იუმორი-

იაროსლავ პუტიკი
სინდისი



სა და სილამაზის შენარჩუნების საჭიროება.

თო მას მორგანო:

— თქვენი აზრით, რა იყო საჭირო იმის გასაკეთებლად, რომ საქმე აქამდე არ მისულიყო?

როჯერ რობი (წამოიყვირებს):

— ის ჩვენში კომუნისტების შემოტანას მოინდომებდა!

რობერტ ოპენჰეიმერი:

— ჩვენ უნდა ვეცადოთ შევექმნათ ხელსაყრელი შემოქმედებითი ატმოსფერო. ჩვენ უნდა თავიდან ავიშოროთ გულჩახვეულობა და უფრო მეტად ვენდოთ ადამიანებს. ჩვენ შეგნებულად უნდა ვებრძოლოთ ყველაფრის გასაიდუმლოებას, რომელიც თავს იჩენს ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმში.

ჩემი წარმოდგენით, უპირველესად ყოვლისა უნდა ავამაღლოთ საყოველთაო განათლების დონე. ამისათვის ყველაფერი კარგია: ბეჭდვითი სიტყვა, ლექსები, ტელეხედავა, პოპულარული უბელჟაკია. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ უფრო გაიზრდება ის უფსკრული ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც გადის არა მარტო მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არამედ ხელმძღვანელებს და არახელმძღვანელებს შორისაც... მე არ ვიცი რა მოხდება, როცა ჩვენს მრეწველობაში საბოლოოდ სრულ ავტომატიზაციას მივალწევთ. მე კი ეჭვი არ მეპარება ამ თანამედროვე საწარმოო მეთოდების გამარჯვებაში. ეს მხოლოდ დასაწყისია. მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ წარმოების ახალ ორგანიზაციას ექნება გადაწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. და მე, სამწუხაროდ, უნდა განვაცხადო: ეს ისეთი გავლენა არ არის, რომელსაც დემოკრატიული ურთიერთობის განვითარებისაკენ მივყავართ. მე მგონია, მეცნიერების არისტოკრატიული ხარისხის მსგავსებას პოულობს მთელი საზოგადოებრივი წყობის იერარქიაში. ისახება ისეთი საზოგადოების შესაძლებლობა, რომელიც დამყარებულია ნა-

ხევრად გასამხედროებულ იერარქიაზე, რომელსაც უხელმძღვანელებდა რაღაც გენერალური შტაბი, შექმნილი ერთო მუშა მეწარმეებისაგან, ბიზნესმენი ადმინისტრატორებისაგან და მაღალკვალიფიციური მეცნიერებისაგან. მას დაექვემდებარებოდა სპეციალისტების უფრო ფართო რაზმი, რომელიც გადაწყვეტდა განსაზღვრულ საკითხებს და ეს იქნებოდა ყველაფერი. რა მოუვათ ჩვეულებრივ ადამიანებს, მე ვერ წარმომიდგენია. რასაკვირველია, შემცირდება მოთხოვნა კვალიფიციურ მუშებზე. ესე იგი დაიწყება ტენდენცია, რომლის საწინააღმდეგოც აქამდე მცადებდებოდა...

როჯერ რობი:

— თქვენ ყოველთვის ვაიწყებდით, რომ უნივერსიტეტის კათედრასთან კი არ იმყოფებით, არამედ უშიშროების კომიტეტის წინაშე. ნუ გაუხებთ თქვენ ამერიკის მომავალი, ბატონო ოპენჰეიმერი. ერთხელ ამში უკვე შეგპარათ ეჭვი და შველისათვის კომუნისტებს მიმართეთ, მაგრამ ამერიკა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ თქვენ ელოდით. თქვენ კვლავაც შემცდარი აღმოჩნდებით. მე მჯერა ჯონ ფორდისა, რომელიც მიესალმა ავტომატიზაციას და განაცხადა, რომ ამერიკა დგას ოქროს მომავლის კარიბჭესთან. ამ მომავალს რომ მივალწვით, საჭიროა გვეკონდეს რწმენა და არ მივეცეთ ყოვლის მომსაბოზ სეკუბტიციზმს, რასაც თქვენ აქ უსირცხვილოდ უწევთ პროპაგანდას. თქვენ ნამდვილი პესიმისტი ხართ. ეს კი ამერიკისათვის სრულიად უცხოა.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— მე არ დავფიქრებდებარ იმას, ოპტიმისტი ვარ თუ პესიმისტი. მაგრამ არ ვფარავ, მე მაწუხებს კაცობრიობის მომავალი. მაშინებს გულგრილობა ადამიანებისა, რომლებიც ცხვრებს ჰგვანან. მაშფოთებს ის ამბავი, რომ ხალხს სრულიად არ ესმის საშიშროება, რაც ჩვენს საუკუნეს თან მოაქვს. ვშოშობ. რომ ამას ისინი ძალზე გვიან გაიგებენ. და ხშირად ვიგონებ ლისტენბერგის გო-

ნებაშავილურ აფორიზმს, რომელიც ამბობდა: ადამიანი ცოტას სწავლობს გამოცდილებით, იმიტომ, რომ ყოველი ახალი სისულელე მას ახალი სახით ეხატებაო. მთავარი პრობლემა არა ატომური ენერგია, არამედ ადამიანის გული. მე მაძრწუნებს, რომ ასე სწრაფად ეცემა მორალური დონე. უკვე არავის აღარ ეჩვენება საშინელებად, როცა მთელ ქალაქებს სპობენ...

გორდონ გრეი:

— მაგრამ საჭიროა მინც დაუბრუნდეთ ჩვენს საქმეს. ბატონო პროფესორო. თქვენ უნდა აგეხსნათ ჩვენთვის „ვისტის პროექტში“ თქვენი მონაწილეობა.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— ბორის პახმა, ჩვეულებისამებრ, გაახვიდა ჩემი როლი ამ პროექტში და უაღრესად შავი ფერებით დამხატა. მე ვიყავი პროექტის ერთ-ერთი წამყვანი მუშაი, მაგრამ სრულიადაც არ ვყოფილვარ მისი მთავარი ავტორი. მაგრამ არ ვმაღავ, — მე წინააღმდეგი ვარ, რომ შეერთებული შტატების თავდაცვა დაფუძნებული იყოს სტრატეგიული ბომბარდირებით მტრის დამონების იდეაზე.

გორდონ გრეი:

— რატომ ხართ თქვენ ამის წინააღმდეგი? მორალური მოსაზრებებით?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— დიახ. მე ატომური ბომბარდირება უწინეობად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ არ მოინახება მისი გამამართლებელი მიზეზები. წინააღმდეგი ვარ სამხედრო აუცილებლობის თვალსაზრისითაც...

გორდონ გრეი:

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ ამერიკის თავდაცვა?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— როგორც თქვენ იცით, მე „ვისტის პროექტში“ ვთავაზობდი, რომ ჩვენ უპირველესად ყოვლისა გაცვეთიარებინა თავდაცვითი საშუალებები და არა ის, რაც განკუთვნილია თავდასხმისათვის. ამის წყალობით შევძლებდით რუსებისათვის მოგვესპო იმის საშუალება, რომ თავი ემართლებინათ: მხოლოდ ვიმეორებთ იმას, რასაც თქვენ

სჩადიხართო. მხოლოდ ამგვარად შეგვეძლო შეგვექმნა ატმოსფერო, რომელშიაც შესაძლებელი შეიქნებოდა ჩატარებულიყო კონფერენციები და მოქმენილიყო ახალი გზები საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. ხომ არ შეიძლება, რომ ეს უსასრულოდ გაგრძელდეს. შეეცადეთ ჩაუფიქრდეთ ყოველგვარი ილუზიების გარეშე, როგორია რეალური მდგომარეობა დღეს, რა ხდება, სიცოცხლე შემოფარგულია მხოლოდ არსებობით და სიკვდილის მოლოდინით... ყოველი მოქმედება განისაზღვრება მხოლოდ ერთი დღით, რომელიც შეიძლება აღსასრულის დღე გახდეს. ადამიანს ეჩვენება, რომ იგი არაარაობაში მიდის... ჩვენ ეს არ უნდა დაუშვათ. სინდისი მეუბნება, რომ ჩვენ ვერ უნდა გავბედოთ ამის გაკეთება. კაცობრიობას არასოდეს არ ჰქონია მეტა პასუხისმგებლობა. ეს ალბათ საცხებით გასაგები არ არის, მაგრამ მე მხედველობაში მყავს არა მთელი კაცობრიობა, არამედ, უპირველესად ყოვლისა, მეცნიერები, რომლებმაც ვიცით რაშია საქმე. მე მხედველობაში მყავს პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც აქვთ წარმოდგენა თავიანთი მოქმედების მნიშვნელობაზე...

როჯერ რობი:

— ჩვენი მთავრობისა და ჩვენი პრეზიდენტისათვის უკეთესადაა ცნობილარუსების ჩანაფიქრი, ვიდრე თქვენ გგონიათ, და მათ იციან, რომ რუსებთან ვერ იბრძოლებს სხვაგვარად, თუ არა ძალით, ძალით და კიდევ ერთხელ ძალით. ეს ერთადერთი არგუმენტია, რომელსაც ისინი პატივს სცემენ. ძალზე საკვირველია, ბატონო ოპენჰეიმერ, რომ თქვენი შეხედულებები ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე მთლიანად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ფიქრობენ ჩვენი წამყვანი მოღვაწეები. თქვენ ამას სერიოზულად უნდა დაფიქრებოდით!

რობერტ ოპენჰეიმერი:

— მეც ამერიკელი ვარ და ვიცი, რომ

იაროსლავ პუტიკი

სინდისი

ასეთივე აზრისაა ბევრი ამერიკელი. მე ვფიქრობ, რომ ნამდვილი ამერიკელი არ შეიძლება იყოს ამ ქვეყნის საუკუნობრივი იდეალების წინააღმდეგი, იდეალებისა, რომლებმაც ამერიკიდან ამერიკა შექმნეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გულში ჩამივარდა ბიბლიური წინასწარმეტყველება, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაზედაც ჩვენ ახლა ვკამათობთ: „და თანად დასკრიდენ მახვილებსა მათსა სახნისად და ლახვრებსა მათსა მანგლად“...

როჯერ რობი:

— გულითად მადლობას გიძღვნით ქვეყნის სასწავლებელი მორალისათვის. მაგრამ თქვენ მაინც უნდა მიპასუხოთ, რატომ განსხვავდება პრინციპულად თქვენი შეხედულებები იმ ადამიანთა შეხედულებებისაგან, რომლებიც ამ ქვეყანას ხელმძღვანელობენ. თქვენ არ აგისხნიათ ჩვენთვის არც ის, თუ როგორ შეგეძლოთ პატიოსნად გემსახურათ ამერიკისათვის მაშინ, როცა თქვენი შეხედულებები კარგსა და ცუდზე მთლიანად განსხვავდება ნამდვილი ამერიკელების აზრებისა და გრძნობებისაგან.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— არა მგონია, ჩემი შეხედულებები განსხვავდებოდეს ამერიკელების აზრებისაგან, მაგრამ ასეც რომ იყოს, მე არ ვიცი, რა უკანონობა ჩავიდინე ამით.

როჯერ რობი:

— არ იცით? ამას მე აგისხნით: იმით, რომ თქვენ შეგეძლოთ და მაინც სათავეში არ ჩაუდექით წყალბადის ბომბის წარმოებას, თქვენ ხელი შეუწყვეთ იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე ძვირფასი წელი დაკარგა. თქვენ პასუხს აგებთ ჩვენი ქვეყნის შესაძლო დამარცხების გამო. ეს კი საშინელი პასუხისმგებლობაა!

რობერტ ოპენჰეიმერი:

— თქვენ რამდენადმე აჯარბებთ ჩემი პიროვნების შეფასებას. მე არ შემეძლო მქონოდა ასეთი გავლენა. რომც დავუშვა, რომ მართალი ხართ, არაფერი არ შეიცვლებოდა იმაში, რაც მე უკვე ვთქვი. რუსები ჩვენ მაინც დაგვეწეო-

დნენ რამდენიმე წლის შემდეგ. რახან მათ შესძლეს გამოეყენებინათ ატომის გახლეჩა, ისინი წყალბადის ბომბსაც შექმნიდნენ და ბევრ სხვა რამესაც.

როჯერ რობი:

— ამას თქვენ ახლა ლაპარაკობთ, ოდესღაც კი სულ სხვას ამტკიცებდით. ჩვენს სხვა მეცნიერებთან ერთად თქვენ არწმუნებდით და სამწუხაროდ დაარწმუნეთ კიდევ სახელმწიფო მოღვაწეები, რომ ჩვენ უპირატესობა გვექნება დაახლოებით 20 თუ არა, 10 წლის მანძილზე მაინც. ჩვენი ხელმძღვანელები რომ სწორად ყოფილიყვნენ ინფორმირებული, ისინი არ დაუშვებდნენ ამ საშიშროებას — რუსების კონკურენციას.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— როგორც მე ვავიგე, თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფრის შეცვლა პრევიანტულ ომს შეეძლო. მე ვფიქრობდი ასეთ შესაძლებლობაზე, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პრევიანტული ომი არაფერს არ შესცვლიდა ამ გარემოებაში... ჩვენ ვაგაყეთეთ ყველაფერი, რომ გაგვემარჯვებინა ძალით, ბატონო რობ, მაგრამ ვშიშობ, რომ თითქმის არაფერი გაგვიყეთებია, რათა მოგვეპოვებინა ეს გამარჯვება მშვიდობიანი გზით.

თომას მორგანი:

— თუ მე სწორად ვავიგე თქვენი ჩვენება, თქვენ გვარწმუნებთ იმაში, რომ არასოდეს არ გაგიკეთებიათ ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების ინტერესებს.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— თქვენ სწორად გამიგეთ. ბატონი რობი და ბორის პახი, ეტყობა, სხვა აზრისანი არიან. ისინი სთვლიან, რომ ჩვენი ქვეყნის უშიშროებას ემუქრება ყველა, ვინც ეყრდნობა საკუთარ შეხედულებებს, ან ის, ვისი შეხედულებებიც მთლიანად არ ემთხვევა ოფიციალურ აზრს. ისინი მოითხოვენ სრულ დამთხვევას, მაგრამ ესეც ცოტაა: ისინი მოითხოვენ აღფრთოვანების გამოთქმას.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით, მაშინ მე, რასაკვირველია, არაფრად არ ვვარგვიარ...

გორდონ გრეი:

— ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც თქვენ გასურთ?..

რობერტ ოპენჰეიმერი:

— დიახ.

გორდონ გრეი:

— არის კიდევ შეკითხვები?

თომას მორგანი:

— სთვლით თუ არა თქვენ, რომ მთავრობამ გაწყენინათ?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— სრულიადაც არა. მე მთლიანად ვეთანხმები მაკიაველს, რომ უმადურობა — ეს ხელმწიფის მთავარი მოვალეობაა.

დოქტორი უორდ ივენსი:

— მე სრულიად დაკმაყოფილებული ვარ პროფესორ ოპენჰეიმერის ჩვენებით და ვფიქრობ, რომ მისი ლოიალობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

თომას მორგანი:

— მე არა მაქვს შეკითხვები.

როჯერ რობი:

— რას გეუბნებათ თქვენ თქვენი სინდისი, ბატონო პროფესორო?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— მე შევასრულე ჩემი მოვალეობა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი. სავალდებულო არაა იცოდეთ ქვანტური მექანიკა და შეისწავლო პლატონი, რომ იცოდეთ, როგორ იმოქმედო და რა გაბედო. ეს ყველამ იცის, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ძალზე ხშირად მივიღტვით დროებითი სარგებლისაკენ და გვეშინია, პირველები გამოვიდეთ რიგებიდან, თუნდაც ვხედავდეთ, რომ ბრბო დაღუპვისაკენ მიდის...

გორდონ გრეი:

— გამაღობთ. შეკითხვები ხომ არ არის?

(უწიშროების კომიტეტი სათათბიროდ გადის).

Who's who

არიან განთქმული ადამიანები, რომელთა დიდების შესახებ თანამედროვენი იგებენ მხოლოდ შემთხვევით, როგორც წესი, მათი სიკვდილის შემდეგ, როცა უეცრად გამოირკვევა, რომ მოხუცი, ოდნავ უცნაური ბატონი, რომელიც სისტემატურად დაატარებდა სასეირნოდ ბატარა ძაღლს, იყო, მაგალითად, სტრატოსფეროში გაფრენის კანონების პირველადმოჩენი. რობერტ ოპენჰეიმერი გამოჩენილ ადამიანთა სხვა წყებას ეკუთვნის. იგი იმ ბედნიერი უმცირესობიდანაა, რომლებიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში არიან აყვანილნი ზეადამიანურ სიმაღლეზე. მასზე ყოველთვის დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი და ატომურ კომისიაში ოდესღაც ყოვლის შემძლე დავით ლილიენტალი. მან ოპენჰეიმერზე თქვა: „ჩემთვის ცნობილ ყველა გენიალურ ადამიანს შორის მხოლოდ ის იყო ნამდვილი გენიოსი...“ ძლიერნი ამა ქვეყ-

ნისა ქედს იხრიდნენ მის წინაშე და პატივს სცემდნენ მას.

მას ბევრი აკადემიური დიდებაც ხვდა წილად. ოპენჰეიმერს მრავალგზის მიენიჭა ამერიკული და ევროპის ინსტიტუტების მეცნიერებათა დოქტორის საპატიო დიპლომი...

მაგრამ იმ ჯილდოებს შორის, რომლებიც ოპენჰეიმერს აკლია, არის ერთი — მისთვის ყველაზე სასურველი — ნობელის პრემია. შვედები აჯილდოებდნენ ყოველ ამერიკელ მეცნიერს, თუკი ამ დაჯილდოების ახსნა როგორმე იყო შესაძლებელი. ოპენჰეიმერისათვის, მიუხედავად დიდი სურვილისა, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო: ოპენჰეიმერს, ცნობილს, როგორც მსოფლიო სპეციალისტს ატომგულის ფიზიკაში, არ გაუკეთებია არც ერთი აღმოჩენა, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა ექნე-

იაროსლავ პუტიკი
სინდისი



ბოდა. მისი მუშაობა ატომურ ბომბზე შემოქმედებით-სამეცნიერო ხასიათზე უფრო ორგანიზაციულ ხასიათს ატარებდა. მის დასახურებას მიაწერენ იმას, რომ მან პირველმა გამოიანგარიშა ატომური ბომბისათვის საჭირო გასახლეჩი მასალის რაოდენობა. მან აგრეთვე შეიმუშავა ელექტრომაგნიტური მეთოდი იშვიათი ურანის C-235 მონაშრობლად ჩვეულებრივი ურან C-238-დან. ოპენჰეიმერის მეთოდმა შექმნა გასახლეჩი მასალების სასაქონლო წარმოების საშუალება. მისი სხვა აღმოჩენები აქამდე წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი თეორიული აღმოჩენა.

ექვს გარეშეა, ლოს-ალამოსის სამეცნიერო შტაბში იყენენ ოპენჰეიმერზე დიდი, უფრო მნიშვნელოვანი მეცნიერები. ატომური ლაბორატორიის დირექტორის თანამდებობაზე ოპენჰეიმერის დანიშვნისას, როგორც ჩანს, სამეცნიერო კვალიფიკაციის გარდა სხვა მიზეზებმაც ითამაშა როლი.

ალბათ ამას ძალზე შეუწყო ხელი მისმა მართლაც და არაჩვეულებრივმა მომხიბვლელობამ, რასაც, ბორის პასიკა და მისი წრის ხალხის გამოკლებით, ოპენჰეიმერის პირადი მტრებიც კი აღიარებენ. გამხდარი, ტუბერკულოზური, არაჩვეულებრივად ნერვიული ოპენჰეიმერი სიგარეტს სიგარეტზე ეწევა და მზადაა დაეხმაროს ყველას, გულითადი საუბარი გააბას ყველასთან რა საკითხზეც გნებავთ. ის ახლობლების უბედურებას გამოხატავს გულწრფელი თანაგრძნობით და სტუდენტების სათაყვანებელი კერპია. მისი ლექციები მუდამ იზიდავს აურაცხელ მსმენელს, რომლებსაც იმდენად მათემატიკური ამოცანები კი არ აინტერესებთ, რამდენადაც ოპენჰეიმერის მიერ ლექციების წაკითხვის გონებამახვილური ხერხი და მისი განსაკუთრებული უნარი ადვილად ახსნას თანამედროვე ფიზიკის ყველაზე რთული საკითხები. ყველა ერთხმად ლაპარაკობს, რომ ოპენჰეიმერის ინტელექტი პრაქტიკულია, რომის სწორად და ძალზე სწრაფად სწყვეტს ურთულეს ამოცანებს.

თუ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მიზეზებს, რომელთა წყალობითაც სწორედ ოპენჰეიმერს, და არა სხვას, დაავალეს ეს საქმე, ჩვენ უნდა ვაღიაროთ ლუის სტრაუსის სიმართლე — გადაწყვეტი იყო ის გარემოება, რომ ოპენჰეიმერი ამერიკელია. ევროპიდან ჩამოსულ ემიგრანტებს შორის ბევრი ტალანტი იყო, მაგრამ არ შეიძლებოდა უცხოელისათვის ასეთი საპასუხისმგებლო პოსტის ნდობა. ამას არ დაუშვებდა არც კონგრესი და არც ამერიკის საზოგადოებრიობა. ერთმა მომენტმაც ითამაშა აქ როლი: ოპენჰეიმერი წარმოშობით ამერიკული ბურჟუაზიის უმაღლესი წრეებიდან იყო. იგი მილიანად მათი კაცი იყო. რობერტ ოპენჰეიმერმა, მილიონერის შვილმა, აირჩია სამეცნიერო კარიერა და ბოლოს და ბოლოს გამოჩენილი მეცნიერი გახდა. ეს, ამერიკის პირობებში, მისი ერის ადამიანებისათვის ძალზე იშვიათია...

პატარა რობერტი ცხოვრობდა კარგად და უდარდელად: „ჩემმა ბავშვობამ — ლაპარაკობდა იგი — მე სრულებითაც ვერ მომამზადა ცხოვრების მწარე და ძნელი ეპიზოდებისათვის“. დედის გავლენით ახალგაზრდა რობერტის ინტერესები მიმართული იყო ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნებისაკენ. მან ძალიან ჩქარა დაიწყო ფრანგულად ლაპარაკი, უფრო მოგვიანებით შეისწავლა ლათინური და ბერძნული. იგი დედანში კითხულობდა ვირგილიუსს, ჰორაციუსსა და ცეზარს ისევე კარგად, როგორც ჰომეროსსა და პლატონს. როგორც ყველა ახალგაზრდამ, მანაც დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ არა ინგლისურად, არამედ ფრანგულად!..

სტუდენტობის წლები რობერტმა პარეარდის უნივერსიტეტში გაატარა. იქ მან დამოუკიდებლად დაიწყო ანტიკური და ევროპის ლიტერატურათა შესწავლა. იგი განაგრძობდა ლექსების

წერას, მაგრამ სულ უფრო და უფრო ინტერესდებოდა მეცნიერებით. 1925 წელს, სამი წლის სწავლის შემდეგ, მან დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი, როგორც მოსალოდნელი იყო, წარჩინებით „summa cum laude“. ის ოცდამეერთე წელში იყო, და მამამ სრულწლოვანების დღეს ათეულ ათასობით დოლარი აჩუქა. რობერტს ამ ფულით არ უყვოდა არც ავტომანქანა, არც იალქნიანი ნავი, არც ვეფხვების დასაჭერად გამგზავრებულია, არც მსოფლიოს გარშემო უმოგზაურია. მან ეს ფული გამოიყენა იმისათვის, რომ სრულყო თავისი განათლება. მან ადვილად მიიღო ადგილი კემბრიჯში, სადაც გაეცნო XX საუკუნის ყველა უდიდეს ფიზიკოსს: მაქს ბორნს, პოლ დირაკს და ნილს ბორს. კემბრიჯში მან მოისმინა პირველი ლექციები ატომის თეორიაში. როგორც მისი ამხანაგები ამბობენ, მან მიიღწია კარგ შედეგებს თეორიულ ნაშრომებში, მაგრამ სრულიად ჩაფლავდა ლაბორატორიულ პრაქტიკაში. ამ ჩავარდნამ და დეპრესიამ იგაციინალამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა...

იხმო თუ არა მაქს ბორნმა, რობერტი მაშინვე გაემგზავრა სასწავლებლად გოტინგენში. შემდგომ ის სწავლობდა ლეიდენსა და ციურიხში. 1929 წელს ოპენჰეიმერი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა...

ახალგაზრდა, ნიჭიერი, უკვე ცნობილი ფიზიკოსით ერთდროულად დაინტერესდა ამერიკის ათი უნივერსიტეტი. ოპენჰეიმერმა გადაწყვიტა ემუშავა კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში. კითხვაზე, რატომ აირჩიე სწორედ ბერკლიო, მან უპასუხა: „მე მიმიზიდა რამდენიმე უძველესმა წიგნმა, — უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის XVI და XVII საუკუნის ფრანგი პოეტების კოლექციამ გადაწყვიტა ყველაფერი“.

ის ასწავლიდა ბერკლსა და ახლომდებარე პასადენში და განაგრძობდა ძველებურად ცხოვრებას: უსასრულოდ ბევრს კითხულობდა და სწავლობდა ენებს (მათ შორის სანსკრიტსაც), უკეთ იცოდა ინდური მეცნიერე-

ბები, ვინემ ის, თუ რა ხდებოდა უნივერსიტეტის გარეთ. რეალური სამყაროდან ეს ჩამოშორება იმდენად თვალსაყვი იყო, რომ თვითონ პროფესორები ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც სხვა საუკუნეში მცხოვრებ ადამიანზე.

პირველი შეძრწუნება, რამაც მყუდროება დაურღვია მას, გერმანიიდან მიღებულ წერილებთანაა დაკავშირებული. ეს იყო საშინელი ცნობები, მიღებული იმ ნათესავებიდან, რომლებმაც დევნა და ნაციტური რეჟიმის სისასტიკე განიცადეს. მეორე დარტყმა მიმართული იყო შიგნიდან, როცა უოლსტრითის ქარიშხალმა წყნარ ბერკლიმდე და პასადენამდეც კი მიიღწია. სტუდენტები, რომლებსაც იგი სიამოვნებით ესაუბრებოდა მშვიდობასა და სრულ ჰარმონიაზე, ან საერთოდ ვერ შოულობდნენ სამსახურს, ან, თუ შოულობდნენ, იღებდნენ ძალზე მცირე გასამრჯელოს. კალიფორნიის გზებზე დამშუულთა პროცესიები მოედინებოდა. ამ მოვლენებმა ძლიერ იმოქმედა ოპენჰეიმერზე. იმ მომენტში, როცა მან გაიგო, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადამიანის ბედნიერებას შორის, იგი მოიკცა სურვილმა შეესწავლა სოციალური მეცნიერებები. მან გადაიკითხა ყველაფერი, რაც დაწერილა ამ პრობლემებზე, და მარქსიზმამდე მივიდა. როგორც მისი ჩვენებებიც ადასტურებენ, მარქსისტი ის არასოდეს არ ყოფილა, მისი შეხედულებები უკეთეს შემთხვევაში ლიბერალურად და რეფორმისტულად შეიძლება ჩაითვალოს.

გარდატეხის შემდგომ წერტილს მის ცხოვრებაში წარმოადგენდა შეხვედრა ეანა ტოტლოკთან, რომელმაც, რასაკვირველია, მასზე მეტი გავლენა მოახდინა, ვიდრე მან ეს უშიშროების კომიტეტის წინაშე აღიარა. ოპენჰეიმერი განდა „თანამგზავრი“ და შეიძლება დავუშვათ, რომ ამ თავის ახალ როლს

იაროსლავ პუტიკი
სინდისი



ისეთივე გატაცებით ასრულებდა, როგორცაა წინათ სწავლობდა სანსკრიტსა და ფრანგ პოეტებს. დიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც ოპენჰეიმერს უნდა ეთამაშა ისეთი როლი, რაც მას არც კი დასიზმრებია. დიწყო გათამაშება ისტორიისა, რომლის პერიპეტეიბსაც უშიშროების კომიტეტის სხდომების მასალებიდან შეიძლება გავეცნოთ.

ოპენჰეიმერზე ისე ბევრი ითქვა, რომ მკითხველმა შეიძლება იკითხოს: მაინც სად არის სიმართლე, ვის უნდა დაეუჯეროთ, პახსა და სტრაუსს თუ ივენსსა და ოპენჰეიმერს? იქნებ ყოველი მათგანი მართალია, ან შეიძლება ჭეშმარიტება სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ!

ძალზე ძნელია ოპენჰეიმერის პორტრეტის დახატვა ფუნჯის ერთი მოსმით. ძნელი განსასჯელია—კარგია თუ ცუდი მისი ნამოქმედარი, საერთოდ პრინციპულია თუ არა იგი, პროგრესულია თუ რეაქციული. მაგრამ ოპენჰეიმერის სახე და მისი საქციელი გაცილებით სიმპათიურად გამოიყურება, ვიდრე მისი მთავარი მოწინააღმდეგის ედუარდ ტელერისა, სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მთელი გულით მივენდოთ მას და გამოვხატოთ მისდამი სრული სიმპათია. არ შეიძლება დაგვაკმაყოფილოს იმანაც კი, რომ ოპენჰეიმერი შეაწუხა სინდისმა. ეს ძალზე ცოტა რამაა, თუ მას მოქმედებაც არ მოსდევს.

ოპენჰეიმერის წარსულს უმკვლავად შავ ლაქად ამჩნევია შევალის საქმე. ოპენჰეიმერმა ვერ შესძლო უარეყო უშიშროების კომიტეტის წინაშე ბორის პახის სიმართლე. ოპენჰეიმერმა მართლაც ვასცა მეგობარი და, როგორც არ უნდა განვიხილოთ ჩვენ ამ მოქმედების მოტივები, მაინც ვერ ვიპოვნით გამამართლებელ საბუთს. ამის ერთადერთი მიზეზი იყო ოპენჰეიმერის შიში, რომ დასრულდებოდა მისი კარიერა...

გაუგებარია თანა ტოტლოკის თვითმკვლელობის მოტივებიც. შესაძლოა მან ვერ გადაიტანა ის ამბავი, რომ გული გაუტუდა ოპენჰეიმერზე. რასაკვირ-

ველია, არ შეიძლება მოვიხსოვოთ, რომ ოპენჰეიმერმა თავისი თავის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს. მაგრამ ჩვენ სინამდვილესთან ახლოს ვიქნებით, თუ დაუშვებთ, რომ პირადი დანაშაულის ამ შინაგანმა გრძობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მის შემდგომ საქციელზე.

ბორის პახი — ინტრიგების ეს მეფისტოფელისებური ხელოვანი — მართალია, როცა ამბობს, რომ ოპენჰეიმერმა ამ ღალატით დასწვა უკან დასაბრუნებელი ყველა ხიდი, რომ მომავალში ის იძულებული იქნება ყოველ გადამწყვეტ მომენტში ამერიკულ რეაქციას ემსახუროს...

ომისშემდგომ პერიოდს კიდევ ბევრი რამის გამოსწორება შეეძლო. ოპენჰეიმერი მიხედა ამას და ამიტომ ცდილობდა წასულიყო ლოს-ალამოსიდან და დაეწყო ახალი ცხოვრება. მაგრამ საამისო ძალა არ შესწევდა. მას თავბრუ დაახვია დიდებამ. მალე მეცნიერიდან გადაიქცა პატივმოყვარე პროფესიონალ პოლიტიკოსად...

კონფლიქტი, რომელიც შემდგომში მოხდა, ოპენჰეიმერის პოზიციის შეგნებულ შეცვლაზე არ იყო დამოკიდებული. თუმცა ის მართლაც არასოდეს არ ყოფილა წყალბადის ბომბის მომხრე და ექვე ეპარებოდა ამერიკის პოლიტიკის სისწორეში, მაგრამ ეს იყო შინაგანი უთანხმოება, რის საზოგადოებრივ გახმაურებასაც იგი ყოველთვის ერიდებოდა, და თუ მაინც გახმაურდებოდა, მაშინ ოპენჰეიმერი ისე ფრთხილობდა, რომ ბორის პახი ტყუილად ცდილობდა ეპოვა ბრალდების დასაბუთება. ოპენჰეიმერზე თავდასხმა სხვა მხრიდან მოხდა. ამერიკულ პოლიტიკაში წარმოიშვა ახალი რეაქციული ძალები, რომელიც გამოიწვია „ციემა ომმა“. ეს პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ რამდენიმე წლის მანძილზე რუზველტის რეფორმისტული იდეალები თითქმის სახელმწიფოს ღალატად იქცა, და ყველა, ვინც მას გარს ეხვია, ნელ-ნელა გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან. ოპენჰეიმერიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა

და უკვე ამისათვის მას ეჭვით უყურებდნენ. სენატორი მაკარტი, რომელიც კომუნისტობაში ამერიკის მთავრობის წევრებსაც კი ადანაშაულებდა, ძალზე განრისხდა, როცა გაიგო, რომ ოპენჰეიმერს წარსულში კომუნისტებთან რაღაც კავშირი ჰქონდა. მან დაიწყო ისტერიული დევნა. მაგრამ იგი დამარცხდებოდა, მისი ამ თავდასხმებით დანტერესებული რომ არ ყოფილიყვნენ ყველაზე მძლავრი მონოპოლისტური ჯგუფები, რომლებიც მიისწრაფვოდნენ წყალბადის ბომბის წარმოებისაკენ. ყველაფერი მომზადებული იყო. საჭირო იყო მხოლოდ ხელსაყრელი საბაზის პოვნა. ოპენჰეიმერის საქმე გაჩნდა იმ დროს, როცა ამერიკამ დაიწყო ძალის პოლიტიკის თვალსაჩინო დამარცხებათა მიზეზების კვლევა. უნდა დაემტკიცებინათ, რომ ყველაფერში დამანაშავენი არიან მეცნიერები, რომლებიც არ იჩენენ საკმაო ენთუზიაზმს ამერიკის პოლიტიკისადმი. მოელოდნენ, რომ ეს პროცესი გასტეხდა მეცნიერული სამყაროს წინააღმდეგობას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მიმართული იყო ატომგულის იარაღის წარმოებისა და გამოცდის წინააღმდეგ. საჭირო იყო დევნა და ისტერიული განწყობილებების შექმნა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებდა ატომური კომისიის მუშაობის უშიშროებისა და ვასაიდუმლოების ღონისძიებებს. საჭირო იყო, კიდევ უფრო მაგრად ამოედოთ ლავამი ინტელექტუალური ცხოვრებისათვის.

ოპენჰეიმერი თავისი სურვილით არ გამხდარა გმირი. პროცესზე გამოსულ-

თავან არავის არ შეუმჩნევია, რომ ოპენჰეიმერს მხოლოდ მაშინ დაუწყო სინდისმა ქენჯნა, როცა იგრძნო, რომ კარგავს ყოვლისშემძლე მხარდაჭერას, რასაც ასე იყო მიჩვეული და შეწყობილი. მანამდე კონფლიქტს არ ჰქონდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ოპენჰეიმერი არ ჰგავს ისეთ გმირებს, როგორიცაა იან ჰუსი ან ჟანა დ'არკი. მას არა აქვს ეოლიო კიურის პროგრამა, ეინშტეინის ან სცილარდის პათოსი. ის უფრო მეტად დრეიდფუსს ჰგავს, რომელიც, მიუხედავად ერთგულად სამსახურის სურვილისა, მაინც დაემობილა და უარყოფილი იქნა.

ოპენჰეიმერი მიხვდა, რომ მას დასაკარგი არაფერი ჰქონდა, შეძენა კი ყველაფრისა შეეძლო. იგი მიხვდა, რომ მისთვის აზრი არ ჰქონდა სტრატუსის კომპრომიისული წინადადების მიღებასა და საკუთარი ნებით უკან დახევას — ამას მის საწინააღმდეგო საბუთად გამოიყენებდნენ. მან იგრძნო, რომ იმის გარდა არაფერი დარჩენოდა, რომ ბოლომდე ებრძოლა და ბრძოლაში გაეღო ყველაფერი — თავისი ინტელექტუალური ძალა, მოქნილობა, ნაცნობობა, მკვერმეტყველება, რათა დამარცხება გამარჯვებად გადაექცია. ის მარტო არ იბრძოდა, საუკეთესო ამერიკელი მეცნიერები მის მხარეზე იყვნენ. მან ერთა ხელის მოსმით დაიბრუნა უკან ის, რაც დაჰკარგა; მან მიიღწია უფრო მეტს, ვიდრე თვითონ ელოდა: წავიდა მორალურად გამარჯვებული.

ოპენჰეიმერის საქმე ოჯახური უსიამოვნებიდან მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

დასკვნა

პროცესმა თითქმის ოთხი კვირა გასტანა. ამის შემდეგ უშიშროების კომიტეტი ძალიან დიდხანს თათბირობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განაჩენი ერთხმა არ იყო. ვინაიდან უშიშროების კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება ხმის უმრავლესობით, როგორც ეს თათბირის დროს ხდება, ბოლოს და ბოლოს ჩამოყალი-

ბებული იქნა ორი სრულიად განსხვავებული დასკვნა. გორდონ გრეიმ და თომას მორგანმა წარმოადგინეს უმრავლესობის გადაწყვეტილება. დოქტორ უორდ ივენსმა კი ჩამოაყალიბა დასკვნა უმცირესობის, ესე იგი თავისი სახე-

იაროსლავ პუტიკი
სინდისი

ლით. როგორც რობსა და სხვებს ხმის უფლება არ ჰქონდათ.

უმრავლესობის გადაწყვეტილებაში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ჩვენთვის უკვე ცნობილი მოვლენები და ფაქტები, სადაც არაფერია ახალი ან ჩვენთვის უცნობი...

უშიშროების კომიტეტმა არ გაიზიარა ბორის პახისა და, ერთგვარად, არც ტელერის შეხედულება, რომ ოპენჰეიმერი ჯამუში ან სახელმწიფო მოღალატე იყო. კომიტეტმა საერთოდ დადებითი აზრი გამოსთქვა მისი ლოიალობის შესახებ. ეს კია — ერთ რამეში საესებოთ ეთანხმებიან გრეი და მორგანი ტელერს. პახსა და სხვებს: ისინი აღანაშაულებენ ოპენჰეიმერს, რომელმაც ყველაფერი, რაც შეეძლო, არ გააკეთა საიმისოდ, რომ შეერთებულ შტატებს წყალბადის ბომბი შეექმნა. ისინი უსაყვედურებენ ოპენჰეიმერს, რომ მან საკმარისი ენთუზიაზმი არ გამოიჩინა. „ოპენჰეიმერი შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგაც კი არ იჩენდა ამ პროექტის განსახორციელებლად იმ ენთუზიაზმს, რაც მოსალოდნელი იყო მთავრობის მთავარი მრჩეველისაგან“.

უშიშროების კომიტეტის უმრავლესობის დასკვნის ეს ნაწილი პირდაპირ განსაცვიფრებელია. ალბათ ამერიკულ იურისპრუდენციაში ვერდიქტი ასე კურიოზულად პირველად იქნა ჩამოყალიბებული. ოპენჰეიმერი გასამართლებული იყო არა იმისათვის, რაც მან გააკეთა, არც იმისათვის, რასაც ის ფიქრობდა, არამედ თავისი გრძნობების გამო. როგორც მოსალოდნელი იყო, ამან გამოიწვია მღელვარება მეცნიერებსა და ამერიკული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს შორის.

საბოლოოდ უმრავლესობის დასკვნა ჩამოყალიბებულ იქნა ოთხ პარაგრაფად, რომლებიც ასახავენ ოპენჰეიმერის „ცოდვებს“. აი, როგორ გამოიყურება იგი:

ოპენჰეიმერი ყოველთვის როდი იქცეოდა შეერთებული შტატების უშიშროების პრინციპების მიხედვით და

შეეძლო მომავალში დამუქრებოდა ამ უშიშროებას.

ოპენჰეიმერს სამეცნიერო წრეებში ჰქონდა ისეთი გავლენა, რომელიც შეიძლებოდა შემდგომში შეერთებული შტატების მთავრობისათვის არახელსაყრელი აღმოჩენილიყო.

ოპენჰეიმერის პოზიცია წყალბადის ბომბის შექმნის საქმეში იწვევს ეჭვს, რომ შემდგომში იგი არ იმოქმედებდა ისე, როგორც ამას მოითხოვენ სახელმწიფოს უშიშროების ინტერესები.

ოპენჰეიმერი არ იყო საკმარისად გულწრფელი.

ამიტომ შემოდის წინადადება, არ დატოვონ იგი შემდგომში ატომური კომისიის სამსახურში და უარი უთხრან ნდობაზე.

დოქტორ უორდ ივენსის დასკვნა საკმაოდ მოკლეა. იგი ოპენჰეიმერისათვის წაყენებულ ყველა ბრალდებას დაუსაბუთებლად თვლის და წინადადებას იძლევა მოხდეს მისი რეაბილიტაცია, თანაც დაასაჩუქრონ პროცესისათვის. თუ ეს არ გაკეთდა, ამერიკელი მეცნიერები ბევრს დაკარგავენო, წერს ივენსი.

ფორმალური მხარის დაცვის მიზნით ოპენჰეიმერის საქმე განხილული იქნა აგრეთვე ატომურ კომისიაში. იქ თავმჯდომარეობდა ლუის სტრაუსი. თავისთავად ცხადია, კომისიამ მოიწონა უმრავლესობის გადაწყვეტილება, და ოპენჰეიმერი ისევ — და ამჯერად საბოლოოდ — გადაყენებული იქნა. მისდამი სიმპათიებზე კომისიის ხუთი წევრიდან მხოლოდ ერთადერთის — მეცნიერ ჰენრი ვოლფ სმიტის გამოსვლა მეტყველებს. სტრაუსისათვის მოულოდნელად, ის გამოვიდა უმრავლესობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და ივენსის მსგავსად გამოთქვა აზრი, რაც ოპენჰეიმერს მთლიანად ამართლებს. ის სთვლის, რომ ოპენჰეიმერის გადაყენება ამერიკის მეცნიერებას დიდ ზიანს მოუტანს, და მოითხოვს, რომ მას გამოუტყხადონ ნდობა. და თუმცა სმატს არ შეეძლო ატომური კომისიის უმრავ-

ლესობის გადაწყვეტილების შეცვლა, მისი პოზიცია საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

როცა საზოგადოებრიობამ პირველად გაიგო ამ საქმის ზოგიერთი მხარე, არაჩვეულებრივი მღელვარება დაიწყო, მაგრამ ეს ის მღელვარება არ იყო, რომლის იმედიც სენატორ მაკარტისა და ლუის სტრაუსს ჰქონდათ. მეცნიერების რბევის განწყობილების ნაცვლად არაჩვეულებრივად გაიზარდა ოპენჰეიმერის დიდება, იგი გადაიქცა აზრის თავისუფლებისათვის მამაც მებრძოლად და ატომური ბომბით შეიარაღების გაბედულ მოწინააღმდეგედ. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო სამყარო მის დასაცავად აღსდგა. ეს არ იყო უანგარო პოზიცია. პოლიტიკიდან ძალზე დაშორებული მეცნიერებიც კი მიხვდნენ, რომ ოპენჰეიმერი — ეს მხოლოდ დასაწყისია, და თუ ისინი თავს არ დაიცავენ, იგივე შეიძლება მოუვიდეთ მათაც.

ოპენჰეიმერის საქმე მიმდინარეობდა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების შეხლის პერიოდში, ამიტომ იგი ძლიერ გახმაურდა. საყოველთაო მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ 1954 წლის ივნისში გამოქვეყნდა პროცესის საბუთები, თუმცა თვითუღიისათვის, ვინც ჩვენებას აძლევდა, პირობა იყო მიცემული, რომ მისი გამოხსვლა არასოდეს არ გამოქვეყნდებოდა. მოწმეები სწორედ ამიტომ ლაპარაკობდნენ ასე გულწრფელად. იმის გამო, რომ გამოქვეყნდა ყველაფერი, თვით გამოძიების ფედერალური ბიუროს მასალებიც კი, აღარ მოხერხდა ამ შემთხვევის შელამაზება და მომენტის მოთხოვნებისადმი მისი მისადაგება.

ოპენჰეიმერის დასაცავად აღსდგნენ აგრეთვე ჟურნალისტები ძმები ოლსობები „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნლიდან“, რომლებმაც გამოაქვეყნეს წიგნი „ჩვენ ბრალს ვდებთ“. ისინი აშკარად ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ ზოლას. მაგრამ მათი დიდებისმაძიებლობა ერთგვარად ტრაგიკომიკურია. ზოლას-

გან განსხვავებით, ძმები ოლსობები ამტკიცებდნენ, რომ ოპენჰეიმერის გამტყუნება არაფერში არ შეიძლებოდა, რადგან იგი ნამდვილი, წმინდა წყლის ამერიკელია (მათი შეხედულებებით ეს ნიშნავს, რომ წმინდა რეაქციონერია) და რომ მათ არ ესმით, რა ჰქონდათ ოპენჰეიმერის საწინააღმდეგო გამოძიების ფედერალურ ბიუროს და ბატონ მაკარტისა და სტრაუსს.

„ოპენჰეიმერის საქმის“ შესახებ დაიწერა ბევრი პუბლიცისტური სტატია, ლექსი და თეატრალური პიესებიც კი. ლუის სტრაუსი და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები გასაგებში უკმაყოფილებით აღევნებდნენ თვალყურს ყოველივე ამას. ისინი განსაკუთრებით გააგულისა წიგნმა „საიდუმლო ომი სუპერბომბისათვის“, რომელიც დაწერეს ჯეიმს შეპლემ და კლეი ბლეერმა. ეს ვაჟბატონებიც ასევე მხნედ დგანან რეაქციულ პოზიციებზე, რომელიც დიდად არ განსხვავდება ბატონ რობერტის თვალსაზრისიდან. მაგრამ რეპორტიორულმა გაუმადლობამ აიძულა ისინი მოეყოლათ გაცილებით მეტი მონობოლისტური ჯგუფების ინტერესების შესახებ, რომლებიც ებრძოდნენ ერთმანეთს წყალბადის ბომბის წარმოებაში მოზრდილი ლუკმის მისაღებად და, ესე იგი იმ მექანიზმზეც, რომელმაც ოპენჰეიმერის დაცემა მოაშადა. სტრაუსი თავდაპირველად შეეცადა მთლიანად შეეხსიდა ეს წიგნი, უფრო გვიან კი მის აკრძალვას ცდილობდა. ამას იმით ასაბუთებდა, თითქოს წიგნში ტექნიკური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ბევრი შეცდომა იყო.

ტრაგიკომიკური იყო აგრეთვე ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ხელმძღვანელის დოქტორ ბრედბერის განცხადება. როცა წაიკითხა, რაც მასზე ტელერმა მოჰყვა, ძალზე გაბრაზდა და პროტესტი დაწერა... როგორ მოხდა,

იაროსლაგ პუტიკი
სინდისი

რომ ტელერი წყალბადის ბომბის შექმნის საქმეში არ სცნობს მის დამსახურებას? ბომბი ხომ შეიქმნა ლოს-ალამოსში და არა ლივერმორის ლაბორატორიებში, როგორც ტელერი ამტკიცებს. მე, ბრედბერი, ვარ წყალბადის ბომბის მამა!

რადგან ამ საეჭვო ტიტულისათვის ყოველგვარი საშუალებებით იბრძვის სტრაუსიც, ამერიკას უკვე ჰყავს წყალბადის ბომბის ავტორობის სამი პრეტენდენტი. დაე იყო დიდება, თუნდაც მსოფლიო დაიღუპოს.

უკვე განვლო მრავალმა წელმა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ოპენჰეიმერის საქმე, და ახლა შეიძლება ვიკითხოთ, ვინ გაამართლა დრომ.

ჯერ კიდევ 1954 წლის მარტში სადავო ბევრი იყო. ეპი ეპარებოდათ, ნამდვილად ჰქონდა თუ არა საბჭოთა კავშირის წყალბადის ბომბი; ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ. ახლა უკვე ყოველგვარი დავა უაზრობაა. იგი გადაწყვიტა 1957 წლის ოქტომბერში კოსმოსში გაშვებულმა პირველმა თანამგზავრმა, რითაც ახალი ეპოქა დაიწყო. შეერთებული შტატების სამეცნიერო და პოლიტიკური პრესტიჟი საბოლოოდ დაეცა. შეერთებული შტატების ომის შემდგომი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობოდა იმ აქსიომას, რომ ყველაფერს წყვეტს ძალა, უაზრო აღმოჩნდა...

საინტერესოა, როგორ წარიმართა ჩვენი მთავარი გმირების ბედი.

დოქტორმა ელშარდ ტელერმა დაიკავა ბევრი თანამდებობა, რომლებიც წინათ ოპენჰეიმერს ეჭირა. ოპენჰეიმერივით მანაც ერთბაშად დაკარგა კოლეგების სიმპათიები (საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი მაინცდამაინც არასოდეს ყვარებიათ, მას არასოდეს არ ჰყოლია ნამდვილი მეგობრები). ტელერი ვახდა ჯონ ფოსტერ დალესის მრჩეველი და მისი შეხედულებები გავლენას ახდენდა პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე. ატომურ კომისიაში იგი მტკიცედ იყო

დაკავშირებული ლუის სტრაუსთან 1959 წლამდე, მასთან ერთად იბრძოდა ყველაზე რეაქციული წინადადებების მისაღებად. ის მტკიცედ გამოდის ატომგულის იარაღის აკრძალვისა და სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ. სიკვდილის ეს ბრწყინვალე მოკავშირე ძალზე ამაღლდა როკფელერების თვალში. ის ვახდა ნელსონ ა. როკფელერის ტრესტის წევრი. ეს ტრესტი, „ოვეროლ პენელი“, თანამშრომლობს რესპუბლიკურ პარტიასთან და აყალიბებს თავის პოლიტიკურ ხაზს. არ არის საჭირო იმის ხაზგასმა, რომ ეს მიმართულება თანმიმდევრულად რეაქციულია. ტელერის პოზიცია მოგვეგონებს ფსიქოზს, რომელიც მინისტრ ფორესტოლს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. გეოქიმიის პროფესორმა ბრაუნმა ტელერის შესახებ დაწერა: ტელერი დაბრმავებულია კომუნიზმის შიშით და უსათუოდ მოხდება კატასტროფა, თუ ტელერის თვალსაზრისი შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისი ვახდაო...

ლუის ლიბტენშტეინ სტრაუსი ატომურ კომისიის ხელმძღვანელობდა ხუთი წლის განმავლობაში. მისი რწმუნება დამთავრდა 1958 წლის ივნისში. როგორც ტელერი, არც სტრაუსი უყვართ მეცნიერებს. იმ უტაქტობის წყალობით, რომლითაც იგი მონოპოლიების ინტერესებს იცავდა, სტრაუსმა თვით კონგრესის რესპუბლიკურ პოლიტიკოსებს შორისაც კი შეიძინა მტრები...

სტრაუსს რომ საშუალება ჰქონოდა, თავისი საკუთარი საქციელი სარკვეში დაენახა, მას უნდა ეღიარებინა, რომ ისტორიულმა განვითარებამ მოკლე დროის მანძილზე მთლიანად დაამსხვრია მისი წარმოდგენა და შეხედულებები. ამერიკულ მეცნიერებას მოკლე დროის მანძილზე რამდენიმეჯერ გაუსწრეს. მას გაუსწრო არა მარტო საბჭოთა კავშირმა, არამედ ინგლისმა, იაპონიამ და სხვა ქვეყნებმა. პირველი სამართავი თერმოატომური რეაქციები განხორციელდა არა შეერთებულ შტატ-

ტებში, არამედ დუბნსა და ხარუელში. პირველი თანამგზავრი გაშვებულ იქნა არა კანავერალის კონცხიდან, არამედ ციმბირიდან. სტრაუსს სხვა იმედებიც გერმანტაუნში, მან ააგო უშველებელი თავშესაფარი, რომელიც გაუძლეობდა წყალბადის ბომბის პირდაპირ მოხვედრას. ალი-ბაბას გამოქვამულზე უფრო საიდუმლო ამ გრანდიოზულ ნაგებობაში, რომელიც აღკაზმული იყო ელექტრული მაძიებელი ცაცხებით, მან შეინახა ამერიკის ატომური და საერთოდ სამხედრო მეცნიერების ყველა საიდუმლოებანი. გერმანტაუნს ამერიკისათვის უნდა მიეცა უცილობელი ვარანტია, რომ ვერავინ ვერ მიიღებს ვერაფერს ამ „სეიკრიდ ტრასტ“-იდან, რომელსაც ტრუმენი ამერიკისათვის თვით მაღალი ღმერთის მიერ გამოგზავნილად სთვლიდა. 1957 წლის 8 ნოემბერს, როცა ამ მშენებლობას ღებულობდნენ, მის თავზე დაფრინავდა საბჭოთა თანამგზავრი და ყველაფერი უეცრად ნაღვლიან ფარსად იქცა. სტრაუსს რომ მტკიცე ხასიათი არ ჰქონოდა, ალბათ აქვითინდებოდა.

ბორის პახზე არაფერი არ არის ცნობილი: როგორც ჩვეულებრივი ჯაშუში, იგი კვავ ჩაეფლო საიდუმლოებაში. დაე, დარჩეს იქ.

რობერტ ოპენჰეიმერი მუშაობს და ლექციებს კითხულობს პრინსტონში. ის გადასახლდა იქ თავისი ოჯახით და ცხოვრობს წყნარად, ღრმად ჩაფიქრებული ხეტიალობს პრინსტონის ხეივანებში, კითხულობს ფრანგ პოეტებს და, შეიძლება ითქვას, ბედნიერია. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. იგი იზიარებს ლუკრეციუსის სენტენციის აზრს, რომ უბედურია ის, ვინც შეიცნო საგანთა არსი.

მან ისევ მიიღო მეცნიერული აღიარება. 1957 წელს — ამერიკული მეცნიერების კატასტროფის წელს — მისი სახელი არაერთხელ ამოტივტივდა. მრავალჯერ აშკარად წერდნენ, რომ დაშვებული იქნა შეცდომა, ამერიკული მეც-

ნიერება შეიძლებოდა წინ წასულიყო „ოპენჰეიმერის საქმე“ რომ არ ყოფილიყო. წარმომადგენელთა პალატის წინაშე ამავე თვალსაზრისით გამოვიდა რაკეტული იარაღის გერმანელ-ამერიკელი ცნობილი კონსტრუქტორი ფონ ბრაუნის: „ჩვენ ეს არ უნდა დაგვეშვა, ოპენჰეიმერი არ უნდა დაგვეთხოვა. ეს სერიოზული შეცდომა იყო. ინგლისელები მას დათხოვნის ნაცვლად არის-ტოკრატად აამაღლებდნენ“. არაერთხელ იქნა წამოყენებული წინადადება, რომ მისთვის მიენდოთ სამხედრო სამეცნიერო გამოკვლევები. დაუბრუნდება თუ არა ოდესმე ის კვლავ მათ? პახმა სიტყვა მისცა ოპენჰეიმერს, რომ ეს არასოდეს არ მოხდება, მაგრამ პახი ყოველისშემძლე როდია.

ოპენჰეიმერი ცუდად არ ცხოვრობს: დროდადრო იგი გამოდის ხალხში, მოგზაურობს, აგროვებს ნახატებს, ლექციებს კითხულობს. ყველაზე სიამოვნებით იგი მიემგზავრება თავის საყვარელ პარიზში, სორბონაში. ცხოვრობს კასატეს ქუჩაზე, უბრალო სასტუმროში. მის ლექციებზე ყოველთვის შედგება ახალგაზრდობა აღტაცებით უგდებს ყურს ადამიანს, რომლის ასექტურ სახეზე ირონიული ნადველი და მელანქოლიის მუდმივი ჩრდილია. ის დარწმუნებულია, რომ მომავლის გამოცნობის უნარი დამღუპველი ჯილდოა.

მას უყვარს თანამედროვე მეცნიერების შედარება ცნობისმოყვარებთან, რომლებმაც პრომეთეს მიერ მოპარული ცეცხლისათვის შურისძიების მიზნით, კაცობრიობისათვის ზევსის მიერ გამოგზავნილი პანდორის ყუთი გახსნეს. „ვართ თუ არა ჩვენ ჯოჯოხეთის მოკავშირეები?“ — ის ყოველთვის ცდილობს ამ საკითხის გადაწყვეტას. ოპენჰეიმერი ლაპარაკობს ლამაზი და მწყობრი, ამავე დროს ღრმამინაარსიანი და უბრალო ფრაზებით. მათში ყოველ-

იაროსლავ პუტიკო
სინდისი



თვისაა რალაც უთქმელი, ოდნავ გაუგებ-
ბარი, რომელშიაც იფარება საშიშროე-
ბა. მას თითქოს უნდა თქვას: მე თითქ-
მის ყველაფერი ვიცი და ბედს შევეუ-
რიგდი, მაგრამ შენ, მოკვდავო, სანამ
შეგიძლია, ნუ მოინდომებ ყველაფრის
ცოდნას.

იგი შეურიგდა ბედს, მაგრამ იცის,
რომ მართალი არიან ისინი, რომლებიც
არ დანებდნენ, რომლებიც იბრძვიან და
ამაყად უპასუხებენ მოწინააღმდეგეს:
Non possumus — სხვაგვარად არ შე-
გიძლია!

ბოლოსიტყვაობა რუსული გამოცემისათვის

„სინდისის“ ჩეხურ გამოცემაში პრო-
ფესორ ოპენჰეიმერის საქმესთან და-
კავშირებული მოვლენები მთავრდება
1958 წლის ივნისით. მაგრამ ისტორია
არაჩვეულებრივად სწრაფად მიდის
წინ. ბევრი რამ, რაც ჯერ კიდევ ახლო
წარსულში ბუნდოვნად გვეჩვენებოდა,
უცალობელ ფაქტებად იქცა. დრო
უკუყმანოდ აცალკევებს სიმართლეს
ტყულისაგან.

საბჭოთა რაკეტა, რომელმაც მთვა-
რეს მიადწია, დამაჯერებლად მოწმობს,
ვის მხარეზე იბრება მსოფლიო განვი-
თარების სასწორის ისარი.

წარმოუდგენლად მოკლე დროში გა-
მოაშკარავდა იმ სტრატეგიული კონ-
ცეფციების სრული უვარგისობა, რომე-
ლიც დაკავშირებულია აშშ ამჟამად
განსვენებული სახელმწიფო მდივნის
ჯონ ფოსტერ დალესის სახელთან.
დღეს უკვე ცოტას სჯერა, რომ შეიძ-
ლება სოციალისტური სახელმწიფოები
დააშინო, ძალით მოახვიო თავს შენი-
ნება და დააჩოქო. 1954 წელს ოპენჰეი-
მერის პროცესის დროს ზოგიერთ გზა-
აზნულს კიდევ შეიძლებოდა დაეჯე-
რებინა, რომ ამერიკის სამხედრო მრეწ-
ველობისა და მეცნიერების დასუსტება
და ჩამორჩენა გამოიწვევდა საბჭოთა
კავშირის მხრივ თავდასხმას. ახლა უკ-
ვე ყველასათვის ცხადია ამ მტკიცების
უაზრობა. სწორედ იმ დროს, როცა
მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ სამ-
ხედრო ძლიერება საბჭოთა კავშირის
მხარეს იბრება, ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტა-
ნა მაღალკუმანური წინადადება სრული

და საყოველთაო განიარაღების შესა-
ხებ.

ბევრი ილუზია დაიმსხვრა, მათმა
დამსხვრევამ მიგვიყვანა ყველაზე მე-
ტად აგრესიული ძალების პოზიციების
შესუსტებამდე, იმ ძალებისა, რომლე-
ბიც ოპენჰეიმერის საქმის სულისჩამ-
დგმელნი იყვნენ. ატომური კომისიის
ხელმძღვანელი ლუის სტრაუსი 1958
წლის ივნისში გადადგა და ატომური
ენერჯის საკითხებში ეიზენჰაუერის
პირადი მრჩევლის უმნიშვნელო თანამ-
დებობაზე დარჩა. ამერიკულმა პრესამ
უკვე მაშინ აღიარა, რომ სტრაუსის გა-
დადგომა გამოწვეული იყო მისი უკი-
დურესი არაპოპულარობით ამერიკელ
მეცნიერებს შორის. მის ანგარიშზე იყო
არა მარტო ოპენჰეიმერის საქმე, არამედ
აგრეთვე სხვადასხვა საეკპრო მაქინაცი-
ები. მაგრამ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერ-
მა მალე იგი ვაქრობის მინისტრად და-
ნიშნა. მაშინ შეერთებულ შტატებში
გაუგონარი რამ მოხდა—კონგრესმა არ
მოიწონა პრეზიდენტის გადაწყვეტილე-
ბა და სტრაუსი მთავრობიდან უნდა
გამოსულიყო. თავისთავად იგულისხმე-
ბა, რომ სტრაუსის წასვლა მისი კარი-
ერის დასასრულად არ უნდა ჩაითვა-
ლოს. სტრაუსის ხმა ისმის ყველგან,
სადაც ლაპარაკია მშვიდობიანი თანაარ-
სებობის იდეის წინააღმდეგ ბრძოლაზე,
ატომური იარაღის აკრძალვასა და სა-
ერთაშორისო პრობლემების მშვიდო-
ბიან გადაწყვეტაზე. იგი ბერდება,
მაგრამ ბატონობისა და თავისი ნე-

ბის სხვებზე თავსმოხვევის სურვილი ისევ ძლიერია მასში.

დამახასიათებელია ჩვენი წიგნის მეორე გვირის ედუარდ ტელერის ბედიც. ის კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორია და ძველებურად ერთგულად ემსახურება თავის მფარველ როკფელერებს... ამერიკის სამხედრო თეორეტიკოს კისინგერთან ერთად მან შექმნა „ატომური ლოკალური ომის“ კონცეფცია და მისი ერთ-ერთი მომხრეა. დღეს ტელერი ნობელის პრემიის ლაურეატის, დოქტორ ლაინუს პოლინგის მთავარი მოწინააღმდეგეა. ეს უკანასკნელი იმ ამერიკელ მეცნიერთა წარმომადგენელია, რომლებიც მშვიდობისა და განიარაღებისათვის იბრძვიან. ავითარებს რა თავის თეორიას საყოველთაო ატომური ომისათვის მომზადების აუცილებლობის შესახებ, ტელერი დაკავებულია მიწისქვეშა ქალაქებისა და ქარხნების მშენებლობის გეგმებით, რაც, მისი ჩანაფიქრით, უნდა დაეხმაროს შეერთებულ შტატებს კომუნიზმზე გამარჯვებაში.

გასულ წელს ამერიკულმა პრესამ გვაცნობა, რომ ტელერი იღებს ქმედით მონაწილეობას მასიური მოსაზრების ახალი იარაღის, ეგრეთ წოდებული ნეიტრონული ბომბის შექმნაში. როგორც ყოველთვის, ტელერის გამოსვლებს თან სდევს დიდი ხმაური და რეკლამა.


ჩვენი მთავარი გვირი, პროფესორი ოპენჰეიმერი, ძველებურად ასწავლის პრინსტონში. გაისმის მეცნიერთა ხმები ძველ თანამდებობაზე მისი დაბრუნების შესახებ. მაგრამ მათი გავლე-

ნა, ვინც მოახერხა ოპენჰეიმერის გადაყენება, ჯერ კიდევ ძალზე ძლიერია.

1959 წლის შემოდგომაზე მე ვეწვიე ხიროსიმას. ატომური ბომბის აფეთქების ეპიცენტრის მახლობლად აგებულ მუზეუმში, ბეტონის, აგურის, მიწისა და ადამიანთა ძვლების შენადნობთა გვერდით, რომლებიც უნიჭო მხატვრის აბსტრაქციულ ქანდაკებასავით გამოიყურება, მე აღმოვაჩინე რობერტ ოპენჰეიმერის ფოტოსურათი. ფოტოგრაფს აღუბეჭდია ამ ადამიანის მრავლისმეტყველი სახე იმ მომენტში, როცა ის ცდილობდა გაღივებას, მაგრამ დიმილის ნაცვლად ტუჩის მარცხენა კიდე დამანჭვია და სახეზე აღბეჭდვია სარდონიული, მწარე დაცინვა. გამველეობი, რომლებმაც ახლახან დახარეს თავი ხიროსიმას მსხვერპლთა ძეგლის წინაშე, ხედავენ სახეს ადამიანისას, ვისი ტვინი და შემოქმედებითი ენერჯიაც გამოყენებულ იქნა ასეთი გაუგონარი ბოროტმოქმედებისათვის. უმრავლესობა სწრაფად ჩაუვლის ხოლმე და ყურადღებას არ აქცევს პორტრეტს; არც ეს სახე და არც ეს სახელი მათ არაფერს არ ეუბნება. მაგრამ ზოგიერთი დიდხანს და ყურადღებით უყურებს. მე მინდა, უფრო მეტმა ადამიანმა უყუროს ამ პორტრეტს. იქნებ სწორედ ამისათვის დაეწერე ეს წიგნი.

პრალა, 1960 წლის დეკემბერი.
თარგმნა ვერა ბუაჩიძემ.

იაროსლავ ბუტიკო
სინდისი



გიორგი ლეჟავა

გიგლა ფირცხალავა

გიგლა ფირცხალავას სახელს დიდი ხანია იცნობს ქართველი საზოგადოება. ნიჭიერმა მხატვარმა თავიდანვე მიიქცია უურადღება, როგორც კარგმა იუმორისტმა და კარიკატურის ოსტატმა. წლების მანძილზე გიგლა ფირცხალავამ დიდი აღიარება და სიყვარული მოიპოვა.

ფირცხალავამ თბილისის სახსატვრო აკადემიის ჭანდაკების ფაკულტეტი დაამთავრა. ახალგაზრდა მოქანდაკის ნამუშევრებმა „მოკიდავის პორტრეტი“, „ქალიშვილის პორტრეტი“ და სხვებმა იმათივე მოწონება დაიმსახურა, მაგრამ გიგლა ფირცხალავამ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში იგრძნო, რომ მისი ნამდვილი სტიქია სატირა და იუმორია. აქედან მოყოლებული ფირცხალავა გახდა ჩვენი უფროსი გაცხეთების მუდმივი თანამშრომელი.

მხატვრის შემოქმედებაში უურადღებას იქცევს თემის ორიგინალური მიგნება, მახვი-



ლა და ნათელი იუმორი, საინტერესო კომპოზიციები და ჩანაფიქრის თავიებური გადაწყვეტა.

აქტიურია მხატვრის თემატიკაც. გიგლა ფირცხალავას სატირა მიმართულია ჩვენი ცხოვრების მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. იგი ამხელს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ჩვენი საზოგადოების ხორც-მეტებს.

მნახველთა მოწონებას იმსახურებს მხატვრის მიერ ოსტა-

ტურად შესრულებული მეგობრული შარეები.

გიგლა ფირცხალავას შემოქმედება დიდი ხანია გასცდარეს სუბილიკის ფარგლებს. მისი შარეები და უტექსტო ზუმრობები ხშირად იბეჭდება საზღვარგარეთაც.

ამ რამდენიმე თვის წინ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, მოეწყო გიგლა ფირცხალავას ნამუშევრების გამოფენა. მხატვარი ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგა ქართველი საზოგადოების წინაშე.

ჩვენი უფროსი ამ ნომერში მკითხველებს ვთავაზობთ გიგლა ფირცხალავას რამდენიმე ნაწარმოებს.

იმედი გვაქვს, ნიჭიერი მხატვარი კვლავაც ბევრჯერ გავაზარებს თავისი ოსტატობითა და მრავალმხრივი შემოქმედებით.



ტექნიკური რედაქტორი გიორგი ჭავთარაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02.

ბელოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 800, უფ. 00730. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.400.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობას ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.




კონსერვატივიზმი ადვილია

გვიბრუნდა შატრი



დაღმთმთის კონსერვატივიზმი



მხოლოდ 105 მამული...



შინადაც დიპლომატი კონსერვატივიზმი გვიბრუნდა შატრი



გაგონ 60 333

7

0
8
9
3
6
0
2
5
6
3
0



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ციშკარი“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВნება“

ИНДЕКС 76236